


ISSN 0132-599 X

საქართველოს  
საზღვროთმცოდნეობის  
ინსტიტუტი

# გეოგრაფია



9

---

1989



# ენათოში

ქართული  
ენათმეცნიერება

წილიწაფი 65-0

№ 9

სექტემბერი, 1989 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## უ ი ნ ა ა რ ს ი

### პროზა, პოეზია

პრიგოდა რომაძემ — ჩაქოლი სული. რომანი. გაგრძელება. გერმანულიდან თარგმნა აღმწესანდრე კარტოზიამ	3
გივი ვიხევაძე — ლექსები	41
შოთა ჩაფიძემ — კოლიგიედი და კოეტი	48
დათო მალაქამ — ლექსები	55
მიკაბ აბაშიძემ — ლექსები	61
მარინე ხუციშვილი — ლექსები	63
ნუნუ ქაფიძემ — ორი მოთხრობა	65
გიგლა სარიშვილი — ლექსები	69
გიორგი ვიხევაძე — ლექსები	71
მალე კოხიაშვილი — ძალი და მამბაძე. მოთხრობა	73
უაჭო სამადაშვილი — ფთხი. ლექსი	75
ჯემალ ქარახამი — ბანუშინილი. ზღაპარი	76

### მოგონებები, ფაქტები

კვლავ ამბროსი ხელანას სტუმრის ბავშვ. პუბლიკაცია მ. ხუციშვილის და ს. ლეიშვილის	109
--	-----

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

გიორგი ჯიბლაძე — კოეზიის მალედი სამხედროებში	130
ილიჯაბა ჯაფარიძემ — მარადიული ფიქრების ქვეყანაში...	146
ფატი აბულაძემ — „არავითარი სხვა საშუალებით ამაზე მეტი არ გამოჩნდება!“	161
გურამ ხათიაშვილი — მზე ღრუბლებში	165

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

სარედაქციო კოლეგია:

პრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამბუშაძე, მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიშვილი, ბ. დონაშვილი, მ. ლასურია, მ. ლეონიძე, ე. მაღრაძე, ლ. შრამიაშვილი, ბ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. პატარიაძე, ჯ. ნარკვიანი, ნ. წულუკიძე, თ. შიშკაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

---



ბრიტოლ რობაჰიქა

# ჩაკლული სული

რომანო

როგორ გაიხურა კარი ტროცკიმ

VII

ბერზინი ამიერკავკასიის კომიტეტის სხდომაზე მიიჩქაროდა. მთელი არსებით სძაგდა სხდომები. საკითხების გადაწყვეტა სხდომების გარეშეც შეიძლება, ფიქრობდა ის, თანაც უფრო ნათლად და სწრაფად. სხდომები მხოლოდ სისხლს აშრობენ. მრავალრიცხოვან თათბირებში საბჭოთა ქვეყნის დიდ უბედურებას ხედავდა. დღეს მისი მისვლა არც იყო სავალდებულო — განსახილველი საკითხი მის განყოფილებას არ ეხებოდა — მაგრამ გპუ-ს ერთ თანამშრომელს დაუთქვა შეხვედრა. სხდომა ოთხი საათისათვის დაენიშნათ, ოცი წუთის დაგვიანებით შევიდა დარბაზში.

კომიტეტის რამდენიმე წევრი უკვე მოსულიყო, ქართველები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ებრაელები. ჩაის სმა არ წყდებოდა, საფერფლეები ნამწვავებით იესებოდა, ბოლი სქელი ღრუბლებივით ჩამოსწოლოდა კრებას. იყო ერთი ბორბოცი და მზიარულება. ამ აღამიანების ეროვნული დანაწილება უაზრობა იყო. მხოლოდ თითო-ოროლასლა თუ შერჩენოდა შინაგანი

კავშირი საკუთარ ხალხთან. ისინი ადამიანის სრულიად ახალ ტიპს წარმოადგენდნენ. ერთს თვალეზი ისე შორიშორ ჰქონდა განლაგებული, მეზობლის დანახვა ქათამივით გვერდიდან შეეძლო. მეორის დიდი დასიებული სახიდან მარტორქის პატარა გამჭოლი თვალეზი იმზირებოდნენ. მესამის მზერა მძორივით ფოსფორისებურად ანათებდა. ერთ ჭგუფში მსხვერპლის მოლოდინში ჩასაფრებული, გაშმაგებული მგლის დამშეული ხაზა მოჩანდა; კაცი ურებსაც კი ამოძრავებდა. მეორე მის გვერდით ტახის ეშვებს აჩენდა. კუთხეში ერთი აყლყუდა საბალახოდ გაშვებული ცხენივით ჭიხვინებდა. ერთ მაგიდასთან კუპრივით შავი კაცი იჭდა ჭიანი კბილებით—ციებიან მაიმუნს ჰგავდა; გრძელი, წაწვეტებული თითებით თავგამოდებით ქეჩავდა ქალაღდებს — როგორც მაიმუნი ტილებს. თითოეულმა იცოდა მეორის სუსტი მხარეები და იღუმალი აზრები, მაგრამ არავინ არაფერს იმჩნევდა და ყველა ორაზროვნად ილიმებოდა. ჩანთები საჭირო ან უფრო მეტად არასაჭირო ქალაღდებით გაეტე-

გაგრძელება. იხ.

მწიგნობარ ქ. მარკუსის  
სახ. სახ. რესაუბ.  
ბიბლიოთეკა

საქართველოში

ნათ, მხიარულად მისლაათობდნენ, ბევრს იციონდნენ, ცხარედ კამათობდნენ. სტალინი აქ მხოლოდ პორტრეტით როდი იყო წარმოდგენილი, ის ამ ხალხის უბილავი დვრიტა იყო. შეკრებილნი დანარჩენ წევრებს ელოდებოდნენ და დრო ანექლოტებით გაჰყავდათ, რომელთა მოყოლით გბუ-ს ერთ თანამშრომელს განსაკუთრებით გაეთქვა სახელი. ძერყინსკი ეპიკურ ყანრს მისდევდა, მენჭინსკიმ — მისმა მეგვეიდრემ — ლირიკა არჩია, ამას კი პოეზია ანექლოტებზე გაეცალა. „ის როგორ იყო, საბჭოეთში ყველაზე კარგად ვინ არიოს?“ ჰკითხა ერთ-ერთმა. „გორკი სორენტოში“, უპასუხა მან. საყოველთაო სიცილი. ამ ანექლოტს სხვები მიჰყვა, უფრო მარილიანი. დაგვიანებულნი კვლავ არ ჩანდნენ. ზუმრობა და სიცილი გრძელდებოდა.

ბერზინი ძლივს ერეოდა თავს. გუნებაში კვლავ სხდომებს წყველიდა. ასეა მთელს საბჭოეთში, ფიქრობდა ის, ყოველი პასუხისმგებელი კომუნისტი მრავალი ორგანიზაციის წევრია, ზმირად სხდომები ერთდროულად მიმდინარეობს და ყველაზე დაგვიანებული უცდიან. ნუთუ მართლა შეუძლებელია ყველაფრის წინასწარ გათვალისწინება? ამას რომ ეკითხებოდა თავს, იქვე დაუძღვევლ დაბრკოლებას აწყდებოდა: როგორც პარტიული, ისე სახელმწიფო ორგანიზაციები უმთავრესად ყოველგვარი მომზადების გარეშე მუშაობდნენ — ამას მოითხოვდა ახალი ცხოვრების გამალებული ფუსფუსი. ბერზინი მდუმარედ იჯდა. ანექლოტებმა წრე შეკრა. ყოველ ათ წუთში მოჰქონდათ ჩაი, საფერფლებში ფერფლი და ნახევრადმოწეული სიგარეტები აღარ ეტეოდა, თავს ზემოთ კვამლი კიდევ უფრო შესქელდა. ნიკო ბრეგამეც აქ იყო. შიგადაშიგ ქურდულად ათვალერებდა ბერზინს: დიდად არ ენატებოდა გულზე ეს ყოფილი ტროცკისტი. იქნებ ფარულად ახლაც ტროცკისტი? ფიქრობდა ხოლმე თავისთვის. წევრების

ნახევარი ისევ აკლდა. უმეტესად იმერეთის ძემ ტრუმიანს გადასძახა: „ის როგორ იყო, ტროცკიმ რომ კარი გაიხურა?“

ყველამ ყურები ცქვიტა. ტრუმიანს ანექლოტების ოსტატის სახელი არ ჰქონდა, მაგრამ სასაცილო ამბები კი უყვარდა. კომუნისტად მხოლოდ 1920 წლის ბოლოს მოექცა, მანამდე სოციალ-რევოლუციონერებს ეკუთვნოდა. პარტიაში საკუთარ კაცად არ თვლიდნენ, მაგრამ აფასებდნენ მის განათლებულობას, გამოცდილებას, ენერჯის. კომუნისში, ჩანს, მხოლოდ იმიტომ მიეღო, რომ მის ქვეყანას, სომხეთს, იმ დროს თურქეთი ემუქრებოდა და ხსნა მარტო საბჭოებს შეეძლოთ. მომდევნო წლებს შინაგანად დიდად არ შეუცვლიათ, ლიბერალად დარჩა და საქმის კაცს უფრო ჰგავდა, ვიდრე პარტიისას. ყველას ახსოვდა მისი მონათბრობების შეუღარებელი იუმორი და, როცა ტროცკის გვარი გაიგონეს, ერთხმად ყიყინით სთხოვეს ეამზნა. ბერზმა არც იცოდა ეს ისტორია. ბერზინი, მოქუფრული, მდუმარედ იჯდა. ტრუმიანმა დიდი წყლიანი თვალებით გაიცინა და დაიწყო:

„1923 წელი იყო. ძალაუფლება ტრიუმვირატს ეპყრა: სტალინს, კამენევს, ზინოვიევს. ლენინი, ავადმყოფი, იწვა; ტროცკი განზე იდგა — სამხედრო რევოლუციურ საბჭოს ხელმძღვანელობდა. ბონაპარტის აჩრდილი არ აძინებდა, მაგრამ ლენინის ავადმყოფობა მის მდგომარეობას ძალზე ამძიმებდა. ტრიუმვირატმა გადაწყვიტა ცენტრალური კომიტეტის რამდენიმე წევრი შეეყვანა სამხედრო საბჭოში, მათ შორის, რა თქმა უნდა, სტალინიც. („რა თქმა უნდა“ ისე წარმოითქვა, ეკვი არ იყო: პროექტის ავტორი თვითონ სტალინი უნდა ყოფილიყო). შემოდგომაზე პლენუმის სხდომა გაიმართა. ხსენებული საკითხი ფრთხილად დააყენეს. სტალინი ჩუმად იჯდა. (ყველას ღიმილმა გადაურბინა სახეზე). ტროცკიმ მყისვე იგრძნო: საქმე მისი კომპეტენციის შეზღუდვას ეხებო-

და. წამოგნო, განრისხდა, სიღინჯე და-  
კარგა და თავი ველარ შეიკავა. შემოთა-  
ვაზებული წინადადება უნდობლო-  
ბის ნიშნად მიიჩნია, ჩვეული პა-  
თოსით მიმართა კრებას: „გამათავი-  
სუფლეთ თანამდებობიდან და გა-  
მიშვიეთ გერმანიაში რევოლუციის რი-  
გით ჯარისკაცად!“ (პაუზა. „ნალ-  
დად ძველ წინასწარმეტყველთა პა-  
თოსს ჰბაძავდა!“ შენიშნა მარტორქის-  
თვალბამ. „ყალბ აღტყინებას ამოფა-  
რებული სიმულაცია!“ დაიყვირა მეო-  
რემ. საყოველთაო სიცილი). მისმა ფიცი-  
ხმა ექსტრა მიზანს ვერ მიაღწია. ეს  
მით უფრო საოცარი ჩანდა, რომ მისი  
სიტყვა, როგორც ყოველთვის, მძლავ-  
რი იყო, ცეცხლს აფრქვევდა. პლენუმის  
უმრავლესობა დაიბნა. უეცრად ზინო-  
ვიევი წამოდგა და — არ ვიცი, წაბაძვა  
იყო თუ მზაკრობა („ორივე ერთად“,  
დაიძახა ტახისეშევიანი) — ტროც-  
კის რომ მისი ნამდვილი განზრახვა  
არ შეემჩნია, დაიყვირა: „მეც გამიშ-  
ვით გერმანიაში, როგორც შეთქმული!“  
ტროცკის სიტყვები თუ ცეცხლს აფრ-  
ქვევდა. ქალაქუნა ზინოვიევისა ქლი-  
ავივით რბილი იყო. (საყოველთაო  
სიცილი). პათოსი ფარსად გადაიქცა.  
ამაზე სტალინი წამოდგა და მოჩვენე-  
ბითი მწუხარებით გაანაცხადა: „როგორ  
შეჭმლია ცენტრალურ კომიტეტს სას-  
წორზე შეაგდოს ორი ძვირფასი ამხანა-  
გის სიცოცხლე?“ (ჭურბული ჩაჭირქი-  
ლება). მაგრამ ტროცკი არ ცხრებოდა  
და თავისაზე იდგა. მაშინ წამოდგა ერ-  
თი ლენინგრაძელი დელეგატი, კომარო-  
ვი, და როყიოდ წამოიხროლა: „რატომ  
ქმნის ამხანაგი ტროცკი ამდენ აურზა-  
ურს ამ ამბისაგან? თქვენც, პატივცემუ-  
ლო ხელმძღვანელებო, არასწორად იქ-  
ცევით, რომ ამნაირი წვრილმანის გამო  
დელაფთ!“ ამას კი აღარ ელოდა ტრო-  
ცკი; უკვე იქამდე მისულა საქმე,  
რომ მის მიერ წამოჭრილი საკი-  
თხი ვილაც კომაროვისთვის წვრილმა-  
ნია? გაცოფებული წამოხტა, ამომშა-  
ლეთ ამ სპექტაკლის მონაწილეთა სიი-  
დანო, იყვირა და გადარეული კარს

ეცა. (პაუზა). თქვენ იცით, ტროცკის  
უყვარს კარი. (გაურკვეველი გაოცება).  
თქვენ ალბათ გახსოვთ, 1919 წელს,  
როცა საბჭოეთი უკიდურეს საფრთხეში  
იმყოფებოდა, როგორ თეატრალუ-  
რად მიიძახა კაპიტალისტურ სამ-  
ყაროს („ღიახ“, დაიძახა მაიმუნის-  
მაგვარი): „ჩვენ მიედევართ, მაგრამ  
კარს ისე გავიჭახუნებთ, მსოფლიო შე-  
ზანზარდება!“ იქნებ იმ ფრაზაზე ფიქ-  
რობდა, როცა კარისკენ გაემართა. (სი-  
ცილი) ტროცკი ტოვებდა პლენუმს,  
რომელიც აშკარად დანებული ჩანდა:  
იმ დროს ტროცკი ჯერ კიდევ დიდი  
კაცი იყო. უხერხული სიჩუმე ჩამოწვა.  
ისტორიული წამი. ყველა რაღაცას  
ელოდა, ეტყობა, კარის გაჭახუნებას.  
ტროცკი ეძგერა კარს, რათა 1919  
წლის მუქარა მცირე მასშტაბით მი-  
ინც განეხორციელებინა. (სიცილი).  
მაგრამ დაავიწყდა, რომ პლენუ-  
მი კრემლის სატახტო დარბაზში იყო  
შეკრებილი. ამ დარბაზის კარი ისევე  
მასიურია, როგორც რომანოვების ყო-  
ფილი დინასტია. ტროცკი სახელურს  
დააცხრა — მაგრამ ჰოი, საოცრება! კა-  
რი არც შერხეულა. ტროცკი კარს ჩამო-  
ეკიდა, ჩამოკლეჯა და დაუპირა — კარი მე-  
დიდური სიღინჯით ამოძრავდა. პლე-  
ნუმი ხედავდა ჩია კაცს, გამბდარს,  
გაღეულს, რომელიც ძალ-ღონის დაუ-  
ზოგავად ცდილობდა, როგორმე ადგი-  
ლიდან დაეძრა უმოწყალო კარი.  
ყველამ შეიკავა სიცილი, მხოლოდ ერ-  
თმა ჩაიციხა უღვაშებში. (აქ გამოჩნდა  
სტალინის სილუეტი). ტროცკიმ დარც-  
ხვენილმა დატოვა დარბაზი. მის უკან  
კარის გაჭახუნებას ელოდნენ, მაგრამ...  
ისტორიისათვის განეუთვნილი ექსტი  
ჯიუტ კართან აღესრულა“. (საყოველ-  
თაო სიცილი და გამოცოცხლება. ზო-  
გიერთები სიცილისაგან მუცელზე იკი-  
დებდნენ ხელებს).

მთელი ამ მოთხრობის მანძილზე ბრე-  
გაძე ჩუმ-ჩუმად აკვირდებოდა ბერზინს,  
სურდა დაედგინა, რა შთაბეჭდილებას  
მოახდენდა მასზე. ბერზინს ბრეგაძის  
გამომცდელი მზერა არ შეუმჩნევია, მა-

გრამ იცოდა: სხვა თვალი, ის უბილავი, აქაც ჩასაფრებული იყო. ამიტომ ფრთხილად იქცეოდა. ყოველი სიტყვა ამ მონათბრობისა შხამი იყო მისთვის. ამას ვერც აიტანდა, რომ არ შეემჩნია: მთხრობელი არც სტალინს მიაგებდა განსაკუთრებულ პატივს. ბერზინმა თავი შეიკავა და რისხვა არაფრისმთქმელ ლიმილში ჩამალა. ვერ ებატებინა ტროცკისთვის, რომ ამ უკანასკნელმა, როცა სამხედრო კომისარი იყო, ვერ გაბედა სტალინის გადგება ცენტრალური კომიტეტიდან და ლენინის სიკვდილისთანავე საბჭოეთის საპის ხელში აღება. ამის მიუხედავად, სწამდა ტროცკისა, როგორც დიდი ფორმატის ნამდვილი რევოლუციონერისა, და ყველა ასეთი დაცინვა აღშფოთებით ავსებდა. ამჯერად რკინისებური მოთმინებით აიტანა ყოველივე და გარეგნული სიმშვიდე შეინარჩუნა. როცა თავისი არაფრისმთქმელი ლიმილი დალატობდა, დაზიანებულ ფეხს ადგილს უნაცვლებდა, თითქოს დაუბუფდაო: ამით იგრილებდა სისხლს. ბრეგაძე აღაფრთოვანა ასეთმა თავშეკავებამ. როცა დაგვიანებული წიგნები მოვიდნენ და სხდომისათვის გამზადდნენ, მაცდური ლიმილით ჰკითხა ბერზინს:

„რას იტყვი, როგორ მოგეწონა?“

„კარგი ანექლოტი იქნებოდა, ცოტა გრძელი რომ არ იყოს“, უპასუხა ბერზინმა ცივად.

ბერზინის სახეზე ბრეგაძემ წამით რისხვა შეამჩნია; ბერზინმა უმაღლვე შენიშნა: ბრეგაძე ხარობდა.

სხდომა სწრაფი ტემპით წარიმართა. ყველა საკითხი წინასწარ იყო განსჯილი და შესაბამის ორგანიზაციებთან შეთანხმებული. აქ მხოლოდ ბეკდის დასმა სჭირდებოდა. რვის ნახევრისთვის რალაც წრიალი შეიქნა: ყველა გამუდმებით საათზე იყურებოდა. ბოლო საკითხებს თითქმის აღარაგინ უსმენდა. იმ დღეს ოპერაში „სამსონ და დალილას“ ასრულებდნენ: ყველას სურდა ეხილა მუხთაროვა დალილას როლში. ეს მუხთაროვა ყაზანელი თა-

თარი იყო, ახალგაზრდობაში კაფემანტანის სუბრეტი. ვილაცას აღმოეჩინა და ნამდვილ ხელოვნად აღეზარდა. საოცრად მშვენიერი ხმა და კიდევ უფრო მშვენიერი სხეული ჰქონდა. მისი თვალები ჰომეროსის ჰერასავით იყურებოდნენ. მომაჯადოებელი იყო მისი კარმენი: ამაში თანდაყოლილი ბოშური ტემპერამენტი და ხასიათი შეელოდა. დალილას როლში თითქმის სრულიად შოშველი გამოდიოდა. მისი სრულყოფილი მშვენიერი ტანი — პლასტიური და თხელი — ძუს სუნთქვას აფრჭვევდა. თვით ხმაში ეროტიული გრძნობიერება ელერდა. იმხანად ტფილისში ჰქონდა გასტროლები და თეატრი მუდამ სავსე იყო. პრესა აღფრთოვანებით ასხამდა ხოტბას მის თვითნაბად ტალანტს, თუმცა ბოშური ქცევის, უფრო მეტად კი სიშიშვლის, გამოეცხავდა. მაგრამ საოცარიო: მუდამ გავსებული იყო კომუნისტთა ლოყები, საიდანაც ხარბად უგდებდნენ ყურს ამ მამაც ქალს.

სხდომის შემდეგ ყველამ თეატრს მიამშურა. გჰუ-ს ერთი თანამშრომელი ბერზინს მიუახლოვდა, გვერდზე გაიყვანა და წიგნი გადასცა.

„მე არა ვარ დოსტოევსკის თავყანისმცემელი და ცუდად მესმის მისი“, უთხრა მან ბერზინს, „ამ წიგნს შენიშვნები აქვს დართული, გთხოვთ შეამოწმოთ“.

ეს იყო დოსტოევსკის რომანი „ეშმაკინი“. ბერზინი თეატრში არ წასულა, საჩქაროდ შინისაკენ გაემართა.

## VIII

### ჯულა ანუ დოსტოევსკის კავალაჰაპალი

ბერზინი მთელი ღამე კითხულობდა წიგნს და აშიებზე გაკეთებულ შენიშვნებს. ადგილები, რომლებიც მიწას შეეხებოდა, ხაზგასმული იყო. ხეიბარი ლეზბიადკინა — მარია ტიმოფეევანა — ცოტა შეშლილი და ამავე დროს მისტიურად მგრძნობიარე, უყვება შატოვს:



„იმ ხანობას ერთმა ჩვენმა მოხუცმა დედაკაცმა, რომელიც გულთმისანი ვინმე იყო და ჩვენს მონასტერში ცხოვრობდა ცოდვების მოსაწინააღმდეგად, საყდრიდან გამოსვლისას ჩამჩურჩულა: „ღვთისმშობელი ვინ არის, თუ იციო?“

— „დიდი დედაა, ადამიანთა დიდი ნუგეში-მეთქი“, — ვუთხარი. „ვეგრეთ, მითხრა, ღვთისმშობელი დიდი დედაა ამ წუთისოფლისა, ადამიანის დიდი სიხარული და ნუგეშიო. ყოველი ამქვეყნიური ვარაში და ყოველი ამქვეყნიური ცრემლი ჩვენთვის ლხენა არისო. გააღებე ცრემლით მიწა ნახევარ არშინის სიღრმეზე და მწუხარება ლხენად შეგეცვლებაო, ამიერიდანო, მითხრა, დარდი აღარ შემოგაწვება, ასეა ნაწინასწარმეტყველები“. გულში ჩამჩრა მამინ ეს სიტყვები. მას აქეთ, ლოცვად რომ დაედგებოდო, მუდამ მიწას ვკოცნიდი, ვკოცნიდი და ვტიროდი. ჰოდა, იცი, რას გეტყვი, შატუნი, ამ ცრემლის არ უნდა შეგტყვევოს. კიდევ რომ არაფერი გაწუხებდეს, სიხარული მაინც აგატირებს, შენდა უნებურად აგატირებს. მართალს გეტუბნები. წავიდოდი ხოლმე ხანდახან ტბის პირას: აქეთ ჩვენი მონასტერი იდგა, იქით — მთა მაღალი, ასეც ერქვა, მთა მაღალიო. ავალ იმ მთაზე, პირს აღმოსავლეთისკენ ვიზამ, დავემხობი და ვტირი, ვტირი. არ მახსოვს, რამდენ ხანს ვტირი, არ მახსოვს არაფერი და არ ვიცი არაფერი. ავდგები მერე, უკან მოვიხედავ, მზე ჩადის, დიდი, მცხუნვარე, ლამაზი, — გიყვარს მზის ცქერა, შატუნი? კარგია, ოღონდაც გაღონებს. მოეტრიალები ისეც აღმოსავლეთისაკენ, მთის ჩრდილი ისარივით მისრიალებს ტბაზე, ვიწრო, გრძელზე გრძელი. ტბაში ერთი ვერსის სიშორეზე კუნძული იდგა და ის კლდითი კუნძული შუაზე გაკვეთდა ამ აჩრდილს. ჰოდა, რა წამს გაკვეთდა, მზეც ჩავიდოდა და უცხად დაბნელებოდა. მამინ კი ამიტანდა ნაღველი, მამინ კი მახსოვრობა დამიბრუნდებოდა. სიბნე-

ლისა მეშინია, შატუნი. უფრო ჭიჭიჭი მშვილიკოს დარდი მატირებდა...“.

ამ ადგილას წერილი ასოებით მიეწერათ:

„დედამიწის შექმნის დღიდან მსგავსი არაფერი თქმულა დედამიწის შესახებ. მხოლოდ ეს ადგილი გამოისყიდდა ამ რომანის ყველა ნაკლოვანებას. დოსტოვესკი განგებ ირჩევს ნახევრადშეშლილ ლეზბიანს ამ სიტყვების წარმოსათქმელად: აქ ტვინი არაფერ შუაშია, სხვა ორგანოა საჭირო — უმანკო გული. სწორედ ასეთი გული აქვს საბრალო კოკლ ქალს — ბავშვური გული, რომელშიც ტანჯული ღმერთი ფეთქავს. ის გრძობს მიწას, ამ დიდ დედას, გრძობს მისი მკერდის ბარაქას, მის ნაყოფს. ლანდშაფტისეული აქ სულიერში იჭრება. ამაშია სიხარული და სევდაც, თუმცა ნათლით გარემოსილი. ასეთი გულით უნდა მიწასთან შეხება, რათა იგრძნოს მისი სიუხვე. ბავშვის ექსტაზია საჭირო ღვთიურის შესაგრძობად... ახლა კი? ჭერ კიდევ ფაუსტით დაიწყო მიწიდან ღვთიურის ამოძირკვა. მიწის კოლექტივიზაცია ამ პროცესს ბოლომდე მიიყვანს“.

ხაზგასმული იყო რომანის ყველა ადგილი, რომელიც ღმერთისა და ხალხის კავშირს შეეხებოდა. შატოვი ეუბნება სტებან ტროფიმოვიჩს:

„ვისაც ხალხი არა ჰყავს, იმას არც ღმერთი გააჩნია ისიც იცოდეთ, ვისაც თავისი ხალხისა არა ესმის რა და ვინც მას მოსწყდება, მყისვე მამულის რწმენასაც დაკარგავს და ათეისტი ან ყველფერზე გულაყრილი კაცი გახდება“.

ამ წინადადების ქვეშ დიდი ასოებით ეწერა:

„ეს უკვე მოხდა, მერედა როგორ?!“  
ანდა სხვა ადგილი. შატოვი ეუბნება სტავროგინს:

„მიზანი კაცობრიობისა, მიზანი ყოველი ერისა, მისი არსებობის მანძილზე

1 აქ და შემდგომში ადგილები დოსტოვესკის რომანიდან მოკვყავს რ. ქებულაძისეული თარგმანის მიხედვით (მთარგმნ.).

არის მარტოოდენ ღმერთის ძიება, დი-  
ახ, უთუოდ საკუთარი ღმერთის ძიება  
და რწმენა მისი, ვითარცა ერთარსებისა,  
კეშმარტისა. ღმერთი არის სინთეტი-  
კური პიროვნება მთელი ხალხისა, ამ  
ხალხის არსებობის დასაბამიდან დასას-  
რულამდე“.

ორმაგად იყო ხაზგასმული ის, რომ  
ღმერთი ხალხის სინთეტიკური პიროვნე-  
ბება. შენიშვნა სავეც იყო ირონიითა  
და ნაღველით:

„ახლა კი ხალხი არათუ თავის ღმერთს  
არ ეძებს, არამედ საერთოდ ღმერთს  
კლავს, და არ ესმის, რომ ამ მკვლელო-  
ბით საკუთარ ყელს იღადრავს“.

სამგზის გაესვათ ხაზი შატოვის სიტ-  
ყვებისათვის:

„ხალხი ღმერთის სხეულია“.

აშიაზე მინაწერი:

„აქ დოსტოვესკიმ დასავლეთ ევრო-  
პის მოაზროვნეებს გაუსწრო“.

წითელი ფანქრით გამოეყოთ ლებია-  
დკინას სიტყვები:

„რუსეთი ბუნების თამაშია, მგარამ  
არა გონებისა“.

აშიაზე მინაწერი:

„მე ვიტყვდი, ქაოსის სუნთქვას მია-  
ხლოებულნი ქვეყანა“.

სტებან ტროფიმოვიჩი ეუბნება თა-  
ვის ვაჟს:

„მე წინასწარ ვარ დარწმუნებული ამ  
იღუმალი პროპაგანდის წარმატებაში,  
რადგან მთელს მსოფლიოში რუსეთია ის  
აღვლი, სადაც ყველაფერი შეიძლება  
მოხდეს, ისე რომ ოდნავი წინააღმდე-  
გობაც არ შეხვდება“.

აშიაზე მინაწერი:

„წინასწარმეტყველება უკვე ახლა“.

სტებან ტროფიმოვიჩი აგრძელებს:

„ფორმას თუ არ მიგაქცევთ ყურად-  
ღებას, ყველაზე მეტად იმით იგებენ,  
რომ გაუგონარი სიმამაკით სახეში უყუ-  
რებენ სიმართლეს. ეს უნარი — პირ-  
დაპირ შეხედო თვალებში სიმართლეს  
— მხოლოდ და მხოლოდ რუს ხალხს  
აქვს. არა, ევროპაში ასე ჯერ არ გამამა-  
ცებულან: იქ ჯერ კიდევ არსებობს რა-  
ღაც, რასაც ნამდვილად შეიძლება დაე-

ყრდნო. რასაც ვხედავ და მისი მნიშვნელობა  
შემიძლია ვიმსჯელო, რუსული რევო-  
ლუციური იდეის საფუძველი ღირსების  
უარყოფაა. მე მომწონს, რომ ამას ასე  
უშიშრად და გულადად გამოხატავენ.  
არა, ევროპაში ეს ჯერ არ ესმით, ჩვენ-  
ში კი სწორედ ამ იდეას აიტაცებენ.  
რუსი ადამიანისათვის ღირსება ზედმე-  
ტი ტვირთია. ის მუდამ ტვირთი იყო  
მთელი მისი ისტორიის მანძილზე. მისი  
აყოლიება ყველაზე ადვილად „უღირ-  
სობის უფლების“ საჭაროდ გადაცემით  
შეიძლება“.

მკითხველს შენიშვნა დაერთო:

„მართლა?“

ლურჯად შემოხაზულ კვადრატში ჩა-  
ესვათ სტავროგინის სიტყვები:

„...შეაგულიანეთ წრის ოთხი წევრი,  
მეხუთე მოკლას, გაცემას გვიპირებს-  
თქო, და იმ სისხლით ყველას ხელ-ფეხს  
შეუკრავთ“.

შენიშვნა ამკერად წვრილად იყო გა-  
კეთებული:

„გპუ-ს მთელი სისტემა ამ წინადა-  
დების რიტუალური დადასტურებაა,  
ხომ მართალია?“

გერბოვენსკი შიგალიოვის გეგმას უამ-  
ბობს სტავროგინს:

„შიგალიოვის კარგად უწყერია ჯაშუ-  
შობაზე. მისი საზოგადოების წევრებში  
ყველანი ერთმანეთს უთვალთვალებენ,  
ყოველი წევრი მოვალეა მეორე დაას-  
მინოს. ერთი ყველასათვის და ყველა  
ერთისათვის. ყველა მონაა და ყველას  
ერთნაირი უღელი ადევს. თუ გაჭირდა,  
ცილისწამება და მკვლელობა, ისე კი  
— თანასწორობა. პირველ ყოვლისა და-  
ეცემა განათლების, მეცნიერებისა და  
ხელოვნების დონე. მეცნიერება და  
ხელოვნება მხოლოდ დიდი ნიჭის  
ხალხისათვის არის მისაწვდომი, არ გვი-  
ნდა ჩვენ დიდი ნიჭის ხალხი. დიდი ნი-  
ჭის ადამიანებს მუდამ ძალაუფლებისა-  
კენ ეჭირათ თვალი და მუდამ დესპო-  
ტები იყვნენ. დიდი ნიჭის ადამიანები  
არ შეიძლება დესპოტები არ იყვნენ,  
ისინი მუდამგზის უფრო რყვნიდნენ  
ხალხს, ვინემ სარგებლობა მოჰქონდათ.

მათ გააძევებენ ანდა მოკლავენ, ციცი-რონს ენას მოაკრიან, კობერნიკს თვალებს დასთხრიან, შექსპირს ქვეებით ჩაქოლავენ, აი, შიგალოვის მოძღვრების დედაარსი! მონები თანასწორნი უნდა იყვნენ. უღესპოტიზმოდ არც თავისუფლება ყოფილა ქვეყნად და არც თანასწორობა. მაგრამ ფარაში კი თანასწორობა უნდა სუფევდეს“.

აშიაზე მინაწერი:

„შიგალოვიშჩინა უკვე აღარ არის გეგმა. არსებითად ის უკვე განხორციელდა. ჭაშუშობა ახლა ატმოსფერული მოვლენაა და გამორიცხული არ არის, რომ თვით ასტრალურმა სხეულებმაც ჭაშუშობა დაიწყონ. დესპოტიზმის გარეშე წარმოუდგენელია თანასწორობა, — დღეს სიტყვა „დესპოტიზმი“ „დიქტატურით“ უნდა შეიცვალოს... ერთში ცდება დოსტოვესკი: ციცირონს არ აჭრიან ენას, კობერნიკს არ სთხრიან თვალებს, არც შექსპირს ქოლავენ ქვეებით, — სამაგიეროდ ციცირონმა მარქსისტულად უნდა ილაპარაკოს, კობერნიკმა მატერიალისტურად ჭკრიტოს სამყარო, ხოლო შექსპირმა პროლეტარულად თხზას“.

მოქმედ პირთა შორის ვერხოვენსკი მუდამ საგანგებოდ იყო გამოყოფილი. ვერხოვენსკისთვის დამახასიათებელ ყოველ დეტალს ხაზი ესმებოდა. აშიაზე ცალკეული სიტყვები: ზან ირონია, ზან თანზობა, ზან წამოძახილი. სტავროგინი ეუბნება შატოვს: „ეგ ვერხოვენსკი ისეთი კაცია, გასაკვირი არ იქნება ყური ჰქონდეს ახლა მოდებული თქვენს კარზე ან არადა სხვას ასმენინებდეს“. ეს ადგილი ორჯერ იყო ხაზგასმული წითლად. ვერხოვენსკი ლიპუტინს მიმართავს: „თქვენ გეკინებათ, ლიპუტინ? მე კი ვციკი, მაგალითად, რომ გუშინწინ შუალამით საძინებელ ოთახში თქვენს ცოლს უჩქმიტეთ“. აშიაზე მიეწერათ: „ყოჩაღ! ყოჩაღ, ვერხოვენსკი!“ ციხიდან გამოქცეული ფედკა უყვება სტავროგინს: „იმან ერთი თუ თქვა კაცზე — სალაზანაო, სალაზანობის შეტს ვერაფერს დაინახავს იმაში. თუ თქვა, ბრიყ-

ვიო, მორჩა, მისთვის სულ ბრძოლა დარჩება“. შენიშვნა: „ასე მოსდის მისთვის“. სხვა ადგილას დოსტოვესკის თვითონ მოჰყავს ფედკას სიტყვები ვერხოვენსკის შესახებ: „ის თვითონ შეთხზავს ადამიანს და მერე ასე ცხოვრობს მასთან“. შენიშვნა: „მოქმედებისთვის ეს საუკეთესო გზა უნდა იყოს“.

ლურჯად შემოებნაზე შემდეგი სცენა: კრება გაიხსნა. შიგალოვი წინასწარმეტყველის სეროზულობით იღებს სიტყვას: „ბატონებო, ვითხოვ რა თქვენს ყურადღებასა და, როგორც ქვემოთ დაინახავთ, თქვენს დახმარებას დიდად მნიშვნელოვანი საკითხის გადასაჭრელად, ჭერ შესავალს მოგახსენებთ“. უცრად ვერხოვენსკი სტუდენტ გოგონას მიმართავს: „არინა პროხოროვან, მაკრატელი ზომ არ გექნებათ?“ „მაკრატელი რად გინდათ?“ თვალები ჭყიტა დიასახლისმა. „ფრჩხილების დაქნა დამაიწყდა, სამი დღეა ვაბირებ“, დაუღევრად თქვა მან, თან უშფოთვლად ათვალეერებდა თავის გრძელსა და ჭუჭყიან ფრჩხილებს. აშიაზე მიეწერათ: „ჰა, ჰა, ჰა... ის ქიმიურად სპობს პათოსს“.

ფანქრით განსაკუთრებით იყო ხაზგასმული ის სამი ადგილი, სადაც ვერხოვენსკისა და მამამისის, სტებან ტროფიმოვიჩის, შეხვედრაა აღწერილი. ვერხოვენსკი ცირკის ძალივით ექცევა საკუთარ მამას: კბენს, ეაწრავს, აჯავრებს, ამრახებს, აქეზებს, დასცინის. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ეს ყველაფერი სიბოროტით კი არ მოსდის, პირაქით — თითქოს უწყინარი ირონია იყოს ყოველივე. ლაპარაკი სტავროგინის დედაზე ჩამოვარდება, ვერხოვენსკი ურცხვად აცხადებს: „ოცი წელი ეამეკლუებოდი და დაჩვიე ამ სასაცილო რამეებს. მაგრამ ნუ სწუხარ, ახლა ასე აღარ იქნება; წარამარა იმას იძახის, მხოლოდ ახლა ამეხილა თვალიო“. მე პირდაპირ ვუთხარი, ეგ თქვენი მეგობრობა მარტოოდენ საკუთარი გულის ჭუჭყის გადმონთხევა იყო-მეთქი და სხვა არაფერი“. მამას, ეტყობა, ბრაზი ერე-

ვა, განრისხებულია. ვაქი უარესად აგრძელებს: „მუქთახორა იყავი, ანუ მოხალისე ლაქია“, და შემდეგ: „ვაპ, რამდენი ვიცინე, ძმაო, შენს წერილებზე“. და კიდევ ცოტა ხნის შემდეგ: „იცი, ბებერო, ერთი პირობა რომ კინაღამ ცოლად არ გამოგყავა? შენი სიყვეყნით გაუშვი ეს შემთხვევა ხელიდან!“ იქვე საკუთარ მამას „სენტრიმენტალურ ტაქი-მასხარასაც“ კი უწოდებს. ამ სტილით განაგრძობს. მამას მეტის ატანა აღარ შეუძლია და ყვირის: „შვილი ხარ თუ არა ჩემი?“ ვერბოვენსკის მზადა აქვს ცინიკური პასუხი: „შენ უკეთ მოგეხსენება. თუმცა ყოველი მამა ასეთ შემთხვევაში თვალებს იბრმავებს“. „გაჩუმიდი!“ ყვირის აცახცახებული მამა, მაგრამ შვილის უტიფრობა უფრო შორს მიდის: „...მე ხომ საბუთი მოვანახე მაშინ. მთელი საღამო ჩემოდანში ვეძებე, ცნობისმოყვარეობამ ამიტანა. ნუ გეშინია, იქ პირდაპირ არაფერია ნათქვამი. ეს მხოლოდ დედაჩემის წერილია იმ პოლონელთან. თუმცა, დედაჩემის ხასიათი რომ ვიცი...“ ყველა ამ ადგილს ხაზი ჰქონდა გასმული და შენიშვნა ერთოდა: „არამზადობა დედ-მამის მიმართ“. „მშობლების ცოლ-ქმრობა პატივგაყრილია“. „თესლი და საშო შეგინებულა“. „თვით დაბადებია მასხარად აგდებული“. „როგორ მოგწონთ ეს გამოთქმები: „ძმაო“, „ბებერო“? „თითქოს უხარია კიდევ ამ ურცხვს, მეტიც: ლამისაა სჯერა, რომ მამასაც დიდად ახარებს ამით. არავითარი რიდი, არავითარი სირცხვილი. გაქსუებული თავხედობა“.

განსაკუთრებული ყურადღება ვერბოვენსკისა და კირილოვის საბედისწერო შეხვედრისათვის მიექციათ. კირილოვის ღმერთი — ან უკეთ, ღმერთის იდეა — აწვალებს. სხვაზე არაფერზე ფიქრობს. ერთთავად თავის ოთახში ზის და განუწყვეტლივ ჩაის სვამს. სამოვარი სულ თუხთუხებს: ჩანს, ჩაი ხელს უწყობს მის მედიტაციებს. არავინ იცის, საერთოდ თუ ჰკამს რამეს; მხოლოდ ჩაის სვამს და სიგიჟემდე იძირება ღმერ-

თზე ფიქრობი. მის სიგიჟეში, ყველაზე უფრო ნიალობის მარცვლები იმალება. ვიწროებს ბორძიკით გამოთქვამს, აზრებს — აბდაუბდად. იგი ღმერთს ებრძვის: „თუ ღმერთი არის, ყველაფერი მისი ნებაა და მისი ნებას ვერ გადავაღ. თუ არ არის, ყველაფერი ჩემი ნებაა და მოვალე ვარ ჩემი თვითნებობა გამოვავლინო“. მას ღმერთის განადგურება სურს, რათა თვითონ გახდეს ღმერთი. განადგურების ეს ნება ღმერთის უარყოფად ეჩვენება. „იცი, ღმერთი არ არის, და ის არ იცოდ, შენ თვითონ ღმერთი ხარ — ამაზე მეტი უაზრობა არ შეიძლება; ეს ნიშნავს, მაშინვე მოიკლა თავი. თუ იცი — მეფეთა მეფე ხარ და თავს არ მოიკლავ, სახელმორტყმულად იცხოვრებ. მაგრამ ერთმა კი, დიას, იმან, ვინც ბირველი მიხვდა ამას, უთუოდ უნდა მოიკლას თავი, თორემ ისე ვინ დაიწყებს და დაამტკიცებს?“ ეს მაგალითი კირილოვმა თვითონ უნდა აჩვენოს... ვერბოვენსკი ყურს უგდებს, თითქოს ინტერესით კვდებოდეს. სინამდვილეში სულ სხვას ფიქრობს. შატოვი არ არის სანდო, ეუბნება იგი საკუთარ თავს, შესაძლოა შეთქმულნი გასცეს. ამიტომ მისი გასაღება აუცილებელია. ძალიან კარგი იქნებოდა, თუ თავის მოკვლამდე კირილოვი ბარათს დატოვებდა, თითქოს მან მოკლა შატოვი — თვითმკვლელისათვის განა სულ ერთი არ უნდა იყოს ამისთანა რამ? დემონური თანმიმდევრობით აწვევთ ამ გათვლილ ცივ აზრს კირილოვის აალებულ ტვინს. შეშლილი წმინდანისა და სატანური მზაკვრის საზარელი შეხვედრა. კირილოვი ატმოსფერულად გრძნობს ვერბოვენსკის რეპტილიურ არსებას. ზიზღისაგან კანზე ბუსუსებს აყრის. მაგრამ ბოლოს — თითქოს მარადიულობის წამის განცდის დროს მისგან თავის დახსნა ეწადოს — ნებდება და ვერბოვენსკის კარნახით წერს ბარათს. შემდეგ იწყება შემამარწყუნებელი, მეტაფიზიკური სცენა. კირილოვი წამოხტება, ხელს დაავლებს რევოლვერს, მეზობელ ოთახში გაუჩინარდება.



ვერბოვენსკი გაფაციცებით ელის გასროლას და შიშობს, ვითუ შეშლილმა თავისი გიჟური იდეა განავეითაროს და თვითმკვლელობა გადადოს. ბარათს კითხულობს, იცდის — გასროლის ხმა არ ისმის. მეტს ველარ ითმენს, საათს დახედავს: უკვე გვიანაა. ანთებულ საათელს იღებს, იმ ოთახში შედის, სადაც კირილოვი გაუჩინარდა, თან ეშინია: კიდევ ოცი წამი და საათელი ჩაქრება. ფრთხილად ენება კარის სახელურს; ოთახიდან ჩქამი არ ისმის. მოწყვეტილი ალებს კარს, ოთახს ანათებს. უეცრად ყვრილი მოეცემის, ვიღაც გამოენთება. ვერბოვენსკი ხურავს კარს და სახელურს აწევს. კვლავ სიჩუმე. შანდალს მაგიდაზე დგამს, რევოლვერს იღებს და ფიქრობს: ან სწორედ იმ წუთს შევედი, როცა სასხლეტზე თითი უნდა გამოეკრა, ან... იღგა და ფიქრობდა, როგორ მოვეკალი. რამდენიმე წამი. შემდეგ კვლავ ოთახს უბრუნდება: მარჯვენა ხელში რევოლვერი, მარცხენაში — საათელი. ფრთხილად ენება მარცხენა ხელით სახელურს. ის მოულოდნელად გაიტაცუნებს. მესერის, ფიქრობს იგი. ფეხის დარტყმით აღებს კარს, ოთახში შეიანათებს. საკვირველია: არც გასროლა, არც ყვრილი. მიმოიხედავს, ვერაფერი ამჩნევს. თავზარი ეცემა: ფანჯრიდან ხომ არ გადახტა? ხედავს, სარკმელი ღიაა. ახლოს მიდის: სარკმელში როგორ გაეტეოდა? მოტრიალდება, ერთბაშად შეძრწუნდება. ფანჯარასთან კარადაა, კარადასა და კედელს შორის კუთხეში კირილოვი დგას — გახევებული, თავით კედელს მიბჯნული, გარინდებული, საშინელი. ვერბოვენსკი დამნეულია, გული მაგრად უცემს. თავს დააცხრება გარინდებულს. შიში უფრო იზრდება. კაცი არ ინძრევა. სახეში მიანათებს და შეამჩნევს: კირილოვი რაღაცას მიშტერებდა; ეჩვენება, რომ გვერდულად უთვალთვლებს. საათელი რომ სახესთან მივტანო, რას იზამს ნეტავ? ფიქრობს ვერბოვენსკი. უეცრად ეჩვენება, რომ კირილოვს ნიკაპი აუცახცახდა და ტუ-

ჩებს ღიმილი უბრიცავს. რამეს მიხვდა? ვერბოვენსკის კანკალი აიტანს, ღიმილი ლოვს მხარზე წაეტანება. კირილოვი თავს ჩაქინდრავს, ვერბოვენსკის სათელი უვარდება. სინათლე ქრება. უეცრად ვერბოვენსკი მარცხენა ხელის თითზე კბენას იგრძნობს. რევოლვერის ტარს ჩასცხებს თავში კირილოვს, ხელს გამოსტაცებს და ოთახიდან გაეარდება. მაგრამ ძახილი დაეწევა: ახლავე, ახლავე, ახლავე! ვერბოვენსკი გარბის, უეცრად გაისმის გასროლის ხმა, ვერბოვენსკი შედგება და ასანთს დაუწყებს ძებნას. პოულობს, კვლავ ანთებს საათელს, ოთახს ფანჯრის მხრიდან უბლოვდება. კირილოვი მკედარი გდია. ვერბოვენსკი გულმოდგინედ ათვალიერებს ყველაფერს, კიდევ ერთხელ გადააეღებს თვალს მაგიდაზე დაგდებულ წერილს. მექანიკურად გაელიშება და ფრთხილად გაძვრება სახლიდან.

მთელი ეს სცენა შენიშვნებით იყო აკრელებული: „ეშმაკი!“ „საფრთხოებულა!“ „უჩხულო!“

ამ შენიშვნებში, რომლებიც ვერბოვენსკის ეხებოდა, ხშირად იკითხებოდა უცხო სიტყვა „ჭულა“.

კიდევ ერთ ხაზგასმულ ადგილს ახლდა შენიშვნა. დამა ეუბნება სტავროგინს: „ღმერთმა დაგიფაროთ თქვენი ღემონისაგან და... მალე დამიძებთ!“ სტავროგინი პასუხობს: „ო, რომელი ჩემი ღემონი! ეს უბრალოდ პატარა, საძაგელი, საყმაწვილოიანი ჭინკაა, სურდოიანი, უხეირო!“ აშინაზე ეწერა: „ეს სურდოიანი ჭინკა ვერბოვენსკი უნდა იყოს“. კიდევ რამდენიმე ადგილას გაეკეთებინათ მინაწერი: „არა, ეს პატარა ჭინკა ჭულას ვერ შეედრება... არა, ჭულა ოთხმოცდათხუთმეტ ჭულას მისცემდა წინდაწინ... ჭულა სხვა ჭოწოსაა. უხეირო? არა, ეშმაკის არც ერთი ქმნილება ასე სრულყოფილი არ ყოფილა...“

ბერზინი მთელი დამე ფურცლავდა წიგნს. არ უყვარდა დოსტოვესკი: არ ესმოდა მისი „ღმერთის ძიება“, ხოლო რუსული სულის უთავბოლობას მოთმინებიდან გამოჰყავდა. მაგრამ იშ-

## როცა აბოში იშლება

ვიათად წაუკითხავს სხვა წიგნი უფრო დიდი ინტერესით. აქ რევოლუციის უარყოფას წააწყდა, რასაც შენიშვნები კიდევ უფრო ამკვეთებდა. ბერზინი, დაბადებით რევოლუციონერი, აღშფოთებამ მოიცვა. მაგრამ, როგორც გამოცდილი გპუ-ელი, კვალის მპოვნელი მძებარი ძაღლის სიხარულს განიცდიდა; გუშინათ ზედგობდა: კონტრრევოლუციონერი აღმოაჩინა. ნადავლი წინ ედო. მხოლოდ ერთი ვერ გაეგო: რას ნიშნავდა ეს „ჭულა“ და ვინ იგულისხმებოდა ამ სიტყვაში? ლამის ოთხ საათზე დაამთავრა წიგნის შემოწმება. დაწვა, მაგრამ არ დაეძინა. აქ რაღაც იმალება, ფიქრობდა ბერზინი, ჭულა ან სახელია, ან ფსევდონიმი. უეცრად რაღაცამ გაუნათა გახურებული გონება: სტალინის ქართული გვარი გაახსენდა — ჭულაშვილი. გაახსენდა, რომ ერთმა ქართველმა აუხსნა: „შვილი“ ქართული გვარების მაწარმოებელია. ბერზინი გაოგნდა. „ჭულა — სტალინი?“ ამ გაკვირვებაში შიშაც ერია: შეცდომა გამორიცხული ჩანდა. შემდეგ თავიდან შეუდგა ყველა ადგილის კითხვას, სადაც „ჭულა“ ეწერა. სადისტური გატაცებით კითხულობდა შენიშვნებს. ნამდვილად ისაა! ნამდვილად ისაა! იმეორებდა კბილების ღრკვიალით. ავტორს — არარევოლუციონერს — სძულდა ჭულა, ბერზინი — რევოლუციონერი — ვერ იტანდა სტალინს. უცნობი ავტორი და ბერზინი სადღაც უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, თუმცა ბერზინი ამას ვერ ამჩნევდა.

მეორე დღეს წიგნი გპუ-ში გააგზავნა შემდეგი წარწერით: „შენიშვნებში შიშველი კონტრრევოლუციისა!“ ჭულას შესახებ რაიმეს თქმას შორსმჭკრეტელურად მოერიდა. ტაბუს წინაშე ვარაუდებიც საშიშია, ფიქრობდა იგი. ესეც არ იყოს, ქართველებმა თვითონ უნდა ამიხსნან ის ქართული სიტყვა, დაამატა გუნებაში.

თამაზი ლევანთან მიიჩქაროდა.

მაინც რას ნიშნავდა პეტროვის შეკითხვა „ჭულას“ შესახებ? ნუთუ პეტროვმა გამოიძინო, რომ შენიშვნები დოსტოევსკის წიგნის აშვიგზე და ეს სიტყვაც თამაზს ეკუთვნოდა? თუ გამოიძინო, როგორ? კიბოს დაავადების პირველი ტკივილივით უჩვევლიტა პეტროვის შეკითხვამ. ლევანთან მიდიოდა, რადგან წიგნი მასთან ეგულებოდა. მგონი, ორი თვის წინ ვათხოვე, ფიქრობდა თამაზი. უნდა ეპოვნა ეს წიგნი. მივიდა, მაგრამ რა დაინახა: ლევანის ოთახი დაეღუჭათ. დიასახლისმა ამცნო, ლევანი ერთი კვირაა გპუ-ს საგამოძიებო ციხეში იმყოფებაო. თამაზი გაოგნდა. მერე ერთბაშად აუშუშავდა ტვინი: ალბათ ბინაში ჩხრეკა მოაწყვეს და წიგნი წაიღეს, გაიფიქრა და გაფიქრდა. პეტროვი ნამდვილად გპუ-შია, დასაკვნა მან. მაგრამ ნუთუ ერთი კვირა იკმარებდა წიგნის შესასწავლად და ყველაფრის დასადგენად? შეუძლებელია. დამშვიდდა, მაგრამ მხოლოდ წუთით. ერთხელ ამოტივტივებულმა ეკვება აღარ მოახსენა: სწეულემა ღრმად იკიდებდა ფეხს. სად წავიდეს? ნატა მონიანბულოს? არ ივარგებს; ღრმად სწამდა: დაბნეული და ეკვებში ჩაფლული კაცი საყვარელ ქალს არ უნდა დაენახოს. ივანოვთან წავიდა. გზად აზრმა გაუელვა: იქნებ სულაც არ წაუღიათ წიგნი ან იქნებ სხვას ათხოვა? მაგრამ მხოლოდ წამით, მალევე დააწმუნდა ძველი ვარაუდის სისწორეში.

ივანოვი ამიერკავკასიის მთავრობის საინფორმაციო ბიუროში მუშაობდა, საზღვარგარეთული პრესის განყოფილებას განაგებდა. უბრალო კაცი იყო, მაგრამ თამაზზე უცნაურად მოქმედებდა: როცა ძალზე აღელვებული იყო, ივანოვთან შეხვედრა კმაროდა, რომ დაწყნარებულიყო. ახლა ინსტინქტურად ეძებდა ივანოვთან სიახლოვეს. სა-

ოცარია: თამაზი და ივანოვი არავის გაუცნია ერთმანეთისთვის. ოპერაში ეგონ პეტრის კონცერტი ტარდებოდა. შესვენებაზე ივანოვმა გვერდულად შეხედა თამაზს, გაუღიმა, რაღაც საქებარი სიტყვა ჩაილულღულა პიანისტის მისამართით და ნაცნობობაც შედგა. უბერხულობას მხოლოდ თამაზი გრძნობდა, პირველი შეხვედრისთანავე მეგობრული ურთიერთობა გაიბა. ივანოვი ორმოცდაათს მიტანებული საშუალო ტანის თვალბეჭიმიკიმა კაცი იყო, ცარიელი ძვალი და ტყავი. საზე მუდამ უღიმიოდა, მაგრამ თუ დააკვირდებოდით, შეამჩნევდით: ღიმილი დიდ სვედას ფარავდა. რუს მოხეტიალეს ჰგავდა, კიდითკიდემდე რომ აქვს მოვლილი რუსეთის სივრცეები. ასეთ მოხეტიალეს ერთი ფუთა და ჯოხი აქვს მხოლოდ. გაჩერება არსად შეუძლია. ნაღველი მიედუნება. ბინას ვერსად დაიდებს, ახალ-ახალი ადგილების ნახვა სწყურია, უცხო მხარე იზიდავს, იქნებ იქ იპოვოს, რასაც ეძებს. მაგრამ იქაც ვერ პოულობს და კვლავ ტოვებს ყველაფერს, უახლოესს მეგობარსაც. რაღაცას ეძებს, თვითონ არ იცის, რას: იქნებ საკეთარ თავს. არც სახლი აქვს, არც კარი. არც ცოლი ჰყავს, არც შვილი. დარდს ზშირად მზიარულემა უქარვებს, ხანდახან მაგრად უნდა დალიოს — მაშინ ბერ ვარლაამს ჰგავს, მუსორგსკის ოპერა „ბორის გოდუნოვის“ თაღლითს. ხანდახან რუსეთის უღრანი ტყეები და დიდი მდინარეები აფონდება — ასეთ წუთებში იზრდება და მძლავრდება.

ივანოვი შინ იყო; გაზეთის ამონაჰრებს ალაგებდა. თამაზი ტახტზე ჩამოქდა, მოფუსფუსე ივანოვს მიაჩერდა. ოთახი თავდაყირა იდგა, არაფერი იღო თავის ადგილზე, აქეთ-იქით გაფანტული გაზეთების ნაქუწები სრულყოფილ უწყისრიგობას განასახიერებდა. ივანოვმა პრიმუსი აანთო, ზედ წყლით საესე ჩაიდანა შედგა და თამაზს მიუბრუნდა:

„ეს ამონაჰრები უფრო მნიშვნელო-

ვანია, ვიდრე ის, რომლებსაც სამსახურისთვის ვერებ“, დაიწყო მან. გახალჩემთვის ვაგროვებ. მათში დაცული ცნობები მხატვრული წვრილმანებია, ერთგვარი იაპონური ტუშით მხატვრობა. აქ არის რაკურსი და ექსტრაქტი. შიგადაშიგ ანეკდოტებიცაა, დროის განწყობილების შესაფერისი. ნახეთ!“

თამაზმა ერთი ამონაჰერი აიღო. წაიკითხა:

„პოლიველში ვენებები აიშალა. კინოფურნალისტები მაყურებლებთან ერთად არჩევედ მნიშვნელოვან საკითხს: რა უნდა მოწიოს ეკრანის გმირმა — სიგარეტი, სიგარა თუ ჩიბუხი? სიგარა ასაკს მატებს, ამბობენ ერთნი, სადა, ბიურგერულ იერს იძლევა, ლუდს ენათესავება. სიგარა ცუდად ეწყობა სპორტს: მანქანის საკესთან სიგარას ვერ მოუხიდეტ. სიგარეტი კი ელეგანტური და სპორტულია, მისი მოწევა ყოველგვარ პირობებში შეიძლება. სხვები მაინც სიგარას იცავენ. სიგარეტი მოსაწყვენ, ბიჭურ გამომეტყველებას იძლევა, ამტკიცებენ ისინი. ლორდი ვერ იქნება სრულყოფილი სიგარის გარეშე. სიგარეტი პიროვნების წაშლაა, სიგარა — ინდივიდუალიზაცია. ერთი სახეობის სიგარას ეწევა ბანკირი ან წარმატებული ვეჟილი, ზოლო სულ სხვას — მუში, რომელიც ლულში ახავეებს სიგარის კვამლს. სწორედ ასევე, ლორდს სხვანაირად უჭირავს სიგარა, სულ სხვანაირად — ყსაბს. სიგარა მსახიობს სათამაშო მასალას აძლევს: სიგარა ისეთი რამაა, რასაც არტისტი შეიძლება დაეყრდნოს. ჭენიგს ისეთი ეფექტების გამოწევა შეუძლია სიგარით, როგორსაც სიგარეტი ვერეინ მიადწყევს. აი, ჩიბუხის თაობაზე კი პოლიველში ორი აზრი არ არის. ყველა თანხმდება, რომ ჩიბუხი უფრო მამაკაცურია და როლების უმრავლესობაში მას სიგარა ან სიგარეტი ვერ შეეცლის. კაებოი, განგსტერი, დეტექტივი წარმოუდგენელია ბიურგერული სიგარით ან დედაკაცური სიგარეტით.“

„ეს არის აწყოს პრობლემატია“,

ლიმილით თქვა ივანოვმა. თამაზმა მეორე ამონაჭერი აიღო:

„ოქსფორდში დისკუსიის საღამოზე სპირიტუალობის გამოჩენილმა მკვლევარმა სერ ოლივერ ლოჯმა განაცხადა, რომ სიკვდილის შემდეგ დაამტკიცებს სულის უკვდავებას. მან კრებას გადასცა დალუქული წერილი, რომლის შინაარსი მხოლოდ მისთვისაა ცნობილი. სიკვდილის შემდეგ გარდაცვლილის სული კრებას გამოეცხადება და ზეპირად გადმოსცემს წერილის შინაარსს“.

„წერილის გახსნას ისტორიულ სხდომას მიუძღვნიათ“, რბილი ირონიით წარმოთქვა ივანოვმა. „მაგრამ სულელებთან შეხება სხვა გზითაც შეიძლება. აი, ეს ნახეთ!“

თამაზმა წაიკითხა სხვა ამონაჭერი:

„უკვე რამდენიმე კვირაა ტულუზის მახლობლად მდებარე დოეს ფერმაში ერთი ფრანგი გლეხის ოჯახს მუდმივ მღელვარებაში ამყოფებენ აჩრდილები. დახმარებისათვის პოლიციას მიმართეს. „ინტრანსიკენმა“ ისარგებლა ვითარებით და რადიორეპორტაჟი მოამზადა. ცნობების ყველაზე ნეიტრალური მომწოდებელი იმის შესახებ, თუ რა ხდება ლამით ფერმაში, შეიძლება იყოს მხოლოდ მიკროფონი, ამტკიცებს გაზეთი. წუხელ პარიზიდან შემთხვევის ადგილზე სამი რადიორეპორტიორი გაემგზავრა. ტულუზის რადიოსადგურის მეშვეობით ფერმაში დაყენებენ მიკროფონებს, რომლებიც აჩრდილთა ყოველგვარ ხმაურს გადმოსცემენ, თუკი შიში რადიოსაც არ აიტანს“.

„ან კიდევ ეს!“ ივანოვმა სხვა ამონაჭერზე მიუთითა.

თამაზმა წაიკითხა:

„ქალბატონი X, რომელიც აღხაზან გაპყვია ცოლად ერთ პარიზელ ქვრივს, დაეინებით მოითხოვენ სასწრაფოდ განქორწინებას. განქორწინების მოტივი შემდეგია: პირველი ცოლის სული მის მოსვენებას არ აძლევს. ქვრივი თავგადაკლული სპირიტისტია. საღამოობით ნაპოლეონს ესაუბრება, კონსულტაციებს იღებს სპინოზასგან და ლუდოვიკო

XIV-ის ციტატები მოჰყავს, ყოველ მხარეში ასტრალურად დაუკავშირდება მათ რველ ცოლს. ამით დაიწყო მეორე ცოლის ტანჯვა-წამება. მბრუნავი მაგიდა აღარ ჰყვება ნაპოლეონის განცდებს აუსტერლიცის გამო. პირველი ცოლი ჭიუტად აკაყუნებს: თქვენ საეგოისტად არ ზრუნავთ ჩემს ქმარზე, მას კარგი ქამა უყვარს, თქვენ კი ღმერთმა იცის რაით კვებათ. სული საშინელი სასჯელითა და მოახლოებული სიკვდილით ემუქრება თავის მეგვიდრეს“.

„აი, თანამედროვეობის კიდევ ერთი ახალი პრობლემატიკა“, თქვა ივანოვმა. თამაზმა წაიკითხა:

„პოლიედში გამხდარი ქალები მოდაში აღარ არიან. დღემდე პოლიედის ესთეტიკური კანონები „გაძვალტყავებულობას“ ითხოვდნენ; რვა ათას ახალგაზრდა ქალს მხოლოდ ერთი საზრუნავი ჰქონდა: 500 გრამიც კი არ უნდა მოემატებინა წონაში. ახლა საქმე სხვაგვარადაა. კონტრაქტში, რომელიც ერთმა დიდმა ფირმამ დაუდო ინგლისელ მსახიობ ქალს ურსულა ჯენს, არის პუნქტი, რომლის მიხედვითაც მსახიობი ვალდებულია გადაღებების დაწყებამდე სულ ცოტა 2,265 კილოგრამი მოემატოს. პოლიედის გაზეთები საესვა კატასტროფული ცნობებით კონოვარსკელავთა წონის შესახებ. ჯენიტ ჰეინურთმა ბოლო აწონვაზე მხოლოდ 44,4 კილოგრამს მიაღწია. 1,62 მეტრი სიმაღლის ჯოან კრაუფორდმა სასწორზე 49,8 კილოგრამი აჩვენა. წონაში მომატების სპეციალისტი ექიმი, რომელიც თავის სამსახურს გეთავაზობს, კვირაში 600 გრამის გარანტიას იძლევა“.

„რით არ არის ეს ინდოელთა აკაშას ქრონიკა?“ თქვა ივანოვმა. „ახლა ეს ნახეთ: ახალი მითოლოგია!“

თამაზმა წაიკითხა:

„პარტიუმერიის ყველა ფაბრიკანტი, რომელსაც თავისი ახალი საქნის რეკლამა სურს, მიმართავს ნიუ-იორკის ფირმას „ცნობილი სახელები“.

„რა ელირება გრეტა გარბოს რეკლამა?“ გააჩნია გაზეთს. „სატერდეი ივ-

ნინგ პოსტში“ პირველი ფოტო 10000 დოლარი, შემდეგი ფოტოები — 5-დან 6 ათას დოლარამდე. „კონსტანს ტელმეჯისა?“ „ერთჯერადი რეკლამა 6000 დოლარი — კინომსახიობის ფოტო ნებისმიერ პოზაში და პირადი რეკომენდაცია თქვენი ნაწარმისა“.

„ყოველივე ამის შემდეგ კიდევ ამტკიცებენ, მითოსი გაქრაო“, წარმოთქვა ივანოვმა ღიმილით. „არა, ის არ გაქრალა, უბრალოდ სხვა ფორმა შეიძინა“.

ერთ ამონაჭერში თამაზმა მარინეტის სახელი შენიშნა, წაიკითხა:

„ბუდაპეშტში ჩამოვიდა იტალიის აკადემიის მდივანი, ფუტურისმის ფუტემდებელი მარინეტი. იტალიელმა სტუმარმა აკადემიის სააქტო დარბაზში, რჩეული საზოგადოების წინაშე გამართა მოხსენება. მარინეტი ტრიბუნაზე ავიდა და წაიკითხა თავისი ლექსი „ფოქსტერიერ პინჩერის ყოველდღიური ცხოვრება“. პოეტი შეეცადა ძალად გარდასახულიყო, ძალის ხმისათვის, მისი მოძრაობებისა და თავისებურებებისათვის მიეხატა. იგი ხტოდა, ოთხფეხივით ზოხავდა, ყუფდა, წყმუტუნებდა. ბოლოს მიზანძვამ უმაღლეს წერტილს მიიღწია: მან ძალის ის მოძრაობავე გაიმეორა, რომელიც ქუჩაში სრულდება და სლომათა დარბაზს მთლად არ შეჰფერის“.

„ამ შემთხვევაში საკუთარი თავის გამასხარავება ხომ სამყაროს გამასხარავებას ნიშნავს?“ გაიკვირვა ივანოვმა. „ქეშმარიტად, მსოფლიო გასულელდა“.

თამაზმა სხვა ამონაჭერი აიღო:

„ერთი მდიდარი სახლის მეპატრონე კოლინზი ვესტ-ვიჩინიდან გუშინ ნიუ-იორკში ჩამობრძანდა. მან მოინახულა ყველაზე განთქმული კბილის ექიმი და სთხოვა კბილები ჩაესვა მისი კატისათვის. კატა ათ წელზე მეტისაა, არც ერთი კბილი აღარ შერჩა და მხოლოდ ფაფის შეთქველვად შეუძლია. კბილის ექიმი შეეცდება „მოაგვაროს“ ეს საქმე“.

„ხომ გითხარით, მსოფლიო გადაიარია-

მეთქი“, წამოიძახა ივანოვმა შესამჩნევ სიხარულით. „კატის საწინააღმდეგე სრულებით არაფერი მაქვს, პირიქით, ძველი ეგვიპტელებივით თაყვანს ვცემ მას. მაგრამ მისთვის ხელოვნური კბილების ჩასმა მაინც სხვა რამეა, თანაც მაინცდამაინც ასეთი კრიზისის დროს“.

თამაზმა ამონაჭერების თვალთვრება განაგრძო.

„სამხრეთ საფრანგეთში ერთ ფრანკორუსულ კლუბში ყოველ საღამოს შეხვედებით სამ კაცს, რომლებიც სერიოზული გამომეტყველებით უსხედან მაგიდას და რიგრიგობით არიგებენ კარტებს, თითქოს ბრიჯს თამაშობდნენ. მაგრამ მხოლოდ არიგებენ, ნახულობენ და ისევ ურევენ ხელახლა დასარიგებლად. და ასე უსასრულოდ. რამდენიმე თვის წინათ ვაზეთში ლონდონიდან მიღებული სენსაციური დებეშა გამოჩნდა: ბრიჯის ერთმა მოთამაშემ წინასწარ ბრმად გამოაცხადა დიდი შლემი ყვავსა და გულში. კარტი დარიგდა და მას ხელში ცამეტი მომგებიანი კარტი აღმოაჩნდა. მათემატიკოსთა გამოანგარიშებით ასეთი რამ ორ მილიონ შემთხვევაში ერთხელ შეიძლება მოხდეს. ზემოთ ნახსენები მოთამაშეები დანაშაუდნენ: ერთი ამტკიცებს, რომ საოცარი შემთხვევა განმეორდება, დანარჩენი ორი საპირისპიროშია დარწმუნებული. და ამგვარად უსასრულოდ თამაშობენ“.

„ესეც აქაშაა. გონიერება გაქრა — ასე უნდა გავიგოთ ეს ცალკეული შემთხვევები“, თქვა ივანოვმა. თამაზი რვეულს ფურცლავდა.

„იი, ეს წაიკითხეთ“, უთხრა ივანოვმა, „მსოფლიო ლიტერატურის უმოკლესი ნოველა“.

თამაზმა წაიკითხა:

„საიეკვაო მარათონი ნიუ-ჯერსიში. შესვენებაზე საიეკვაო წყვილი — ჯონ ბერჩი და მისი მეუღლე ელენი — საბანაოდ გაემართნენ პლაჟზე. ძლიერმა ტალღამ ისინი სილარმისკენ გაიტაცა. ჯონ ბერჩმა სწრაფად იწყო ჩაძირვა, კოლი გადაარჩინეს. ერთი საათის შემ-

დღე ელენ ბერჩი, მეუღლის დაკარგვის მიუხედავად, კვლავ ცეკვას შეუდგა. „ახლა რომ მივატოვო მარათონი, ქმრის დასამარბ ფულს ვერსად ვიშოვნი“, განმარტა მან. ეს მოხდა მარათონის ორმოცდამეთექვსმეტე დღეს“.

„ასეთ ნოველას ჩეხოვიც ვერ დაწერდა“, თქვა ივანოვმა. „მასში ყველაფერია: საცეკვაო მარათონის სიგიჟე, სიცოცხლის ზედაპირული გაგება, უცულობა, არატრაგიკულობა. მსოფლიო ნამდვილად იცვლება“.

თამაზმა ფურცელა შეწყვიტა, თავი ჩაიკლდა, ჩაფიქრდა.

„კიდევ ერთი პატარა ისტორია“, აღმოხდა ივანოვს, „ეს თქვენ მოგიმზადეთ საგანგებოდ“.

თამაზმა წაიკითხა:

„მოხსენება, რომელიც 1932 წლის 6 აგვისტოს გააკეთა კარდინალმა, მთავარეპისკოპოსმა ფონ ფაულჰაბერმა, ეკლესიისა და ტექნიკის შესახებ: „რადიოსადგურსა და მის გამამდიერებლებს ვუმაღლით, რომ სახარების ცხრანეტარების მსგავსად დღეს ფერდობებზე გამწკრივებულ ათასებს სწვდება ქადაგების სიტყვა ღვთისმსახურების დროს... ვატყავნი, რომელიც დიდი ხანია<sup>2</sup> ცნობილია თავისი ობსერვატორიით, დღეს მარკონის ფირმის რადიოსადგურს ფლობს, რომლითაც ყოველ კვირადღესა და დღესასწაულებზე ერთ ჰომილიასა და ლიტურგიულ პარაქლისს გადასცემს. სამების დღესასწაულზე გადაიცა ეპისტოლე 31 ენაზე. აქ განახლდა სამების ენობრივი სასწაული, ტექნიკამ ხელახლა გაგვინათა Una Sancta რადგან პაპმა, რომელიც განგებამ მოუვლინა ახალ დროებას, რადიო ღვთის საუფლოს დესპანად აქცია. კრიტიკემ ეთერის ტალღებზე გაიარა, როგორც გალილეის ზღვის ტალღებზე დადიოდა ერთ დროს. ეს იყო მსოფლიოს ისტორიული წამი... წავიდა ის დრო, როცა ეკლესიის ქონგურებზე მალა არაფერი მოჩანდა ირგვლივ მთელს ქვეყანაში. ტაძრების გუმბათების გვერდით დღეს დიდი სადგურების ზეაღმართული

ანტენებიც შორიდან მოჩანს, <sup>საეკლესიო</sup> ხმოა პაელეს ღრმაზროვნება<sup>3</sup>...<sup>4</sup> ყველაფერი თქვენ გეკუთვნით... ეკლესია მოგწოდებთ სათანამშრომლოდ ახალი ტექნიკის გასაუმჯობესებლად“.

თამაზი გახევებული იქდა. მის მაღალ შუბლზე დარდი გროვდებოდა.

„ასეთ რამეს არ მოელოდით?“ დუმილი დაარღვია ივანოვმა. „ტექნიკამ კათოლიკური ციტადელიც კი აიღო იერიშით, არა? როგორ მოგწონთ ამ კარდინალის სიტყვა? რიტორიკაში ძალიან გაწაფული ჩანს, მარჯვედ მოპყავს პარალელები, არც პათოსი აკლია. ეს ადგილი როგორ მოგწონთ: „აქ განახლდა სამების ენობრივი სასწაული, ტექნიკამ ხელახლა გაგვინათა Una Sancta“.

„ქმარა!“ მკვეთრად შესძახა თამაზმა. ივანოვი პირდაღებული მიაჩერდა; სახეზე ირონიის კვალიც აღარ აჩნდა. თამაზს ბრაზი უქმუნხიდა შუბლს.

„დავიჭეო, ტექნიკის წინააღმდეგი ხართ?“ იკითხა შეშინებულმა ივანოვმა.


„არა“, უბასუბა გულმოსულმა თამაზმა.

„მაშინ ვერ ამიხსნია თქვენი უგუნებობა“.

„ტექნიკა მაკეთნებელი რამ არის. მე მესმის განაყოფიერება მიწისა, რომელიც არსებას წარმოადგენს ჩემთვის. იდუმალია მისი ბნელი წიაღი, რომელსაც მზე ეხება. მაგრამ ერთი წამით დაფიქრდით — განა დღეს ტექნიკა ანაყოფიერებს მიწას? არა, აქ მხოლოდ ძალადობაა, გაუპატიურება“.

„განაყოფიერებასა და გაუპატიურებას შორის საზღვრის გავლება ძალზე ძნელია“.

„უთუოდ. მაგრამ გაუპატიურების გრძნობა მაინც რჩება. ტექნიკით აღჭურვილი ადამიანი კოსმოსურ დინებაში ეჩრება და მის რიტმს არღვევს. მისისიზის ნაკადებიდან განუზომელი ენერჯიების მიღება შეგვიძლია, მაგრამ საკითხავია, სამყაროს რიტმის შესაბამისად თუ ვიყენებთ მათ.



ადამიანი თანება არსებაა და ამ შემთხვევაში მათს არასწორად გამოყენებას შეძლებდა“.

„და ამიტომ არ გსურთ ტექნიკამ დაარღვიოს ღვთისმსახურება?“ ჩუმად ჩაიციხა ივანოვმა.

„რასაკვირველია!“ ცივად უპასუხა თამაზმა.

„არც ელექტროგანათება გსურთ ეკლესიაში?“

„არც ეგ“.

„ცვილის სანთელიც ტექნიკაა“.

„ცხადია, მაგრამ სხვაგვარი. აქ ჯერ ყვავილებია, რომლებსაც დედამიწის მკერდი შობს და კვებავს. შემდეგ ფუტურები, რომლებიც ყვავილებიდან წოვენ ნექტარს და თავს ამზადებენ. ბოლოს ადამიანი, რომელიც ცვილისაგან სანთლებს ჩამოჭნის. აქ არის მოწიწება, რიდი და სიყვარული მიწის მიმართ. აქ მთელი პროცესი ლოცვაა თვითონ. განა შეიძლება ელექტრობა სანთლებს შეეძაროს? სანთელი ცოცხალია: ის იწვის, ღნება, წვეთავს, კვდება. იგი ნამდვილი ლოცვაა“.

„მაშ რადიოთი გადაცემულ ღვთისმსახურებას მადლი არა ჰქონია — ასე უნდა გავიგოთ?“ დაიჩურჩულა ივანოვმა, სევდამორეული ჩანდა.

„არა აქვს“, უპასუხა თამაზმა. „რადიო სივრცის დაძლევის ნიშნავს, მანძილის შემცირებას. აქ კი, ლოცვისას, ის კიდევ უფრო აგრძელებს მანძილს. მე ღმერთსა და ადამიანს შორის არსებულ მანძილს ვვლახისხმობ. არა, რადიოთი გაშუალებული ლოცვა ღმერთთან არ აღწევს. ლოცვა უფრო პირადული რამ არის“.

სიჩუმე ჩამოწვა. ივანოვს სახე მოეღუპა. თამაზმა ჩუმად თქვა:

„მაგრამ თქვენ ამას ვერ გაიგებთ, ვერასოდეს!“

ღუმული დამორღუნველი შეიქნა.

ივანოვი კომუნისტი არ იყო, მაგრამ თამაზზე ისეთი კაცის შთაბეჭდილებას ახდენდა, რომელსაც ღმერთის იდეა დიდად არ ტანჯავს.

თამაზი თავჩაქინდრული იჯდა. ივანოვი აენთო.

უეცრად უხმოდ გაიღელა თამაზმა პატარა ოჭროს ჯვარი შეამჩნია. გაკვირვებისაგან ენა მუცელში ჩაუვარდა.

სიჩუმე რამდენიმე წუთს გაგრძელდა.

„გაკვირთ, არა?“ დაარღვია ღუმული ივანოვმა.

თამაზი მიაჩერდა ივანოვს, რომელსაც ახლა სახე გაანათებოდა.

„თქვენ ალბათ გახსოვთ ალექსანდრ ბლოკის „თორმეტის“ დასასრული?“ დაიწყო ივანოვმა. „იქ წითელარმიელები ქრისტეს მეთაურობით მოაბიჯებენ. შემაძრწუნებელი დისონანსია, ხომ მართალია? ასეც იგებდნენ ამ პასაჟს. პოეტის წერილებიდან ჩანს: მას თვითონ არ ესმოდა იგი. რაღაც აუხსნელი, უცნაური რამაა. ბლოკი არა ჩვეულებრივად გულწრფელი ლირიკოსი იყო, სიყალბე მასთან ვერ შეიპარებოდა. ქრისტეს გამოცხადება აქ აუხსნელია; მაგრამ მცდარი არ არის“.

„შესაძლოა“, წაიჩურჩულა დარბილებულმა თამაზმა.

„ხოლო მე ვებრძვი ჯვარს და ამავე დროს ვატარებ მას“, დაასრულა ივანოვმა.

თამაზმა შეხედა ივანოვს; დარდს დაეჩრდილა მისი სახე, თუმცა შიგნიდან შეუქი ეფინებოდა. თვლები ცოტა დაწყლიანებოდა, ხმა შეეცვლდა. ისე ჩანდა, თითქოს თამაზს მიახლოებოდა. საზღვარი, რომელიც მუდამ არსებობს ორ ადამიანს შორის, გაჭრა. ივანოვს გული სულ უფრო ენთებოდა.

„იცი, რა?“ კვლავ წამოიწყო ივანოვმა. „ყველაფერი, რაც საბჭოეთში ხდება, ხდება ყველგან. ნუ გაკვირთ. მიწისქვეშა დინებები აიღეთ, ისინი ყველგან ერთნაირია: ჩვენთან, ევროპაში, ამერიკაში. ჩვენთან ღმერთის წინააღმდეგ იბრძვიან, მისი მოკვლა სურთ. ამერიკასა და ევროპაში რაღა ხდება? იქ არ კლავენ ღმერთს, იქ იგი თავისით კვდება. ღმერთი მუდმივი წვაა. იქ, სა-

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. საბ. რესპუბ.

დაც კარდინალი ფაულჰაბერი ჭადაგებს, მკვდარი ფერფლია... როცა ჩვენთან ვინმეს კლავენ, ეს დანაშაულია, მაგრამ არა ცოდვა. მორალური კანონი ძირფესვიანად აღმოფხვრილია. ევროპასა და ამერიკაში? იქ უკვე კარგა ხანია ამორალური სულისკვეთება სუფევს... ჭალი ძველ დროში საიდუმლოს წარმოადგენდა, სქესის წინაშე რიდი შეფობდა. ამაში კოსმიური სუნთქვა ისმოდა. ახლა კი? ჩვენთან, ევროპასა და ამერიკაში, ეს საიდუმლო ჩანასახშივე მოშობილია. რიდი სრულიად გაქრა. იქაც და აქაც სიყვარული ფიზიოლოგიური ხლომილება, მეტი არაფერი... ჩვენთან მხოლოდ ერთი შეძახილი ისმის: „უნდა დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკას!“ დაიწყო შეჯიბრი მანქანის კულტში. ამ შეჯიბრში არც ევროპას და ამერიკას სურთ ჩამორჩენა. იქ ჭეჭა-ჭუხილის დატყვევებით შეიდიდან რვა მილიონამდე ვოლტის მოპოვებას ახერხებენ ატომის დასაშლელად — ალბათ ტექნიკის გულისთვის... იქ რაციომ დაიპყრო სოციალური ყოფა. ჩვენთან დაგვეგვა ისე შორს წავიდა, ლამისაა კერძო ცხოვრებაც გამოთვლას დაექვემდებაროს... იქ სპორტსა და კინოზე ირევიან: ჩაიხედეთ მათს გაზეთებში. ჩვენთანაც ასეა... იქაც და აქაც იგივე ხდება. თუ ერთი სიტყვით შევაჯამებთ ამ პროცესს, ეს იქნება: ღმერთის განდევნა სამყაროდან. ეს მოქმედება რენესანსში იღებს სათავეს, დღეს მის ნაყოფს ვიმკით, ახალი ადამიანი იბადება, უღმერთო. მისთვის არ არსებობს საიდუმლო. არავითარი რიდი, არავითარი მოწიწება, არავითარი მისტიკა. შიშველი ყოფიერება, ნივთიერი: არსად მეტაფიზიკური, ფესვებშიც კი არა. ეს არის ჩვენი ახალი თაობა. შეადარეთ იგი ამერიკულს — მხოლოდ „მინუს“ ნიშანი დაუსვით წინ გარეგნული მხარის მოსაწესრიგებლად — და ვერავითარ განსხვავებას ვერ პოვებთ მათ შორის, ორივენი ერთი წრიდან მოდიან. ღმერთის

ამოძიარკვა ყოფიერებიდან — ესაა ჩვენი კულტურის ახალი მიჯნა“.

ივანოვი შეჩერდა. თამაზი თავჩაქინდრული იჭდა. პატარა მაგიდაზე მდგარი საფერფლე სიგარეტის ნამწვევით გავესებულიყო. ჩაიდანში წყალი აღარ იყო: ივანოვი განუწყვეტლივ სვამდა ჩაის.

„კიდევ ხომ არ დალევთ, სიმოვნებით ავადუღებ წყალს ხელმეორედ“, მიმართა თამაზს.

„გმადლობთ“, უბასუბა თამაზმა.

„იქაც და აქაც იგივე ხდება“, დაცხა ივანოვმა. „განსხვავება ისაა, რომ რუსეთის მიწაზე დავარდნილი თენსლე უკიდურეს ფორმებს იძენს“.

თამაზი ყურადღებით უგდებდა ყურს. გრძობდა, ივანოვი არ ტყუოდა. მისი დუმილი თანხმობა იყო მხოლოდ. ივანოვს ეს არ გამოჰპარვია, ამიტომ გზნებით ლაპარაკობდა. თამაზს მხოლოდ ის აოცებდა, რა ელვისებურად ეცვლებოდა ივანოვს სახის გამომეტყველება: თვალები სიღრმეში იძირებოდნენ, რაღაც ბუნდოვან შუქს აფრქვევდნენ. „ეს კაცი შიგნიდან იწვის“, გაიფიქრა თამაზმა. ვერ გაეგო მხოლოდ, რა კავშირი უნდა ყოფილიყო მორწმუნესა და უღმერთოს შორის. ივანოვს აღმური ედებოდა: თითქოს სხეულებრივი სულიერში გადადიოდა. ამ აღისთვის გამყოფი ზღვარი არ არსებობდა, ყველაფერში იჭრებოდა, ყოველივეს მსველაფდა. ივანოვმა თამაზის ფიქრი გამოიცნო.

„თქვენ გიკვირთ, რომ მე, მორწმუნე, ამ განღმერთებას მხარს ვუბამ“.

თამაზმა თავი დააქნია.

„ეს პროცესი მიწისქვეშა დინებაა“, განაგრძო ივანოვმა. „უღმერთობა ავადმყოფობაა, ხოლო სნეულისათვის კრიზისია აუცილებელი“.

„მაშ უკეთესია, თუ ეს კრიზისი დაჩქარდება“, დაუმატა თამაზმა.

„ღიახ! ის უნდა დაჩქარდეს“.

„როცა ადამიანი ბოლომდე გააშიშვლებს თავს, სულ მთლად უღმერთო გახდება, მაშინ უნდა წარმოიშვას მას-

„ში დიდი მწუხარება დაკარგული ღმერთის გამო?“

„უთუოდ“.

„მანამდე კი?“

„მანამდე ღმერთი საიდუმლოდ დარჩება ცალკეულებში. აი ახლაც, ამ წუთს რომელიმე მიტოვებულ სადგურში შეუმჩნევლად იღვწის ის უსახელო. მე ვხედავ ამას, მე ვიცი ეს“.

ახლა ივანოვი ცეცხლის ალიდა იყო მხოლოდ. თამაზი ყველაფერს ბოლომდე ვერ ჩაწვდა, მაგრამ ხმის ამოდებას ვერ ბედავდა. ივანოვი აღამიანს არ ჰგავდა, თვალელებში არამქვეყნიური ნაპერწყალი ენთო.

„მე განზე დგომა არ შემიძლია, თუნდაც ჩემი ნების გარეშე. მე ღვთისმკვლელებს ვუერთდები, ცოდვილთ. მე მათი ცოდვაც უნდა გავიზიარო საყოველთაო ხსნის გულისათვის. არა, ბლოკის ლექსის დასასრული სწორია. არ შემიძლია ამის გამოთქმა, მაგრამ ვგრძნობ. ბრძოლა ჩერის წინააღმდეგ ასეთი ბრძოლაცაა, ჭვარცმა, ნამდვილი ჭვარცმა“.

ივანოვს გული აუჩუყდა. შიგნიდან მომავალი ცრემლები სადღაც მასშივე გაეხიზა. თავი ჩაქინდრა და იატაკს მიანატრდა.

თამაზმა საათს დახედა, ღამის თორმეტის ნახევარი იყო. წამოდგა. „მწერალთა ყრილობის ბოლო სხდომა გავაცდინე“, წარმოთქვა ჩუმად.

ივანოვს არ უპასუხია.

თამაზი გამოემშვიდობა. ივანოვი აღგა, უეცრად გადაეხვია და მკერდზე აკოცა. თამაზი აღელვებული გამოვიდა ქუჩაში.

თებერვლის ქარი ქროდა. ქარშილა იგრძნო თავისი დარდი, ივანოვის აღმურმოდებული სახე არ შორდებოდა. ვინ არის იგი? ეკითხებოდა საკუთარ თავს. მხოლოდ ერთი პასუხი არსებობდა: წამებული, სიგიჟემდე გატანჯული. უეცრად რუსული სექტა გაახსენდა, რომელიც ქადაგებდა: ცოდვილი უნდა გიყვარდეს, მაგრამ ის რომ გიყვარდეს, თავად უნდა შესცოდო, უნდა

დამდაბლდე, დაეცე, მას გაუტოლდე. ალბათ იმ სექტის სული ცხოვრობდა იქვე, ჯაცში, ფიქრობდა თამაზი. მანამდე იყო: ეს აწეწილი აღამიანი სიმშვიდეს გვრიდა. თამაზი ახლაც სიმშვიდეს გრძნობდა. შინ მოვიდა. ეჩვენებოდა, რომ არ მოშორებია ივანოვს. დროდადრო ტვინს ის სიტყვა უმღვრევდა: „ჭულა“. ეს იყო 23 თებერვალს, ღამით. იმავე ღამეს, ერთი ვერსის მოშორებით, ბერზინი გულდასმით სწავლობდა თამაზის შენიშვნებს წიგნის ამიგბზე და ეს უცნაური სახელი მასაც აწვალებდა.

X

### ყველა საზღვრის წაშლა

მეორე დღეს თამაზმა შეიტყო: მწერალთა ყრილობა ჩერ არ დამთავრებულიყო. დღის წესრიგის თითქმის ყველა საკითხი ამოწურათ, მაგრამ 24 თებერვლისათვის მიინც შემოწინაბათ რაღაც. თამაზი სხდომაზე დასწრებას დაეჩქარა: გუშინდელი გაიცდენით შექმნილი შთაბეჭდილების გაქარწყლება თუ უნდოდა. დაინიშნა არჩევნები, მიიღეს გადაწყვეტილებები, თავმჯდომარემ ყრილობა დაბურულად გამოაცხადა. დასაშლელად მზად იყვნენ, როცა ერთმა ახალგაზრდა კომუნისტმა პოეტმა სიტყვა ითხოვა. დარბაზში მოძრაობა შეწყდა. პოეტმა დამსწრეებს აცნობა: ხვალ საქართველოს გასაბჭოების დღეა, ამ საღამოს ტფილისის საბჭო ზეიმით აღნიშნავს ღირსსახსოვარ დღეს და მწერალთა დელეგაციის მილოცვას მოელისო. მთელს დარბაზს შეშფოთებისა და გაწილების ტალღამ გადაუარა ერთბაშად. ყველასათვის ცხადი გახდა, რატომ გაწვლეს ყრილობა 24-მდე. ქართველი მწერლები ლოიალურად იყვნენ განწყობილი საბჭოების მიმართ — ეს ლოიალობა ყრილობაზეც საკმარისად დადასტურდა —, მაგრამ 25 თებერვალი არ უყვარდათ. საქართველო გასაბჭოვდა არა შინაგანი გადატრიალებით, არამედ — და ეს განასხვავებდა რუსეთისაგან — ძალდატ-

ნებით: ბოლშევიკური მე-11 არმიის მიერ. დამარცხებულმა საქართველომ საბჭოთა სისტემა მიიღო. მართალია, ქართველ მწერლებს ძალიან არც მანამდელი მთავრობა უყვარდათ — განსაკუთრებით დამარცხების შემდეგ — მაგრამ დამარცხება მაინც დამარცხება იყო, ამ შემთხვევაში ეროვნული ტვივილი. თითქოს გულში ეკალი შეესოო, ყველა მოღუშული იდგა და უხალისოდ იცდიდა. „აირჩიეთ დელეგაცია!“ დაიძახა ერთმა. „რამდენი კაცი?“ „თორმეტი“. არჩევას შეუდგნენ. დელეგაციაში ყველაზე გამოჩენილი მწერლები უნდა შეეყვანათ. ვინც ასეთთა რიცხვს არ ეკუთვნოდა, ამ წუთს ძალიან ხარობდა. არჩეული შორის მოხვდა თამაზი. დელეგატები თანამოძმეთა ცოცხალი წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ ამოჩრჩეულები ამას ვერ გრძნობდნენ, პირიქით: თავისუფლად ამოისუნთქეს იმ განუზომელი ბედნიერებისაგან, რომ რჩეულთაგან შორს იდგნენ.

დელეგაცია ოპერის თეატრისაკენ წავიდა, სადაც საზეიმო სხდომა იმართებოდა. „კალეს მოქალაქენი!“ დაიხურჩულა ერთმა, ყველას უსიტყვოდ გადაედო. დადამბლაგებულებივით დგამდნენ ნაბიჯებს, თეატრს მიუახლოვდნენ. ახალი კითხვა წამოიჭრა: ვინ გამოვიდოდა სიტყვით? ყველა უარს ამბობდა, რას აღარ იმიზეზებდნენ. ახლა ყველა სხვას ასახელებდა უკეთეს ორატორად. ამა სობაში ცნობა მოვიდა, ერთ ლოჯაში სტუმრები — უცხოელი ჟურნალისტები — სხედან და სასურველია, რომელიმე დელეგატი მათ უცხო ენაზე მიესალმოსო. ვინც უცხო ენები არ იცოდა, შვებით ამოისუნთქა და უფრო თამამად ალაპარაკდა. ყველამ თამაზი დაასახელა, რადგან ყველაზე უკეთ იცოდა ფრანგული. თამაზი იძულებული შეიქნა დათანხმებულიყო. შემდეგ თქვეს, მას, ვინც სტუმრებს მიესალმება, შეუძლია იქვე ქართულად განაგრძოსო. თამაზი ამაზეც დათანხმდა: გუნება გაუფუჭდა, მაგრამ კამათი არ დაუწყია.

სცენაზე ავიდნენ, ოღონდ კულსებზე დადარჩნენ. ისმოდა მისალმებებში „მისალმებებ“ და „მისალმებებ“ კოვიდან, მინსკოდან, ხარკოვიდან, ბაქოდან, ერევნიდან. თეატრში შეჭეპყილი მისა წრიალებდა და ამთქნარებდა. თამაზი მარტო იდგა განზე, თითქოს თავის თავს უგდებდა ყურს. გაახსენდა ივანოვის გუშინდელი ნათქვამი: რევოლუციაში მაინც რაღაც ჭეშმარიტება უნდა იყოსო. თამაზი თანახმა იყო და ცდილობდა სადმე ამ ჭეშმარიტების ძირი მოეხელთებინა. შორიდან ჩაესმა სიტყვა „ჯულა“. სხვათა შორის გაიფიქრა: შემთხვევა ეძლეოდა იგი თავისი და თავისი მდევრების მახსოვრობიდან ამოეშალა. უკუავლო ეს ფიქრი, საკუთარ თავსაც კი რომ არ გამოსტყუდომოდა.

უეცოდ გაისმა: „ახლა სხდომას მიესალმება ქართველ მწერალთა დელეგაცია“. დელეგატები სცენაზე გამოჩნდნენ. გაუგონარმა ტაშმა იქუბა. მასებს გაუხარდათ, რომ ეს განზე გამდგარი მწერლობა ბოლოსდაბოლოს მაინც მოვიდა მათთან. ამ ოვაციაში ნამდვილი ადამიანური სიხარული იყო. თამაზს საფეთქლები აეწვა, რაღაც უცხოთი აიგსო; მის წინ ღონიერი, დაჩაგრული, პირქუში მუშის სურათი გაჩნდა, რომლის სოციალური ბორკილების დაღეწვა მხოლოდ რევოლუციას შეეძლო. როგორ? — ამაზე თამაზი ახლა არ ფიქრობდა. ახლა მის წინ რევოლუციის ნება აღმართულიყო, მონობის განადგურებით გამობრძმედილი. ათას თვალს, ათას ტვინს, უამრავ ნერვს, მთელს დარბაზს ეს ნება მართავდა. თამაზმა ცხადად იგრძნო ეს თვალები, ტვივნები, ნერვები: სხეულში ერთბაშად უცხო ტალღებმა დაუარა. ერთ ლოჯაში ნატა შეამჩნია, მთლად აენთო. ჯერ ფრანგულად მიესალმა სტუმრებს. ტაში დაუქრეს. თამაზს ძალა მოემატა, ქართულზე გადავიდა. ახლა მეტი დამაჯერებლობა შეიძინა მისმა სიტყვამ. არ სურდა საქართველოს გასაბჭოებას შეპხებოდა; ეს რომ შესამჩნევი არ გამხდარიყო, ევროპელი სტუმრების მისალ-

მება სასწრაფოდ კაპიტალისტურ, დამბუნებულ სამყაროზე თავდასხმისათვის გამოიყენა. სიტყვამ უცნაურად გაიტაცა. ევროპაში პიროვნება თუმცა ყველაზე მეტად ვითარდება. მაინც პიროვნული გარსი ადამიანისათვის შინაგან საპატიმროდ იქცევაო, ამტკიცებდა. მსოფლიოს გადარჩენისათვის ეს დამპალი კულტურა უნდა დაემხოსო (უნდოდა სიტყვა „კოსმიური“ ეხმარა, მაგრამ შინაგანმა ძალამ შეაჩერა). მაინც როგორ? რა თქმა უნდა, ოქტომბრის რევოლუციის გზით, იელვა მისსა და მისი მსმენელების გახურებულ ტვინებში. მაგრამ სიტყვა „ოქტომბრის“ წარმოთქმას თავი აარიდა, სამაგიეროდ, უფრო მეტად გამოჰყო „რევოლუცია“ (ალბათ დასაფარავად თუ?). ისე შორს წავიდა, მოფლიოს განახლებისათვის „სისხლის გამოშვება“ კი საჭიროდ ჩათვალა. ექსტაზი თავისით იზრდებოდა, მის დაუბმარებლად. უცხო ტალღები ასკდებოდნენ, ათრობდნენ; ამ ტალღების მოვარდნაში უფსკრულის სიახლოვე იგრძნო. ათასი თვალი, ათასი ტვინი, უამრავი ნერვი — უჩინულის საავდრო სუნთქვად შეგუბებული — მას უმწერდა, ეხებოდა, მართავდა. ხარბად შეისრუტა ეს ცხელი სუნთქვა, ძალა შეემატა, გაბრუნდა, თითქოს ფრთები გამოესხა. უჩინული-მაყურებელი დოდის ცხენივით იყო, მხედრის ძალას გრძნობდა, ბატონის ყოველ მოძრაობას, ყოველ რხევას წინასწარ ხედებოდა. ახლა ერთი სხეული, ერთი ნება იყო ორივე. ვნებით დამთვრალი თამაზი მედიდურად უახლოვდებოდა უფსკრულს. საზღვრები წაშლილიყო...

თამაზი ორატორი არ იყო, მაგრამ ამ წუთს მის ძლიერ სიტყვას ჰქონდა ცეცხლი. დამთავრებისთანავე გიჟურმა ტაშმა იჭუბა. ადამიანები თითქოს ლოყებიდან გადმოცვენას ლამობდნენ. მთელი დარბაზი ერთი არაადამიანური თვალი იყო ახლა, ერთი მძვინვარე ტვინი, ერთი გავარჯერებული ნერვი. თამაზს ტანში ქარიშხალმა დაუარა, შიგანი აერია. ერთ-

ბაშად დაღლილობა და სიკარგულე გარძნო.

მთელი საღამოს მანძილზე ამ გამოვლავზე ლაპარაკობდნენ. არ იყო არავინ, მისგან აღტაცებული და გაბრუნებული არ ყოფილიყოს. მაგრამ ერთი წვრილმანი ყველას გამოიჩინა — სიტყვა „ოქტომბრისა“ და საქართველოს გასაბჭოების გამოტოვება. ბერზინი იყო ერთადერთი, რომელიც ამას უეჭველად შეამჩნევდა, ქართული რომ სცოდნოდა. მაგრამ რალაც მაინც არ გამოეპარა, რალაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი. შესვენებაზე დერეფნებში საუბრობდნენ. ერთი ინჟინერი ნატას ლოყის კართან იდგა, ემუსაიფებოდა. ბერზინი იცნობდა ინჟინერს, მიუახლოვდა მათ.

„რა აღტაცებით ლაპარაკობდა!“ თქვა ინჟინერმა.

„მეჩვენება, რომ მის აღტაცებაში რამდენიმე წვეთი ისტერიაც იყო გახვეებული“, უპასუხა ბერზინმა ბასრად. შემდეგ ნატას შეხედა, რომელიც ამ სიტყვებზე გაწითლდა. სასწრაფოდ დაუშობა: „თუმცა, შესაძლოა, ვცდები — მე ხომ ქართული არ ვიცი“.

ნატა გრძნობდა: ბერზინი არ ცდებოდა. ის კარგად იცნობდა თამაზს და მის სიტყვებში სიყალბეს გრძნობდა. ღონისძიება დამთავრდა, თამაზმა იპოვა ნატა. ჭალს კრინტი არ დაუძრავს მოხსენებაზე. არც თამაზს დაუტანებია ძალა. უმაღლეს მიხვდა: მისი გამოსვლა ნატას გულს არ შეხებია. ახალა მოეგო გონს: დეკარტიული კვლავ ივსებოდა თავისი ნამდვილი ელემენტებით. ყველაფერი, რაც დღეს თქვა, შეეძლო სინდისის წინაშე კვლავ გაემეორებინა. თავისთავად ამაში არაფერი იყო გასაკიცხი, მაგრამ რაც არ უთქვამს? აი, აქ კი ვერ ისვენებდა მისი სინდისი. კარგი, თავი დაგანებოთ ყველაფერს, სისხლის გამოშვებასაც, მაგრამ რა ეშველება თავისუფლებას, ღმერთის ამ უმაღლეს საჩუქარს? როგორ შეიძლება კაცი მის აღმოფხვრას დაეთანხმოს? რა გაამართლებს თვით არსებობას, თუ ერთი კაციც კი

არ არის თავისუფალი? ან ვის სჭირდება არათავისუფალი სამყარო? თამაზი მოიღუწა, დიბანა. ახლა მასში სულ სხვა დინება იგრძნობოდა. ბევრი მოაჯადოვა მისმა სიტყვამ, მაგრამ თვითონ ისეთი გრძობა ჰქონდა, თითქოს გველი გადაეყლაპოს, გული ერეოდა. მარტო დარჩენა ზარავდა. ნატას გამოცდელმა თვალებმა კიდევ უფრო დაადარდიანა. კიდევ კარგი, ზეიმის შემდეგ ბანკეტი იყო დანიშნული. შეეძლო იქ წასულიყო.

სასტუმრო „ორიენტის“ დიდი დარბაზი გატენილი იყო. სტუმრების გასამასპინძებლად გადნახული სურსათის მთელი მარაგი გამოეტანათ: ყველი, ხიზილალა, ცხერის სუკი, ინდურები, ქათმები, ლვინოები, ხილი. თამაზის დარდი საყოველთაო საზეიმო განწყობამ გაფანტა. სვამდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, სადღეგრძელოებს ამბობდნენ, გამოსვლების ნაქლებობა არ იყო. თამაზმა ორჯერ აიღო სიტყვა. ახლა სისხლის გამოშვება აღარ უხსენებია: თეატრში ნათქვამის შერბილება თუ უნდოდა უცხოელ სტუმართა წინაშე. მაგრამ სამყაროს შინაგანი განახლება აქ კიდევ უფრო მკვეთრად გამოყო. ლვინო თანდათან მოეკიდა. ქვიფი გრძობდადებოდა. თამაზი წამოდგა, ცოტა ხნით მეზობელ ოთახში გავიდა, ფეხები აღარ ემორჩილებოდა. უეცრად მის წინ ორი იტალიელი ჟურნალისტი გაჩნდა.

„თქვენ ძალიან უნდა გიყვარდეთ დოსტოევსკი“, მიმართა ერთმა, „ეს ჩანდა თქვენს სიტყვებში“.

„ძალიან“, მიუგო თამაზმა.

„როგორ მოგწონთ „ეშმაკნი“? იკითხა მეორემ.

„წინასწარმეტყველური წიგნია“, უპასუხა თამაზმა.

უეცრად მთიულური საცეკვაო გაიხსმა და სამივემ დარბაზს მიაშურა. კავკასიის მთების სასწაულებრივ ცეკვას ასრულებდნენ, ჯადოსნური რიტმებიდან შობილს. უცხოები აღტაცებულნი იყვნენ, იტალიელ ჟურნალისტებს დოსტოევსკიც დაავიწყდათ. მაგრამ თამაზს არ

დავიწყებია. მის ტვინს ეკვი წავად: ვინ იცის, ვინ არიან ეს „იტალიელები“. ჩაფიქრდა. რატომ მიინტერესებდა „ეშმაკებზე“ ჩამოუტდეს სიტყვა. ეკვი ღრღნიდა. დასცხა, მოუსვენრობამ მოასუსტა. კვლავ ის ავისმომასწავებელი სიტყვა გაახსენდა — „ჯულა“. ცეკვა დამთავრდა. იტალიელებს მიუახლოვდა.

„დოსტოევსკის შესახებ ჩვენ შორის დარჩეს“, ჩურჩულით უთხრა მან.

„პო, რა თქმა უნდა, ჩვენ ვიცით ეს...“, ორივემ ერთხმად უპასუხა ღიმილით.

თამაზი თავის ადგილს დაუბრუნდა. ახლა ორაზროვანი ღიმილი არ ასვენებდა, იტალიელთა პასუხს რომ ახლდა თან. უეცრად იგრძნო: თავისი თხოვნით უარესი ჩაიღინა. ეს მხოლოდ მცდარი სვლა როდი იყო, არამედ სრული დამარცხება. ვინ იცის, იქნებ „იტალიელები“ პეტროვის ჯაშუშები არიან... მაშინ... მაშინ მისი თხოვნა „ჩვენ შორის დარჩეს“ კიდევ უფრო დაამძიმებს მის სოციალურ დანაშაულს. თამაზი თავშეუკავებლად სვამდა. დათვრა, თუცა მის მთვრალ ტვინში მსუსხავი ეკვი ფხიზლობდა.

ბანკეტი ღამის ოთხ სათაზე დამთავრდა. თამაზი შინ წავიდა, ფეხებს ძლივს მიათრევდა. არასოდეს ყოფილა ასე ნასევამი. ბოლოს მიაღწია ბინას. დაწვა თუ არა, თავბრუ დაესხა, საშინლად ასტივდა თავი. გული აერია, სადღაც იდუმალ კუნძულში მისი დაბატარაებული გონება სიცოცხლის გამო სირცხვილს განიცდიდა. კვლავ გული აერია. ეს მხოლოდ ფიზიკური ამოფრქვევა არ იყო — აქ მორალური ელემენტები მოქმედებდა: თითქოს რწყევით იშორებდა იმას, რაც გამოსვლაში თქვა. დაღლილმა, მისუსტებულმა და ნაცემმა ბოლოს ჩაიძინა, მაგრამ მისი ძილი ძილდვიძილი იყო მხოლოდ: ტვინს უღრღნიდა დოსტოევსკის წიგნი და იქ თავისი ხელით მრავალჯობის მიწერილი სიტყვა „ჯულა“. ძილდვიძილი დღის სინათლემ გაფანტა.

თამაზი ადგა, ქანცგამოლულეო, დათრგუნული. გაზეთებში მთელი მისი გამოსვლა გადმოებეჭდათ, ზოგი ადგილი უფრო გაემკვეთებინათ. კორესპონდენტს სიტყვასიტყვით ჯავგო მისი ნათქვამი „სისხლის გამოშვება“: გბუ-ს არ უყვარს მეტაფორები. თამაზმა წაიკითხა სიტყვა, გუნება გაუფუჭდა. ვადაწყვიტა კინოატელიეში წასულიყო სამუშაოდ. ერთ-ერთ მოსახვევეში ბიძინა შემოხვდა, თორმეტი წლის ბიჭი, მისი პატარა მეგობარი.

„გამარჯობა, ბიძინა“, თავი დაუქნია პატარას.

ბიჭი მოიღუშა, უკან დაიხია.

„რა მოგივიდა?“ გაკვირვებით ჰკითხა თამაზმა.

ბიჭს არც ახლა უბასუხია, მარჯვენა ნეკზე იკბინა მხოლოდ.

„რა მოხდა?“ არ მოეშვა თამაზი.

ბიჭს ოდნავ გაეხსნა მოღუშული სახე, მაგრამ უეცრად ცრემლები მოადგა თვალებზე. სასწრაფოდ სირბილით გაშორდა.

„ბიძინა, ბიძინა, ბიძინა“, ყვიროდა თამაზი.

ბიძინას არ მოუხდელია.

ახლა ცხადი გახდა თამაზისთვის: ბიჭის სახლშიც იღებენ გაზეთს; ბიძინამ, რომლის მამაც ორი კვირის წინ სიკვდილით დასაჯეს, ჩანს, თამაზის სიტყვა წაიკითხა — „სისხლის გამოშვება“ ლახვარით მოხვდებოდა მის გულს. ახლა თვითონ თამაზს ჩაუდგა ცრემლი თვალებში. ბიჭს რომ სცოდნოდა, რა ტკივილი გუბდებოდა თამაზის მკერდში! ვინ მიხვდებოდა ამ ტკივილს? ბიჭიც კი ვერა. თამაზი სიცოცხლეს წყევლიდა.

თავი ასწია. შორს მცხეთის არემარე დაინახა, უფრო შორს კავკასიონის გოლიათური მთები. თავისი მთები გაახსენდა: თეთნულდ და უშბა. შემდეგ თავისი უცოდველი სიყმაწვილე თიავონდა... ახლა კი? მთელი სხეული თითქმის გველს დაეკბინა. გალურჯებული ზაგებზე შეავკდა ვედრება: „იქნებ თქვენ მიშველოთ, მთებო!“. მარ-

ცხენა ხელით ცრემლი მოიწმინდა. ჩაპლუნი გაათვლებს ბიძინას გულს. ზღაპრულად დედაზეც ფიქრობდა: იქნებ მის დამკანარ მკერდს დაეამებინა თამაზის ტკივილი.

იმ დღის შემდეგ თამაზი საკუთარ თავში შეიკეტა, პლანზად გადაიქცა, რომელიც ატმოსფერულად შეიგრძნობს მოვლენებს. შიგნიდან ეხებოდა სინამდვილეს, თითქმის საიდუმლო, დაუწერელ ქრონიკას კითხულობდა.

## XI

## ბაბაშას ქრონიკა

მამაკაცი და ქალური ელემენტები ყოველ ცოცხალ არსებაში მოიპოვება. იმის მიხედვით, რომელი ელემენტი გაბატონებული, ადამიანს მამაკაცად ან დედაკაცად ვრაცხთ. სადაც ელემენტები ტოლია, იქ არც მამაკაცია, არც დედაკაცი, არამედ ანდროგენი. არაბული ციფრი 8 იქნებოდა ადამიანის გრაფიკული გამოსახვა — შეუდარებელი საზომი და მაჩვენებელი: ამ ფიგურის რომელიმე ნახევრის გაზრდა ან შემცირება შრავალგზის წარმოაჩენდა ორივე სქესის ურთიერთმიმართებას. იმ დღეებში საბჭოთა ადამიანი სხვაფრთვაც ჰგავდა რეიანს: რევოლუციური ელემენტსაც ისევე შეიცავდა, როგორც კონტრრევოლუციურს — კომუნისტი, თუმც მცირე ზომით, კონტრრევოლუციურ მარცვალსაც ატარებდა თავის თავში. ნებისმიერი კომუნისტისათვის რომ გეკითხათ — რა თქმა უნდა, ზემორობით—გული ხომ არ დასწყდებოდა, ზვალ რომ ჰქვეყანა ვადატრიალებულიყო, ზემორობითვე გიპასუხებდათ, გული არც ბევრ სხვა კომუნისტს დასწყდება ძალიანო. ორად ვახლენა არაკომუნისტებს უფრო ემჩნეოდათ. ვინც ჯერ კიდევ გუშინ საბჭოებს გამანადგურებლად აკრიტიკებდა, დღეს მათი თავგამოდებული დამცველი იყო. ორივე შემთხვევაში სრულიად გულწრფელნი იყვნენ: გუშინ მათი სულიერი მაჩვენებელი კონტრრევოლუციური ელემენტის მო-



მატებას აღრიცხავდა, დღეს — რევოლუციურისას. ატმოსფერულ ზემოქმედებას ემორჩილებოდნენ. როგორც დოსტოევსკის ადამიანებმა არ უწყიან, სად თავდება ღვთისმშობელი და სად იწყება სატანური, ასევე არ იცოდნენ საბჭოთა მოქალაქეებმა, სად თავდებოდა რევოლუცია და სად იწყებოდა კონტრრევოლუცია — ან უკეთ: კარგადაც იცოდნენ, მაგრამ ცხოვრების მდინარებაში, როცა ინტელექტის თვალის ერთობ შესუსტებულია, გამყოფი ზოლი აღარ მოჩანდა. არავინ იცის, რას მოიმოქმედებს დოსტოევსკის გმირი: ექსტაზით მიიღებს ზიარებას თუ რისხვით უკან გადმოაფურთხებს — შეტაფიზიკური ისტერია რუსული ყოფის. საბჭოეთშიც ასეთი ისტერია სუფევდა იმხანად: საზღვრები წაიშალა, ერთი უკიდურესობიდან ატმოსფერულად გადადიოდნენ მეორეში, თანაც უცნაური შთაგონებით: თითქოს წუხდნენ, რომ ასე დიდ ხანს იდგნენ ძველ ნიადაგზე; მით უფრო ცეცხლოვანი გატაცებით აწყდებოდნენ ახალს, დროდადრო უცხო ძალა იგრძნობოდა, აუხსნელი. რევოლუციური ელემენტის გაძლიერება უმეტესად კონტრრევოლუციურის ხარჯზე ხდებოდა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა საბჭოთა ადამიანს უცხოელთან, მწერალთან, ქურნალისტთან ან უბრალო ტურისტთან უწყევდა შეხება. უცხოელი ამჩნევდა, რაღაც არ იყო წესრიგში, იზნეოდა. ხან ნაღდად მიჩნდა ეს გარდასახვა, ხან შიშით ხსნიდა მას. ორივეჯერ ხელიდან უსხლტებოდა სინამდვილე. თუ მაინც არ მოეშვებოდა ფიქრს, შეიძლებოდა „რუსული სული“ დაესახა მიზეზად და ამით კიდევ უფრო დიდი თავსატეხი გაეჩინა.

ფარდობითობის თეორიის შემდეგ სამყარო ველარ გაიზომება ჩვეულებრივი წარმოდგენებით. საბჭოთა ყოფის გამოშვაც ასევე კირდა. ცხოვრების ძველი კანონები დაეშხო. გეგონა სინამდვილეს ეხებოდა — ხელში ლანდი გრჩებოდა. ყველას მცდარი ნაბიჯის გადადგმის საფრთხე ემუქრებოდა ყველგან.

აღარ იყო დასაყრდენი, მის მარჯვნივ მარჯვნივ რკისიტული დოგმა. სათავეებს მარჯვნივ იდგა, მას ლენინი მოჰყვებოდა, ენგელსს მარქს-ენგელსის ინსტიტუტშილა თუ მოიხსენიებდნენ. ლენინს პირდაპირ სტალინი მოსდევდა. ყველას აჯადოებდა დიალექტიკური მეთოდი, რომლის მიხედვით სიცოცხლის ყოველი ფაზა თავის საპირისპიროში გადადის. საოცარია: მათთვის ისტორია მუდამ კომუნიზმით თავდებოდა. მაგრამ ესეც უნდა ითქვას: ვერასოდეს წარმოიდგენდნენ, რა სოციალურ წინააღმდეგობაში გადავიდოდა კომუნიზმი, რადგან დიალექტიკას ისინი სრულ სულიერ გაურკვეველობამდე და, მაშასადამე, უმოქმედობამდე მიეყვანა საბოლოოდ. მაინც ყველაზე მეტად მოქმედება სწყუროდათ. ასე იყო თუ ისე, დოგმამ ფეხი მოიკიდა. ოღონდ არავინ იცოდა, ვინ ადგენდა ამ დოგმის შინაარსს. ხელშესახები წინამძღოლი არავინ იყო. ადგილობრივი კომიტეტი რაიონული კომიტეტისაგან ელოდა გენერალურ ხაზს, რაიკომი — საოლქო კომიტეტისაგან, ის, თავის მხრივ, — სამხარეო კომიტეტისაგან, ხოლო ეს უკანასკნელი — მოსკოვიდან. საბოლოოდ ცენტრალური კომიტეტი რჩებოდა, მაგრამ აქაც იგივე მეორედებოდა: ერთი მეორეს უყურებდა, მეორე — მესამეს, მესამე — მეოთხეს და ასე უმაღლეს თანამდებობამდე. რიგი გენერალურ მდივანთან თავდებოდა. საბოლოოდ, ის მარტო უძღვებოდა გენერალურ ხაზს. ამავე დროს ჩვეულებრივი ავტოკრატი როდი იყო ეს ადამიანი: მასში მხოლოდ მასების ძალთა ნაკადები იყრიდა თავს. სხვებთან შედარებით ერთადერთი უპირატესობა ჰქონდა: უნარი ამ გროვის საკუთარ თავში დატყვისა. თუ ეს უნარი მიატოვებდა და შეეცდომას დაუშვებდა, ძაბვა პირველ რიგში თვით მას მოსპობდა. სინამდვილეში იგიც კი არ იყო გენერალური ხაზის შემოქმედი. რაღაც უცხო და უპიროვნო მართავდა ამ ხაზს. არავინ იყო საკუთარი თავის ბატონ-პატრონი. ცალ-ცალკე გენერალური მდივანი არავისზე იყო დამოკი-

დებულო, მთლიანობაში — ყველაზე. ის მთლიანობის მაჩისცემას უგდებდა ყურს და თუმცა ყველაზე მაღლა იდგა, ყველაზე ნაკლებ იყო თავისუფალი უპიროვნო მთელის წინაშე. ერთი მცდარი ნაბიჯი და გათავდებოდა მისი საქმე. ასე აღმოჩნდა, რომ არსებითად არვინ იყო თავისუფალი. აშკარა შეიქნა: რევოლუციამ გამოიწვია ძალები, რომლებსაც თვითონ ვეღარ ერეოდა. იმ გაურკვეველ რაღაცას უკვე ისტორია იქმნოდა — აღარც ცალკე ადამიანი, აღარც რომელიმე ჯგუფი.

ასეთი ატმოსფერო სუფევდა. უნდობლობა და შიში ბატონობდა. ბევრი მზად იყო მთავარ ხაზს გაყოლოდა, მაგრამ სწორი ხაზი მხოლოდ გეომეტრიაში არსებობს. ასე გაჩნდა გადახრის ნამდვილი მანია: მარცხნივ, მარჯვნივ და ღმერთმა იცის, კიდევ საით. ერთ თანამშრომელს რომელიმე გადახრას აღმოუჩენდნენ და მერე გაზეთებში, უჯრედებში, კრებებზე ბობოქრობდნენ, საპროტესტო რეზოლუციებს ადგენდნენ. გაზეთები, უჯრედები, კრებები, რეზოლუციები — ამ ქაობობადას უშაღლესი მოხელეც ვერ გაუმკლავდებოდა. ის მოუხელთებელი რაღაც აქაც საშინელ გავლენას ახდენდა; არავინ იყო თავისუფალი, ყველა საკუთარ თავს ადანაშაულებდა. მხოლოდ ერთი ხსნა არსებობდა: მონანიება, თვითმხილება და დანაშაულის აღიარება ეპიდემიასავით მოედო მთელ საბჭოეთს. რომელიღაც გადახრილმა საჭაროდ შეაჩვენა თავისი მოქმედება და ფიცი დაღო, აღარასოდეს გამოეჩინა სისუსტე. ერთმა ისტორიკოსმა განაცხადა, რომ საკმარისად ვერ გამოიყენა დიალექტიკური მეთოდი თავის ისტორიულ კვლევა-ძიებაში. ზოგი უფრო შორს მიდიოდა, საკუთარ თხოვრებებს ასამართლებდა გაზეთებში: „აქა და აქ სიბევე გამოვიჩინე, აქა და აქ სისუსტე ჩავიდინე“ და ასე შემდეგ. ეს შემთხვევები ისე მომრავლდა, რომ მონანიების მყარი ფორმულაც კი ჩამოყალიბდა. ინანიებდნენ არა მხოლოდ ჩადენილ, ჩაუდენელ ცოდვებსაც.

ეს მავნებელთა სენსაციურ პროცესებზე გამოჩნდა ყველაზე უკეთ. ნებისმიერი მავნებელი — თუკი ასეთი საერთოდ არსებობდა — მთელი პროცესის მანძილზე შიშნარევი მღელვარებით მიჰყვებოდა საკუთარი მ-იანის მაჩვენებელს — თანდათან მზარდ კონტრარევილუციურ ელემენტს. იმ ატმოსფერომ, რომელშიც სინამდვილე და მოჩვენება ერთმანეთში გადადიოდა, ჩაუდენელი ცოდვის რეალურად აღქმის შესაძლებლობაც შექმნა. თუ მავნებელი იყავი, ასევე მავნებლად უნდა მიგჩინია საკმარისზე მეტი ხალხი შენ გარშემო, ერთი ნამდვილი მავნებელი ამ ვითომ მავნებელს წარმოშობდა — როგორც ზასაც-დენილი ქალის ქმრის ეკვებით ანთებულ ფანტაზიას ეჩვენება ღალატის მრავალი შემთხვევა. უცნაურობა ის იყო ოღონდ, რომ ამჯერად უდანაშაულოც ცოდვებს აღიარებდა. იგი შიგნიდან აკვირდებოდა თავს და ცხადად გრძობდა: მართალია, ცოდვა ჯერ არ ჩადენია, მაგრამ უთუოდ ჩაიდენდა მომავალში. ამ დომინანტში, რომელშიც „ღლეანდელსა და ხვალინდელს შორის“ ზღვარი წაშლილიყო, ჩაუდენელი ცოდვა უკვე ჩადენილად ეჩვენებოდა და საჭაროდ აღსარებას იწყებდა. როგორც ცუდ სიზმარს ჰყვებიან იმ იმედით, რომ არ აუხდებათ, ეს უდანაშაულონიც მოჩვენებით ცოდვებს აღიარებდნენ, რათა ისინი არასოდეს ჩადენიან. რაც უფრო დიდი ჩანდა ცოდვა, მით უფრო ძლიერი იყო აღსარების ვნება: ადამიანს სურდა განსაწმენდელი გაველო. საბოლოოდ საბჭოთა ხელი-სუფლება იქნებ არც ცდებოდა, როცა მათ მავნებლობაში სდებდა ბრალს. აქ წაშლილიყო ყველა საზღვარი, სინამდვილე მორღვეულიყო. ერთის აღსარებას სხვათა კოლექტიური პროტესტები ახლდა თან. რაც უფრო ცნობილი იყო ბრალდებული, მით უფრო ცხარე იყო თავდასხმა. ბოლოს იმდენი აღსარება და თავდასხმა იყრიდა თავს, ორივეს აზრი ეკარგებოდა — განსაკუთრებით თავდასხმებს.

მთავარი ხაზის მიყოლის მზადყოფნა დროდადრო ფანტასტიკურ ზომებს აღწევდა. ერთმა ფიზიკოსმა განუცხადა კოლეგას: „მას შემდეგ, რაც ამხანაგ სტილინის ბოლო თეზისები მივუყენე ფიზიკას, ჩემთვის ბევრი რამ საოცრად ნათელი შეიქნა“. კოლეგამ გაოგნებულმა შეხედა, მაგრამ თვითონაც დაფიქრდა, მართლაც ნაყოფიერი ხომ არ იქნებოდა ამ თეზისების გამოყენება და მხოლოდ გაურკვეველი „ჰმ“ ჩაიბურღლუნა. საკვირველი ეს იყო: ფიზიკოსს მართლაც სჯეროდა თავისი სიტყვებისა. შეკითხვაზე, თუ რომელ წიგნებს კითხულობდა უპირატესად, ერთმა პოეტმა დამეცინავად მიუყო: „წიგნებს? წიგნებს საერთოდ არ ვკითხოვლობ, განა უკეთესი საკითხავი არ მოიპოვება? ცენტრალური კომიტეტის ნებისმიერი სხდომის სტენოგრაფიასავე წარმოც და საინტერესო რასმე ვერც შეხერხებადს ზღაპრებში პოვებთ, ვერც რობინზონის დღიურებში“. ეს კაცი ექსცენტრიულია, ფიქრობდა ზოგიერთი. სხვები ექვის თვალთ უცქერდნენ: იქნებ შენიღბული დაცინება? ხსენებულ სხდომებზე მართლაც შეუღარებელი ფანტასტიკა მეფობდა. ერთმა მკვლევარმა „ფეოდალური ქლერადობები“ აღმოაჩინა ბაბისა და ბეთაპოვენის მუსიკაში. მეორემ „ბურჟუაზიულ პასაჟებს“ მიაგნო ვაგნერის ოპერებში. მესამემ საკითხი დასვა, გოგენის ფერებში საფრანგეთის კოლონიური პოლიტიკა ხომ არ ცნაურდებაო. მეოთხე, თავის მხრივ, მძიმე ინდუსტრიის ეპოქას ჰკვრიტდა სეზანის ტილოებში. მეხუთე პროლეტარულ მეტაფორებს აგროვებდა. ხუთივე ბეჭითად იწვალებდა თავს უზარმაზარი დიაგრამების ხატვით და იაკვეს სიტყვებს ადასტურებდა: „ოფლითა შენითა მოიპოვე უფრო შენი“.

ლიტერატურაში, თეატრში, კინოში — ყველგან მუშაობდნენ, ყველა ცდილობდა სწორად გაეგლო ბაგირზე. შესაფერის თემებს ეძებდნენ, ამგვარი ცდებისათვის უფრო გამოსადეგს. ათასგვარ მხატვრულ ხერხს იგონებდნენ,

მიზნის მიღწევა საეკვო რომ არ უწყობდა ლიუო. გარკვეული ოსტატობა ჩამოყალიბდა, ერთგვარი აკრობატიკა. მაგრამ თემებთან და მხატვრულ ხრიკებთან ერთად, სიძნელეებიც იზრდებოდა. თუ თვით საშუალოს ძირითადი ხაზის გარკვევას მოისურვებდნენ, მხოლოდ შექახიკურ სქემას იღებდნენ, რომელიც ვერავითარ აღფრთოვანებას ვერ გამოიწვევდა. თუ მასალის წმინდა დიალექტიკური დამუშავება სურდათ, ობიექტურობის საფრთხე ჩნდებოდა — დიალექტიკაში ხომ ერთნაირად უნდა დაქებნოს გამართლება როგორც ერთ მხარეს, ისე მის საპირისპიროს —, ეს კი კვლავ შეასუსტებდა ბრძოლას. თუ ინტუიციას ეყრდნობოდა კაცი, ფსიქოლოგიაში ეშვებოდა ან სულაც დოსტოვესკიში. გამოსავალი არ იყო. ამ სიძნელეებს ყველაზე იოლად კინო აუდიოლოდა: ის ხომ ყველაზე შორს იდგა ნაძღვლი ხელოვნებისაგან. შემდეგ მოდიოდა თეატრი, სულ ბოლოს ლიტერატურა და პოეზია. მასებისა და საქმეების გასაძლიერებ ხომ კინოც კმაროდა — ეს ყველაზე ნაკლებ ინტიმური ხელოვნება. ლირიკა სულ მთლად გადაშენდა. მაგრამ: გეოლოგიურ შრეებში მკვლევარი ხანდახან რაიმე უცნაურობას წააწყდება, გაჭვავებულ ფოთოლს, მწერის ფრთას, უმნიშვნელო წვრილმანს, რომელიც მთელი პერიოდის დადგენის საშუალებას იძლევა. ასე შემთხვევით აქაც არსებობდა ცალკეული წინადადება, სახე, რომელიც ხატოვანად გადმოსცემდა საბჭოეთის მაჯისცემას. მთელ ამ გარდაქმნას ყველაზე მკაფიოდ ანეკდოტი ასახავდა — ჰუმორი გულუბრყვილოდ, და მიტომ დაუსჯელად, ეთამაშებოდა სინამდვილეს.

ქალაქიდან ქალაქში დაეხეტებოდნენ მსახიობთა დასები. სტუპების სივრცე და რუსეთის პირქუში ღამე მოჰქონდათ თან. რევოლუციური ლექსებს კითხულობდნენ, სისხლმოწყურებულ თვლებს აკვესებდნენ, საშინელი გილიოტინით იმუქრებოდნენ. ლექსებიდან მოგრგვინავდა მუქარა: თქვე ბურჟუებო!



მსახიობთა ხმა, ტემპერამენტი მქუხარე ტაშისკენ აქეზებდა მისებს. შთაბეჭდილება ისეთი იქმნებოდა, თითქოს ყოველი მათგანი სტენკა რაზინი ყოფილიყოს: ამბობნებასაც ახლავე დაიწყებდა და „დონის კახაკთა მსხვერპლსაც“ გაიღებდა — სატარფოს ვოლგაში გადაუძახებდა. ხალხი თვრებოდა მათი ბანგისგან. მაგრამ ხანდახან რომელიმე მსახიობს ეშლებოდა და „თქვე ბურჯუებო!“-ს ნაცვლად უეცრად „თქვე ბოლშევიკებო!“-ს დაიყვირებდა — თან სატანურთ ვნებას არ აკლდა. მისებს შიში იპყრობდა, ვერვინ ზედავდა მეორისთვის სახეში შეხედვას. გონს მოსული მსახიობი შიშისაგან სცენაზე შფოთავდა, თავს იკატუნებდა, დუშმორეული და მიწაზე გაგორებული ეპილეფსიურ შეტევას ასახიერებდა. გამოფხიზლებულს ეკვი ისე ხვრეტდა, როგორც ჭია ხეს: ფსიქოანალიტიკურად თუ შეიძლება ამ შეცდომის ახსნა.

ხელშესახები სინამდვილე აღარ არსებობდა. მხოლოდ მიწაღა იყო ნამდვილი — მიწა არ იცნობს ისტერიას. ჩნდებოდა ტრაქტორები, იქმნებოდა კოლექტივები. გლეხი შეცბუნდა, დაიბნა: ინსტინქტი რაღაც უცხოს უგრძნობდა. მიწამ რომ შექმნის ნიჭი უწყალობს, ბერწი აფორიერო ცოლ-ქმარი მობინძე მინდორში ერთდება — მიწაშიც და მიწაზეც ზომ იგვე ზდება, რაც მამაკაცს და დედაკაცს შორის. კოლექტივები იქმნებოდა, გლეხის გუჟანი კი ბუნდოვნად გრძნობდა: რაც აქ ზდებოდა, განაყოფიერება კი არ იყო, არამედ ათვისება მხოლოდ. ამ სიახლეს ისე განიცდიდა, როგორც დედის მკვლელობას, მკრეხელობას. ხედავდა: ეს ბელტი მისი იყო, მისი საკუთარი ცოლი, ეს ვენახი მისი იყო, მისი საკუთარი ვაჟი. ეს ხე უყვარდა, პაპის დარგული, მის ყოველ ტოტსა და ფოთოლს იცნობდა. აგონდებოდა, როგორ იზრდებოდა მთელი თაობა ამ ხესთან ერთად. არა, უსამართლობა ზდება, ფიჭობდა იგი. მიწა ფაბრიკად ვერ გადაიქცევა. ფაბრიკა მილიონობით დეტალს უშვებს, მაგრამ

ნაყოფს არ ისხამს. კოლექტივებში თოვდებოდა, მიწა ნაყოფის მაგიერ ნაწარმს იძლეოდა. მიწას მადლი არ ჰქონდა, რადგან მისკენ გული არ იხრებოდა. ქვეყანა ევროპული „რაციონით“ მიაბიჯებდა. ამას გლეხი მიწიერი ინსტინქტით გრძნობდა. მძიმე ორთაბრძოლა ჩაღდებოდა.

გლეხი კოლმეურნეობას ვერ ეგუებოდა — არა მარტო გლეხი, საქონელიც. ერთმა ხარამ მძლავრი რქებით გაანგრია ბოსლის კარი, კოლექტივი ბაგა დატოვა, ნაჩვევ ეზოს მიაშურა. კომკავშირელები მათრახით გამოედევნენ. შინ მისულ პირუტყვს ბავშვები მხიარული ყიფინით და ალერსით დახედნენ. ძველად ციმბირის გადასახლებიდან დაბრუნებულს ეგებებოდნენ ასე. კომკავშირელები არ აუღელვებია მოსულუკუნე ბავშვების ალერსს, ხარის მშვიდ სიხარულს. რაღაც უნდა დასჯდომოდათ, უკან უნდა გაედენათ პირუტყვი. მათ მოზუტმა გლეხმა მიმართა: „დღევანდელი ღამე მაინც გაათავიეთ თავის ბოსელში“. აშკარა დაცივნა უღმარდა მის სიტყვებში. ხმადამლა დაუშობა: „ხარსაც კი არ უნდა თქვენი კოლმეურნეობა“. ერთმა შემოსწრებულმა თავი გააქნია: „შენ, მგონი, ის დრო დაგვიწყდა, სხვანაირად რომ ექცეოდნენ ხარს. ტყის პირას რომ თავადები ქეიფობდნენ, ახალგაზრდა ხარს იქ მიდევნიდნენ, წინა ფეხებით და თავით ერთ ხეს მიაბამდნენ, უკანა ფეხებით — მეორეს. ყსაბი მოვიდოდა, პირჯვარს გადაისახავდა, შენდობას შესთხოვდა ყოვლისშემძლე ღმერთს. გაღესილი დანით ხარს ეღვისებური სისწრაფით ამოაჭრიდა ასოს. ხარის ბლავილი მოქეიფეთა ხმაურს უერთდებოდა. მწვადებისათვის ცეცხლს აჩაღებდნენ — ასეთი მწვადის გემოს ვერ დაივიწყებ, შეგუბებული სისხლი ხომ განსაკუთრებით ტკბილია. იმ დროს არ ნატრობ? არ გახსოვს?“ „მე არც იმ დროს ვნატრობ, როცა ხარს აწვალდებდნენ, არც კოლმეურნეობას, როცა პირუტყვი კოლექტიურ ბაგაზე ჰყავთ მიბმული“.

უპასუხა მოხუცმა გლეხმა. „პირუტყვის თვითონ არ უნდა...“ კოლმეურნეობის ირგვლივ უსასრულო კამათი გაჩაღდა.

ელსადგურებს აწენებდნენ, სასოფლო-სამეურნეო მანქანები შემოპყავდათ, ჭაობებს აშრობდნენ, სტიქიებს იმორჩილებდნენ, სარწყავ სისტემებს ქმნიდნენ და საზეიმოდ ხსნიდნენ. ხალხი იკრიბებოდა, ინტერნაციონალს მღეროდა, რადიო მოლოცვებს გადმოსცემდა მოსკოვიდან, ხარკოვიდან, ბაქოდან, ტფილისიდან. იყო დამორჩილებული მდინარისა და მუშის მარჯვენის დღესასწაული — მაგრამ არ იყო ის უმაღლესი წამი, რომელსაც ერთ დროს განიცდიდა ეგვიპტელი: როცა მზის პირველ სხივებთან ერთად მიმავალ მიმიზონს ჰვრეტდა — მზის ეგვიპტურ სიმბოლოს —, ის ნეტარი წამი, როცა მზის თესლით ავსებული შეყვარებულივით უახლოვდებოდა მიწას.

ახალი გზები გაჰყავდათ მოშორებულ რაიონებში, სადაც ჯერ კიდევ ძველი ტომები სახლობდნენ. ხშირად გზის გასაჭრელად მთა უნდა აეფეთებინათ და მასთან ერთად ანკარა წყაროც მოესპოთ, წმიდათაწმიდა რამ ტომის წარმოდგენაში. შიშით უმზერდა მთელი ტომი წყაროს განადგურებას: დაბნეული და მოქუფრული ღრმად გაძნობდა თავის არსებაში სიკვდილს. განზიზღული ახლა კვლარეულ ნადირს ჰგავდა, გონდაკარგული იდგა სიციარეელის პირისპირ.

იყო ელემენტების ბრძოლა ადამიანში, იყო ბრძოლა ადამიანებს შორის. ყველას, ვინც რაიმეს წაიღებდა კოლმეურნეობის მოსავლიდან, სიკვდილი დაუწყეს. ქურდობა ადვილი აღმოსაჩენი იყო და სოფლებში ერთმანეთისთვის ქურდობის დაბრალება დაიწყეს. გლეხებს მოსავლის აღებისა ეწინააღმდეგებოდა რომ არ დაბრალდებოდათ. ბევრ რაიონში მზესუმზირა არ მოუტრეფიათ: მაცდუნებელია მისი მარცვლები. შეუძლებელი იყო მოსავლის აღება ნაყოფის გაუსინჯავად, განსაკუთრებით რუსისათვის: მისთვის მზესუმზირას კნატუნი კოსმოსურ რიტმში გადასვლას

ნიშნავს. სამუშაო ასე განაწილდა: მუშაობდნენ, მეორენი თვალს ადევნებდნენ, რათა არავის ეჭურდა. ტრაქტორისტები მხოლოდ მანქანის გამართვაზე აგებდნენ პასუხს, საწვავზე სხვა უნდა გაეპიროვნებინათ. მანქანის მძღოლები ტვირთზე პასუხისმგებლობას არ კისრულობდნენ: „ორი თავი არ მაქვს. კაციკამიები ბლომად არიან, ქურდობას დამაბრალებენ და მერე ველარავინ მიბნის“. ზოგიერთი შეუფრთხილად აღარც კი იბარებდა მარცვლულს. ამგვარად, თვით გლეხებს შორისაც ბრძოლა გაჩაღდა, თანდათან გარეგნულადაც გამოიჩინნენ ერთმანეთისგან. მოსკოვის საკოსტუმო საწარმო, რომელიც რეკვიზიტით ამარაგებდა პროვინციულ თეატრებს, ფართო არჩევანს სთავაზობდა მსურველთ. აქ ყველაფერი ჰქონდათ: კულაკის წვერი — ძღალი, მარაოსავით გაშლილი; საშუალო გლეხის ყავისფერი წვერი — შუაზე გაყოფილი; წვერილი გლეხის პატარა ზუჭუჭა წვერი; დაბოლოს, შავი წვერი — კოლმეურნისა, ადამიანები ერთმანეთს დაერივნენ, შეიღმა მამა დაასმინა, საკოლმეურნეო მოსავლის ნაწილი მიითვისაო. მამა ციმბირში გადასახლეს, ვაჟი ბიძაშვილმა მოკლა. ამ ცნობამ გადასახლებულამდეც მიადღწია მან გამოიგლოვა ვაჟი და ყოველასძლიერს პატიება სთხოვა.

იბრძოდნენ რაღაც ახლისათვის. ძველი ძლივსლა იდგა ფეხზე. სისხლი იღვრებოდა, დედები ტყუბებს აჩენდნენ: ერთი აბელი იყო, მეორე — კენი. მეფობდა ორპირობა, ორგულობა, უნდობლობა, ბეზლობა, ლალატი, შიში — ამავე დროს არსებობდა რაღაც, რამაც არც რევოლუცია იცოდა, არც კონტრარევოლუცია, არც კულაკობა, არც ზუთწლიანი გეგმა, არც არანაირი გეგმა საერთოდ. მან არც ცენტრალური კომიტეტი იცოდა და არც გენერალური მდივანი — ეს იყო ადამიანური გული, ღმერთითა და ცეცხლით სავსე. სიბნელე მეფობდა, მაგ-

რამ უეცრად ცეცხლი აგიზგიზდებოდა, მასში ლოცვა და სიხარული ცოცხლობდა. ეს აალებული გული იყო. რუსეთის დიდ ტრამალებზე, ციმბირში, უკრაინაში, ყაზახეთში, კავკასიაში — ყველგან იქნა ან თამუზი იბადებოდა: ჩუმად, შეუმჩნეველად, საღლაც, რომელიღაც კუთხეში.

რაც ზღებოდა, ყველაფერი იწერებოდა. ოღონდ არა ღიად, არამედ საიდუმლოდ, როგორც ინდოელთა აკაშა იწერებოდა ხეზე, ქვაზე, ძაღლის დინგზე, ადამიანის შუბლზე, მთის ფერდობებზე, ტალღებზე, ხავსზე, მძორზე. საიდუმლოდ ყველაფერი იწერებოდა ყველგან, მაგრამ ვინმეს რომ გაეფიჭრა და წაეკითხა ეს იდუმალი ნაწერები, პროტესტის ქარბორბალა ავარდებოდა. დარწმუნებით იტყოდნენ, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა, და რაც უფრო უცნაურია: თვით აღმომჩენი დაუწყებდა თავს დარწმუნებას, რომ ეს ყოველივე მისი გზაბნეული ფანტაზიის წარმოსახვაა.

რომენ როლანმა საბჭოთა ქვეყნას ახალი მომართვა გამოუგზავნა: იქიდან დასამხობად განწირული კაპიტალისტური სამყარო უფრო ლაპარაკობდა, ვიდრე ტოლსტოის მიწის გაგება. ბერნარდ შოუმ ერთ სენსაციურ ინტერვიუში საბჭოების წარმატებებით აღფრთოვანება გამოხატა, თან შიშობდა, რომ მის სიტყვებს სიმართლედ არ ჩათვლიდნენ. ანდრე ჟიდმა აღიარება დაწერა: უხერხემლო განაზებული ლათინელი რუსეთის ბარბაროსული სიციცხალიდან ელოდა სისხლის განახლებას. მთელს მსოფლიოს მზერა ახალი ჩრდილოური სფინქსისაკენ, ხუთქიმიანი ვარსკვლავისკენ მიეპყრო. მაგრამ ნიშნეულია: იდუმალი პენტაგრამა თავდაყირა იდგა. ურიცხვი წიგნი გამოდიოდა: ყველაფერს იპოვიდით მათში, გარდა სიმართლისა. სფინქსი ილიმებოდა მხოლოდ. თუ ამ სფინქსს დააკვირდებოდით. გენერალური მდივნის სახეს გამოაჩენდა: თითქოს ქვეყნის მთელს სისტემას მოიცავდა თავის თავში. ყველას ბედი

მასზე იყო დამოკიდებული, ხმამაღლა რევოლუციის კვანძი იყო, მისი ძალების შემჭიდროება. უპიროვნო პროცესი პიროვნულში მოგროვდა, ამით პიროვნებამ დაკარგა პიროვნული: გენერალური მდივანი აღარ იყო ადამიანი, ის იყო არსება. იწერებოდა მისი ბიოგრაფია, მის შესახებ ლიტერატურულ ნარკვევებს ბეჭდავდნენ, რადიო მის ყოველ სიტყვას ავრცელებდა. მილიონები ფიქრობდნენ მასზე: ზოგი თავყანისცემით, ზოგი ნდობით, ზოგი წყველა-კრულვით. არ იყო ადამიანი, საკუთარი თავი არ დაეკვირა ამ კაცზე ფიქრში. ხანდახან მაცოთნებელი აზრი მოდიოდა: რა მოხდებოდა, ის რომ დავემხოთ? აზრს შიში კლავდა. ეს კაცი სტალინი იყო თვითონ. ლენინს არ მოუგროვებია ამდენი ძალა თავის არსებაში. არც ერთ დიქტატორს მსოფლიო ისტორიაში ამდენი ძალაუფლება არ მიუთვისებია: ეს ფენომენი ყველას აწვალებდა — კომუნისტსაც არაკომუნისტსაც. ყველა გრძნობდა მის ძალას, მაგრამ არავის უყვარდა. მასთან შეტაკობების ყოველი ცდა წინასწარ იყო განწირული. დემონურად გრძნობდა ხალხი ამ ძალას.

ასე კითხულობდა თამაზი იდუმალ დაუწერელ ქრონიკას, მაგრამ არ იცოდა, რომ ის ძალა ყველაზე მეტად ერთს ტანჯავდა — ეს იყო ბერზინი, თვითონ მძლავრი პიროვნება, ქართულ მიწაზე ბერზინი ჩაწედა სტალინის ხასიათს.

## XII

## სტალინის პოროკოპი

თამაზი ტანტზე იწვა და საკუთარი ლექსების ტომს ფურცლავდა. ღამე იყო. თამაზმა რამდენიმე სტრიქონი წაიკითხა — უცხოდ მოეჩვენა: ნუთუ მისი დაწერილი იყო? გაოცებულმა ღიმილით წიგნი გვერდზე გადადო და სხვა აიღო: დაკვირვებები პუშკინზე. ეს ნაწარმოები უკვე წაკითხული ჰქონდა, ახლა მხოლოდ ფურცლავდა, მაგრამ საკვირველია: აშეიბებე გაკეთებულ თავისავე

გაქვინდა  
საქართველოში

შენიშვნებს თითქმის ველარ არჩევდა. მართლა ასე შეიცვალა? თამაზი ვაიცი. ამჯერად აღარ გაუღიმიო. ეს წიგნიც გვერდზე გადადო და გუნებაწამბადარი ბუხრის ნავლს მიაჩერდა. ოთახი, სხვა დროს ასეთი მყუდრო, ახლა მწარედ და უნდოდ გამოიყურებოდა. თამაზმა კედლები შეათვალიერა, აქა-იქ დამსკდარი შპალერის მელანქოლიურ ხაზებს გააყვია. დაწყვეტილი ხაზები უცნაურ ლურსმულის ქმნიდნენ: თითქოს ვიღაც გადარეულის ხელს ასოები გამოეყვანა. მონუსხულმა წაიკოხა ასოები და გამოვიდა სახელი „სტალინი“. თვითონ ხომ არ გაგეებულა? სურდა სხვა რამ ამოეკოხა, ჭიუტი სახელი კვლავ ჩნდებოდა. თამაზი ჩაფიქრდა. უცერად ერთი რვეული გაახსენდა, სასწრაფოდ წამოხტა და ქალაღებში ძებნა დაუწყაო. ეს იყო ჩანაწერები სტალინის შესახებ, რომლებიც ანალების ფორმით გაეკეთებინა რამდენიმე კვირის წინ. ბუხარში ცეცხლი თავიდან დაანთო და უცნაურად აღეღებულმა კითხვა დაიწყაო.

„ლენინმა განსაკუთრებული სახელი უწოდა სტალინი — „ლეგენდარული ქართველი“. ლეგენდარული ჭარბად იყო სტალინიში, ოღონდ ქართული — მეჩხრად. საქართველოში სტალინის ხასიათის თავისებურებას მისი წარმომავლობით ხსნიდნენ: მამამისი ოსი იყო. აჰ, შესაძლოა, სხვა ფენომენთან გვეჭონდეს საქმე. ყოველი ხალხი თავის წილში უცხოსაც შობს, თვით მისსავე წინააღმდეგ მიმართულსაც კი. ეს ბიოლოგიური საიდუმლოება უნდა იყოს. იქნებ აუცილებელია, უცხოს შობის უნარი გქონდეს, რათა სხვა ჯიშისას სძლიო. სტალინი მხოლოდ იმდენად იყო ქართველი, რამდენადაც საპირისპირო პოლუსი იყო ქართველობისა.

პრესტორიული ხელიკის გაქვავებული თავი — ასე დააბასიათა იგი ერთმა ყოფილმა თანამშრომელმა, რომელმაც, მგონი, არც კი იცოდა, როგორ ზუსტად მოარტყა მიზანს. ვიწრო, სუსტად განვითარებული შუბლი — პირდაპირ მის-

წრება საქმის კაცისათვის, გუნდადობით თუკი ზურგის ტვინი აქვს უღვეად. მაგრამ სტალინის ხერხემალი მოაზროვნესავით მაგარიც იყო ამასთანავე — მას რეპტილიის მგრძობებლობა ჰქონდა. ბავშვობაში ყვავილი მოეხადა და ამ სნეულების ძლივს შესამჩნევი კვალი კიდევ უფრო ამკვეთებდა პრესტორიულობას თავისას; ასევე კორფლი, რომელიც მისი სახის ფერს ციცარს ამსგავსებდა. უღვაშებში ირონია, დაცინვა ჩამალულიყო, თითქოს სურდა ეთქვა: შე ვხვდები, რისი დაფარვაც გინდა. ამ მღუმარე განცხადებას მალდა აწეული მარცხენა წარბი აძლიერებდა — საოცარია: ლენინთან მარჯვენა წარბი იყო. მოწყურული, პატარა, გაუმჭვირვალი თვალები ჩასაფრებულის დაფინებით იზირებოდნენ. მთელს მის არსებაში უბედურების მომტანის ცივი სისხლი იგრძობოდა, რომელიც მზაკრობით ყველას აჯობებს. მისი მზერის წინაშე ყოველი ნება უკან იხევდა.

სტალინი ნაბიჯებს კატასავით ნელა, რზილად ადგამდა, თითქოს სურდა რაღაცას დამალვოდა ან ვინმეს შეუძინევლად თავს დასამზოდა. იღუმალი ჭადო, რომელსაც შეუძლია ადამიანი უჩინარი გახადოს, ზღაპარი როდია; ტიბეტში იგი რეალობაა. ტიბეტელი იოგი, რომელსაც არ სურს შეამჩნიონ, უჩინარდება: ნებისყოფის საშინელი დაძაბვის წყალობით ის თავის ნაქუჭში ძვრება და ამით ამცირებს ხილვად ელემენტებს. სტალინიც ასე იყო ჭერ კიდევ მაშინ, როცა რევოლუციონერობისათვის ოზრანკა დასდევდა. მთვარეულივით დაეხეტებოდა ქუჩებში, ყოველ კუთხე-კუნჭულს აყურადებდა. თუ თვალს მოჰკრავდნენ, შიში მთვარეულს კი არ იპყრობდა, არამედ შემხვედრს, რომელსაც ეგონა, ადამიანს კი არა, აჩრდილს ვხედავო. პიროვნება კი არა, უმაღლიაბი იყო. მხოლოდ არალეგალური ცხოვრების გამო როდი ატარებდა სტალინი ამდენ ფსევდონიმს. სტენდალის მსგავსად, ფსევდონიმები მისთვისაც ნამდვილი სახელები იყო. სახელით იხელთებ

ერისკნული  
მედიკოსი

პიროვნებას, ასე ფიქრობდნენ ძველი ეგვიპტელები. სტალინი გამუდმებით იცვლიდა სახელებს, ამიტომ მუდამ მოუხელთებელი და გამოუცნობი რჩებოდა. ხოლო თუ დააპატიმრებდნენ, მარჯვედ უსხლტებოდა შემყრობთ. მან ბევრი ციხე მოიარა, ბათუმში, ტფილისში, ბაქოში, ცენტრალურ რუსეთში და ციმბირში — ხშირად გარბოდა ციხეებიდან. რამდენჯერმე გადაასახლეს — ისეც და ისეც გარბოდა და სულ სხვა ადგილას ამოყვინთავდა ხოლმე ახალი სახელით, ახალი ნიღბით. შესამჩნევ კვალს არსად ტოვებდა. საღდაც უეცრად თავს ამოყოფდა, უსახელო პილიგრიმი, როგორც გოლემი, რომელიც, ებრაული თქმულების მიხედვით, ოცდაათ წელიწადში ერთხელ ეწვევა ხოლმე სამყაროს: მასთან შეხვედრა გაჯრობს — გონს მოხვალ, ის კი უკვე აღარ ჩანს.

სტალინი გველივით იცვლიდა კანს და ამით ხელშეუხებლად ინახავდა შინაგან არსებას. მაგრამ თავდაცვის სხვა ხერხიც ჰქონდა: სინამდვილის გაბიაბრუება. ერთხელ ბაქოს ციხეში პოლიტიკური პატიმრები აიძულეს როზგებმომარკვებული ჯარისკაცების მწკრივებს შორის გაეელოთ, სტალინმაც გაიარა — მაგრამ როგორ? ხელში ბროშურა ეჭირა — უთუოდ მარქსისტული — კითხულობდა და ისე მიაბიჯებდა, თითქოს მას არაფერი ეხებოდა. დამსჯელუბის აბუჩად აგდებით საკუთარი პიროვნება მორალური შეურაცხყოფისაგან იხსნა. აქ უკვე ნაბოვნი ჰქონდა თავისი ნამდვილი სტიქია.

ვინ იყო ეს ანონიმი? მამამისი მეწაღე იყო, ლოთი, ბოღმიანი და სასტიკი. დედამისი — მკერავი, წყნარი, მორჩილი და გულმოწყალე ქალი. როცა დათვრებოდა, მამა სცემდა დედას. სცემდა ერთადერთ პატარა ვაჟსაც. მათ ჭოხში მეფობდა სილატაკე, ცოფიანის დორბლი და ცრემლი. იმის გაფიქრებაზეც კი, რომ საცა მამა დაბრუნდება, ბიჭს ტანში სხარავდა. თვით სამყაროს შექმნაშიც კი მხოლოდ სიბილწეს ზე-

დავდა, მამა კი ურჩხულად მტკიცდებოდა. ოჯახური კავშირის ასეთი რღვევა ბავშვს გულს უმძიმებდა. აღმოსავლეთმა იცის, რა არის მამა — კოსმიურად გამანაყოფიერებელი თესლი. თუ ბაყაყის ჩანასახოვან უჭრედს შუაზე გაჭრით, ორი ბაყაყი წარმოიშობა. ორი ნაწილიდან თითოეული გადაიქცევა არა ნახევარ, არამედ ნახევარი ზომის მთლიან ბაყაყად. ბიოლოგია აქ შეუდარებლად ადასტურებს მამობის აღმოსავლურ ინსტინქტს. ერთი ჩანასახოვანი უჭრედიდან ორი იბადება, მაგრამ რა მოსდის თავდაპირველს, შექმნისათვის განსაზღვრულს? ის არ განხორციელებულა, ფიზიკურად ის აღარ არსებობს — მაგრამ მეტაფიზიკურად სიცოცხლეს აგრძელებს ორ პატარა ბაყაყში. თითოეული მათგანი თავის თავში ატარებს მას, დაუბადებელს. აქ ცოცხლობს გვაროვნული მახსოვრობა მამისა. საღდაც ეს მახსოვრობა მოკვდება, იქ სიცოცხლე ჩავარდება საფრთხეში. სტალინის სახლში ეს მახსოვრობა დაირღვა. ვაჟმა დაწყველა მამა, თესლი. გამწარებულმა თვით შექმნა შეიძულა. მისთვის აღარ არსებობდა სიყვარული, აღარც სიხარული. მამის მიმართ სამუდამოდ ჩაბუდებულმა სიძულვილმა სიცოცხლე მოუწამლა.

ასეთ უმამოს — თუკი უმამობა მისტიურად არ დაძლია — თავიდანვე აკლია არსებითი — სიცოცხლის სიყვარული. მას არაფერი ახარებს. მის გულს არ ძალუძს კოსმიურად ძირისძირამდე გაიხსნას. ის არ არის აალეებული, ზორც-შესხმული ნაწილი მისტიურად დაგლუჯილი ღმერთისა: ის ცივია, მტკიცე და პირქუში. ასეთი ადამიანისათვის არ არსებობს ექსტაზი. ასეთ უმამოს რომ ბეთბოვენის მეტაბრე სიმფონია მოესმინა — განსაკუთრებით დასასრული, საღდაც მღელვარე ორკესტრში ადამიანთა ხმები იჭრებოან, ხმები დიონისოს მიერ გაბრუებულ არსებათა, ხმები, რომლებიც სხვა სიცოცხლეს, აბალს, ადამიანურს თუ ზეადამიანურს აცხადებენ — ის მაინც ვერ გახლეჩდა თავის ვიწრო

ნაკუჭს, რათა უნაპირო სინამდვილეს შეერთებოდა. ის ცივი, მტკიცე და პირქვეშ დარჩებოდა. თვითონ უექსტაზოს სხვისი ექსტაზის ატანა არ შეუძლია — სხვისი ექსტაზი მას არ ითრევს, ის ლამის ნამდვილი უსიამოვნებაა მისთვის. ასეთი არსება თავიდანვე ნაკლოვანია და საფრთხე ემუქრება. თქმულება კენსა და აბელზე მიუღებოდა სტალინს — ღმერთმა მიიღო აბელის მიერ შეწირული მსხვერპლი და პირი იბრუნა კენის მსხვერპლისაგან. რატომ? თქმულება არავითარ ახსნას არ იძლევა. იქნებ კენს გულით არ მიუტანია მსხვერპლი? იქნებ სურდა კიდევ გულით მიეტანა, მაგრამ სურვილზე შორს ვერ წავიდა. ერთადერთი ახსნაა გვრჩება: ჩანს, კენს თავიდანვე აკლდა სიცოცხლის მადლი. მოსეს პირველი წიგნის ფურცლები აღვივრავენ ამ ეჭვს: განა აბელი კი ჩაიდენდა ძმის მკვლელობას, იპყვეს რომ მისი მსხვერპლი არ მიეღო? კეთილ სწრაფვათათვის იმის გულია დახურული, ვისაც სიცოცხლის მადლი აკლია. ეს ყველაფერი ფარულად და იქნებ გააგებითაც კი აღრევე უნდა ეგრძნო სოსო ჭულაშვილს, როცა, მაგალითად, ერთხელ ავადმყოფი თანაკლასელი ინახულა. ის გულითადად ესაუბრება ამხანაგს, მაგრამ მისი სიტყვები ავადმყოფის გულს არ ხვდება. მოდის მეორე სტუმარი, მეორე ამხანაგი, რომელიც აღერსიანად უმბლზე ხელს გადაუსვამს ავადმყოფს — და ტკივილი ცხრება. ეს ღვთიური ძალა სიცოცხლის მადლია. როგორ ამბობს გრეტენი? — მისი სიახლოვე სულს მიხუთავსო. როგორც კი ის — მეფისტოფელი — მოგვიახლოვდება, მეჩვენება, რომ აღარც კი მიყვარხარო. გრეტენის წრფელი გული რალაცას გრძნობს: მეფისტოფელის ახლომახლო ყოფნაც კი საკმარისია სიყვარულის მოსასპობად, ატმოსფეროს მოსაწამლად. მას ლირიულობა აკლია. მას იქნებ უფრო მშვენიერი ლექსებიც კი დაეწერა, ვიდრე რაინერ მარია რილკეს — მაგრამ ერთი რამ მიუღწეველი დარჩებოდა ამ ლექსებში:

ამოუცნობი პოეტური მდინარეებზე ნახევრი მადლიანად რომ მობრწყინდეს წინასწარ სიტყვებიდან. აქ შეჩვენებაა დამალული. პოეტურ ზარბოშს არასოდეს აურჭროლებია სტალინის გული, თუმცა მოწაფეობისას საეპისკოპოსო გუნდში აბრეშუმეფით რბილი ალტით გალობდა. ეს უთუოდ დაცემული ანგელოზის ზმა იყო — ასეთ ანგელოზს ჭერ კიდევ ძალუძს მომაჯადოებლად გალობა. სტალინმა ლექსების თხზვაც კი სცადა — შესაძლოა, პატრიოტულისა — მაგრამ იმავე დროს ექსპერანტოსაც სწავლობდა: უკვე მაშინ სწამდა მსოფლიო ენისა, ცხადია, მექანიკურად შეკოწიწებულია. აშკარად სტანჯავდა სამყაროს ორგანული მრავალფეროვნება. მეტიც: თვით სიცოცხლის ატანა არ შეეძლო. მკრებელურად ოცნებობდა ნგრევაზე, რათა თავისი გამანადგურებელი თვითნებობა გამოეცადა და გაეტარებინა.

ნიპილიზმი ზედგამოჭრილი იყო საამისოდ. ვლადიმერ სოლოვიოვმა ერთ ირონიულ წინადადებაში შეაჯამა რუსეთის ნიპილისტური ინტელიგენციის ღვაწლი: ადამიანი მიიმუნისაგანაა წარმოშობილი, მაშასადამე, გაუმარჯოს თავისუფლებას! „მაშასადამე“ აქ უაზრობაა: ძნელი დასაჯერებელია, რომ მიიმუნისაგან წარმომავლობას ადამიანისათვის თავისუფლების მიცემა შეეძლოს. მაგრამ ლოგიკას ზშირად მოულოდნელად თავს ესხმის ფსიქოლოგია, და ამ სილოგიზმშიც უთუოდ ფსიქოლოგიური ალღო იყო ჩადებული. თუ დამტკიცებოდა, რომ ადამიანი მიიმუნის მოდგმისაა, მაშინ თვით რჩეულნიც კი ყოველგვარ ზიბლს დაკარგავდნენ. ნიპილეონი „ვინმეზე“ უფრო არჩვეულებრივი აღარაფრით იქნებოდა, ხოლო კლეოპატრა — არაფრით მეტი, ვიდრე ნებისმიერი ქალი. ზიბლთან ერთად მოწიწებაც გაქრებოდა. ასე ფიქრობდა ნიპილისტი. მაგრამ უფრო ღრმად აქ სხვა აზრიც იყო დაფარული. თუ ადამიანი არსებითად იგივეა, რაც მიიმუნი, მაშინ შესაძლებელი გახდება გაშიშვლება შესაქმის მცდარი მოძღვრებისა, თითქოს

ადამიანი ღეთის ხატი იყოს, და, მაშასადამე, ღეთის ხატისა და მსგავსების დამბობა. ნიპოლისტიების განზრახვას მტკიცე საფუძველი არ ჰქონდა; მით უფრო ჭიუტად ეჭიდებოდნენ მას.

სტალინიც მოეჭვა ნიპოლისტიების გავლენის ქვეშ და გატაცებით შეუღდა ბუნების მეცნიერებათა შესწავლას. ღრმად სწამდა, რომ ეს შტუდიები უღმერთობამდე მიიყვანდნენ. არსებითი ეს იყო: თუ ღმერთი მოკვდებოდა, თავისუფლებას მოიპოვებდნენ. იგი ვერ მიხვდა, რომ ღმერთისაგან მოწყვეტილ, უღმერთო ადამიანს ღმერთთან ერთად იმავე დროს სამყაროსთანაც უნდა გავყვევარა ყოველგვარი კავშირი. შესაძლოა, ქვეცნობიერად სტალინს სწორედ ეს სურდა. თუ დაირღვეოდა საკრალური კავშირი საგნებს შორის, მაშინ თვითონ სიცოცხლე აღმოჩნდებოდა საფრთხეში. ის, ვისაც სიცოცხლე თავიდანვე სტანჯავდა, ანგარიშში არ კვდებოდა.

მას ჰქონდა კარგი მეხსიერება — არა მახსოვრობა! — ძლიერი, ცივი ლოგიკა. ის დაშორდა ღმერთს და თავაშეხებულ თვითმმართველად აღზარდა თავი. ის ყველგან ცუდს ხედავდა, და სადაც კეთილს შეხვდებოდა, დამცინავად იღიმებოდა. ცივისისხლიანი სასტიკად უმოწყალო გახდა. ერთხელ ერთ შუქაში წიწილას ფეხი დააბიჯაო, ჰყვებიან. წიწილას ცალი ფეხი მოსტყდა და წივილით გაფრთხილდა. სტალინი დაეწია და მთლად გასრისა. „შენ მაინც აღარ ივარგებ“, დაიყვირა უცნაური მრისხანებით. ამ წამს იქნებ სულ სხვა, საშიშად უცხო სახე ჰქონდა.

სიცოცხლის მიმართ მტრულად იყო განწყობილი და ყველგან მტრები ელანდებოდა. მტრის დასაძლევად ორი რამ არის საჭირო: თავდაპირა და ირონია. სტალინის თავდაპირა იოგებისას ჰგავდა, ხოლო მისი ირონია უბადლო იყო. ნელა, გაუნძრევლად, გულგრილად აღიზიანებდა იგი მოწინააღმდეგეს, აქეზებდა, დასკინოდა, წყობიდან გამოჰყავდა. ის ცილისწამებითა და დამცირებით სპობდა თავის მტრებს. ამაში უმოწყა-

ლო და სასტიკი იყო. მისი ცივი ჰიბრიდა ჩაიკნება ხანდახან მკაცრ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიცოცხლეში გადადიოდა. იყო თუ არა ბოროტი ჩვეულებრივი აზრით? არა. ის არ ყოფილა მკვლელი, არც ყაჩაღი, არც არანაირი დამნაშავე. პირიქით: საუბრეთესო სურდა ადამიანებისათვის — და მაინც: მის ხასიათში იმთავითვე რაღაც უცხო გვარის ბოროტი თესლი ბუდობდა. იქნებ პირად სიამოვნებას მიელტვოდა? სულაც არა. მიწიერი სიამოვნებანი — ქალი, ღვინო, აზარტული თამაში, ფული — არ არსებობდა მისთვის. ნიშნულაა, რომ ქართულ ლხინში, სადაც მუდამ დიონისოს აღიდებენ, როცა ყველა სხვა თერგობდა, ის ერთადერთი, ფხიზელი რჩებოდა. ის გულუხვი იყო, რამდენადაც კი შეეძლო ასეთი ყოფილიყო, და დახმარებისთვის მუდამ მზად იყო, ვითარცა სულიერი მოძღვარი. და მაინც არავისთან იყო ახლო. არ ჰყოლია არც ერთი მეგობარი, რადგან ასეთი ვინმე — მეგობარიც რომ ყოფილიყო — სამუდამოდ მის ქვეშევრდომად უნდა დარჩენილიყო. შესაძლოა, ეს გულის სიღრმეში აწუხებდა კიდევ. შეიძლება ხანდახან თრგუნავდა საკუთარი ხასიათი. ასეთ წუთებში იქნებ ღრმა კავშირი იპყრობდა. მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს კავშირი თუნდაც ერთი წამით სხვებისათვის გაეშხილა. მუდამ რაღაც ხელს უშლიდა გული გაეხსნა.

ძველ სამყაროს უკვე დამეშვიდობა. მისთვის აღარ არსებობდა არც სისხლის ერთობა, არც ხალხი, არც სულიერი კავშირი, არც რწმენა. ხალხი მასამ შეცვალა, სული — კლასმა. აქ თავის სტიქიაში იყო. სოციალისტური იდეის შესათვისებლად საესებით იყო მომწიფებული. სენ-სიმონის და ფურიეს მოძღვრება მის გულს არ ეკარებოდა, რადგან უტოპიისა და რომანტიკისაკენ მიდრეკილება არასოდეს განუცდია: მარქსის დოქტრინა კი კაეალ გულში მოხვდა მის არსებას: აქ იყო ლოგიკა და სიმტკიცე და არა უხერხემლობა მისი

მენშევიკური ნაირსახეობისა. სტალინი ბოლშევიკად იყო დაბადებული. უწინ უყვარდათ თქმა, მავანი და მავანი წინაქრისტიანული ქრისტიანი იყო. სტალინისათვის შეიძლება ბოლშევიზმამდელი ბოლშევიკი გვეწოდებინა. იმდროინდელი რუსეთიდან არალეგალური მარქსისტული ლიტერატურა საქართველოშიც მოდიოდა; ერთბაშად ლენინის თხზულებებიც გამოჩნდა. სტალინი დატყვევდა: მანამდე არყოფილი ღრმა განცდა დაეუფლა — საკუთარი თავის პოვნისა, ოღონდ სხვაში. აი, სად იყო ის, რისკენაც სტალინი თავისი ბნელი ინსტინქტის ცეცებით მიისწრაფოდა: მარქსისტული იდეის დემონიზმი, რაც დასავლეთში „სიტყვა“ იყო, რუსეთში „საქმედ“ უნდა ქცეულიყო. მაგრამ ეს გარდაქცევა ცოფიანი გრიგალივით უნდა შემოვიარდნილიყო სამყაროში, რომლის საფუძვლები უკვე მოერყა ომს.

ლენინი გამოჩნდა ვითარცა მუშტად-ქცეული ენერგია ქარიშხალისა, როცა თავის ამხანაგებთან ერთად დაჯავშნული მაჭარებლით გერმანია გადმოკვეთა, რათა რუსეთში რევოლუციური ცეცხლი დაენთო, კაცობრიობამ არ უწყობდა, თუ რა ველანურმა ძალებმა მოიყარეს აქ თავი. ლენინი მოეცლინა რუსეთს როგორც რევოლუციის ბედისწერა, ის გახდა კოსმიური ბიძგის მიმცემი ოქტომბრის ნგრევისა. ორი სტიქია იყო მასში: სლავური და მონგოლური; სლავური: ჭაოსის სუნთქვა, უარყოფა ყოველგვარ საზღვრის, მონგოლური: მონაგანი კრულვა და შორეული გაქანება. ინსტინქტი და ნება ერთი იყო ლენინში. დიდოსტატი დასტაქრის თანშობილი თვისებები ჰქონდა: სწორი, უცთომელი თვალზომი; ინტუიცია, რომელიც საგნის შუაგულს ხედება; თავდაპირა, ოღონდ არა ცივი, არამედ ცეცხლოვანი; შეუმცდარად მტკიცე ხელი. ამას მასთან შეხვედრისთანავე გრძნობდა ყველა. სტალინმა ეს მასთან შეხვედრამდე იგრძნო.

1903 წელს ლენინის წერილი მიიღო

ევროპიდან. მისთვის ეს მოსეჭვივებულ ბის მიღებასავით იყო. 1903 წელს სტალინი ფინეთში პრატიულ კონფერენციაზე შეხვდა ლენინს. დიდმა რევოლუციონერმა დუმლილსმოყვარე ქართველში სანდო მეზობელი ცნო. 1906 წელს ჩატარდა ყრილობა სტოკჰოლმში, სადაც ბოლშევიკებმა მარცხი განიცადეს. მაგრამ როგორ მიიღო ლენინმა ეს მარცხი: „არ დალონდეთ, მეგობრებო, ჩვენ უთუოდ გავიმარჯვებთ, ჩვენ სწორ გზას ვადგავართ“. მის თანამოაზრეთა შორის სტალინი იყო ერთადერთი, ვინც მხოლოდ ყურით არ მოისმინა ეს სიტყვები. 1907 წელს ლონდონის ყრილობაზე ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს. მაგრამ როგორ მიიღო ლენინმა ეს გამარჯვება? სტალინი მოგვიანებით იხსენებდა: „გამარჯვების შემდეგ ის განსაკუთრებით ფხიზელი და ფრთხილი გახდა“ — და მოჰყავდა ლენინის სიტყვები: „ჯერ ერთი, არ გაიტაცოთ გამარჯვებამ და კვებნა არ დაიწყოთ; მეორე, განამტკიცეთ თქვენი გამარჯვება; მესამე, გაანდგურეთ მტერი, რადგან ის მხოლოდ დამარცხებულია და არა მკვდარი“. ყველაზე მეტად ამ სიტყვებს უნდა მოეხიბლა სტალინი, რომლისთვისაც გამარჯვებას თავბრუ არასოდეს დაუხვევია და რომელსაც ბრძოლის ველზე არასოდეს მანამ არ მიუტოვებია დამარცხებული მტერი, სანამ მთლად არ მოათავებდა. სბდომებზე სიტყვათქმნი იყო სტალინი: დუმდა — ჭეშმარიტი საქმის კაცი.

სტალინის სტიქია მის იყო: აი, სად იყო ნაღდი. ფინეთის კლდოვანი სანაპიროდან ერთხელის ზღვისპირეთამდე ორკანულ ერთობას გრძნობდა მასებთან. ხედებოდა და უახლოვდებოდა რუსებს, პოლონელებს, უკრაინელებს, ასევე ქართველებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს, ლატვიელებს, ლიტველებს, ებრაელებს და მრავალი სხვა ხალხის წარმომადგენლებს. ის ეცნობოდა მუშათა ჯერ კიდევ მთელემაზე ფსიქიკას, სინჯავდა მასების მაჯას და მათს პროლეტარულ ინსტინქტს აღვიძებდა. ის არკვევდა მათს სურვილს და ფოლადივით

აწრობდა მათს მებრძოლ ნებას. ის ათასებს ზედებოდა და მრავალი ათასი ნაცნობი ჰყავდა. მისთვის არ არსებობდა მეგობარი — იყო მხოლოდ უთვალავი ამხანაგი. ოზრანკას კვალს არ უტოვებდა, სამაგიეროდ მუშებში ტოვებდა წარუშლელ კვალს. აქაც ჩრდილში რჩებოდა: საიდუმლო ორგანიზაციებში ისე ჩნდებოდა, როგორც პროლეტარული ფსიქიკის იდუმალი უსახელო. გასაკვირი არაა, რომ რუსული რევოლუციის თავისებურება მან იმთავითვე იგრძნო. 1917 წელს, ივლისის ამბების შემდეგ, პარტიული კონფერენცია ტარდებოდა. ლენინი არ ესწრებოდა, რადგან იმალეობოდა. არ ესწრებოდა ტროცკიც. პირველად ამ კონფერენციაზე აირჩიეს ცენტრალური კომიტეტის წევრად. სტალინის მიჰყავდა კონფერენცია. მაშინ წარმოთქვა ისტორიული სიტყვა: „გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ სრულიად განსაკუთრებულად რუსეთი გაზდეს ის ქვეყანა, რომელიც სოციალიზმის გზას დაადგება... ჩვენში რევოლუციის საფუძველი უფრო მყარია, ვიდრე დასავლეთ ევროპაში, სადაც პროლეტარიატი მარტო უპირისპირდება ბურჟუაზიას. ჩვენს მუშებს მხარს უჭერს გლეხთა უღარიბესი ფენა... უნდა უკუვაგდოთ საძრახისი თვალსაზრისი, თითქოს ჩვენთვის გზის მიითითება მხოლოდ ევროპას შეეძლოს“. კონფერენციის მსმენელთა მასაში, ცხადია, გაჩნდა ეკვი იმის თაობაზე, თუ რამდენად ეთანხმებოდა ეს თეზისი დოგმატურ მარქსიზმს. სტალინმა ეს, აშკარაა, შეამჩნია და დაუმატა: „მე შემოქმედებით მარქსიზმს ვემზრობი“. აქ ის უკვე მომავალი სიდიადით წარმოვდა.

ლენინზე პირველი შეხვედრისთანავე მოახდინა განსაკუთრებული შთაბეჭდილება: ლენინმა იგრძნო ამ რევოლუციონერში რაღაც ძლიერი და ბნელი. 1914 წელს ტურუბანსკში, ენისეისკის გუბერნიაში, გადასახლეს. იმ წლის ნოემბერში ლენინი ენენევიდან სწერს თავის მეგობარ კარპინსკის: „ერთი დიდი სათხოვარი მაქვს შენთან: შეეცადე გაიგო

კობას უკანასკნელი გვარი (რუსულში წ... ჩვენ აღარ გვახსოვს), შემდეგ... ლეზე მნიშვნელოვანია“. სტალინი გადასახლებაში თავის ნამდვილი გვარით იმყოფებოდა — ყულაშვილი, და სწორედ ეს გვარი ვერ გაიხსენა ლენინმა. აქ ლენინი იხსენებს და ვერც იხსენებს სტალინს: განცდა რაღაც ბნელისა და უცხოის, ამასთანავე, მიმზიდველისა. ოქტომბრის გადატრიალებაზე ცოტა ხნით ადრე ლენინს გერმანიის აგენტობა დასდეს ბრალად. ლენინის კეთილშობილება აღშფოთდა, მან გადაწყვიტა პეტროგრადის მაშინდელი საბჭოების სასამართლოს წინაშე გაემართლებინა თავი. სტალინმა მყისვე იგრძნო საშიშროება და დაარწმუნა ლენინი, რომ წასვლის უფლება არ ჰქონდა. შესაძლოა, ამ უეცარმა გადაწყვეტილებამ „ოქტომბრის“ ბედი გადაწყვიტა. გადატრიალების შემდეგ სტალინი გვერდიდან არ მოშორებია ლენინს, თუმცა კვლავ უჩინარი რჩებოდა. როცა ტროცკიმ 1918 წლის 15 თებერვალს ბრესტ-ლიტოვსკიდან ტელეგრაფით ითხოვა შემდგომი ინსტრუქციები, ლენინმა უბასუხა: „სანამ თქვენს შეკითხვას პასუხს გავცემდე, მსურს სტალინს მოველაპარაკო“. ტროცკიმ აქ ალბათ პირველად იგრძნო, ვისთან ექნებოდა საქმე მომავალში.

სტალინს მხოლოდ ლენინისა სწამდა. მაგრამ ლენინის გვერდით იზრდებოდა მეორე ფიგურა: ტროცკი. თუ ლენინი ბედი იყო რევოლუციისა, ტროცკი რევოლუციის ნახევარბედად მოეკლინა — ნახევარბედიც არსებობს. გენია ლენინში უფრო იყო განზორციელებული, ხოლო ტალანტი — ტროცკიში. ტროცკის სიტყვა შედეგრი იყო: ის ჭაფიანი მღელვარე ტალღებით იზრდებოდა და შორს იტაცებდა მსმენელს. ლენინის სიტყვა სადა იყო, უბრალო, უპათოსო, მაგრამ მკაფიო, და უფრო ძლიერად მოქმედებდა. ერთის სიტყვა ათობდა, მეორისა მართავდა. ტროცკის სტილი დავებწილი იყო: მარქსის შემდეგ არც ერთ მარქსისტს ასე მოხდენილად არ



უწერია. ლენინს არ გააჩნდა სტილი. მისი წინადადებები გრძელი და მძიმე იყო, მაგრამ ისინი უფრო მეტად არწმუნებდნენ მკითხველს. ტროცკი რევოლუციის გარდა სხვა პრობლემებითაც იყო დაკავებული — ბელოვებით, ლიტერატურით, თეატრით. ლენინს მხოლოდ ერთი პრობლემა ჰქონდა: პროლეტარიატის გამარჯვება რევოლუციის გზით. ნებისყოფის დიდი დაძაბვით იგი ერთადერთ გზას ეძებდა მარტორქასავით. ტროცკი, როგორც რევოლუციონერი, მიხვეულ-მოხვეული, ხანდახან მცდარი გზებითაც დადიოდა. იქნებ სწორედ ამას იყო მისი ნახევარბედი. ტროცკის ყველაფერი ჰქონდა იმისათვის, რომ დიდი რევოლუციონერი ყოფილიყო, ოღონდ ბოლშევიკური ფსიქიკა აკლდა — ასეთი რამეც არსებობს. სახარებაში ქრისტეს „ძე ღვთისას“ და „ძე კაცისას“ უწოდებენ. ევრო-ამერიკელ ადამიანში ძე ღვთისა თითქმის მოკვდა. ლოგოსის ნაცვლად მასში რაციო მეფობს. უღმერთო ბოლშევიკს ლოგოსი არ სჭირდება, მისთვისაც რაციო ყველაფერია. აქ ის საესებით ისეთივეა, როგორც ევროპელი ან ამერიკელი. მაგრამ ევროპამ და ამერიკამ ლოგოსთან ერთად სიცოცხლის ქვედა შრეებიც დაკარგეს: მიწა, ინსტიტუტები, ფესვები, წინათგრძნობა. ბოლშევიკებმა კი ეს შრეები უკლებლივ შეინარჩუნეს. ინდიელის თავიდან რომ ღვთიური ცეცხლი აღმოგვეფხვრა და მის ნაცვლად ინტელექტი ჩაგვეწერა, ბოლშევიკურ ტიპს მივიღებდით. რაციო და ინსტიტუტი — უკეთესი ნახავი წარმოუდგენელია რევოლუციონერისათვის. ლენინს ჰქონდა ეს ნახავი, ტროცკის — არა. მას აკლდა ბოლშევიკის რასიული ფსიქიკა. ანდერძში ლენინმა თავის მემკვიდრეებს შორის ტროცკი პირველ ადგილზე დააყენა, მაგრამ საკვირველია, იქვე დაუმატა: ტროცკი არ ყოფილა ბოლშევიკი.

სტალინი თავიდანვე ლენინის ნატეხი იყო: მასშივე გაერთიანებული იყო რაციო და ინსტიტუტი, ოღონდ იმ განსხ-

ვავებით, რომ მეორე ელემენტის მძლავრად ჰქონდა განვითარებული სტალინს ლენინთან შედარებით უბირატესობასაც კი ანიჭებდა. ცხოველური ინსტიტუტით სტალინი მუდამ გრძობდა, რომ ნახევარბედი ვერ გაუძღვებოდა რევოლუციას. ის მუდამ აღმაცრად უყურებდა ტროცკის: არ სჯეროდა მისი. ამ დროს შერი კი არ ამოძრავებდა, არამედ ნაღდი რევოლუციონერის ყნოსვა: ისეთი ელემენტის სუნი იქრა, რომელიც რევოლუციის წიაღიდან არ იყო ნაშობი. ყველაზე უკეთ ცარიცინის ამბეში გამოამქლავნა თავი. ტროცკის სურდა წითელ არმიასი მეფის ყოფილი ოფიცრები გამოეყენებინა, სტალინს კი უბრალოდ სძაგდა ინტელიგენტები. აქ ორი ადამიანი შეეჯახა ერთმანეთს: ერთი მოდიოდა რევოლუციიდან, მეორე რევოლუციისკენ. ლენინი ორივეს საჭიროებას გრძობდა და დიდი ოსტატობით შეაერთა საპარისპირო დინებები. მან სტალინის მეშვეობით ბონაპარტიზმის საშიშროებაზე მიუთითა ტროცკის, ხოლო ტროცკის მეშვეობით ვიწრო სწორბაზოვნებისაგან გაათავისუფლა სტალინი. ეს იყო ორი განსხვავებული სტიქიის ბრძოლა, ამთგან ერთი საჩინო იყო, ხოლო მეორე — უჩინარი.

ტროცკი ლენინის გვერდით იზრდებოდა. ლენინის გვერდით ეს სვენაკული სვებედნიერი ხდებოდა. ულენინოდ კი კარგავდა იმას, რასაც იღბლიან გამბედაობას უწოდებენ. ტროცკი არ იყო ლაჩარი: სამოქალაქო ომში დემონური სიმამაცე გამოავლინა. გენერალ იუდენიჩისაგან პეტროგრადის გადარჩენა მისი დამსახურება იყო. ეს სიმამაცე მით უფრო ფასობდა, რომ ლენინი თავდაპირველად მზადაც კი იყო, პეტროგრადი მტრებისთვის დაეთმო. მას იმ დროს სხვა უფრო დიდი საფრთხე ემუქრებოდა. ლენინს ინტუიციამ მხოლოდ მაშინ უჭირდა, როცა თვითონ იჭრებოდა მოვლენებში — ფრონტები მან ტროცკის გადაულოცა. ტროცკიმ დაარწმუნა იგი პეტროგრადის შენარჩუნების საჭიროებაში და უკიდურესი, ზეადადამიანური

გამბედაობით დაიცვა ქალაქი, და მაინც: ამ გამბედაობის უკან ურყევ კლდე-სავით იდგა თვითონ ბედი — ლენინი. საქმარისი იყო, ლენინს სისხლი ჩაქცეოდა, რომ ტროცკის მყისვე დაეკარგა სიმამაცე.

რეკლუციის საბედისწერო გარდატეხის ეამი მოვიდა. ერთ პატარა შემთხვევას შეეწირა ტროცკი — მაინცდამაინც საქართველოს საკითხს. ქართველი კომუნისტების ერთი ნაწილი მდივანის ხელმძღვანელობით საქართველოსთვის მეტ ეროვნულ თავისუფლებას ითხოვდა. ამ მოთხოვნის წინააღმდეგ ყველაზე მკვეთრად სტალინი გამოვიდა: მამის მოძულე მამულის მიმართაც მტრულად უნდა ყოფილიყო განწყობილი. ლენინმა შეატყო, რომ საქართველო უაღრესად თავისებური ქვეყანა იყო, და მდივანის ჭგუფს მხარი დაუჭირა, თუმცა წმინდა კომუნისტური თვალსაზრისით იქნებ სტალინის ცენტრალისტური ხაზი უფრო იყო გამართლებული... შესაძლოა, სხვა რამეშიც იყო სიკვამლე. სისხლის ჩაქცევის შემდეგ ლენინს, რომელსაც უკვე ჩაესუნთქა სიკვდილის პაერი, ინსტინქტი გაუმძაფრდა. მოცულილი მარტორქა ახლა უკვე ხედავდა თავისი პატარა დაბინდული თვლებით, რომ უჩუმარი და უჩინარი კატა, სტალინი, ვეფხვში გადაიზარდა. საკუთარ თავს საყვედურობდა, რომ აქამდე ეს ვერ შეამჩნია. სცადა წელში გამართულიყო და ღონიერი შეძახილით კვლავ კატის სხეულში გამოემწყვდია ხახადაღებული ვეფხვი, მაგრამ გვიანდა იყო. ეს ალბათ ლენინის ყველაზე მწარე გაწბილება იყო... საქართველოს საკითხში ტროცკი ლენინს მიემზრო — თავისთავად გასაგებია: საქართველოს სიყვარულით არა. ავადყოფმა ლენინმა მოამზადა მოხსენება, რომელიც მეთორმეტე პარტიკონფერენციაზე ყუმბარასავით უნდა გამსკდარიყო სტალინის წინააღმდეგ, მაგრამ, რადგან სისხლის ჩაქცევის განმეორებას შიშობდა, მთელი მსახლა ტროცკის მიანდო, ხოლო მდივანისათვის მი-

წერილი ბარათის ერთი ასლი კამენევის გაუგზავნა. ეს საქმარისი იყო, რათა სტალინს ყველაფერი შეეტყო. იგი მოემზადა. ჭერ სცადა ლენინისთვის გადაეთქმევიინებინა, მაგრამ კრუპსკია შეწინააღმდეგა და გზაზე გადაეღობა. აქ სტალინს დიდი შურთაცხყოფა უნდა მიეყენებინა ბელადის ცოლისათვის. ლენინი განრისხდა და მეუღლეს სტალინის მისამართით წერილი უქარნახა, რომელშიც ყოველგვარ პირად ურთიერთობას წყვეტდა თავის მარჯვენა ხელთან. ეს იყო ლენინის უკანასკნელი და ამავე დროს ყველაზე საბედისწერო წერილი. სტალინმა კარგად უწყოდა, რას ნიშნავდა ეს განხეთქილება ლენინთან, და მისთვის დამახასიათებელი ჩუმი, პირქუში შეუპოვრობით ნახტომისათვის მოემზადა. ტროცკიმ იხმო კამენევი, ყველაფერი შეატყობინა და მოითხოვა შეცვლილიყო ეროვნული პოლიტიკა, კერძოდ, საქართველოს საკითხში, ხოლო სტალინს ბოდიში მოეხადა კრუპსკიას წინაშე. კამენევიც გადასცა სტალინს. სტალინმა დათმო: ბოდიში მოიხადა, ხოლო კამენევი საქართველოში გაგზავნა ეროვნული პოლიტიკის შესაცვლელად. შინაგანად კი ბოღმით აივსო და სხვა რამისათვის მოემზადა. სწორედ ამ დროს ლენინს მეორედ ჩაექცა სისხლი. სტალინმა კამენევის სასწრაფოდ დეპეშა გაუგზავნა. კამენევი საკმაოდ ეშმაკი იყო და მყისვე მიხვდა, როგორ უნდა მოქცეულიყო: როცა ტფილისში ჩამოვიდა, ორჯონიკიძის — სტალინის თანამოაზრის — მხარე დაიჭირა. სტალინური პოლიტიკის შეცვლის მაგიერ მის განმტკიცებას შეუწყო ხელი.

ასე დამთავრდა ეს პატარა ინტერმედია. მაშინ უკვე გადაწყდა, ვინ გაიმარჯვებდა მომავალში. ჩაექცა თუ არა ლენინს სისხლი, ტროცკიმ ისტორიული სიმამაცე და საკუთარი თავის რწმენა დაკარგა. მან არ იცოდა, რომ ქართულ ენაში „ბედს“, „გამბედაობას“, „ბედნიერებას“ ერთი ძირი აქვს. სტალინმა კი იცოდა, და არა მხოლოდ ასოების მიხედვით, თუმცა მესამის — ბედნიე-

რების — აღსაქმელად იმთავითვე აკლდა ორგანო. ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეში მან გაბედა ყოფილიყო ლენინი. რაც შემდეგ მოხდა, მხოლოდ გაღვივება იყო ჩანასახისა. მოკვდა თუ არა ლენინი, სტალინმა სამუდამოდ მოაშთო ტროცკი. ორი დემონის ბრძოლაში, როგორც ყოველთვის, აპრიმანმა — სიძულვილის ნაშიერმა — დაამარცხა ლუციფერი. სხვა დიადოხების დამარცხება ადვილი საქმე იყო. სტალინმა ლენინის ადგილი დაიკავა.

გადიოდა დღეები, კვირები, თვეები, წლები. ოპოზიციური პარტიები მარჯვნიდან და მარცხნიდან თავს ესხმოდნენ სტალინს. სტალინი, მრავალმხრივ გამოცდილი, მუდამ იმარჯვებდა. დამარცხებულნი ჭედს იბრდნენ მის წინაშე, იჩოჭებდნენ და ცოდვებს ინანიებდნენ. „ლევენდარული ქართველის“ გამარჯვებები ყველას უჯივრდა და ლენინის მიერ შერქმეულ ამ მეტსახელს ახლა ყველა ყურადღებით აკვირდებოდა. უჯივრდათ და ვერ გაეგოთ: როგორ? საიდან ასეთი ძალა ამ ველურ, უხეშ კავკასიელში? მათ ვერ გაეგოთ, რომ სტალინის ბოლშევიკურ ფსიქიკაში დაუშრეტელი ინსტინქტები კვებდნენ რაციოს. სწორედ ეს იყო ვადამწყვეტი გამარჯვებისთვის. გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა, სტალინი დღითი დღე იზრდებოდა და ვერავითარი ძალა ვეღარ აჯობებდა მას. ყოფილ რუსეთის იმპერიაში უმითო ეპოქას ერთბაშად არნახული ტოტემური ძალის მქონე კაცი მოევიწინა.

რევოლუციის ბედი, ლენინი, კუბოში იწევა ბალზამირებული — მითი ახალი ფარაონისა. რევოლუციის მებრძოლი ტროცკი, გაგდებული, ბოსფორის ნაპირებზე მემუარებს წერდა. რევოლუციის საქმე ხელთ ეპყრა სტალინს. ის იჯდა კრემლში როგორც ადამიანდაქცეული რადიომიმღები: საბჭოთა ქვეყნის კიდით კიდიდან უთვალავ ტალღებს იღებდა. ის ამ ტალღების მხოლოდ მიმღები კი არ იყო, არამედ მათი შემოქმედი და განმსჯელი. ერთი განკარგულებით შეაჩერა ქვეყნის კოლექტივიზაცია, როცა

„წარმატებებმა“ თავბრუ დასწვინა საკუთრებით ყოჩაღებს და ლენინის კატასტროფა გამოიწვია. თვითონ უცნაური მოლექულა თვრამეტი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ მუშათა მასების მოლექულურ პროცესებში ყვინთავდა და არც ერთი მოლექულა ზელშეუხებელი არ დარჩენია. სხვა თანამებრძოლნი რევოლუციამდე რუსეთიდან შორს ცხოვრობდნენ: რუსეთის განვითარებას ევროპის ემიგრანტული მანსარდებიდან ადევნებდნენ თვალს. სტალინი კი მუდამ მუშათა მასების ქაბობობაში ცხოვრობდა — მუდამ უჩინარი, მაგრამ ქმედითი ელემენტი. ძველ დროში ტომის ბელადში მთელი ტომის ძალა იყრიდა თავს, სტალინში შეგროვდა პროლეტარული ენერჯია, და როცა რევოლუცია ძღვევამოსილად გაიშალა, მან ამოყვინთა: ის რევოლუციის განხორციელებად იქცა. ის უკვე აღარ იყო ადამიანი, ის იყო არსება, სასტიკი და საშინელი.

ზოგიერთები მას ჩინგიზ-ხანსა და თემურს ადარებდნენ. შედარება მცდარი გახლდათ: მონგოლ დამპყრობლებს ჰქონდათ ცეცხლი, გაქანება და სიშმაგინი. სტალინს არ ჰქონია ცეცხლი, ის ციგ-სისხლიანი იყო. ეს ერთგვარად აორბავებდა კიდევ მის ძალას. სტალინს არ უხდებოდა ნიუშეს სიტყვები გენიის სიმწიფის შესახებ: „ის კვლავ პოულობს სერიოზულობას, რომელიც ბავშვობაში ჰქონდა თამაშისას“. მას არ ჰქონია ეს სერიოზულობა, თვით ბავშვობის ასაკში აკლდა ბავშვობა, თავიდანვე რაღაც ამძიმებდა და არ უყვარდა თამაში. ყოველგვარი კომპლექსებისა და შეფერხებების გარეშე მოქმედებდა როგორც ბუნების ძალა, ბრმად და მძლავრად.

მას შურიანობას მიაწერდნენ და შემდეგს ჰყვებოდნენ. პეტროგრადის გადარჩენისათვის პოლიტიურომ ტროცკი „წითელი დროშის“ ორდენით დააჩილდოვა. უეცრად კამენევმა წინადადება შემოიტანა, ასეთი ორდენი სტალინსაც ეკუთვნისო. „რისთვის?“ ხმამაღლა იყვირა კალინინმა. ბუხარინმა განმარტა: „ნუთუ არ გესმით? ეს ლენინის იდეაა.

სტალინი ვერ იტანს, როცა არ იღებს იმას, რაც აქვს სხვას. ის ასეთ რამეს არასოდეს პატიობს“. ამას იხსენებდნენ და ვერ ამჩნევდნენ, რომ, თუ მართლაც ასე იყო, მაშინ ლენინისთვის ადამიანის ცნობას უმტყუნიან. სტალინს არ შეეძლო შურიანი ყოფილიყო. მართალია, სხვისი გამორჩეულობა აუტანელი იყო მისთვის, მაგრამ იმიტომ კი არა, თითქოს სურდა თვითონ ყოფილიყო გამორჩეული: იგი რჩეულობას საერთოდ ვერ იტანდა, ვერც საკუთარს და ვერც სხვისას. საკუთარი თავის რჩეულობად გრძნობდა თრობის ნიჭია: სტალინში კი დიონისოს გადატანითი მნიშვნელობითაც კი არასოდეს უცხოვრია. სხვათა შორის, ეს თვისება იყო ჯავშანი ძალაუფლების შენარჩუნებისათვის. იგი არ იცნობდა გამარჯვების ბანგს.

ყველას აკვირებდა სტალინის ასე-ტიზმი, ყველა აღტაცებული იყო იმით, რომ მას არ იზიდავდა მიწიერი სიამოვნებანი: არც ქალი, არც თამაში, არც ღვინო, მაგრამ ვერ ამჩნევდნენ, რომ სტალინს სრულებით არ სჭირდებოდა ასეტიზმი: ასეთი რაღაცებისათვის მას უბრალოდ ორგანო აკლდა. უნდა გიყვარდეს, რათა სიამოვნება იგრძნო — თავდავიწყებამდე, მაგრამ სტალინს არასოდეს დაივიწყია თავი, ხოლო დოსტოევსკის სიტყვებს ჯოჯოხეთის შესახებ — თუმცა არც ჯოჯოხეთისა სწამდა და არც სამოთხისა და ყოველგვარ ღვთის რწმენას, ლენინის მსგავსად, გვამთავლობას ადარებდა — დოსტოევსკის სიტყვებს: „ჯოჯოხეთი არის ტყვილი იმის გამო, რომ აღარ ძალგდის სიყვარული“. ყველაზე მეტი თავსატეხი უნდა გაეჩინა მისთვის. მას არ ჰქონდა სიყვარულის ნიჭი. აქ დაელო ხაზა უღრმეს სიცარიელეს მისი კაეშნისას, დამნაშავეობის შეუვალ ნიღაბს რომ ამოჰფარებოდა.

საქმეებში ჩაფლული სტალინი კრემლში იჯდა, ძალაუფლების პატრონი, მაგრამ არა ხელმწიფე, არსება და არა ადამიანი, რევოლუციური ძალების ელექტროგაყვანილობა გამაფრთხილებელი

წარწერით „მომავდინებელია“ მასთან ტელეფონით საუბარაც ვერ შეეძლებოდა. მისი საშინელი მოქმედებისაგან არავინ იყო დაზღვეული. სისასტიკით აღსავსე ძლიერ-ვაშლისად აღმართულიყო, როგორც საბჭოეთის — და, შესაძლოა, მთელი მსოფლიოს — ცივი და ბრმა ბედისწერა. როცა ხანდახან იღუმელი კონტაქტი გადაირთვებოდა, როცა ის — შეუღრეკელი — დროებით ღენის ქსელიდან გამოზობდებოდა დარეტიანებული და გაუცხოებული, როცა შეშინებული გრძნობდა, როგორ ეცლებოდა ღონე, აი, მაშინ სტალინი მხოლოდ სოსო ჭელაშვილი იყო, უბრალო ქართველი. მაშინ ახსენდებოდა შორეული საქართველო, რომლისგანაც ესლა შემოენახა: საცივისა და კახური ღვინის გემო, მრავალგამიერის ჰანგი და ქართული გინება: „შავათი დედა კი ვატირე“.

თამაზმა რეველი ვადადო და სინათლე ჩააქრო. ბუხარში ჯერ კიდევ ღვიოდა ნაღვერდალი. მთელმხარე ნახშირი თითქოს დიდი ძაბვისაგან გათავისუფლებულიყო. თამაზსაც ნელ-ნელა ჩასთვლია, თუმცა ძილი არ მოდიოდა. იმ სიფრთხანა საზღვარს მიაღწია ძილ-ღვიძილ შორის, როცა გძნობები დაჭიმულია უკიდურეს სინათლემდე. სიზმარ-ცხადში ბუნდოვანად და უცხოდ ის ბეები გაახსენდა, ოცდაათი წლის წინ თავისი ხელით რომ დარგო მშობელ მიწაში. მწუხარედ დასცქეროდა ახლა მიწაზე დაცემულ ამ ბეებს, მკვდართ, გამხმართ, ფესვებამოგლეჯილთ. სიზმარსა და ცხადს შორის წამით ამ ხეებად იქცა. შეძრწუნდა. სიცოცხლის კიდებზე იგრძნო თავი, საკუთარი თავისა აღარ სჯეროდა. მისი არსება ხანდახან მკვეთრად ეხებოდა იმ ზღვარს, სადაც არაა და ღმერთი ერთად არიან. ამჯერად ისე ჩანდა, თითქოს მხოლოდ საშინელს შეეხო, „არარას“ — სუნთქვა გაუჩერდა — პირდაღებულ სიცარიელეს, რომელიც გაქრობას უქადის და „არად-ყოფს“. თამაზი ძლიერ შეშინდა. თითქოს სიკვდი-

ლი შეეხოო, ძილ-ღვიძილიდან გამოერაკვა, ცივ ოფლში ცურავდა. უნდოდა ელოცა — მაგრამ ლოცვა მაშინ შეიძლება, როცა სული ივსება, როგორც თავთავი ჩუმი მწიფობის მაღლიან ქამს. თამაზმა იგრძნო: წამიცი და გონებას დაქარგავს არარას წინაშე... ნაკვერცხალი თეთრად აღარ ვარვარებდა, უკვე ჩაეთვლიმა. თამაზმა კვლავ აანთო სინათლე, შინაგან სიღრმეებს მიუგდო ყური. ანაზღად ბუხართან ხის მორზე დიდი მორიელი შენიშნა. შიშმა მოიცვა, სუნთქვა შეწყვიტა. მორიელი არ ინძრეოდა. თამაზი, ჰიპნოტიზირებული, წამოიძვრა, მარცხენა ხელში ფანქარი აიღო, მარჯვენაში — კალმისტარი და მორიელისკენ გაემართა — ჩუმად, მოუხეშავად. მთელი სხეული უთრთოდა. მორიელი ოდნავ შეირბა, თავის დასაცავად მოემზადა. თამაზი შიშსა და ზიზღს აევსო, განადგურების ტკბილ მოლოდინსაც. გაბრაზებულმა ფანქართა და კალმისტართ ერთბაშად აიყვანა მორიელი და ნაკვერცხლებში მოისრო-

ლა... გაშეშებული ელოდა... შეჩვენდა... ხე, არაფერი მომხდარა, მორიელი მალე მალე გაქრა. თამაზი შეშინებული და დათრგუნული შემოტრიალდა. უეტრად იმ ხელნაწერში, სტალინს რომ ეხებოდა, ნაზი შრაშენი მოესმა: ნუთუ რვეულში შექვრა მორიელი? თამაზს ფიქრი აღარ შეეძლო, აკანკალებულმა ფრთხილად აიღო რვეული და ცეცხლში შეაგდო: ჭკუაზე შემცდარივით უუურებდა ცეცხლის ალში გახვეულ ფურცლებს. ნელ-ნელა ფერფლად იქცენენ... უეტრად გარედან მანქანის შემოგელებების ხმა მოესმა, ცოტა ხნის შემდეგ კი საექვო ზარი კარზე. რამდენიმე წამში ორი გაუ-ელი გაჩნდა. თამაზი კვლავ გონს მოეგო. აპატიმრებდნენ. გაუ-ელებმა რვეულის ერთი პატარა, დაწვას გადარჩენილი ნაგლეჯიც გამოიღეს ბუხრიდან და თან წაიღეს. მთელი გზა მხოლოდ ამას ფიქრობდა: ნუთუ შეიძლებოდა, ქალაქის ამ ნაგლეჯს რაიმე საექვო ნაწერი შერჩენოდა?

გერბანულიდან თარგმნა  
ალექსანდრე კარბოვიჩი

□ ბაზრამუშაა იქნება □

## რომი

სანახავზე დახარბებულ  
კაცის თვალის გასაძღომო,  
რა ხიბლი გაქვს, რომ შენ ყველას  
თავი უნდა დაახსოვო.

პალატიის ბორცვზე მდგომმა  
მინდა კიდევ გნახო, რომო,  
მზე რომ ტიბრზე დაგორდება,  
როგორც კვერცხი სააღდგომო.

ანდა მინდა გნახო, როცა  
გაცოცხლდება სხვა თარიღი,  
შუბის ტარზე გადმომდგარი  
მზე რომ იწყებს ისევ კიხვინს  
და სპილენძის ფარად მერე  
იხმარს იმ მზეს ძველი რიხით  
შენს ქუჩებში ვერაგულად  
შემოჭრილი აღარიხი.

მზე შეიდ ბორცვზე ჩამოწოლილ  
ნისლს გაადნობს, როგორც ბეზეს,  
რემს და რომულს ძე მგელივით  
მოაწოვებს ძუძუს ზეზე,  
ყველგან შევა, იბტუნავებს  
ქალის მხრებზე და ქოლგებზე,  
სულერთია მისთვის ვილა  
ფარნეზეა თუ ბორცვზე.

ლილიპუტი ხალხი კი არ,  
გოლიათი ხალხი სეიფტის  
აქ ცხოვრობდა შემდგომ შუა  
მდინარეთის და ეგვიპტის,

ჩამოართვეს ბერძნებს სკიპტრა,  
დაიმშვენეს ხელი სკიპტრით  
და შემორჩინენ ისტორიას  
აწყობილი მსხვილი შრიფტით.

ეფიცხები მზეს ბებერი...  
პანიბალის სპა უზომო  
აღარ მოვა და ბრინდიზში  
აღარ დასწვავს მრავალ დრომონს,  
მხოლოდ კინემატოგრაფი  
გაიძულებს ალბათ, რომო,  
ყველა პუნიკური ომი  
ხელმეორედ რომ იომო.

შენ, პირველი ქალაქო და  
ქალაქების წინაპარო,  
ვერა, მე ვერ მომეჭკევი  
ვით მონას და ვით ბარბაროსს,  
ყველა საბუთს მოვიხმარ და  
ყველა წერილობით წყაროს —  
ქრისტეს ჯვარის დასაბსნელად  
რომ ვშველოდი ფრანგთა კაროლს.

ფორუმ-კოლიზეუმებით  
საკარნავალ-სათეატროდ  
გადაშლილო, ვერ დამხედები,  
ვით მონას და გლადიატორს,  
რადგან ბოლოს მეც გუნდრუკი  
გიკმით და უნდა გხატო,  
ვიდრე მიქელ-გაბრიელი  
გამომლადრავს ამ ყანყრატოს.

რაკი შენი შეეყვარება  
 ვერ მოვასწარ ერთის ნახვით,  
 მთვარეს კიპარისები რომ  
 გაუყრიან გულში მახვილს,  
 ან კორსოზე ან პიაკა  
 ნავონაზე ამ განზრახვით  
 რომ ვიარო ხელმეორედ,  
 არ ვიჭნები დასაძრახი...

მე იქ ლანდი შემეყრება,  
 როგორც მწყემსი მისდევს სარქალს,  
 ისე უნდა ავედევნო,  
 უცებ თუ არ დამეკარგა,  
 არაფერი მეხსომება,  
 არც დანტე და არც პეტრარკა,  
 თუ შევასწარ თვალი ერთხელ  
 რომში მისი სულის კანკალს...

იგი მეტყვის: „ცნობისწადილს  
 აყოლილო, რომი უხვად  
 დაგაპურებს გასართობით,  
 თუ ამისთვის ჩამოსულხარ!  
 მე კი ბერობაში საბას,  
 ერისკაცობაში სულხანს  
 არ მასვენებს ქართლის ჳირი,  
 რა ვუშველო ამ საწუხარს?..“

საქართველოს ასაკლებად  
 ყველას ცხენი დაურახტავს,  
 ხელი ვისაც გავეწოდეთ,  
 მანაც გვიმტრო, დავრჩით საბტად,  
 ვიღუპებით და სამეფო  
 ტახტი აღარ ტახტობს ტახტად,  
 ირგვლივ ყველა აგვეშალა,  
 რა ვუშველო მეფე ვახტანგს?..

საქართველო ჩვენვე ვყიდეთ,  
 თვალითაბედვა გვჭონდა ვიწრო,  
 რაც გვებადა, ვინაიეთ  
 ქარში ფიწლით და უფიწლოთ,  
 ჩვენმა ტანჯვამ აწ ღვთისმშობელს,  
 უსათნოესს და უბიწოს,  
 გული უნდა დაუსეროს,  
 სახე უნდა დაუღრიცოს.

რომის კაპიტოლიუმზე  
 გაშფერილი ხელის მტევნით  
 შენგიანი ქვის მხედარი

ირგვლივ ტურისტების მრევლით  
 დგას და ისე იმზირება,  
 ვით სხვა ქანდაკება ბევრი,  
 კაცის სულის და გონების  
 განათება და შედევრი.

მაგრამ მაინც ვერ შთაბერავს  
 ქანდაკება ანდა ტილო  
 კაცს სულს ისე, ვით უფალი  
 და რომ უფალს შევეცილოთ.  
 სათაკილო არის მეტად,  
 კაცს სოფელზე ზრუნვა, შვილო,  
 უფრო აქანდაკებს, ვიდრე  
 ტრავესტინის მარმარილო.

მუხთალია ეს საწუთრო,  
 მაგრამ უნდა დავაფასოთ,  
 რა გქნათ, ქრისტე ჭვარს თუ აცვეს  
 და შეუნდეს ბარაბასო,  
 გული როგორ გავიტეხოთ,  
 როგორ წარვიკვეთოთ სასო,  
 კაცი ძირს რომ იღუნება,  
 განა ჩვენთვის იღებს ქვასო?...

როცა ყველა წაგვეკიდა,  
 ყველამ წაგვეკრა თითო ქისტი,  
 ამ ქვეყნიდან წამოსულმა,  
 როგორც ნერგი ვარდობისთვის,  
 აგვაყენა და ეწამა  
 ჩვენი სულის გამოხსნისთვის,  
 კაცმა უნდა დააფასო,  
 ვინც ხელს ჳირში გამოგვიწვდის.

თეატინელს, დომინიკელს  
 თუ ფრანცისკელს, ის, ვინც მისდევს  
 ქრისტესს მცნებას და ვინც ჩვენთან  
 მოიყვანა ჭვარით ქრისტემ;  
 ვინც ყრმა ქართლში დააპურა  
 და უწამლა წამლით სხვის თემს,  
 ჩვენ მადლობას თუ არ ვეტყვით,  
 ღმერთი უნდა გავვირისხდეს...“

ამას მეტყვის, გამშორდება,  
 სიტყვას აღარ გაიმეტებს,  
 მისი ეტლი აქ შეუხვევს,  
 არ გაჰყვება სხვების ეტლებს.  
 მე, უცხოელს, ვატაკანში  
 თუ გულგრილად შემომხედეს,

ის პაპს ნახავს, როგორც ვერსალს  
ნახა ლუი მეთოთხმეტე.

ჭამხის წითელ ნოხზე ივლის  
და უეცრად დაინახავს  
პაპის სტაერის ყვითელ მიტრას  
და მის ფილონს, მკედით ნაჭარგს,  
პაპი მისცემს ძელს კეშმარიტს  
ელჩს და კრილოსნად აქატს  
და სტუმრობა გათავდება...  
ჭირი იქა, ლხინი აქა.

საბა ჭრისტეს აქეთ ათას  
შვიდას თოთხმეტ წელს კალენდრით,  
მამლის ყვიელობის ზანზე  
პაპის ბულით და კარტით  
რომს დასტოვებს და გაპყვება  
უკან ბული და მტერის სვეტი

და სამი წლის შემდეგ ჩავა  
სამშობლოში კუპანწყვეტით.

მე კი, რომო, უკვდავების  
ლიმილით და თავზე დაფნის  
გვირგვინით რომ გნახო, ვივლი  
კორსოზე და ლექსს დაგჩხაპნი,  
ენახავ გალაღებულ ერის  
ქალაქს შურით და მის აპრილს  
და კვლავ მწარედ დამაფიჭრებს  
გზა ჩემი და გზა წინაპრის.

რა ვქნა, გულს თუ ვერ დავუღებ  
იტალიურ კვატროჩენტოს,  
და დავუნთებ საბას სანთელს,  
რომ სან-პიეტროში ვნთოს.  
სამასი წლის შემდეგ ისევ  
სატანჯველი გვაქვს საერთო,  
გვეედრები, რომ ორივეს  
ხელი მოგვიმართე, ღმერთო!

### ვედრების ლექსი

მომიტვე, აქამდე  
თუ ვუძღვებ და ვუძღვებდი  
თავმოხვეულ ცხოვრებას  
და თუ ისევ მიზიდავს,  
თუ ვერ დავთმე ქვეყანა  
გულხარბი და უძღვები,  
თითქოს გადმოხატული  
პართენონის ფრიზიდან.

ერთელ თავგაყოფილი  
ფიჭრის აბლაბუდაში  
თუ ლექსს ვებლაუჭები  
ურითმოს და რითმიანს,  
გულისცემა საათში  
ორიათას ხუთასი,  
მომიტვე, შენსავით  
თუკი ვერ დამითმია.

მომიტვე, აქამდე  
თუ ვარ-მეთქი ცოცხალი,  
თუ ვსუნთქავ და ვიციანი,  
კრემლი მდის და მცევა,

სხივის ოქრომკედელი,  
შუქის ხუროთმოძღვარი  
ათასხელეზიანი  
თუ მეხვევა შივა.

წუთისოფლის სრბოლაში,  
ტირილში და ხარხარში  
თუ შევეყრებ აქამდე  
დაუწერელ რომანს,  
ბრინჯიანი მყაუნით  
ან ლობიოს ნახარშით  
თუ ვიმშვიდებ შიმშილით  
ამბოხებულ სტომაქს.

თუ კვლავ გამეჩხერებულ  
თმაში ყვითელ სავარცხელს  
ფიჭრიანი ვატარებ  
გაქუცული ხანით,  
და რომ გაზაფხულია  
და სიკოცნლე მამარცხებს  
თუ ტოტების ჩქერალით  
თუ ალუბლის ტანით.

რომ კვლავ ლექსით ვარსებობ,  
სანამ მიხმობს ჰადესი,  
სულს ცხოვრება ვერავის  
ველარ გამოუცვლის,  
და რომ გახლართული ვარ  
სიყვარულის ბაღში...  
ლექსი საყვედური  
ცარიელი ფურცლის.

მომიტევე, აქამდე  
ჩემთვის უიოლესი  
არ იყო და არ არის  
თუ ვარსებობ ისევ,  
ბალიშს, გადაშვებულ  
სიზმრის მღვრიე მორევში  
ისე ვებლაულები,  
როგორც ცხენის კისერს.

მომიტევე, დამყურებს  
თუკი ჰერი სახლისა,  
ვიკუნტები ლოგინში  
ემბრიონის მსგავსად,  
ანდა ზოგჯერ ბაგეებს  
თუ სიცილი გახლიჩავს  
და თუ დამცემს უეცრად  
ეს სიცილი თავზარს.

მომიტევე, ათასში  
ერთხელ წიგნს თუ გადავშლი,  
ანდა ცრემლის მდინარეს  
თუ ვუნახე ფონი,

სულისა და სხეულის  
კარნახს თუკი ათასში  
ერთხელ დავემორჩილე  
და დავკარგე გონი.

დალეწილი ასკილის  
გატყავული ბუჩქი ვარ,  
გარუჭული კოცონის  
ცეცხლითა და ბოლით,  
მომიტევე, ქვეყანას  
რომ აქამდე ვუცქირე  
და რომ ვსუნთქავ ფილტვების  
ყველა ალვეოლით.

მომიტევე, აქამდე  
რომ მაისის ამინდებს  
შევეყურებ და ბავშვების  
სირბილსა და კისკისს,  
მალე ის დღეც დადგება,  
რომ სიკვდილი ამითრევს,  
მოვალ მახარობელი  
სევდიანი ცისკრის.

კოლეგების სხდომაზე  
წასულების სახელებს  
თავმჯდომარე ჩამოთვლის  
არჩეული ვადით,  
ხალხს სკამების კრიალით  
ფეხზე წამოაყენებს,  
წამიერი დუმილით  
მომგებენ პატის...

## შენ, ერთადერთო

შენ, ერთადერთო მრავალთა შორის,  
ძვირფასო შენი ერთადერთობით,  
მადლობელი ვარ იმ დღეებისთვის...  
მეხსიერებას სანამ ვენდობით,  
არ შეიძლება, არ გაგვახსენდეს  
ის, რასაც კაცი ერთხელ განიცდის,  
მადლობელი ვარ სიზარულისთვის  
და ვარსკვლავების ჩამოტანისთვის.  
მადლობელი ვარ-მეთქი, ძვირფასო,  
იმ ტანჯვისათვის, სულს რომ მიღრღნიდა,  
სიტყვები, თრთოლვით დაბადებული,  
რომ ამომქონდა სულის სიღრმიდან.

მადლობელი ვარ იმ ცრემლებისთვის  
 და ქალწულური შენი ნდობისთვის,  
 მთელი ცხოვრება მხოლოდ და მხოლოდ  
 ანარეკლია იმ ღვინობისთვის.  
 მადლობელი ვარ თითებისათვის,  
 ბნელში თამაში რომ გამიმართა,  
 თვალებს აღერსით რომ გადივლიდა  
 და ჩერდებოდა ბოლოს ყვრიმალთან...  
 მერე უეცრად რომ თენდებოდა...  
 დღეს ათენებდა შაშვი-სოლისტი.  
 მადლობელი ვარ იმ ჩურჩულისთვის  
 და იმ ჩურჩულის სულთაბრძოლისთვის...  
 რაც არაერთხელ გაგვახსენდება,  
 მებსიერებას სანამ ვენდობით,  
 შენ, ერთადერთო მრავალთა შორის,  
 ძვირფასო შენი ერთადერთობით!..

### ბურჟინტანის ვილაიეთის დიდი დავთარი

ეს ლეგენდა ასე ვიცი:  
 ახალციხის ბაზრის დახლებს  
 რომ ჩაუვლის მეცნიერი,  
 გამყიდველი ყველს რომ ახვევს,  
 ხედავს დავთრის ფოლიანტში...  
 იმ დავთარს და დავთრის ნახევს  
 ართმევს ვაჟარს და ფულს აძლევს,  
 თან ხელები უცახცახებს...

ოსმალური ეს დავთარი  
 თითქოს იჩხვლიტება ქაცვით,  
 ყველა სიტყვით და სტრიქონით,  
 ყველა სიით და აბზაცით  
 და გადმოაქვს ისტორიის  
 შავი კვამლი ქარს ბარბაცით,  
 ლოყებს უნდა იხოკავდეს  
 ამის წამყობნავი კაცი...

მაშინ წახდა საქმე, მექმედ  
 სულთანმა რომ ზურგზე ბოლი  
 აადინა კონსტანტინეს,  
 დასცა კონსტანტინეპოლი,  
 ვით ფელუჯა თათრის ზღვაში,  
 განწირული და ობოლი,  
 დავრჩით... მერე რაც გადაგვბდა,  
 არის ძნელი მოსაყოლი.

მექმედ სულთანს სისხლიანი  
 ხელი მალე გადაბანეს  
 და აია-სოფიაზე  
 გუმბათსა და ლავგარდანებს  
 თურქის მთვარემ გადმოხედა,  
 მეჩეთს მთვარით დაამგვანეს  
 და დაადეს ეანგიანი  
 კლიტე ბოსფორს და დარდანელს.

ჩვენ ხელიდან გაგვსლტომია  
 იმ დღეს ისტორიის ძაფი,  
 ერთხელ გაკაფული ვახდა  
 ხელმეორედ გასაკაფი,  
 კარი გაღნიშებული  
 ვერ მივხურეთ ალყაფის,  
 შეწყდა ჩვენი სიარული  
 გზებზე ნალარით და დაფით.

დაჭდა თათრის მდივანბეგი  
 და აღნუსხა მდივანბეგმა  
 შავშეთ-კოლა-არტაანში  
 ხალხი ვინ და რით დაბეგრა,  
 თუ რა ახჩა შეაწერა  
 ქალას, მინდორს, ტყეს და ზეგანს  
 და ქართველი კაცის სული  
 ვინ თელა და ვინ გაზერგნა.

ამ რეესტრში აშრიალებს  
ქარი თურქის წამოსასხამს,  
რომ დაპყრებს არტანუჯში  
ხარბად ჩემი ყანის ხასხასს,  
ის ცოცხალი თავით ამას  
არც მე დამანებებს, არც სხვას,  
ნუთუ წყალმა მუდამ ასე  
სხვის წისქვილზე უნდა ასხას?!

ამ რეესტრში სოფელ-სოფელ  
დაჩინდრიობს თურქის გზირი,  
მაგრამ ახლა ვინ სადღაა,  
ყველას მიწამ უყო პირი,  
რას ეძებ, რა დაგეარგვია,  
რა ჩილდირი, რის ჩილდირი?..  
რამდენიმე ბარბაროსულ  
საუჯუნის შემდეგ ვტირი!...

ამ დავთარში ქართველი ვარ  
ჭერ მიმოხრით და საუბრით  
ან თუ ნათელ-მირონობით,  
ან თუ მირონცხებულ შუბლით,  
თუ ალაპით, თუ ქორწილით,  
ჩემი სუფრულით და სუფრით,  
ჭერ ვწერივარ იოსებად,  
ჭერ არა ვარ იუსუფი!...

მაგრამ გადასახადს ვუხდი  
ოქროთი და ვერცხლით თათარს,  
მიმილია ოსმალური,  
შარიათი შ.რიათად,  
ძმა მეჩეთში შედის, კართან  
წულა-შესტი დაიხადა,  
ან ფერს იცვლის, ან ზნეს იცვლის,  
რომ დააბა ხარი ხართან!...

ვხედავ, უკვე გამხდარია  
ჩემი ბედი სათამაშოდ,  
აშლილია ყვავ-ყორანი  
ჩემს კერაზე საყაშყაშოდ,  
მოლას ხელი ყურთან მიაქვს,  
რომ იკელოს, ვით ზარნაშომ,  
სადაც გინდა, თავს იქ მიკრავ,  
თუ უზბაშო, თუ მინბაშო!..

მედინაში მუქამედის  
ჩასვლის დღე აქვს თათარს პიჯრად,  
ამ დავთარშიც ეს დღე არის

ჩემი წელთაღრიცხვის მიჯნაქრქინუნულში  
და სხვის ომში მეც ამ პიჯრადს წინაშე  
ვიხოცები იანიჩრად,  
ზორს რას ვაქნევ, შენ ისა თქვი,  
სულიც თუ დამისახიჩრა!..

ამ დავთარში სხვისი მეფე  
უკვე ჩემი მონარქია  
და რომ მხარშავს თავის წვენიში  
დამპყრობელის სტომაქია.  
საკუთარი ზნე და წესი  
და ცხოვრება მომხვია,  
იმის ორომტრიალში ვარ,  
რალა ჩემი ოჯახია!..

თუ აქამდე ჩემი იყო  
ამ მიწაზე რასაც ვთესდი,  
დღეს სხვას მიაქვს, დროვ მუხთალო,  
როგორ გამოიუარესდი!..  
ამოვებულ კაში იმედს  
ფლავ და იჩხელიტები ნესტრით  
და შენს სამსახურში არი  
ოსმალური ეს რეესტრი!...

ამ დავთარში უცხო მირეცს  
კრემლში დედინაცვლის ქატოს,  
ჩემსას მამჭობინებინებს  
უგემოს და უარქატოს  
და იმეტებს მხოლოდ ბალღამს,  
იმას მაჭმევს მურაბათო,  
ჩემს რაბათში თარაქამა  
ზის და მე ვარ ურაბათო!...

ველარც ვიცავ და ჩემს ციხეს  
ველარც ვიღებ, აბ, უფალო,  
რა ვქნა, ჩემი ქვეყნისათვის  
მე ვარ უხმლო და უფარო,  
ვის რა ვუთხრა, ვის შეეჩივლო  
ანდა ვის რა დავუბარო,  
მე კრემლები როცა მახრჩობს,  
შენ იცინი, ალუბალო!..

ჩემს შვილსა და ჩემს შვილიშვილს  
ჩემს საყდარში ზღიან ნამუსს  
და ყურს უგდებს ღეთისმშობელი  
თურქის კიხეინსა და ხრამუნს,  
ხვალ რა ელის ჩემს ჭილაგს და  
ჩემს გასაგისს ან თვით მამულს,

სად წავიდე ვისა ვკითხო —  
ეფუთსა თუ ნოსტრადამუსს?..

ამ დავთარში მე ვარ მხოლოდ  
ზოცვა-ქლეტის ასპარეზი,  
შედგენილი არის უკვე  
სასიკვდილო ანამნეზი  
და ჩემს თავზე აღუმართავს  
მტერს ნაჯახი ანალესი,  
ერი გადაშენებული  
რომ მახსენოს ანალებში...

ილიმება ხონტჰრის პირი  
ჩამომჰყნარი, ვით ჩამიჩი:  
„ხელ-ზეგ ვერსად ვერ წამიხვალ,  
თუკი ახლა გადამირჩი,  
გათავდება ქვეყნად შენი  
წოწიალი და ჩალიჩი  
და შენს თავზე პირს შეიკრავს  
წყალი გაყოფილი ნიჩბით...“

მე წამართვა, თვითონ დაჭდა  
ჩემს ნასუქალ იბოზზე,  
ქვას და კრამიტს აკლის საყდარს  
და იშენებს იმით ბოსელს,  
გათენასძე ანანია,  
აღდგომელაშვილი ოსე,

დმერთო, მალე გავთათრდებით, არჩვენული  
თუ არ მოგვეშველე დროზე!... გიზღირთქვს

დანგრეულა ეკლესია,  
გარეშემო სახლობს უცხო,  
აქ დამპყრობელს ეინი თერმე  
დრომ აქამდე ვერ დაუცხრო,  
თითქოს დგას და კოლტს მელორე  
აქეთ უხმობს: „ქუტუ-ქუტუ-ქუტო!“  
ყველას თვალი აქეთა აქვს  
მობჭენილი, სად დავეუო?..

ამ დავთარში აი, ასე  
გვევედრება კაცი: „ხალხო,  
თუნდაც ათასი წლის შემდეგ  
თუ გაივლი ახლო-მახლო,  
და თუ მიხვდი, რომ აქ იყო  
ჩემი ძველი სამოსახლო,  
აღბათ იცი, რა მახარო  
და რა უნდა ჩამომძაბო...“

ამ დავთარზე ტანჯვით ვწერდი,  
ჩემო ღვიძლო, ჩემო სისხლო,  
სიტყვა ტანჯვით იბადება  
საქვეყნო და სადღეისო  
და ტკივილმა უნდა შობოს,  
თუნდ დასჭირდეს საკეისრო,  
ისე გულს არ ეკარება,  
არც არავის არ ესმისო...

შოთა ჩანტლაძე

## პოლიციელი და კოეტი

სიპლიძან „იბალიური სურათები“

ბაღში 24 საათი შესრულდა. უტეკს-ტო ჰიმნი ჩაესვენა, მაღალი ხმელი პო-ლიციელი ჰიმნის დამთავრებამ თითქოს გამოაფხიზლა. თვალები საქმიანად მი-მოაბარა და გაიფიქრა: — ეხლა კი დროა ხალხს შევახსენო კანონი და კანონის ერთგულმა დამცველმა პირში სასტვენი გამოიჩრა, ლოყები დაბერა და... ბაღი სასტვენის ხმაზე სკამები-დან წამოდგა და წელნულა დაიშალა. პოლიციელმა ჩამოუარა ბაღს და ურჩ დამსვენებლებს შეახსენა კანონი. აი, იგი უკვე მესამედ მიუახლოვდა ახალ-გაზრდების მოზრდილ ჯგუფს, რომლე-ბიც ნაძვის ხეების ქვეშ განლაგებულ სკამებზე მოთავსებულნი იყვნენ და რაღა-ცაზე ვაცხარებით კამათობდნენ, ყოვე-ლი მათგანი ერთდროულად იღებდა კამათში მონაწილეობას. მხოლოდ ერთი იყო მდუმარედ. მას ცალი ფეხი მოპირ-დაპირე სკამის თავზე ჩამოედო, ირიბად გაჰყურებდა მოკამათებებს და თვალბში და ტუჩებზე ირონია გადაჰკროდა აუტა-ნელი.

— ...საქართველო უნდა გაქრეს. ამას ამბობს გაჩენის და გარდაცვალების მარადიული კანონი, — პათეტიურად და-ასრულა სიტყვა ახალგაზრდამ. იგი იყო მაღალი, სუსტი, უკან გადაყრული გა-ბურღული თმებით, პოლიციელი მიუა-ხლოვდა მათ და წყენით უთბრა:

— რამდენჯერ უნდა ვითბრაო, ბო-

ლოსდაბოლოს, მეც კაცი ვარ, ანგარი-ში გამიწიეთ! ბიჭებო, სირცხვილია, წა-ვიდეთ, გვიანაა!

ახალგაზრდები ზარმაცად წამოდგნენ და წავიდნენ ლასლასით. გზაში კამათო-ბდნენ, ჩერდებოდნენ. ერთ ადგილას მთელი ათი წუთის განმავლობაში იდგ-ნენ მოკამათენი. ისინი ბაღის კარებამ-დე მისვლას 30 წუთს მოუწდნენ. კარე-ბთან კიდევ შედგნენ და ბოლოს, რო-გორც იქნა, გადალახეს ბაღის საზღვარ-ი. პოლიციელმა იცოდა, რომ, რახან ისინი ადგნენ სკამებიდან, უსათუოდ წა-ვიდოდნენ, მაგრამ მათი ყოველი შეჩე-რება ნერვებზე შლიდა და სანამ ბაღის საზღვრებს არ გაცილდებოდნენ, მისი ნერვები დაძაბული იყო საშინლად. ასე ზნებოდა ყოველდღე. ეს ახალგაზრდე-ბი საღამოს 7 საათიდან იწყებდნენ დე-ნას ბაღში თითო-თითოდ, ორ-ორად და ღამის 9 საათისთვის ყველა მათგანი სა-ხეზე იყო. ისხდნენ და კამათობდნენ, კამათობდნენ გაუთავებლად. დასციოდ-ნენ ერთმანეთს ამხანაგურად, ეჭიბრე-ბოდნენ მახვილსიტყვაობაში და, რო-გორც ეს მრავალ ადამიანებისაგან შემ-დგარ ჯგუფს ჩვევია, ყოველი მათგანი ცდილობდა თავის გამოჩენას. მხოლოდ ერთი იყო მდუმარედ. იგი არ კამათო-ბდა, უსმენდა და ხანდახან გადაისერიდა მოწონების სიტყვას რომელიმე მოკამა-თის მიმართ. და ეს სიტყვა მოკამათეს

ფრთხვს ასხამდა და მის მოწინააღმდეგეს უკვეცავდა ფრთხვს. იგი არ კამათობდა, რადგან მათ შორის აღიარებული „მხეცი“ იყო და „შაყირის“ შეუღარბელი ოსტატი. იგი არ კამათობდა, იგი ლაპარაკობდა მხოლოდ და მისი ლაპარაკის დროს ისე დადუმდებოდნენ ყველანი, როგორც მების გავარდნისას.

პოლიციელს უყვარდა ეს ახალგაზრდა, თუმცა იგი მას ირონიული ლიმილით უცქეროდა მუდამ. პოლიციელს უყვარდა ეს ახალგაზრდები საერთოდ, მაგრამ რას იზამდა, კანონი თავისას მოითხოვდა. იგი ერეკებოდა მათ მაშინაც კი, როდესაც აღტაცებული იყო მათი კამათით. პოლიციელს განსაკუთრებით არ მოსწონდა ის, რომ ეს ახალგაზრდები პოლიტიკაზე ლაპარაკობდნენ მოუარიდებლად, ხმამაღლა და თანაც საშიშ აზრებს გამოთქვამდნენ. „შაყირებდნენ“ იმ ქვეყნის პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლის კანონებსაც იგი იცავდა. მართალია, არც მას მოსწონდა ზოგიერთი კანონი, მაგრამ მაინც იცავდა ამ კანონებს, რადგან სხვანაირად არ შეიძლებოდა. იგი ხანდახან ფიქრობდა: მართლა, ასეთი აზრებისათვის მე უნდა დაეპატიმრო ეს ახალგაზრდები, მაგრამ მიპატიებია მათთვის, მხოლოდ ესაა, რომ ბაღში გამუდმებით დაძვრებიან დურჯის ძაღლები და დაეძებენ ლუკმას. ალბათ ეს ახალგაზრდები უკვე აღრიცხვაზე იქნებიან აყვანილი და შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ისინი ველარ მივიდნენ ბაღში და ველარ იკამათონ. იგი იცნობდა სახელმწიფო უშიშროების ზოგიერთ ძაღლს, რომლებიც ამ ბაღში დაძვრებოდნენ. ერთი მათგანი დაქდებოდა ამ ახალგაზრდების შორისა და უსმენდა გულდაგულ მათ კამათს და თან წიგნს „კითხულობდა“.

— გამომივიდა ცეზარი, — ჩაილაპარაკებდა პოლიციელი, როდესაც დაინახავდა წიგნის „კითხველს“. მან იცოდა ვინ იყვნენ ეს ახალგაზრდები. ისინი, როგორც თვითონ უწოდებდნენ თავის თავს, ბაღის და ქუჩის პოეტები იყვნენ და ამას განსაკუთრებული სიამაყით წა-

რმოსთქვამდნენ. პოლიციელს კენჭები ეყვარდა ამ სიამაყის მიზეზი. მას უყვარდა წიგნების კითხვა, წაკითხული ჰქონდა ილია, აკაკი, და ყაზბეგი. განსაკუთრებით უყვარდა ყაზბეგი. იყო შემთხვევა, როცა იგი ჩაუვლიდა ახალგაზრდებს, როდესაც ისინი რიგრიგობით საკუთარ ლექსებს წარმოსთქვამდნენ მთელი ხმით. იგი უსმენდა შორიახლო მდგარი, მაგრამ არაფერი არ ესმოდა მათი. სწორედ იმის გამო, რომ არაფერი არ ესმოდა, იგი მათ მიმართ მოკრძალებით იყო განწყობილი. მას არც მათი კამათიდან გაუგებოდა ბევრი რამ. იცოდა, რომ ამ ჭკუფის უმეტესობა უმაღლეს-დამთავრებული უმუშევრები იყვნენ, დანარჩენები კი სტუდენტები, რომლებსაც უმუშევრობა ელოდათ. ისინი ისხდნენ ბაღში გვიან ღამემდე და მას რომ არ დაეშალა, ალბათ, დღეამდე ასე კამათში გაატარებდნენ დროს. ხანდახან იყო შემთხვევა, რომ ეს ახალგაზრდები რევიმს არღვევდნენ, აღრე გადიოდნენ ბაღიდან. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც რომელიმე მათგანი პრაქტიკულ „ვარიანტს“ მოიგონებდა, რაც ხშირად საათების დაგირაგებაში გამოიხატებოდა.

ებლა პოლიციელმა გადახედა ბაღს — საკუთარ სამფლობელოს. ბაღში აღარავინ იყო, რადიო ლაპარაკობდა სრული რწმენით, რომ მას უსმენენ. ბაღში აღარავინ იყო პოლიციელის გარდა. მან გადახედა ბაღს და მოიწყინა. მას ამჯერად არ ჰქონდა ფიქრის უნარი, მას ამჯერად არ ჰქონდა მარტოობის უნარი. მას საოცრად უნდოდა ადამიანთან საუბარი, მაგრამ სად იყო ადამიანი? იგი ხომ მან თითონ გააძევა ბაღიდან კანონის სახელით. უცებ ჩახველება მოესმა. გაკვირვებულმა მიმოიხედა და დაინახა, ვიღაც ახალგაზრდა კაცი სკამზე იჯდა და პაპიროსს აბოლებდა. — კი მაგრამ, ეს როგორღა გამოშრჩა! — გაიფიქრა მან. უნდოდა მისულიყო და მისთვის შეესხენებინა კანონი, მაგრამ მერე გაიფიქრა — მივალ, ვნახავ, თუ ურიგო ვინმე არ არის, გამოვესაუბრები. იგი

მიუახლოვდა უცნობს და ჭერ კანონის წინაშე მოიხადა ვალი.

— თქვენ, მოქალაქე, კანონით 24,30 შემდეგ ბალში ჭდობა აკრძალულია, განა არ იცით?

— როგორ არ ვიცი, ძიაკაცო, მაგრამ ვიყო, რას გიშლი, არაფერს ვაშავებ.

კარგი, იყავი, ურიგო ახალგაზრდა არ ჩანხარ — მიუგო პოლიციელმა, და გვერდით ჩამოქდა. — დღეს ძალიან ცხელია.

— ძალიან, — მიუგო უცნობმა.

— ეხლა კი რა საამო ნიავი უბერავს.

— მართლაც, კარგია ეხლა ბალში ჭდობა.

— ხვალისთვის რადიო 20<sup>ი</sup> სიტობს გეპირდება.

— რადიოს რა დაეჭერება.

— ეგვეც მართალია.

— ალბათ ხვალაც აუტანელი სიცხე იქნება.

— ალბათ.

ამ დროს გრილმა ნიავმა დაბერა მეტი ძალით და უცნობმა თქვა:

— რა საამო სიგრილეა, შენ კი გინდოდა ბალიდან გაგვედღე, ძია კაცო.

— რა ჩემი ბრაღია, ძმავო, კანონი ასე მავალებს.

— შე კაიკაცო, განა ყველაფერი უნდა გააკეთო, რასაც ვავალებენ.

— უფროსმა რომ ჩამომიაროს და შემამოწმოს, მაშინ რაღა ვქნა?

— თუმცა, შენც მართალი ხარ, მაგრამ მაინც უნდა შეეცადო, თუ კი ამის საშუალება გექნება, ყველაფერი არ გააკეთო, რასაც ვავალებენ და რაც უკანონოა.

— კი მაგრამ, რა არის მაინც უკანონო?

— ბევრი რამ.

— მაინც?

— რომელი ერთი ჩამოვთვალო, დავიწყეთ თუნდაც იმ კანონებიდან, რომლის დაცვაც შენ ბალში გვეალბება. შენ ჩამოთვალე ეს კანონები, დაასაბუთე მისი კანონიერება და შერე შე ყველა მათგანზე საითთაოდ მოგცემ პასუხს.

— კარგი, ეგრე იყოს, — ღიმილით

მიუგო პოლიციელმა, რომელიც დარწმუნებული იყო თავის გამარჯვებაში.

— ჩვენ გვავალბენ — დაიწყო მან

— ლამის 12 საათსა და 30 წუთს შემდეგ ხალხს აფუქრძალთ ბალში ყოფნა.

ამით ჩვენ სისხლის სამართლის დამნაშავეებს საშუალებას არ ვაძლევთ ჩაი-

დინონ დანაშაული. ჩვენ შეძავეებს ვდე-

ვნით ბალიდან და ვაპატიმრებთ, თუ დანაშაულზე მივუსწარით, რითაც ჩვენ

ხელს ვუშლით ვენერიული სენის გავ-

რცელებას მოსახლეობაში, შეძავების

უმეტესობა ხომ ამ სენითაა დაავადებულ-

ნი? ჩვენ შეყვარებულ წყვილებს არ

ვაძლევთ საშუალებას ღამით ბალში

ყოფნისას, რადგან ისინი კოცნით ერთ-

მანეთს და შეიძლება ეს კოცნა სხვა

უფრო კანონით აკრძალულ რამეში გა-

დაიხარდოს. ყოველივე ეს მათ შეუძ-

ლიათ საკუთარ სახლში ჩაიდინონ, ჩვენ

მათ არ მივცემთ საშუალებას საზოგა-

დობრივი ადგილები წაბილწონ. ჩვენ

ვიცავთ იმ კანონებს, რომლებიც უსა-

თუოდ გამომდინარეობენ ხალხის ინტე-

რესებიდან და ამიტომ ემსახურებიან

ხალხს. მათი დამრღვევნი სასტიკად უნ-

და დაისჯონ — დაამთავრა ლაპარაკი

პოლიციელმა.

იგი ლაპარაკის დროს სასტიკად და-

ძაბული იყო, რადგან ცდილობდა კო-

დექსის ენით ელაპარაკა. ეს იმიტომ,

რომ დაემტკიცებინა თავისი ცოდნა და

ამით ის, რომ იგი შეუზღებლად არ ემ-

სახურება ამ კანონებს. მან დაამთავრა

ლაპარაკი, ამოიხუნთქა და უცნობს კა-

რგად დააკვირდა. უცნობს ბაგეზე ღი-

მილი გადააკვროდა.

— მაშ ასე, არა? — თქვა უცნობმა,

— ეხლა მე მომისმინე.

— შენ კარგად იცი, რომ სქესობრივი

კავშირი ადამიანური მოთხოვნილებაა.

მაგრამ შენ არ იცი, რატომ ზღებიან ქა-

ლები შეძავებად და რატომ ეტანებიან

მათ თუნდაც კარგი ოჯახის შვილები

და რატომ ზღება ყოველივე ეს უფრო

ზშირად მაინცდამაინც ბალში. ეს ქალები

ასეთებად არ დაბადებულან, მათ

ცხოვრებამ უბიძგა აქეთენ. მათ დაინა-

ხეს, რომ შრომით არ შეიძლება ცხოვრება, რომ შრომობენ ბევრს და იღებენ ცოტას. ადამიანი ყოველთვის გაურბის ფიზიკურ შრომას, თუ ეს შრომა სათანადოდ არ ნაზღაურდება. იგი ცდილობს, ცხოვრების უფრო იოლი საშუალება გამოიხაოს, თუნდაც მორალური დამციკების ხარჯზე. ისინი კარგავენ თავმოყვარეობას — ადამიანის ერთ-ერთ მთავარ ღირსებას და იწყებენ ფულზე მეძაობას. ამრიგად, თვით ის მთავრობა, რომლის დადგენილ კანონებსაც შენ იცავ, იმის გამო, რომ ადამიანების შრომას არ ანაზღაურებს, ადამიანებს აძულებს ჩაეფლონ წუმბეში და იქნენ მეძავებად.

ეხლა, რაც შეეხება იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ასეთ ქალებთან იჭერენ კავშირს.

როგორც ვთქვი, სქესობრივი კავშირი ადამიანური მოთხოვნილებაა. ახალგაზრდები განსაკუთრებით განიცდიან ამ მოთხოვნილებას. რა უნდა ქნან მათ? ისინი იძულებულნი არიან დაიკაყოფილონ ეს მოთხოვნილება, თუნდაც ამისთვის კანონის დარღვევაც იყოს საჭირო. ბევრი მათგანი ცოლს ვერ თხოულობს, რადგან ცოლს მოსდევს შვილები და მათ სჭირდება შენახვა, უზრუნველყოფა, რის საშუალებაც მათ არ გააჩნიათ, ამიტომ ისინი არჩევენ მეძავეებთან იქონიონ საქმე, რომელიც უფრო იაფი ჯდება, რაც შეეხება იმას, რომ ეს ადამიანები ბაღში ჩადიან ამ საქმეს, ბიძთა აიხსნება, რომ მათ არ გააჩნიათ ბინა, ცალკე ოთახი, რომ ეს საქმე დამალულად გააკეთონ.

აქ უცნობი მოპყვა ერთ ანეგდოტს ცოლქმრის შესახებ, რომლებიც პოლიციელმა ბაღში სქესობრივი კავშირის დროს დააპატიმრა და მერე აღმოჩნდა, რომ მათ ერთადერთ ოთახში მათი შშობლებიც ცხოვრობდნენ, ამიტომ ისინი იძულებულნი იყვნენ ბაღები გამოეყენებინათ ამ საქმისათვის. ამ ანეგდოტში პოლიციელი ბევრი აცინა, პოლიციელი ჩაფიქრდა. უცნობი ისე მოსხლეტით და დამაჭერებლად ლაპარაკობდა, რომ პო-

ლიციელს უკვი შეეძარა კანონის დარღვევა მართლში და თქვა: შენ მართალი ხარ, მაგრამ ყველაფერი ეს რომ დავუშვათ, მაშინ ხომ მთლად აირევა ქვეყანა?

უცნობს გაელიმა და უთხრა: — მე იმის მომხრე კი არა ვარ, რომ ყველაფერი ეს დაშვებული იყოს, ეს მართლაც უნდა აუკრძალო ხალხს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა მთავრობა მათ უზრუნველყოფს ყოველ მხრიდან, როცა მთავრობა მათ აუნაზღაურებს შრომას. აი, მაშინ უნდა აუკრძალონ ხალხს ყოველივე ეს და ვინც კანონს არ დაემორჩილება, სასტიკად დავსაჯოთ. — უცნობი აქ შეჩერდა და პოლიციელს გადახედა. პოლიციელი ჩაფიქრდა და უთხრა: — ე. ი. ამ საქმეში მთავრობაა დამნაშავე და შეც დამნაშავე ვარ, როდესაც ამ კანონებს ვიცავ?

- უსათუოდ!
- მაშ რა უნდა ვქნა მე?
- რა უნდა ქნათ და პოლიციაში სამსახურს თავი უნდა დაანებოთ.
- მერე რა ვქნა?
- მერე მონახე სხვა სამუშაო, სადაც ნაკლებად მოგიხდებათ დანაშაულის ჩადენა.

ამ სიტყვებს, უცნობი, ცოტა არ იყოს ზიზღით ელაპარაკებოდა პოლიციელს და ნანობდა, რომ ამ ცოდვილ ადამიანთან ასე გულახდილად ილაპარაკა, მერე წამოდგა და გამოემშვიდობა. პოლიციელს უნდოდა, კლდე ესაუბრა მასთან, მაგრამ აღარ შეაჩერა, რადგან იფიქრა: იქნებ არ სიამოვნებს ჩემთან ლაპარაკიო. უცნობი წავიდა და პოლიციელი მარტო დარჩა. იგი ჩაფიქრდა. რადიო მთელი ხმით გააკიოდა „ჩასტუშკებს“ და პოლიციელს ფიქრებს უფანტავდა. პოლიციელმა ახედა რადიოს, როგორც ადამიანს და შეუუკრთხა მადიანად. მერე ამ გარემოებამ ჩააფიქრა და გაიფიქრა: სხვას რომ შეეგინებინა, ხომ დავსჯიდი და ეხლა მე თითონ ვიგინები და მტყუანი არა ვარ, ჩემდაუნებურად ამოვიდა გინება პირიდან. ვინ იცის სხვებსაც ასე ემართებათ და ჩვენ კი ესჭით მათ. — მერე იგი წამოდგა და

ბალში დაიწყო ხეტიალი. ბალის ბოლოში მიჯნური ამბორყოფდნენ ერთმანეთს.

პოლიციელს მათ დანახვაზე გაეცინა და მოსცილდა.

სალამოს 9 საათი იყო. პოლიციელი იდგა ბალში. ბალი საესე იყო ხალხით. ნაძვების ქვეშ ახალგაზრდები უკვე შეგროვილიყვნენ. ისინი რასაკვირველია კამათობდნენ. პოლიციელი შორიაზლო დადგა და უსმენდა. ის ახალგაზრდა, დუმილი და ღიმილი რომ უყვარდა, ახლა ფეხზე იდგა და ლაპარაკობდა ალგუნებულნი, შავ, დემონურ თვალებს აბრაილებდა, იქნევედა ხელებს, ხელებიც ლაპარაკობდნენ, ხატავდნენ აზრებს პაერში: — მე თქვენ მოგიწოდებთ არა შრომად, არამედ ბრძოლად. მე თქვენ მოგიწოდებთ არა ზავად, არამედ გამარჯვებად და დაე, შრომა თქვენი იყოს იგივე ბრძოლა და დაე, ზავი თქვენი იყოს იგივე გამარჯვება, — აღმოსთქვამდა ზავერდოვანი ხმა. ზოლო მათგან მოცილებით ერთი კაცი იჭდა და წიგნს „კითხულობდა“. პოლიციელს უნდოდა მათთან მისულიყო და ეთქვა, რომ ის კაცი წიგნს არ კითხულობდა, მაგრამ თავი შეიკავა, რადგან მას ჭერ კიდევ პოლიციელის ფორმა ეცვა. იგი მოსცილდა მათ და ბალს ჩამოუარა. იგი დაეძებდა გუშინდელ უცნობს, მას გულისთ სწადდა მასთან შეხედრა და საუბარი. საინტერესოა, ვინ იყო იგი? რა პროფესიის? რა განათლების კაცი? მან მთელი ბალი შემოიარა, მაგრამ ვერსად ვერ წააწყდა ამ სასურველ უცნობს. შემდეგ მოიწყინა, სკამზე წამოჯდა და ფიქრებში ჩაეფლო. კვირადღე იყო და ბალი სამხედროებით ავსებულყო. ამ დღეს სპეციალურად მათთან შესახედრად გამოსულიყვნენ მძავები. ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ელოდებოდნენ მათ ჭარისკაცები და შემდეგ დიდი ჭავა ადგა ნაყინის გამყიდველს. შემდეგ წყვილები მიემართებოდნენ ბალის ბოლოსაკენ. კვირადღე სამხედროების დღე იყო ამ ბალში. ისინი დაეხეტებოდნენ ბალში. სიმრავლით იმედმო-

ცემულნი არაფერს არ ერიდებოდნენ ადგილობრივ ახალგაზრდებს გადაუდებდნენ შოენისტურ ფრაზას, შემდეგ მათი ცხვირიდან იღვრებოდა ისეთი ფერის სისხლი, როგორც მათი დროშა იყო. მერე იწყებოდა ჩექმებიდან კოვხების დაძრობა და მათი ტრიალი. გამოჩნდებოდა პოლიციელი და დამნაშავე იყო ის, ვინც ნაყლებად დაზარალებოდა ჩხუბში. ეს ამბავი კარგად იცოდა ალექსიმ და სწორედ ამიტომ გამოერკვა ფიქრებიდან, წამოდგა და ბალს ჩამოუარა. სამედნიეროდ ბალში მშვიდობა სუფევდა. გადიოდა დრო, ახლოვდებოდა ეამი ბალის დაცარიელებისა. აი, დადგა ეამიც, რადიომ — უტექსტო პიონი მოახრჩო და ენა ამოიდგა. ალექსიმ სასტეგენი ბოლოკივით გამოიჩარა პირში და ჩააბერა. ბალი დაცარიელდა. მხოლოდ იქ, ნაძვების ქვეშ, ახალგაზრდები ისევ კამათობდნენ. ალექსიმ გადაწყვიტა, დღეს ეს ახალგაზრდები არ გაერკვა ბალიდან. — არ გაერკვავ, თუნდაც უფროსმა ჩამოიაროს და მომხსნას სამსახურიდან, ბოლოსდაბოლოს სხვაგან ვიმუშავებ, — ფიქრობდა ალექსი. იგი მიუახლოვდა ახალგაზრდებს, რომ მოესმინა მათი კამათი. როდესაც ახალგაზრდებმა მათეენ მიმავალი პოლიციელი დაინახეს ერთმა მათგანმა თქვა: — მანამ ეს დეგენერატი გაგვაგდებდეს, ჩვენ თვითონ წავიდეთ, ჭობია. ალექსიმ ეს სიტყვები გაიგონა და გაწითლდა. იგი მიუახლოვდა მათ და როდესაც შეინშნა, რომ წასვლას აპირებდნენ, კეთილი ღიმილით უთხრა: — იყავით, ნუ წახვალთ, კარგი ბიჭები ხართ. — ახალგაზრდები ალექსის ამ სიტყვებმა გააოცეს. მათ სხვანაირი ახსოვდათ ალექსი. ისინი მაინც დაიშლნენ და წაეიდნენ. გზაში პოლიციელის სიტყვებს შიფრავდნენ და მისი გამოცვლის მიზეზს ქმნიდნენ. ისინი პოეტურმა ფანტაზიამ ამ პოლიციელისადმი სიყვარულამდე მიიყვანა, მხოლოდ ერთმა, უფრო პრაქტიკულად მოაზროვნე პოეტმა თქვა: მე მგონი, იმიტომ გვთხოვდა დარჩენას, რომ პოლიციის გამოძახება და ჩვენი დამატირება

სურდაო. ამ სიტყვებზე ზოგს გაეცინა, ზოგს კი კეკუაში დაუჭდა ეს სიტყვები.

პოი, უმადურო ადამიანებო!

ისინი კვლავ შეხედნენ ერთმანეთს. უცნობს ალექსის დანახვაზე გაელიმა უწყინარი ირონიით. ალექსის უცნობის დანახვაზე გაელიმა სიყვარულით. ერთმანეთი მოიკითხეს და სკამზე ჩამოჯდნენ. ალექსი შეეკითხა:

— სად იყავით, რატომ არ ჩანდით?

— ამ დღეებში ბევრი სამუშაო მქონდა.

— ბოდიში, მაგრამ სად მუშაობთ თქვენ?

— მე ქარხანაში ვმუშაობ, ზეინკლად.

— ალექსის გაუკვირდა და არ დაიჭერა ეს სიტყვები. შეხედა მის ინტელიგენტურ გარეგნობას და დაეკვიდა. მერე გაიფიქრა: იქნებ ეშინია და მიმალავს ან შეიძლება მასხრად მიგდებს. უცნობმა შეატყო ალექსის დაეკვიება და ამიტომ დამაწყვრებლად უთხრა: — დიახ, ნამღვილიად, მე დავამთავრე ფილოსოფიის ფაკულტეტი და ახლა ქარხანაში ზეინკლად ვმუშაობ.

რატომ თქვენი სპეციალობით არ მუშაობთ?

უცნობმა სევდიანად გაიღიმა და თქვა:

— ეხ, ძიაკაცო, ვის პირდება დღეს ფილოსოფია. ეხლა კართოფლის საუკუნია.

ალექსი სიბრალულმა შეიპყრო და უცნობი დაამშვიდა: — არა უშავს, ძმაო, ყველაფერი გამოსწორდება.

უცნობს ეშმაკურად გაელიმა, ალექსის გადახედა და უთხრა: — შენ რაღაც სხვანაირად ამღერებულხარ ამ ბოლო დროს, ძიაკაცო.

ალექსიმ ამ სიტყვებზე არაფერი არ უპასუხა და ჩაფიქრდა. იგი ფიქრობდა, ეთქვა თუ არა ამ უცხო კაცისათვის ყველაფერი. რაც აწუხებდა და რაც განეცადა. გადაეშალა თუ არა მისთვის არაპოლიტიკელის გული. იგი თავს იკავებდა, რადგან ეშინოდა დაეცინვის. იგი სასტიკად თავმოყვარე იყო. ბოლოს გადაწყვიტა და ყველაფერი გულაზდილად მოუყვა. იგი მოუყვა, თუ როგორ დაუ-

ფიქრებლად შევიდა იგი ამ სამსახურში და როგორ ნახობდა ამას. რომ იგი უმეტესად სისხლის სამართლის დამნაშავეებს სდევნიდა და რომ ამისათვის მას რამდენიმე წილდოც აქვს მიღებული. მოუყვა უცნობს ბალისა და ქუჩის პოეტებზე და მათ მიმართ მისი დამოკიდებულების შეცვლაზე და ბოლოს თქვა, რომ მან გადაწყვიტა პოლიციაში სამსახურს თავი დაანებოს და იმსახუროს სადმე ისეთ ადგილას, სადაც უფრო ნაკლებად მოუხდება დანაშაულის ჩადენა. უცნობი გაკვირვებული უსმენდა მას და აკვირვებდა ის გავლენა, რაც მან მისდაუნებურად მოახდინა ამ ადამიანზე. მას ეს ამბავი საინტერესოდ და რომანტიულად მოეჩვენა, და ალექსის უთხრა, თუ გინდა, მე გაგვიყე შეამდგომლობას, ჩვენთან, ქარხანაში მოგაწყობ სამუშაოზეო. ალექსის გაუხარდა: — კარგი, ძალიან კარგი, და მერე ჩვენ, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, ბაღში გამოვალთ და ვისაუბრებთ მეგობრულად.

ისინი საბოლოოდ დამეგობრდნენ. როდესაც ალექსი მორიგედ იყო ღამის საათებში, უცნობი მორდიოდა და ისინი საუბრობდნენ დიდხანს, დიდხანს. ერთხელ ალექსიმ უცნობი დიდად გააოცა.

— გამარჯობათ, მოქალაქე! — ამ სიტყვებით დაადგა თავზე ალექსი სკამზე მჯდარ უცნობს. უცნობმა ახედა ალექსის და ვერ იცნო. მერე იცნო ალექსი და გადაიხარხარა. ალექსი სამოქალაქო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. მას ეცვა ახალგარეცხილი, გაუთავებული და გახამებული თეთრი ტილოს კიტელი და შარვალი, თავზე შლიაპა ეხურა.

— დღეს ხომ შენი მორიგეობაა, რატომ ფორმა არ გაცვია? — შეეკითხა უცნობი.

— განა ეს ფორმა არ არის? — ღიმილით მიუგო ალექსიმ.

— ეს ხომ სამოქალაქო ფორმაა, — ღიმილითვე უპასუხა უცნობმა.

— ზოდა, შეც დღეიდან მოქალაქე ვარ და არა პოლიციელი. თავი დაეანებე

პოლიციაში სამსახურს. აღარ ვსდევნი დამნაშავეებს და აღარ ჩაედივარ დანაშაულს.

ალექსი დაჯდა სკამზე და მათ გააბეს გულითადი საუბარი.

— მე ხვალ დირექტორს მოველაპარაკები და შენც ჩემთან, ქარხანაში მოგაწყო სამუშაოზე. მერე ვიმუშავებთ და ვიცხოვრებთ ტკბილად. სამუშაოს დამთავრების შემდეგ გამოვალთ ბაღში, ვისუფთავებთ ბაღის გრილ ჰაერს, თვალს გადავავლებთ ბაღში მოსეირნე ხალხს, დაეცინებთ მათ და გავიხარებთ, რომ ჩვენ ის ადამიანები არა ვართ. ზანდაზან დასიციხულნი ბურახს დავლევთ და თუ ფული გვექნა, ლუღსაც გვახლებით. სოსისებსაც დავაყოლებთ. მერე არ ვიფიქრებთ არც სამუშაოზე, არც ოჯახზე, არც პოლიტიკაზე, ირონიით შევხედავთ სამყაროს მარადიულ ლეღვას და მოძრაობას და მერე ვისაუბრებთ დიდხანს, დიდხანს, გვიან ღამემდე, და როდესაც დავამთქნარებთ, მაშინ მივხვდებით, რომ ძილის დრო დადგა და ნელი, მოწყენილი ნაბიჯებით გავყვებით ქუჩას და წავალთ იქითკენ, სადაც გვეგულება ჩვენი ყოველდღიური სამარე — პატარა სვედიანი ოთახი. და მერე... — ლალა-

დებდა უცნობი. მისი თვალები ზეცას მიპყრობოდნენ, ზეცაზე მთქარე მთქარე უცნობს მთვარის ფერი გავლენდა სახეზე. იგი მთვარეულივით იხედებოდა. ალექსი ამ სიტყვებს სიყვარულით უსმენდა, სხეულში რაღაც ნეტარი სიბოზო ჩაეღვარა. უნდოდა მოფერებოდა ამ კაცს, როგორც საყვარელ ქალს. ისინი ისხდნენ ასე დიდხანს, საუბრობდნენ მეგობრულად, საუბრობდნენ ისე, როგორც შეყვარებულთა ბედნიერ წყვილს სჩვევია. ჭერ კიდევ საუბრის დამთავრებისაგან შორს იყვნენ, როდესაც გაიგონეს: — Ану, разойдитесь., гражд-дане!

ამას ამბობდა ბაღის პოლიციელი. პოლიციელმა ვერ იცნო მისი ყოფილი კოლეგა სამოკალაქო ფორმაში. ალექსიც არ გამოცნაურებია. ალექსი და უცნობი წამოდგნენ. მათ გაელიმათ, მერე გაეცინათ, მერე გადაიხარხარეს, მერე სიცილით გაუდგნენ გზას. მერე მათ ბაგეებზე ამოსაცნობი ღიმილი გაინაბა. ისინი მოდიოდნენ ბაღის კარებისაკენ ღიმილით. ნაძვის ხეების ქვეშ ახალგაზრდები იდგნენ და კამათობდნენ. იქვე, მოშორებით, იჯდა ერთი კაცი და წიგნს „კითხულობდა“.

ინვარი, 1957 წელი.



## ციკლიდან — „შანდლის ასული“

### წინათქმა

როცა ნათელი სიციცხლე ნადრევად წყდება -- იწყება ლეგენდა,  
იწყება ლეგენდა, ფერადოვან ნისლში გაბვეული,  
რომელიც ამბად პაპისაგან შეიღიშვილს გადაეცემა,  
რომელსაც პატარებს ძილისპირულთან ერთად სიზმარში გაატანენ.

• • •

უალერსებენ საფლავს იანი,  
მიწას მიბარდა თორი.  
ციცნათელებმა დაიგვიანეს,  
ყმუის ნაგაზი შორით.

ნისლი ყოფილა თურმე იმ დღით,  
სათოფურიდან გაკრთა სიკვდილი...  
— ვერ ყოფილაო ქუდბედიანი  
თინიბეჭაის ცოლი.

და... უამბობენ ღრუბელთ იანი,  
ვერ ყოფილაო ქუდბედიანი...

პირს შეხმობია ვაქაკს ქაღილი,  
ნაგაზი  
შორით  
ყმუის:

დის ცრემლიაო თურმე ნამდვილი,  
მეუღლის ცრემლი სტყუის.

ამდგარა საყდარს მისულა,  
ქალაი ხატის ტყვეო

ხელაპყრობილმა ისურვა,  
დამლოცე,  
დამანთეო.

ვითარცა სხივი ფოფინა  
ისე შესულა ტაძრად,  
შანდალზე ცრემლი მოფინა  
ქალმა ჭკეულმა სანთლად.

— თინიბეჭაის ქვრივმაო  
ჭიუხში  
თოვლი  
დაძრა.

. . . . .  
. . . . .

რა ესმათ დედათა, ნაწნავთ დაერვივნენ,  
დაწვი დაიხოკეს,  
გული დაიჩეხეს,  
ცხენების ჭიხვინი... ფეხი არეგია  
მთვარეს და

ჯიბივით  
მოსსლტა  
საჯიბვეზე.

ცერზე შემოდგა ბრძენი თემი და  
რა აბლო არი ღმერთი...

წარსული  
ნაშალ  
საყდრის  
ქვებიდან  
ზედმდგარიყო მკედრეთით.

და სასანთლეში ასული ენთო,  
წმინდა გივარგის ხატთან,  
ლიმილი  
პირზე  
შეაშრა  
კერბოს,  
მოუწყენია  
ხაზმატს.

ამის გამგონე ელდადაკრტდბლირთქქ  
ხვალი ნაგაზი გახმა.

. . . .  
. . . .

და ძველ შანდალში ასული ფრთონავს,  
ვითა ზმანება ღამის,  
მეფეს და გლახაკს, გულადს და მონას  
აბლო დაგვიდის ყამი.

გასძიძგნის სხეულს  
ცთუნება მიწის —  
მშიერ-მწყურვალი სვაფი,  
და სასანთლეში  
ასული  
იწვის  
პოეტის  
სიტყვასავით.

## აღსარება შანდლის ასულის მიმართ

ახმეტას ვიდექ,  
მეგონა:  
კაცი ვარ,  
ქუდი მახურავს,  
შევექცეოდი ცვრიანსა,  
ვილილინოდი კახურად.

საუნჯე მაქნდა ულევი,  
უხვად გავცემდი რომელსაც,  
რომ ერთხელ  
თვალი დავადგი  
გოგოსა ჩაღმავორელსა.

გულისთქმა ვყავი ქალასა  
ფრთაჩიტას, ხალიანასა...


პეპელასავით ფარფატამ  
უიკრად  
თვალი  
წარმტაცა.

გავიგულისე ვნებაი,  
უფალს გზა გადაუღობა  
ცდომამ,  
ჩაებლუქე,  
ვასმინე  
ამ გულის  
ბაგა-ბუგობა.

კრემლში დაახრჩო ბალიში,  
ძილცხადმა, მომკრო ჩინარმა,  
მდინარისაკენ  
დაუქვა,  
მორევეში  
გაუჩინარდა.

ცოდვა მიმყვება ქალასი,  
ფრთასუსტის, ხალიანასი...

გულო,  
გლახგულო,  
დაგულო,  
სადამდე უნდა იძალო,  
გინდა მკერდიდან ამბტე,  
პატრონი გამაიკვალო.



— გუელსაო ზვრელი უჩინის...  
 ბუღე მიელით ჩიტებსა,  
 ცოდვის ტომარას ხურჯინით  
 ეზოსმოძღვარი მკიდებსა.

ჩემგვარი ბრალის მოკმედი  
 ვერ ნახოთ,  
 თუნდა ეძებეთ,  
 ქალაუ,  
 სანთლად

ქცეულო,  
 შანდალს რო ჩამოეწვეთე...  
 ხევსურის ქვრივო ბატარავ,  
 სასოწაგვრილის იმედო,  
 პატრუქი ქვრება ფარავანს  
 ლოცვა რამ  
 გამოიმეტე.

ახმეტას  
 ვიდექ,  
 მეგონა...

**სურათი ნარსულიდან**

საწოლთან თვლემდა ბაღიში,  
 თავადის ასულს ეძინა.  
 იასამანი ღელისპირ  
 ეკაწრებოდა ძეძვიანს.

თავადს წინ ეწყო ხრამული,  
 ქირმიშად ცქერდა ცვრიანსა,  
 გაჭაგრულ მკერდთან ლამუნი  
 არ დაეშურა ნიავსა.

სიოს ამცნობდა კაკალი:  
 სტუმარს სიხარბე მასპინძლობს...  
 — იფხორებოდა მამალი —  
 ვადამთიელი სასიძო.

თავადის ასულს ეძინა,  
 თავისთვის თვლემდა ბაღიში,  
 და ლამეს ევედრებოდა  
 ცრემლში დამხრჩვავი ბაღიში.



„თებროლე მიღის წყალზედა...“

ზამთარი აღრე გვეწვია,  
 მოვიდა, მთები დათოვა,  
 რა ექნა ჩიტსა მზეწვიას  
 ადგა და ბუღე დატოვა.

ღელის ჩხრიალმა მოიკლო  
 ჯანლით დაფარულ მთებს შორის,  
 თეთრ თოვლზე შავად მოიგლოვს  
 თინიბეჭაანთ თებროლე.

სასოთი გასცქერს საფიცარს,  
 თესაფრიანი, ჯოხითა,  
 ფიქრობს, დღეს არა, ამ მიწას  
 ხვალ ყოჩივარდა მოჩითავს.

გულში იმედი მოღის ყე,  
 წყაროზე წავა სურათი,  
 ფიქრობს — უსანთლოდ მოიწყენს  
 კედელზე ვაჟის სურათი.

ფიქრობს — ჩანჩქრების წყალობას,  
 ყურს არ ათხოვებს ჩაღანას,  
 იკვესებს ყმაწვილქალობა  
 ახარხარებულ წყალთანა...

ბავეს წუხილი დასცდება,  
 — რა უნდა ეკლებს იასთან  
 ფიქრობს მუხლბების გაცვეთას  
 გივარგის ეკლესიასთან.

ფიქრობს სიზმრისა ახდენას,  
 უცქერს სოფლისა წაბდენას,  
 გზებზე ყაჩაღის გაჩენას,  
 რისხვაზე მომდგარ შარჩენას,  
 ეშმას კვლას, ობლის დარჩენას

იტყვის:

— ჰეა, წუთისოფელო!

საღ აღარ მცემე, მებრძოლე

ეთხოვებიან ერთმანეთს

მზე და

თოვლი და

თებროლე.

• • •

იმდღისით უნეტარესმა სთქვა  
 გასაკვირი სიტყვით,  
 მიმართა,  
 ეით მიმართავდა  
 უფალი  
 მრევლსა, იგავით:

ლეღვისა რტონი დარბილდნენ  
 არ დაკლათ შესაწირიო.  
 ფართოა გზაი, — ყალბია  
 ჩქერალთა დანატირიო,  
 იწროის ბქიდან მავალის  
 გზა ჩამოგავს საროს ტანს,  
 კლდის კითა შინა იპყრობენ  
 საუკუნოსა წყაროსა.

იმდღისით უნეტარესმა სთქვა სიტყვა  
 გასაკვირიო,  
 საყდარში უქადაგებდა  
 წმინდა მამაი კირიონ.

წყალგაღმა მომცრო ყურესთან  
 ისე ჰყვოდა მავალი...  
 ვიფიქრე:  
 წაიჭეოდა ეშხში შესული ცარგვალი,  
 მიღამოს შემოჰყურებდა,  
 ვით ვნებიანი წაწალი.

მაყვალს ეხვია ჭაგნარი,  
 ვითარცა წაწალს ადათი.  
 ღრუბელი — მთვარის სანგარი...  
 მთვარე — ღრუბლების სადაფი...

ხენეშდა დაპრილი ნიკორა,  
 ქარი ფოთლებთან დაობდა,  
 მნათობი ჩქერში მიჭროდა,  
 მღორეში მიქანაობდა.

ქართა უბელო თარეშმა  
 ხეთა განძარცვა ითავა.  
 იმლაშით უნეტარესმა  
 სთქვა  
 გასაკვირი  
 სიტყვით:

„სიო ქოშინებს სოფელში,  
 ყური არ უგდოთ შარი-შურს,  
 შეინანეთო ცოდვები  
 თქვენი სამყოფი ჭვართურთ.

ლრანტეში,  
 განა მდელოში  
 ისე ჰირს უფლის ამარად  
 ნინოის საქართველოში  
 რომ ჭვარმაეც ფრთები დახარა“.

— ცოტასა ესმა იგავი.  
 მრავალს შეეცყო — არ ესმათ.  
 იმ ლამით გასაკვირალი  
 სიტყვა სთქვა უნეტარესმა.

ქარსა წაუბნდა გუნება,  
 კუდი ვერ იპყრა თავისი,  
 და წმინდა სისხლის გუბესთან  
 სანთლის  
 ვედრების  
 ხმა  
 ისმის.



დაცისკრავს ჭედსა უბელოს,  
გლეხი რო ნამგალს აღესაგეს.

ე კუნაბეტი ღრუბელი  
მძევლად წაიყვანს მთვარესა.

## თაჰი ?

თვალს აუცრემლებს იაკობს  
მთით მონაბერი ქარი.  
ცის სასთუმალზე კიაფობს  
ბნელში ბებერი კრავი.

მონატრებიათ ჭიმერებს.  
კლდე მიუვალი, სალი,  
გული მილოღავს ჭიმებზე.  
— შალომ, იერუსალიმ!

ბინდი მოიცვა ზეგანმა,  
მოიღამ-მოიჩრდილა,  
თვლემს ჭურიათა ჭვეყანა  
ორი დღე-ღამის ძილით.

ჩამოიღვრება ცრემლნამად  
ამოცისკრება დილის,  
თვლემს ჭურიათა ჭვეყანა  
ორი დღეღამის ძილით.

— საითგან, როგორ ამოვა,  
მზის უმეტესი მზეი?!  
მონათლავს მტრედის გალობა  
ჭურიასტანის ზეიმს

მონატრებიათ ჭიმერებს  
კლდე მიუვალი, სალი.  
გული სულს ღაფავს ჭიმებზე  
— შალომ, იერუსალიმ!

## წინათ

„და ეძღუნა შაჰსა ძღუნე  
დიდი და ტყუენი ქალ-ურმანი“.  
ქართლის ცხოვრება

— ჰაი, დედასა! — რუისში  
დაიჭიხვინა ულაყმა,  
ქართული ეშხი ისურვა  
შაჰმა მწოლარემ გულადმა.

ჭადილი იყო გვიანდა,  
ნატვრა ნაგვანი მორეცსა  
ჯერ მაშინ აიკვიატა  
ფეხმორთხმით იჯდა როდესაც.

წინ-წინ ჯერ ყრმანი გალაღეს,  
მიჰყავდათ სეფე-ქალები,

ღამეში გაშლილ დაღალეებს  
კოცნიდნენ ნაკვერჩხალები.

ქართლით ისპაჰანს გადარგეს  
ჩვენი ლურჯთვალა იანი,  
შემწუხრდა ცისკრისთანავე,  
დილა ვერ მოდგა მზიანი.  
— აჳაი, — კენესა მოჯარდა,  
საიდან საით დიანო...

ტბილ სიზმარივით მოჩანდა  
ბნელში  
საქადაგიანო.

## მინაწერი დილეგის კედლებზე ისპაჰანში

ერეკნული  
გენერაციონეკ

## მინაწერი პირველი

მამას მივდევდით ფარაში, სიკვდილი  
ერთ დღეს გაგვთიბავს

არ გეძებნოთ პარამხანაში, ვითარ  
მთროლევარე ქათიბი,

როგორც ნიავეზე სათიბი  
ჭვართან სანთლებად ვანთივართ

## მინაწერი მეორე

ხვალ ალბათ სხივი განკრთება

ამ სოფლისა მზისანი,

არ დავთმეთ რჯული, ვასრულეთ

სიტყვანი უფლის ძისანი,

უხე მადლი გარდმოდიოდა

სულისა წმიდისისანი.

ვერ გავტეხეს ვერცა გრძნეული,

ვერც ბუქნი ჭადოსნისანი,

ხვალ უკვე სხივი განკრთება

წუთისოფლისა მზისანი

ერთ სინანული მიგვეყვება

მამისანი და ძმისანი,

უსჯულო არ დაილევა,

დაძულეთს მათ თორებს ისარნი.

ბნელშიგან ნათლით გასრულდა

დღე ჩვენი ცხოვრებისანი.

ნუ სტირით ჩვენზედ,

იტირეთ,

შვილნი

თქვენთან

იკანით.

## მინაწერი მესამე

ბიკოვ, ბედი არ დაიციდის,

აწ გითბრა სიტყვასრულითა,

მკათათვე მზისგან დაიწვის,

მე — შენი სიყვარულითა.

• • •

სალამურებზე დადნა საღამო

და ღალანებდა უცხო სანთელი

— დამიფარეო თოვლისაგანო,

ჩამიღვარეო სულში ნათელი.

და ღალანებდა უცხო სანთელი,

ელვენთებოდა შანდალს წვეთებად,

მიუტევეო ბალახს გათელილს,

შენს მეტი არვიან ეიმედება...

სამგზის იელვა,

სამგზის ინათა,

ცა მოიღრუბლა გრგვინვა-მუჭარით,

და ლუკიანე ირმის პინაკთან

ჩაჩოქლი დგას რწმენის სუდარით.

აქ კი სიცოცხლე უფრო რთულია,

იმედი:

ღაზოს სათნო იმძლავრებს,

ჩვენში ისეთი გაზაფხულია  
ნუშის ყვავილებს დაპკრავთ სიმწარე.

სული — მქროლავი ნიაგვარივით,  
ურმული — წვიმის ცრემლების მარში,  
მთვარე კი ღრუბლის იალქანივით  
მიემართება არაგვის წყალში

მგონი ღრეობა უკვე გასრულდა,  
საკმეველის სუნი უღით ემბაზებს,  
და სული მძიმე  
შანდლის ასულთან  
ჩაჩოქილს მიმაქვს აღსარებაზე.

P. S.

ფრთონავს ასული,

იგალობს შაშვი,

მინავლულია ვარსკვლავთ კრებული,

და მოჩანს მთვარე — ობოლი ბავშვი.

შუალამეში მიტოვებული.



აღარ მახსოვს,  
 პო, დამავიწყდა,  
 რამხელა იყო ის ცოდვა  
 და იყო რამდენი!  
 ბოლოს მზე ჩაქრა.  
 ჩაილია ზღვის სილურჯეში,  
 მე მოვიყარე ღამის წინ მუხლი.  
 წმიდა გონებამ შეისრუტა სიბნელე  
 წმიდა,

შენ კი, ძვირფასო,  
 ისევ ჩემზე დარდობდი, წუხდი.  
 ალბათ გინდოდა გეშველა ჩემთვის  
 ან მომკვდარიყავ!  
 გავიწყდებოდა, რომ მე ვარ კენჭი,  
 გაორებაში გამონარიყი...  
 გაორებული ვცხოვრობდი მუდამ,  
 აღზნებული და აღტაცებული,  
 მე ვიყავ მზით და მთვარით სნეული  
 და... მიტანილი ნიყარა ყურთან.  
 ყველას ძალიან კარგად ესმოდა,  
 რისთვის ვფეთქავდი და რისთვის  
 ვთრთოდი,  
 და პოეზიის დამარღვევულ ტოტზე  
 მჭდარი ჩიტის ხმა მენატრებოდა...  
 ის დარაჯობდა მარადისობას  
 და წკრიალებდა დაბლა საყრავე,  
 ზე — უამრავჯერ ხმალდანაკრავი  
 მაღლა,  
 სულ მაღლა,

ცისკენ ილტვოდა!  
 მე კი იმა ხმის მოსმენა  
 გაორებულს და გატიალებულს,  
 და მე ვუღრიდი ბრმათა და ყრუთა  
 ქვეყნიერებას, ერთად აღებულს!  
 ვასკეტობდი და ვგანდევლობდი  
 და ვმარბულობდი, როგორც არავინ,  
 და მაინც ირგვლივ იყო სიჩუმე,  
 გულსაკლავი და გულშემზარავი!  
 ...და ციმციმებდა ღამითაც თიხა  
 და არ ისმოდა მოკვდავთა ჩქამიც...  
 და მე ამ ციმციმს მაღლა მივყავდი,  
 როგორც მზის სხივებს ფოთლიდან ნაში  
 მიყავთ ზეცისკენ... ხმას არ იღებდა  
 მარადისობის დაარაჯი ჩიტი...  
 და მაშინ, როცა ვეთხოვებოდი  
 ამ მღვმარებას, და უკვე ვთვლიდი,  
 რომ მოახლოვდა წარღვნა ქვეყნისა,  
 მომესმა ხმაი ზოტბის შესმისა.  
 ზოტბას ასხამდა პატარა ჩიტი  
 იმას, რასაც მე არაფრად ვთვლიდი...  
 რაც ყურადღების გადაღმა დამარჩა,  
 სადაც ჩაიმსხვრა სურვილთა ხიდი.  
 ჩიტი უხმობდა ყველა სულიერს  
 მანათობლისკენ...  
 და ცისკიდურზე, —  
 უზარმაზარი ცეცხლის ვარდივით,  
 მშვენიერება ამოდიოდა.

მარინა ხუციშვილი

• • •

რა მელის, ან რა ხალისი ამიფრინდა მიმინოდ —  
გულისგულში ჩამყოლია შვება,  
თუ იმ დღის და იმ ნათელი მომავლის ლოდინში  
ნალღელოს და დარდის ლორწო შრება?!..

• • •

გთხოვთ, იმედს მაინც ნურვინ წამართმევთ,  
ამ მიძევს, ღრმა პეშვით, ტანჯვით ნაგროვებს.  
თუმცა, სიყვარულს დარჩა მციირელი  
და მასაც სველი წვიმით აჭრობენ...

და ვრჩები მარტო — თქვენთან გულლია.  
თქვენ მაინც... თქვენით ოდენ ვმშვიდდები.  
მე წარმტაც სევდას სადღაც გავყვები, —  
აქ კვდომას რადგან შევეუშინდები...

• • •

დღეთა გმინვა, დღეთა ბოდვა, დღეთა არდავიწყება  
ღალაგდება სადმე ოდეს საკუბოვე ფიცრებად.

მოხვალ, მოხვალ, ცათა ბილვას მიმასწავლი შენეულს...  
მე წარმტაცნი ქარნი მხლიან სხვათა ხილვათ შერეულთ...

მიჭადაგებ შენთა სიტყვით, შენთა გმირთა ღირსებათ,  
ვით წარსული ხმათა... ხმათა... უხილავად ივსება...

თეთრთა ხმათა, თეთრთა ხმათა ჩემეული ზრახვები —  
უსახურო, ახლა საით, რომელ ცოდვათ გააყვები?!..

## უძილოზა



ქართული  
ენციკლოპედია

ჩრჩილი დაფარფატებს ჩრდილში,  
ძილში მიწვევს ჩურჩულით —  
ძილში, უნაყოფო ძილში  
ამედევნა ჩუმ-ჩუმში.

გული სადაცაა დადნეს,  
გული, სათუთი და ფრთხილი,  
უძილობის გზათა დამდეგს,  
უძილობის გზათა ზილვის...

გარიყრაყის სუნთქვა ისმის,  
უთენია ვკარგავ ჩივილს —  
მესმის, თითქოს სადღაც... ვისთვის...  
დაფარფატებს ჩრდილი ჩრჩილის...



## ორი მოთხრობა ღვთისმშობლის თვალში

...სომ განსაკუთრებით უყვარს ყველას მზე-მარიამი, მფარველი და მწყალობელი ჩვენი... მუდამ ხალხმრავლობა იყო მისი ხატის წინ, მაგრამ სხვა დროს არცერთხელ არ მინახავს ამდენი მლოცველი ერთად. არც ასეთი გულმხურვალე ლოცვა გამეგონა ოდესმე. ალბათ წინ ვერაფერი დაუდგება ამ გულმხურვალეობას, გზას გამარჯვებით გაუნათებს ჩვენს ლაშქარს უთოოდ. ანდა იქნებ მოაღწია კიდეც ამ ლოცვის ექიმ შენამდე, რატომღაც ასე მგონია... თუმცა შორს ხარ აქედან, ძალიან შორს, და შენი ყურადღებაც სულ სხვა მხარესაა მიპყრობილი. ვინ იცის, ახლა უკვე მტერს შეპყრებ პირისპირ, საცა შეებმები კიდეც, თუ ჯერ კიდევ არ შეებულხართ სამეფრო-სასიცოცხლოდ. დიდ იმედებს ამყარებს ამ ბრძოლაზე მთელი ჩვენი ბედკრული ქვეყანა. ამ ბრძოლამ უნდა გადაწყვიტოს ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი. მოგვეძალუნე გადამთიულნი და ურჯულნი, თვალი უჭირავთ ჩვენს დახატულ მინა-წყალზე...

...თავი დიდი მოძღვარიც გამობრძანდა, სრული სამოსელით შემოსილი. თვალს ვერ გაუსწორებდი, ისე უღელავდა ოლარი და სკიპტრა, მაგრამ ამით როდის აკლდებოდა რაიმე იმ ნათელს, თვით მის იერსახეს, თოვლივით თეთრ ნეერულავაში რომ დააფენოდა. მონინებით მიეახლა ღვთისმშობლის ხატს, მუხლი მოიყარა, ხელნი აღაპყრო და შეპლალადა, დაიფარე შენი ნიღბედერი ქვეყანა. მერე დიდხანს იდგა მის წინაშე, მდებლად თავმოდრეკილი, უხმოვ მლოცველი. მღვდელნი გალობდნენ ხმა-მდებლად, თავმოდრეკით... და ასე სიძვეეს მხილველთა, მე არ მინახავს, თითქოს ქვის ქანდაკაც კი, ძველთუძველეს წმინდანს, ხელნი აღუპყრა ვედრების წინაშე... ეკლესიის ეზოს კუთხეში, თვით ქვის ყორში იყო ჩაყოლებული ის ქანდაკება, ლამის კაცის სიმაღლე ლოდის ერთდრე

გვერდზე ნაკვეთი. დიდ განსაცდელშია მებრძო ჩვენი ბედკრული ქვეყანა, და ყოველი არსება, სულიერი თუ უსულო, თვით ქვის ნატებიც კი გრძნობს ამას... განსაცდელში ხარ შენც, ჩემო სიყვარულო...

...და ნუ მკითხავ, რომელი განსაცდელი უფრო მაშინებს, რომლის დარდი უფრო მძიმეა ჩემთვის, შენი თუ სამშობლოსი. ვერ გაპასუხებ. ინებოს მზე-მარიამმა, გამარჯვებული დაგვიბრუნდეს საომრად წაუსული სპა, მაგრამ შენ თუ აღარ იქნები მათში, აღარც გამარჯვების სიხარული იქნება ჩემთვის, გულნათელ დიმილს ვერ შევაგებებ ძღვეთსილად შემოსულ ლაშქარს. თვით მზეც ჩაქრება, თუ ერთი სხივი მოაკლდება შენი სახით. მაპატიოს მზე-მარიამმა, ამას რომ ვამბობ. ხომ გინახავს ნედლი შემოსიდან დანთხული ცეცხლი: ნვენიოთ საესე ტოტები უალოდ იწვიან, კვამლის ბოლქვები ყომრალი ფერის გველებივით იგრძობიან და უნაერნკლოდ მიიღვიან მალა, აი სწორედ ასე იწვის და იგრძობება ახლა ჩემი სული და სხეული. ამ უამრავ მღვთოველთა შორის ზევ ვედილობ შენი თავი და სამშობლო შევავეფრო ღვთისმშობელს, მაგრამ ხმის ამოღება ვერ შევძელი, ენა ნაამერთავა. ვერრა სიტყვაში ვერ ჩავეტიე ჩემი ვედრება, ვერაფერი ვერ ვთხოვე ღვთისმშობლის ხატს, თუმცა კი რამდენი ვიბრძობლე რათა იმდენ ხალხში როგორმე გზა გამეკვლია და ახლოს მივსულიყავი მასთან. ერთი სიტყვა რაა, ისიც ვერა ვთქვი. უსულო ქვის ქანდაკებას დავემსგავსე: ეკლესიის ეზოს ყორში ჩაყოლებულს. მერე ხალხის ტალღამ გამომიტანა გარეთ, ისეც ისე გაქაჯებული და ენაწარმოებული.

მჭოლოდ ერთი რამ აზრი, ერთი მიხვედრა თუ ხილვა გამომყვა გარეთ, ტაძრიდან გამოსულს: შენანორავეც უხვად გაიღეს ამ დღეს მლოცველებმა, ღვთისმშობლის ხატის წინ გროვად დახვავებულიყო უამრავი ნაქსოვი თუ

ნაძერწი, უცხოდა ნახელავი: და კეთილად შემკობილ-შეკრული, ფასით ძვირი და თვალად საამო, მაგრამ მათ შორის, ამ აურსცხელ ზეარაკ-შესანირავს შორის არსად არ ჩანდა იშვიათად სახილველი ყვავილი ერთი, ღვთის-მშობლის თვალს რომ უხმობენ სახელად...

თან გამოშვება ეს ბილვა, აღარც განმშორდა... ალბათ გემახსოვრება, რამდენი ვეძებეთ ის ყვავილი ორივემ ერთად. მას ხომ ძალზე ძნელად ნახავს კაცის თვალი. კლდეების ძირას, ჩრდილიანში იცის ყვავილობა, ჭაობით ნაშინან მინახვ. უცნაური კია, ისეთი გამჭვირვალე, ნათელი ფერის ფურცლები აქვს, ცის ნატეხი გვეგონება და მხოლოდ ჭაობზე თუ გაიშლება, ნახებრად ბნელში. უფსკრულები უნდა მოიარო მის საძებრად. ათასნაირი ქვემძრომი იცის აქ, შხამიანი გველებიც ხშირად შეგხვდება.

მარტო არ ყუფილვარ მაშინ, შენ მყავდი გვერდით, პირბასრი მახვილიც ნელზე გერთყა, როგორც ყოველთვის, მაგრამ მე მაინც მუშინოდა... უფრო სწორად, თავი მეჭირა ისე, ვითომ ძალიან მუშინოდა. ამა შენს გვერდით რა იყო ჩემთვის საშიში, მაგრამ ბავშვივით ცველქობდი მაშინ. შენც იცნოდი ჩემს შიშზე. მართლად ბავშვივით მიფრთხილდებოდი.

მრავლად დაკვირვებთ იმ დღეს ის იშვიათად სახილველი, უცხო ყვავილი, ღვთისმშობლის თვალს რომ უხმობენ სახელად. ღვთისმშობლის საყვარელი ყვავილებია, ასე ამბობენ ჩვენში... ორივე ხელი ამიყვს, მაგრამ მე თითქოს ვერც კი ვამჩნევდი მაშინ იმ ყვავილებს, ვერ ვხედავდი მათ ცოურ, გამჭვირვალე ნათელ ფერს, ამ ნათელმა ელფერმა მხოლოდ ახლა იღვავ, თან გამოიყოლია და ისევე იმ საშიშ, ქვემძრომებით საესე უფსკრულში ჩამომიყვანა...

სულ ახლოს გაისრიალა ქრელმა გველმა, მოვასწარ თავის არიდება. ფსკვებიც, ხელის ჩაჭიდება რომ დაუბიძგე, თითქოს გაცოცხლდნენ და კიდურები ასაქსავს. ფეხებქვეშ ჭაობის ქენჭყო იზნიქება. ერთი მცდარი ნაბიჯი და ალბათ ველარ ამოვალ აქედან, მაგრამ შიშს სრულებით ვერ ვგრძნობ... ახლა ბერვად უფრო ნაკლებად მუშინია, ვიდრე მაშინ, როცა ერთად ვერუფდით ამ უცხო ყვავილებს. და არც ტკივილს ვგრძნობ, ჩემი სიყვარულო. ისარვივთ ნამახულმა ვეალმა სა-

ქმოდ ღრმად გამიკანარა ხელი. სახამ სიხელი არ დავინახე შანამდე არ გამიგია არაფერი. ვინ იცის, ახლა უკვე ებრძვი მოხედურს და მისმა მახვილმა მოსინჯა შენი სხეული და შეეხოვ მზე-მარიაშს, ამ ეკლით განაქანრზე მეტი ნუ იქნება შენი ჭრილობა...

უკვე გვიანი საღამო იყო, როცა ისევ ტაძრად მიუბრუნდი. ახლადდაკრუფილი უცხოდა სახილველი ყვავილებით ხელში. ცოტანილა დარჩენილიყუნენ მლოცველები, ღვთის მსახურთაგანაც აღარავინ ჭაჭუნებდა, არავის არ შეუშინვია ჩემი ძვირფასი ძღვენი, არც მჭირადებოდა. ღვთისმშობლის ხატის წინ ფრთხილად დავანვევი ცის ნატეხებივით გამჭვირვალე ფრნათელი ყვავილები. მერე როგორც იქნა ამეხსნა ენა, შენი თავი და ჩვენი ბუდკრული ქვეყანა შეგავედრე მზე-მარიაშს. მხურვალედ შევეხვენე მონყალე ღვთისმშობელს, რომ გამარჯვება არგუნოს ჩვენს ღამს. ქარს და შენი თავიც უნებლად დამიბრუნვის ბრძოლის ველიდან.

ამ ღოცვის შემდეგაც ვეღარ დავტოვე ღვთისმშობლის ჭაძარი, ჩემო სიყვარულო. კარგად ვიცო, ჭარ მოისვენებს ჩემი სული და სხეული. კუთხეში ჩუმიდ მივიმალე, კანადელობის უკან. ჩემი დაკრუფილი ყვავილები ღვთისმშობლის ხატის წინ აწყვია, ისე ცოცხლად ღალანებენ, თითქოს ეს ნუთია დაკრუფოს...

ტაძარში აღარავინაა, უკანასკნელმა მლოცველმაც რა ხანია დასტოვა აქაურობა. მალე ალბათ იორფრატებს კიდევ და ვინ იცის, ვისთვის რა ფურად შეიღებება ის რიგრაგი... ამაზე ფიქრში რული არ ევარება ჩემს თავლებს... შენ ახჯარი გმოსავს, ჩემო სიყვარულო, მკრადი ჯაჭვით გაქვს დაფარული. მე თხელი გულსიბორი მიფარავს ყელ-კისერს. იმასაც მოვიშინებლედ და ასე შეეხოვ მზე-მარიაშს, შენ აგარიდოს მტრის მახვილი და ჩემკენ მომართოს იგი, თუ გარდაუვალა ერთერთი ჩვენგანის სიკვდილი.

მერე კი, როცა სამადლომელ ღოცვას იტყვი სასასთან ერთად ბედნიერად მობრუნებულნი, ღვთისმშობლის ხატის წინ ნახავს ცის ნატეხებივით გამჭვირვალე, ფერნათელ ყვავილებს, ღვთისმშობლის თვალს რომ უხმობენ სახელად. მაშინ მიხვედები, სიყვარულო, ვისმა ღოცვამ გადგაგარჩინა.

**ხელიდან ხელში**

ვერაფრით ვერ გაარკვევდი, ტილოზე რაიმე ესახტა თუ არა. ვილაც ღიზიან, ასე შუახანს მიტანებულ კაცს ნაღმა მხრით გვერდზე მჭიდროდ ატყარა იგი და ისე მიჰქონდა. თუ კარგად დაუკვირდებოდი, რალაც გაურკვეველ

ლაქებს შეამჩნევდი ხის ჩარჩოს გასწვრივ, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა, რომ მასზე რაიმე ესახტა. ლაქები შეუჭრდილთა თამაშიც შეიძლება ყოფილიყო. ხომოთ ტილო საკმაოდ მოზრდილი გახლ-

დათ. ასეთი ზომის სურათით ქალაქის ყველა-  
ზე ხალხმრავალ ქუჩაში სიარული, თანაც  
„პიკის“ საათში, სულაც არაა ადვილი საქმე-  
ყოფად წამს ვიღაცა გეჯახება, ვიღაცა ხელს  
ან იფაქს გარას და უკანმოუხედავად გარ-  
ბის. არც ბოდინის მოსახედვლად სცალია ვინ-  
მეს, არც მის მოსასმენად. ღიბიანი კაცი  
მკვიდრი ქალაქელისთვის დამახასიათებელი  
მოსერხებულობით იცვლება გზას ხალხის  
დუნდგომი თავის სურათიანად. შუა ტროტუ-  
არზე მიაბიჯება საკმაოდ სწრაფად, ისე რომ  
არც თვითონ დაჯახებია ვინმეს, სხვის იფაქ-  
ვებს თუ მუშტებსაც დროულად უხვდებოდა,  
როგორც საჭირო იყო.

ცოტა ხანში ღიბიანმა ენერგიულად აამუ-  
შავა თავისუფალი ხელი, სანინალმდგომ მი-  
მართულებით მიმავალი ხალხის ნაკადი გა-  
რღვია და ტროტუარის კიდისკენ გადაინაც-  
ვლა. აქ ნაბიჯი შეანელა, რამდენიმე წამით  
ტროტუარის და ქუჩის ზღვარზე მიაბიჯება,  
თან ქუჩაზე უწყვეტად მიმქროლავი მანქანე-  
ბის ნიაღვრას აკვირდებოდა. ქუჩის მეორე  
მხარეს მეტროს სადგური მოჩანდა, ღიბიანს  
აშკარად მისკენ ეჭირა თვალი. გადასასვლელი  
აქედან ცოტათი მოშორებით იყო.

მოულოდნელად ღიბიანმა თავი დაღუნა  
და თითქოს შუტყავზე გადადისო, ქუჩის გა-  
დაკვეთა დაინყო. სურათი ახლაც გვერდზე  
მჭიდროვდა აერული მიქრონდა. ფარივით ჩაე-  
ზაბაჟდა სწორედ იმ მხარეს, საიდანაც მისკენ  
ბრახით აღმუშვებული მანქანები და მათი  
დაბლევრილი მძღოლები მოქროდნენ. ღიბი-  
ანმა მშვედობიანად გადაურბინა მათ წინ და  
შუა ქუჩაზე გაღებულ თეთრ ხაზამდე მია-  
ღწინა. აქ ერთი წამით შეყვინდა, გაატარა  
წანერებებით აჭრელებული ტროლეიბუსი... და  
სანამ ქუჩის მეორე ნახევრის გადაკვეთას შე-  
უდგებოდა, სურათი მეორე ხელში გადაიტანა,  
სწორედ იმ მხარეს, საიდანაც მანქანების მე-  
ორე, შემხვედრი ნაკადი მოედინებოდა მის-  
კენ. ამ დროს ერთი წამით გაიღვია რაღაც  
მონახაზმა. აშკარად რაღაც ესაბა, ტილოზე-  
მაგრამ რა, ეს ახლაც გაურკვეველი დარჩა,  
ისე სწრაფად გადაანაცვლა ღიბიანმა იგი. თან  
ისეც ნაღმა მხრით მივირა გვერდზე.

ქუჩის მეორე მხარეს გადასულმა ღიბიან-  
მა ისე ჩაყვინთა მეტროში შემავალი ხალხის  
ნაკადში, როგორც მოცურავე შეერევა მდი-  
ნარის ტალღებს. რამდენიმე წამს გაითქვია  
მასში, აღარ ჩანდა. მერე ისევ გამოჩნდა,  
ზედ მეტროს კარებთან გამოეყო ხალხის ნა-  
კადს და გვერდზე მიდგა, შენობის კედლის გა-  
რე კუთხეში.

აქ შედარებით მყუდროება სუფევდა. იქვე  
სანადგე ურნა ადუღავთ. ურნა პირთამდე სა-  
ქე იყო, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე  
საღამოს საათებში. ნაგავი ურნის ირგვლი-

ვაც მრავლად ეყარა. პაპიროსის ნაშენებელი  
ჭუჭყიანი ქალაქდებო... სახიზღარ ჭუჭყიან  
ლაქებს აეჭრებოდნენ იკაურობა.

ღიბიანმა, ბოლოს და ბოლოს, მოიცილა  
გვერდზე მჭიდროდ აერული სურათი, იქვე  
მიაყუდა კედელზე, ნავით საქე ურნის გვე-  
რდით. თვითონ ვიბრების ჩხრეკას მოჰყვა. ნა-  
თელი გახდა, რომ ღიბიანი შეგნებულად არ  
ცდილობდა ნახატის უცხო თვალისგან დამალ-  
ვას: მან ნახატი ისე მიაყუდა, რომ მისი უკუ-  
ღმა მხარე მოქცევა კედლისკენ. უკვე შეიძლე-  
ბოდა მისი დათვალეურება...

ტილოზე მაცხოვრის თავი იყო დახატუ-  
ლი, ეკლესიის გორგენით და შარავანდე-  
დით გარემოსილი. უცნობ მხატვარს საღებ-  
ვები არ დაეშურებინა; აღსიფრად ქსბჭხე-  
ბდნენ მაცხოვრის სახეზე ჩამომდინარე სისხ-  
ლის წვეთები, კამკამა ლურჯი ფერის გახლ-  
დათ მალღა აპრობილი თვალები.

თვით მაცხოვრის სახე მუქი ტონებითაა  
დაფარული, რაც ალბათ გაუსაძლისი ტანჯვა-  
ნამებისგან ფერის გაკეთომანზე მიანიშნებს  
მნახველს. შარავანდედს კვრცხისგულისფრად  
გაუფდის ლაღაბი.

რაც შეეხება ნახატის ფონს, აქ ეტყობა  
საღებავები შემოაკლდა უცნობ მხატვარს, ტი-  
ლო ცარიელი დაუტოვებია ვიდრე ჩარჩომდე.  
სწორედ ამიტომაც გამწვლდა იმის გამოცნო-  
ბა, იყო თუ არა ტილოზე რაიმე დახატული,  
როცა იგი ღიბიანს მიქრონდა, გვერდზე მჭი-  
დროდ აერული.

თანაც ეს დიდებული ნახატი გვერდზე  
იღო ჭუჭყიან ასფალტზე. მაცხოვრის მალღა  
აპრობილი, კამკამა ლურჯი თვალები ცისკენ  
კი არადა, მეტროს კარებში უწყვეტად შემ-  
ავალი ხალხის დუნდგოსაკენაა მიმართული.

ღიბიანმა მოიჩხრეკა ვიბრები, ამოიღო პა-  
პიროსი, მოუკიდა და გააბოლა. ნახანების-  
გან აღრიალებულ ქუჩას გაუშტერა თვალი,  
სურათისაკენ ერთხელაც არ გამოუხედავს.

არც სხვა ვინმეს შეუნუხებია თავი მისი  
თვალეივრებით. ყველა სადაღც მიიჭქარის. ერ-  
თმანეთს ხელს უკრავს, სანრებს, იღანძლებს,  
ივინებს, ბორბიკობს, ისეც წინ მიინეწს...

ღიბიანი ადგოს ტყეწნიდა და აბოლებდა.  
მოსწია. უკანასკნელად გამოაბოლა. ნაშვი  
მოისკროლა. გვერდულად აყირავებული სურა.  
თის წინ დაეცა უერ ისევ მბოლავი ნაშვი.  
მაცხოვრის ხატის წინ ცისფერი კვამლი აი-  
ღაქნა.

სწორედ ამ დროს ხალხის დუნდგოს ვიღაც  
კაცი გამოეყო. იგი ყოყმანშერეული, ბორბიკ  
სიარულით მიუახლოვდა ღიბიანს. რაღაც  
ჰქითხა, თან სურათისკენ გაიხედა.

ღიბიანმა თავი დაუქნია.  
ბორბიკამ კიღვე ჰქითხა რაღაც.  
ღიბიანმა სამი თითი აიშვირა მალღა.

ბორძიკამ გაოცება გამოხატა და თვითონ ორი თითი აიშვირა მალა.

ლიბიანმა თავი გაიქნია უარის ნიშნად და სურათისკენ წაიწია.

ბორძიკამ შეაჩერა ხელების ქნევით, რაღაცას უმტკიცებს გაცხარებით.

ლიბიანი უფულისფეროდ უსმენს. აქა-იქ თუ შეაწევს სიტყვას მოსაუბრეს.

ლაპარაკში შიგადაშიგ ორივე იპურტყება. მათი გადაპურტყებულები ნახატის ახლო-მახლო ეცემა, თვით ნახატსაც ხედება წინწკლები.

არც სხვებისგან აკლია ეს სიკეთე გვერდულად აყირავებულ ნახატს. ორი კაცი კიდეც შეტრდა ნაგვის საფეხ ურნის გვერდით პაპიროსის მოსაწვევად.

ლაპარაკობენ, აბოლებენ და იპურტყებიან. ძირს, მალა, დაბლა, აქეთ, იქით, ახლოს შორს, შორიახლოს, ნახატის წინ, ნახატის გვერდით, თვითონ ნახატზე... ყველგან იპურტყებიან, სადამდეც კი მიუწვდებათ.

ურთმა ჯიბეების გამოსუფთავება მოინდომა, ვინ იცის, რამდენი ხნის ნამიციები და მტვერი დააბერტვა ნახატს.

ბავშვმა ნამცხვარი მიირთვა, ზეთით დაღაქავებული ქაღალდი დაჭმუჭნა და ურნას ესროლა, მაგრამ აცდა და ნახატს მოხვდა.

იმავე წუთში სხვამ ნაყინის გასახვევი ქაღალდი გადმოაგდო მისკენ. და კიდეც ბევრი სხვა რამეც, რაც კი ჭუჭყიანია, უსარგებლო და გადასაგდები... ყველაფერს აყრიან გვერდულად აყირავებულ ნახატს.

ლიბიანი და ბორძიკა ისევ გაცხარებით დაობენ.

ეტყობა ვერ მორიგდნენ.

ბორძიკა გაეცალა...

ლიბიანი ისევ იქ დგას. თავი იცხვრის, თითქოს ისევ პაპიროსის გამბრუნებას პაპირბდება.

მაგრამ თურმე ბორძიკა შორს არ წასულა. ისევ ამოყვინთა საიდანლაც და წინასწარგამზადებული ფული შეაჩერა ლიბიანს.

ლიბიანმა სასწრაფოდ ჯიბეში იყრა ფული და მეტროს კარებში დურთა თავი.

ბორძიკამ კიდეც ერთი პაპიროსი გააბოლა, თან ადგილზე ქანაობდა. ეტყობა ბახუსსაც მიუძღვის ბრალი, ფეხზე მყარად რომ ვერ დგას.

შორმა პაპიროსის გააბოლებას, ნამწვი მოიხსოვდა. გვერდულად აყირავებული ნახატის წინ ნამწვავების გორა დამდგარა...

ბორძიკამ ხელი დაავლო ჩარჩოს კუთხეს, სურათი აიტაცა და გასწია. სურათი ხელს უშლის სიარულში. ნამდგაუნუმ ფეხებში ებღანდება. ბორძიკა უქმყოფილოდ იჭმუხნება და ძალზე უწმანურად იგინება... იგინება, რადგან სხვანაირად არ შეუძლია. ყოველთვის, ყოველ წუთს, ყველაფერს, სულ უბრალო რამესაც კი გინებით უნდა გამოეხმაუროს. ყვავილის მტვერიც რომ დაეფრქვიოს ხელზე, თვით პეპელასაც რომ არ დაამძიმებს, ბორძიკამ გინება უნდა დაახვედროს პასუხად.

ძლივს, ჯახირით გამართა ნაბიჯი, გზას უგერგოლოდ იყვლედა ხალხის დუნდგომი. ნახატის ჩარჩო მაგრად ჩაებლუჯა. ვერ მოუფიქრებია, თუ ვერ მოუხერხებია გვერდზე მჭიდროდ მიიკრას იმ ლიბიანივით. ყველა კარგად დაინახავს, რომ ტილოზე მაცხოვრის ეკლისგვირგვინიანი თეთვა დახატული. ოღონდ ამჯერად მაცხოვრის ნაღველიან თვალით მხერა დაბლა, ჭუჭყიანი ასფალტისკენაა მიმართული. უკუღმა უჭირავს ნახატი ბორძიკას.

გიგლა სარიშვილი

• • •

ისევ მოდის გაზაფხული  
სიხარულის და იმედის.  
ნანახი და არნახული,  
კიდევ ერთხელ, კიდევ ერთი...

მრავალ გაზაფხულთა შორის  
გზები ველარ გამოგნია.  
ჩემი გაზაფხული — ცოლიც  
მოვა, მაგრამ ძალზე გვიან.

სწუხს სიცოცხლე დაზრახული...  
თითქოს ღორი ჭიჭენის ბოსტანს...

მოვა ჩემი გაზაფხულიც,  
მაგრამ უკვე ჩემს კუბოსთან...

და დღეს მინც, ამ ღამაზე დღეს  
გულს ნაღველს ნუ მიაკარებ.  
თვით ქარებიც შეიყვარე,  
თუმც იმედი მიაქვთ ქარებს...

კიდევ ერთი გაზაფხული  
სიხარულის და იმედის!  
ნანახი და არნახული,  
კიდევ ერთი, კიდევ ერთი!

დაღლილი ავტომობილით

წუთისოფლის ეტლით მიეჭრი,  
აგერ უკვე სურამში ვარ,  
ვიკვებები მხოლოდ ფიქრით,  
სულ არ მწყურის, სულ არ მშვივა.

არცა ვყვირი ათას რამეს,  
ალეირი ვარ ჩემი ვნების,  
დაღლილი ვარ... საბურავებს  
შემოაცვდა ქართლის გზები.

ძნელად,  
ძნელად ვიპერ საჭეს,  
ცხელა,  
წვიმავ, დამასველე...

ინსპექტორო აბულაძევე,  
გამაჩერე,  
დამასვენე!

გზად გადებულს ვგავარ ყავარს,  
თორემ წასვლა სულ არ მინდა...  
და სულს სურის  
ამ ჭკვეყანას  
სულ უცქიროს სურამიდან.

ფეხით სიარულის სევდა  
გდევს და...  
თუმცა მიპჭრი ასე,  
მინც შეგამუბრუნებს და  
შეგაჩერებს სილაშაზე!

## სარკვეში

ერეკნული  
ხიზლირთეკა

შენ ვერ აპყვევი, ვერ დაპყვევი ცხოვრების კიბეს,  
იქექ კუთხეში, მიეკედლე შენებარ ყარიბებს.  
მძიმე ნალველი და მსუბუქი ჭკუა და ჭიბე —  
ეს იყო შენი მთლად სიმდიდრეც და სიღარიბეც.

ბრძენსაც გეძახდნენ, მაგრამ სიბრძნე — არავითარი,  
ხან ის გიყვარდა, რაც ახლა გძულს, რაც გძულდა — გიყვარს...  
ჩან პატიოსან ღარიბივით იყავ მდიდარი,  
ხან ფული გქონდა და ფულივით არარა იყავ.

თითქოს გამოცხება ობლის კვერი  
ცრემლის მწუთხეში...  
არასდროს გქონდა, რაც გწყუროდა და რაც გშოოდა,  
ობოლი ბავშვი ობლის კვერით იდექ კუთხეში  
და ტკბილი ლუკმა მწარე ყელში არ ჩადიოდა.

• • •

შენ შენ ხარ  
შენი მთებით და ზღვებით...  
შენ შენ ხარ,  
შენგან ვით ან  
სით წახვალ!  
შენი სამშობლოს ცხელი მზით ცხვები  
და შენი ქვეყნის მიწის მიწა ხარ.  
თუმც ზე სიკეთის ხარ ასხებილი,  
არ განაყოფეს ისე, ვით გსურდა, —

შენც საბოლოოდ ცხოვრობ სხვებივით,  
ან ოდნავ უკეთ  
ან ოდნავ ცუდად.

დაბადების და სიკვდილის ბედით  
ერთია ყველა —  
სულელიც, ბრძენიც.  
კუბო იქნება ყველასთვის ერთი —  
ან ოდნავ მოკლე  
ან ოდნავ გრძელი.

## გზუტვა ნათლისა

როცა ისევ ღმერთითა ვარ,  
როცა —  
რაც ვარ — მე თვითა ვარ,  
როცა შორით,  
მაგრამ ბედით  
შენი გვერდი-გვერდით დავალ...  
მაშინ...  
მზისკენ მიჰქრის რაში,  
გული მზესთან შეწყვილდება...  
მაგრამ როცა ჩემს ბინაში  
სიმარტოვეს შესცივდება...

ჩემი ხორცის აბედით და  
ჩემი ძვლების კვესით ვთბები...  
ჯაგლაგ სხეულს სამარემდე  
მისათრევად ვეზიდები...  
მაგრამ...  
სანამ ღმერთითა ვარ,  
სანამ რაც ვარ —  
მე თვითა ვარ,  
შორიშორად, მაგრამ ბედით  
შენი გვერდი-გვერდით  
დავალ...

პირველი გვიგური

## სიკლიძეან — „ივრის ხეობის ქრონიკები“

### წყაროსთავს ვიყავ

წყაროსთავს ვიყავ გუშინაც,  
დედა ვილოცე ადგილის,  
გაყრა მშობლიურ კერასთან  
არა ყოფილა ადვილი.

თვალწინ დამიდგა უტყბესი  
წუთები ქუსნოს ალვებთან,  
როცა ღიმილის კოცონზე  
გამათბეს ფშავლის ქალებმა.

როცა ბიჭებმა შაირი  
შემომამაგებეს ფიცივით,

ველს ყვავილებად ეფინა  
ფანდურის სიმთა სიცილი.

რა კარგი იყო კაფია,  
სწორფერთა ლოცვა-ვედრება,  
სიცოცხლის სადიდებელი  
მაჩუქეს დაუყვედრებლად..

მომნატრებია დღეები  
ნათილმრები ალვებთან,  
როცა ტრფიალის კოცონზე  
დამფერფლეს ფშავლის ქალებმა.

### სიონის ზღვასთან

წიფლნარები გონდაურის  
აიზიდნენ თეთრ აფრებად,  
ქარი ქრეოლად რომ დაუვლის,  
ტყე ზღვასავით იფაფრება.

ტალღას ტალღა ემატება,  
ტევრებს — ტევრი,  
ბაღებს — ბაღი,  
სიონს აღარ ენატრება  
ხეივანების ლურჯი თაღი.

წყურვილს იკლავს ჯოგი ირმის,  
შორს სამგორი იკლავს წყურვილს,

უსაზღვროა მაღლი ივრის,  
ულევია მთების ცური.

სიცოცხლე და სიკეკლუცე  
დაიმკვიდრეს სანახებმა,  
წყალს კაცივით გული უტევს,  
ხიბლავს მიწის განახლება...

ღვას სიონი — თეთრი ნიში,  
თავი ველარ მივანებე,  
ხვალინდელ დღის მოლოდინში  
ზვირთნი ლალად ღრიალებენ.

## რჩევა

რამ გაგაბრაზა, იორო,  
 გამაგებინა ნეტავი,  
 საითკენ მიეჩქარები  
 მთებიდან ვერცხლის მხვეტავი.

ზღვის ზვირთად ქცეულ მდინარეს,  
 ამდენს რომ მესაუბრები,  
 ვერა, ვერ შეგხსნი არტახებს,  
 ვერავითარი უფლებით...

მე გირჩევ,  
 ჩემო იორო,  
 დავრჩეთ სიონის კალთებთან,  
 ვაჟა პოეტურ ღამეებს  
 ამ ღამაზე მოლზე ათევედა.

აქ უმღეროდა პირიმზეს,  
 ათამამებდა არწივებს,  
 მისი მზე დამალოცვინე,  
 დაკარგულ რწმენას დამწიე.

გვიმასპინძლებენ ირმები  
 კეთილები და კარგები;  
 იცოდე, მთებს თუ დაეტოვებთ,  
 უკვალოდ დავიკარგებით.

## ქალი და მამაკაცი

მოთხრობა

ფრანგული ვესტერნის ბოლო სენასი მთავრდება. ახმაურებული, სახეგაბრწყინებული მაცურებელი გამოსასვლელისკენ მიიწევს და სწრაფად აცარიელებს დარბაზს. ბოლო რიგში მჯდომი ახალგაზრდა დევივით ქალი წელა დგება. სკამზე ჩაძინებულ მეორე ნახევარს შეჯანჯღარებით აფხიზლებს და ტაატით მიიწევს კარისკენ. ნახევრად თვალებდახუჭული მუღღლე უკან მიჰყვება.

— ო, ვან პოოლ! — ღრმა ამოოხვრას თან აყოლებს გარინდებული ქალი, როგორც კი ქუჩაში გადიან.

კაცი ამოქნარებს, ცას ათვალერებს და ბრაზით ბუტბუტებს: „ხედავ ნუშა იქნება, ამის დედა ვატორე“.

დარბაზიდან სწრაფად გაკრეფილი მაცურებელი ქუჩიდანაც ასევე სწრაფად გამქრალა. ცოლ-ქმარს ტაქსის ფული არა აქვს, სხვა საზოგადოებრივი ტრანსპორტიც არ ჩანს და ამიტომ, ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, ფეხით მიჰყვებიან ნეონის შუქით მკრთალად განათებულ ქუჩას. წინ ცოლი მიდის, უკან ქმარი, ჩონჩხივით გამხმარი, აწონილი, დაღლილსახიანი კაცი. თმა ზღარბის ეკლებით აქვს მალა აქორჩილი, წამდაუნწუმი დაბლა იწევს ამ ქოჩორს, ამოქნარებს და საათზე იყურება.

ქალს რაღაც ჩაუვარდა ფეხსაცმელში, შეჩერდა, ცალი ხელით ხეს მიყვრდნო, ფეხსაცმელი დაფრთხა, ისევ ჩაიკვა, ათრთოლუბულ, ტანწვრილ, კინაღამ მისი მიწოლით გადატეხილ ხეს თვალი წყნით შეავლო და გზა განაგრძო. ახლა წინ ქმარი მიდის, უკან ცოლი მიჰყვება.

„ზოგსა კაცსა კაცი ჰქვია, ზოგსა კიდეე კაცუნაო“ — ფიქრობს ქალი და ამრეზით ათვალერებს წინ მიმავალ გამხმარ მუღღლეს.

„ხეალ თუ დარი იქნა, ჩემს ბედს ძალღი არ დაჰყვს“ — ფიქრობს კაცი და ახველებს ლამის ნესტი უჯდება ფოტოებში.

„ამასაც კაცი ჰქვია, — მწარედ იღიმება უკან მომავალი ქალი — ოჰ, ბელმონდო, ბელმონდო... აი, როგორი უნდა იყოს ნამდვილი კაცი... მა-მა-კა-ცი! პროფესიონალი კოვბოივით აქუნებს ცხენს... ეშმაკივით ისვრის მიხანში... ცალი ხელით ახრჩობს ძაღლს...“

„ხეალ თუ მოვასწარი გეგმის შესრულება, კვარტლის ბოლოს პრემიასაც გამომიწერენ — ჯიბეებში ხელუბნაწყობილი მიოცნებობს კაცი — ბავშვს პალატოს ეუყიდი, თბილ ფეხსაცმელს...“

„ეს კატასაც ვერ დაახრჩობს ცალი ხელით...“

„ინგასაც არა აქვს სახამთრო ფეხსაცმელი... მე კიდეე შემიძლია ცოტა ხანს მოთმუნა, ძალიან დახეული არა“.

„ნეტა თავგს კი დაახრჩობს?... — ზიზლით იბზუებს გაფრუებულ ბაგვს ქალი და ჩუმად ქიჩქილებს.

„კაცი მაინც კაცია, უფრო ადვილად შეუძლია სიცოცხის ატანა. იქნებ ჩქემაე ვუყიდეო... თუ ვიმოვე მაგისი ზომა...“

„ველაზე მეტად მაინც ის მომეწონა, სიყვარულს რომ უხსნის, — თვალეგაბრწყინებული ქალი თავიდან ბოლომდე იხსენებს ამ ამბილეუებელ კადრს და რატომღაც ნეტარებით ევენის — ღმერთო, გიტარასავით უჭირავს ხელში...“

„ნეტა რა დაემართა ამნეს, გუშინ უჭირდა მუშაობა, პირველ რიგში ეგ უნდა შევამოწმო...“

„აი მამაკაცი... ჩემი ოცნების მამაკაცი, — აზუსტებს ქალი, აქოშინებული ჩერდება და წინ წასულ ქმრის სხეულს ზიზლით აღსაყვ

მზერას აყოლებს, — მეც ვიტყვი, რომ ვცხოვრობ, მეც ვიტყვი, რომ თავზე მაღვას კაცი... ერთხელ მაინც თუ მოსვლია თავში, რომ გიტარასავით დამიჭიროს ხელში..."

„შე მგონი ბიჭი არ დაიძინებდა უჩვენოდ... კარგს ეშვებოდა ცოლს რომ არ ვამუშავებ... ბავშვს დედა არ უნდა წაართვა, ოჯახის ქალი სამუშაოზე არ უნდა გაავადო, რაც არ უნდა გაგიჭირდეს... ბედად, ქალიც კარგი შემხედა, ქმარ-შვილის ერთგული, თვინიერი...“

— ომარ! — ეპისს კაცს თვინიერი მეუღლის ხმა უჯანიდან და თავს ატრიალებს.

ცოლი ხეს მიყრდნობია, მძიმედ აუფრადის სავეს მკერდი და უცნაურად იყურება.

— ომარ!

ომარი ცოლს უახლოვდება და კითხვის თვალში უყურებს.

— შენ შეგიძლია, ხელში ამიყვანო? — ათრთოლებული ხმით ამბობს ქალი და უცნაურად იყურება.

კაცი თვალს ახამამებს, ხომ არ მომეყურაო და ენის ბორძივით ეკითხება.

— რაა?

— შეგიძლია, ხელში ამიყვანო?

— ხელში ავიყვანო-ო?! — შუბლზე ხელს ისევს გაოგნებული კაცი — რა-ა?

— ხელში ამიყვანო და მაგრძნობინო, რომ ქალი ვარ, ქალი! — სისინებს ხეს მიყრდნობილი ქალი — ერთხელ მაინც მაგრძნობინო, რომ...

— შენ ხომ არ გაგიფიქრებ, ქალო? — შიშით ეკითხება კაცი და აქეთ-იქით იყურება — რას ჰქვია ხელში ავიყვანო?

— ზოგსა კაცსა კაცი ჰქვია, ზოგსა კიდეც კაცუნაო... კაცუნა ხარ შე უბედურო, შენ, კაცუნა... — ბორძივად სისინებს ქალი და რადგანაც ხესთან მდგარი ცოლ-ქმარს სამი მოქალაქე უახლოვდება, უფრო ჩუმი სისინით უმარცვლავს — კაცუნაი!

— რა სამგლე გოჭივით ხარ აეარდნილი ქალო შენ დღეს, ჰა? — ხამაღლა ღრიალებს უცებ კბილებდაკრეჭილი კაცი — რა ჭირი გეტყავს შენ დღეს, ჰა?

სამივე მოქალაქე მეყსეულად ჩერდება კაცის ყვირილზე, მაგრამ ატრიალებს თავს და კაცი დაკრეჭილ კბილებს და ყალბად მდგარი ქორწინს იქით, სამივე ფეხბორებით აგრძელებს გზას.

— ცხოვრება, ცხოვრება მიტყავა დღეს, ომარ! — გულზე მუშტის იბავუნებს ქალი — აი, როგორ უნდა ცხოვრობდეს ადამიანი, აი, როგორ იყვნენ ურთად ქალი და მამაკაცი... მიდი, მიდი, შე უბედურო, რისი ამყვანი ხარ, მეც რომ გეუბნები...

— ქალო! — აღარ იცის რა ენას ომარმა — ქალო!

— ქალო რა ქალი, რის ქალო იცი კი რა არის ქალი, შე საცოდავო?

— ქალო!

— რაო, ბატონო მამაკაცი? — საჩუქარად ხიზბითებს ქალი — იმის თქმა ხომ არ გსურს რომ ფანდურივით დამიჭერ ხელში?

— რა ფანდური, რის ფანდური, ქალო, — სულ კარგავს აზროვნების უნარს კაცი.

— კაცუნაიი?!

\* \* \*

სამიოდე წუთიც არაა გასული, რომ წინ წასული ფეხბორებით მიმავალი მოქალაქეები საეკირველი სანახაობის მომსწრე ხდებიან: ეს საეკირველება გახლავთ გამზადარი მამაკაცი, რომელიც სწრაფად მიაქროლებს იდლიაში ცოცხივით ამოჩრილ უზარმაზარ ქალს, კაცი სხარტად ჭრის ქუნას, მსუბუქად არბის სკვერში ამავალ კიბებზე და აფართოლებულ ქალს თავით აყუფებს აუზში.

ვიდრე მოქალაქეები პირდაღებულნი მისწავრებიან სანახაობას, კაცი კიდეც ორჯერ ასწრებს პროცედურის ჩატარებას, მერე ფეხზე აყენებს განუნულ, აკივლებულ ქალს, იფრთხილავს ტანსაცმელს, ამრეზით იყურება გამტრეზული სამუღლისკენ და მტკიცე ნაბიჯებით ადგება გზას. მცირე ხნის შემდეგ ქალიც უკან მისდევს, სველი ასლუკუნებული და... თვინიერი.

## შაჰრო სამაღლაშვილი

ველოცავთ მწერალ შაჰრო სამაღლაშვილს და-  
ბადების 75 წლისთავს. ვესურვებთ ჯანმრთე-  
ლობასა და წარმატებებს.

### ფუძე

ვასრულებ: რასაც რა ხანია  
ვფიქრობ და ვცდილობ;  
სხვა მადლი ახლავს  
სოფლის ნათელს, წვიმას, თუ ელვას.  
დღეს რომ ვიყიდე  
ცეცხლის ფასად ბაზარში კილო —  
მასიამოვნა მისზე შეტად  
ამ ერთმა ლელვმა —  
ჩემგან დარგულმა  
ხემ ახლა რომ შემომთავაზა —  
ხემ — სახლის წინ რომ  
ამართულა კობტად, ლამაზად.  
ცხოვრების ფუძეს

მიგონებდეთ როგორც უფალსო —  
მეჩურჩულება კერა —  
მართლაც, უფალი ჩვენი.  
მწიფობას იწყებს...  
ხე მპირდება ნაყოფს უფასოდ,  
იდგილის დედავ, შენთან ვრჩები,  
თან მომყავს ძენი!  
...ბუნების ძალავ,  
მითვალთვალებს სიკვდილი ღრენით —  
მამორე იგი,  
გამიგრძელე სიცოცხლის დღენი;  
ჩახჩახა მზისთვის  
კიდევ, კიდევ,  
მაყურებინე!

ჯანმრთელობის

## განზომილება

ზღაპარი ხელმწიფის კატარა ქალისა და მყვანის ბიძისა

...როგორც მოგახსენებთ, „იყო და არა იყო რა“ ისეთი გასაღებია, რომელიც ორივე კარს აღებს — წინასაც და უკანასაც... ესეც არ იყო, რაჟი სიზმრის კარგაღებლობის ერთადერთი საბუთი გამოღვიძებაა, განა სხადღ სიზმარი არ აღმოჩნდება, როცა გამოგვეღვიძება?..

უცნობი ავტორი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა დიდი, დიდი ბნის წინ, იმ დროს, როდესაც ჭერ მზეს ლაქები არ დასტყობოდა, ოზონის საბანი არ გარღვეულიყო და ბუნებას მოვლა-პატრონობა არ სჭირდებოდა, ამ ცოდვიანსა და კურთხეულ მიწაზე იყო ერთი თავისთავადი ქვეყანა, რომელსაც მოტყუებული და, შეძლებისდაგვარად, სამართლიანი ხელმწიფე განაგებდა. დედოფალიც შესაფერისი ესეა ხელმწიფეს — ლამაზი, ზვიადი და ზომიერად ჰკვიანო. ცოლ-ქმარს მზე და მთვარე ერთმანეთზე ამოსდიოდათ, ქვეყნად მშვიდობა სუფევდა და მტერმა და მოყვარემ თავთავისი ადგილი იცოდა. მაგრამ, როგორც წუთისოფლის წესია, მათი სიამტკებლობის მოწმენდილ ცაზე ერთი საწვიმარი ღრუბელი მაინც დაეკურაფდა: შვილი არ ეძლეოდათ. თუმცე კი ხელმწიფე და დედოფალი, თავიანთი მტრიც, ცდას არ აკლებდნენ, დიდხანს მაინც ყოველივე ამო იყო და იმის გაფიქრებაზე, რომ შეიძლებოდა უმემკვიდრეოდ გადაგებულიყვნენ და ქვეყანა

უპატრონოდ დარჩენიდათ, ზოგჯერ სასოწარკვეთას ეძლეოდნენ და თვალზე მომდგარ ცრემლს ერთმანეთის მიღულად იწმენდნენ. მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, უფალმა ღმერთმა — მისი მოწყალე კალთა ფარავდეს ამ წიგნის ყველა წამკითხველს — მოხება მათს გასაჰკირს და ერთ მშვენიერ დღეს, როცა ცოლ-ქმარი უკვე ხანში იყო შესული და იმედიც გადაწურული ჰქონდათ, დედოფალი ფეხმძიმედ შეიქნა. ეს რომ ხელმწიფემ შეიტყო, სიხარულით ცას ეწია. ის კი არა — ბედნიერებით გაბრუებული, ცოტა არ თყოს, მდაბიურად ატროკდა და, თითქოს ხელმწიფე კი არა ერთი ვინმე ჭოკით მტომელი ყოფილიყოს, რომელმაც სხვა ჭოკით მტომელები დაგაბნა, ტახტის ირგვლივ სირბილსა და მუშტების ქნევას მოჰყვა. დაარბოდა, მუშტებს იქნევდა და ნიშნისმოგებით გაიძახოდა: „ნახეთ, ნახეთ, ამ სიბერეში ეს რა საგმირო საქმე ჩავიდინეთ!“. მართალია, ცხრა თვის თავზე, როდესაც დედოფალს შეეძინა არა ვაჟი, როგორც ზღაპარი და სამართლი-



ანობა მოითხოვს, არამედ ქალი, ცოტა კი გაუნელდა სიხარულის ცეცხლი, მაგრამ ღმერთს მაინც მადლობა შესწირა და დიდი ლხინიც გადაიხადა, ვინაიდან შვილი, რაც არ უნდა იყოს, მაინც შვილია და, გარდა ამისა, პატარა ქალი იმთავითვე ისეთი იყო, ავ თვალს არ ენახვოდა, მერე ხომ, რაც უფრო იზრდებოდა, სულ უფრო მშვენივრდებოდა და მშვენივრდებოდა. მალე მისი სილამაზის ამბავმა ქვეყნიერების კიდით კიდემდე მიადგინა. აღტკინებული კარის პოეტები (კარის პოეტების ამბავი მოგეხსენებათ) გრძელ-გრძელ ლექსებს თხზავდნენ და გოგონას ქებაში ერთმანეთს ეჩიბებოდნენ. ერთი თუ იტყვოდა — დილით რომ ცადატყორცნილი კოშკის სარკმელს მოადგება და ღიმილით გაიცისკროვნებულ პირისახეს ქვეყანას დაანახვებს, ჩამცხრალი და გაიკრეცილი მზე ღრუბლებს უკან იმალება და შერცხვენილი იქ ჩუმად იკრემლება და იმღურებოა, მეორე იტყვოდა — დილით რომ ცადატყორცნილი კოშკის სარკმელს მოადგება და ღიმილით გაიცისკროვნებულ პირისახეს ქვეყანას დაანახვებს, დარეტიანებულ დედამიწას ტანში ცხელი ქრუანტელი უვლის, ერთიანად ტოკავს, გული გამალებით უცემს და ესოდენ ვახშირებული მიწისძვრების მიზეზიც სწორედ ეს არისო. შესაძლოა, კარის პოეტები ცოტას აკარბებდნენ (კარის პოეტების ამბავი მოგეხსენებათ), მაგრამ იმის უარყოფა კი არ შეიძლება, რომ ზელმწიფის ქალის კოშკი მართლა ძალიან მაღალი იყო.

ზელმწიფის ქალს, რაღა თქმა უნდა, ისე უვლიდნენ, როგორც ზელმწიფის ქალს ეკადრება. მთელი სასახლე, დიდიან-პატარაიანად, ზედ დაჰკანკალებდა და დაჟოფინებდა. აღმზრდელად ერთი მოხუცი მამიდა მიუჩინეს, რომელსაც, თუ სიმაართლე გინდათ, ძველი უფრო ეთქმოდა, ვიდრე მოხუცი, ვინაიდან მისი ასაკი დედამიწის ზურგზე რა ხანია უკვე აღარავის ახსოვდა და დაბეჭითებით არც ის იცოდა ვინმემ, თუ სახელდობრ, ვისი მამიდა იყო. ზელმ-

წიფის დიდი პაპიდან მოყოლებულე, სემფო გვარის მთავარი შტო სულს ბელში გაიზარდა და, გარდა იმისა, რომ თავისი საქმე ჩინებულად იცოდა, სხვაც მრავალი გამორჩეული თვისება ჰქონდა: ცოტა გრძნეული იყო, ცოტა გულთმისანი, ცოტა კუდიანი და, როგორც ძველი და დამსახურებული პედაგოგი — მკაცრი, მომთხოვნი და გულისხმიერი. ზელმწიფის ქალიც, თუ მაინცდამაინც მშობლებს არ ჩავთვლით, მისავით არავის უყვარდა. რაკი ასეთი საიმიდო გადასაყვადია, ის სამი მოწიფული გველმეშაბი, რომლებიც კლდეთა და ღრეთა დიდმა მთავარმა საჯანგებოდ კოშკის დასაცავად უძღვნა ამ ჩვენს ზელმწიფეს, იმთავითვე უსაქმოდ დარჩნენ. ერთხანს კი აბრაალეს თვალები უმისამართოდ და ცეცხლის ენებიც თამოწონებით კლაკნეს, მაგრამ უქმად გდები-სგან მალე ყინწი მოსწყდათ და ჩაეძინათ, ხოლო რაკი ზედავდნენ, გლევიძებას აზრი არა ჰქონდა, ძილშივე გაიპარნენ, თანდათან მიწას შეეზარდნენ და ბოლოს სამ მოზრდილ ბორცვად იქცნენ, რომლებზედაც მოგვიანებით დიდგაროვანი გოგო-ბიჭები ჭყვილით დასდევდნენ ერთმანეთს.

ზელმწიფის ქალი, როგორც ითქვა, რაც უფრო იზრდებოდა, მით უფრო მშვენივრდებოდა. ცამეტი წლისა რომ შეიქნა, ისეთი დადგა, რაც კი იმ არემარეზე მზეთუნახავი მოიძეებოდა, ყველა პირწმინდად დაჩრდილა და, თუ კარის პოეტებს დავუჭერებთ, მზე და მთვარეც ზედ მიაყოლა. გოგონას მთელი სასახლე სულში იძვრებდა. მსახურები და მოახლეები ცივ ნიავს არ აკარებდნენ, ბედნიერი მშობლები ყველა სურვილს უსრულებდნენ, და მხოლოდ გადასა, პედაგოგიური ალლოთი და დიდი გამოცდილებით თავით ფეხამდე შეიარაღებული, ფრთხილობდა და ზედმეტად არ ანებივრებდა. ზედმეტი განებივრება ადამიანს ვნებსო, იტყვოდა ხოლმე.

მაგრამ, რასაც ბედისწერა გადაგვიწ-

ყვეტს. იმას სიფრთხილით ვერას ვუშვავლით.

სასახლის ეზოს ერთი ვრცელი, შორ მანძილზე გადაკიშული ტყე ეკვროდა. ერთხელ ხელმწიფის ქალს იმ ტყეში გასეირნება მოეგუნება და თავისი სურვილი გადიას გამოუცხადა. გადიამ ხმის კილოზე შეატყო, რომ გოგონას წადილი ისეთი იყო, ვერავითარი პედაგოგიური გამოცდილებით ვეღარ გადაათქმევინებდა, ამიტომ, როგორც წინდახედულ აღმზრდელს შეეფერება, დათანხმება ამჯობინა და, მართლაც, ერთ მშვენიერ დღეს (ჩვენი ზღაპარიც, არსებითად, აქედან იწყება) ხელმწიფის ქალმა ჩაიკვა დასავლეთის დიდი გამგებლის ნაჩუქარი ჭინსი, პირში ჩაიღო აღმოსავლეთის დიდი მკურობელის მოძღვნილი კევი და საყვარელ გადიასთან ერთად ტყეში სასეირნოდ წავიდა.


სწორე გითბრათ, მე თვითონაც პირველად იმ დღეს მოვკარი თვალი. საერთოდ, მანამდე მზეთუნახავი არასოდეს მენახა და — ცოდვა გატეხილი ჯობს — დანამდვილებით არც ვიცოდი, მართლა არსებობდნენ თუ ყველაფერი პოეტებისა და მეზღაპრეების მოგონილი ჭორი იყო. არ დაგიმალავთ — ეს ექვები საბოლოოდ ვერც ხელმწიფის ქალმა გამიფანტა. არ ვიცი, შესაძლოა, მზეთუნახავების შესახებ მთლად მართებული წარმოდგენა არა მქონდა. ყოველ შემთხვევაში, წინასწარ რომ არ მცოდნოდა, მის მზეთუნახაობას, ალბათ, ვერც დავიჯერებდი. განა არა — ძალიან ლამაზი იყო. ზღვასავით ლურჯ, შექმფინარე თვალებზე რომ არა ვთქვათ რა, ან ოქროსფრად მშზინავ ბულულა თმაზე, ან პატარა, კობტა, კეშმარიტად არაამქვეყნიურ ცხვირზე, ან თხელ, სანიმუშო ყურებზე, ან გრძელ, ცოტა გაკვირვებით აპრებულ წამწამებზე, ისედაც უცხოდ ბრწყინავდა და სახეზე ნათელი გადასდიოდა, რომელსაც ირგვლივ კარგა დიდ მანძილზე ჰქვენდა. საერთოდ, ისე საყვარლად მიკუნტრუშობდა ტყის ვიწრო ბილიკზე კრულ ყვავილებს შორის — რომ შეხედავდით,

თვალს ვერ მოწყვეტდით, მაგრამ, რა ვქნა და, ისეთი მინც ვერც შევამჩნიე რა, რითაც მზეთუნახავი მზეთუნახავისაგან უნდა გამოირჩეოდეს. გულში ისიცი ვიფიქრე, მაგონი სადაც მინახავს მეთქი. იმიტომ რომ, ნაცნობი, შედარებით ჩვეულებრივი პატარა ქალისას არ იყოს, რომლებიც ბავშვობის ასაკს ჯერ საბოლოოდ არ გასცდენიან, ხელმწიფის პატარა ქალსაც მკლავები გრძლად დასთრევდა და სხეულის ნაწილები სულ ცალ-ცალკე გაურბოდა, რის გამოც მის დანახვაზე, თუ აღტაცების დამალვა მწელი იყო, არც ღიმილის დამალვა იყო იოლი.

მაგრამ, ასეა თუ ისე, ხელმწიფის ქალი ხელმწიფის ქალია და, თუნდ მის მზეთუნახავობაში ცოტა დაექვევული ვიყოთ, მინც ხელმწიფის ქალია.

აბლა კი ეს ჩვენი საკვარადლო მზეთუნახავი მცირე ხნით აქ დავტოვოთ — გვერდით ისეთი გადამღრძეული და მრავლისმომსწრე გადია ახლავს, საშიში არა არის რა — დაე, იბტუნოს ერთხანს უბრალო გოგონასავით, თავადაც გაერთოს და ტყის ბინადარნიც, ვისაც კი მზეთუნახავების არსებობა სჯერა, გაართოს და გაახალისოს, ჩვენ კი ამა-სობაში ამ დიდ ტყეს გადავუაროთ და ისა ვნახოთ, თუ გადაღმა რა ხდება...

...დიდი ტყის გადაღმა ცხოვრობდა ერთი მწყემსი ბიჭი, რომელსაც ერთადერთი თეთრი ცხვარი ებარა და ამ თეთრი ცხვრის გარდა მთელ ამოდენა დუნიაზე არავის უყვარდა. სევდიანი ამბავია, მაგრამ სიმართლეა და სიმართლის დამალვა აბა როგორ იქნება! საქმე ის გახლავთ, რომ ბიჭს დედა ადრე მოუკვდა და მამამისმა სხვა ქალი შეირთო. ენა ადვილად იტყვის, სხვა ქალი შეირთო! სინამდვილეში დედინაცვლი ისეთი ავი და ღვთის გარეგანი გამოდგა, კლასიკური ზღაპრების სახელგანთქმული დედინაცვლებიც კი სასოებით პირველს იწერდნენ და, ეს რა ვნახეთო, გაკვირვებულები მხრებს იჩეჩავდნენ. მაშ! საბრალო ბიჭი დასანახავად ეჯავრებოდა. ზოგი, ალბათ, იტყვის: კა-



რგი და პატროსანი, მაგრამ მამა არა ჰყავდაო? ჰყავდა, როგორ არა, ოღონდ ეგ არის, ზოგი მამის ყოლას უყოლობა ჯობს, ხომ გაგიგონიათ, რაც უფრო მეტ ზორს დაიყრი, სული მით უფრო დამბნელდებაო? არა? მე გამოვიგონია, თანაც ისეთი ბრძენისგან გამოვიგონია, დაეჯერება კიდევ. მწყემსი ბიჭის მამას კი სული ისეთი პაწაწინტელა ჰქონდა, საერთოდ ჰქონდა თუ არა, ისიც საკითხავია. სამაგიეროდ, ზორცი უყარააა.. ზორცი უყარა, რომ ზორცის ზვინი გეგონებოდათ. რაღა ბევრი ვაფაგრძელო, ერთი იმდაგვარი დონდლო და უნდლი ვინმე იყო, ცოლები რომ ზელად თავიანთ ჰეუაზე გადაიყვანენ ზოლმე. ასე რომ, საბრალო ბიჭი თავისი ერთადერთი თეთრი ცხვრის გარდა ამჰყვეყნად არავის უყვარდა, მარტო ცხვრის სიყვარული კი, ვანსაკუთრებით იმ ასაკში, როცა ბიჭი ბიჭობას ამთავრებ და კაცობაში შედიხარ — ვისაც გამოუყვლია, დამეთანხმება — ვერაფერი ნუგეშია.

ბიჭი თავის მწარე ცხოვრებას (ან კი სხვა რა გზა ჰქონდა), როგორც შეეძლო, ურიგდებოდა. თავი რომ რითიმე შეექცია, ლერწმის ღეროსგან სალამური გამოთალა და, როცა ცხვარს სამოვარზე წაიყვანდა, თვითონ ხის ძირას ჩამოჯდებოდა და ნაღვლის გასაქარვებლად იმ სალამურს აკენესებდა. ბევრი აკენესა თუ ცოტა (ბევრი აკენესა), ისე დაოსტატდა — ის რომ სალამურის დაკვრას დაიწყებდა, ბულბულეებიც კი გაჩემდებოდნენ ზოლმე და განაბული ყურს უგდებდნენ.

ერთ მშვენიერ დღეს (რაღა თქმა უნდა, ეს იგივე მშვენიერი დღე იყო, ხელმწიფის პატარა ქალი რომ გადიასთან ერთად ტყეში წავიდა სასეირნოდ), ბიჭმა ცხვარი მინდორში გაუშვა, თვითონ, ჩვეულებისამებრ, ხის ძირას დაჯდა და სალამურს ჩაჰპერა. ცხვარი ერთხანს მდიანად შეექცეოდა ნოყიერ ბალახს, მერე უეცრად ძოვა შეწყვიტა, თავი აიღო და — არ ვიცი, რა ბზიკმა უჯბინა — პირდაპირ ტყეს მიაშურა. ვინც ცხვრის ამბავი იცის, აღბათ, ნიშ-

ნისმოგებით წამომძახებს, აბა, ცხვარს ტყეში რა უნდაო, და იქნებ ცრუმეცხვარეობაც დამწამოს, მაგრამ, ჯერ ერთი, ტყუილის თქმას რა მრჯის, და მეორეც, ტყუილის თქმა რომ მინდოდეს, განა ისეთ ტყუილს ვერ მოვიგონებდი, მართალს ჰგავდეს! ვთქვათ, ცხვრის მაგიერ თხას ვიტყოდი და ყველაფერი რიგზე იქნებოდა. თხა ხომ ისე დაბლოტილობს ტყესა და ღრეში, ქაჯებსა და ეშმაკებსაც კი შეშურდებათ! მაგრამ ცხვარი იყო და რა ვქნა! როგორ მოხდა, არ ვიცი. იქნებ გულმა უგრძობ რამე, იქნებ ბედისწერამ გადაწყვიტა ეგრე, იქნებ რომელიმე მოწყენილმა ჯადოქარმა გართობა მოიწადინა და — ჯადოქრებს რას გაუგებს! — ამ ჩვენს ცხვარზე შეაჩერა არჩევანი. ერთი სიტყვით, რატომ არ ვიცი, მაგრამ ადგა ეს ცხვარი და პირდაპირ ტყისკენ გასწია. ამის დანახვებზე ბიჭმა სალამურის დაკვრა შეატოვა, წამოხტა და თავს დაუარა, რომ კვლავ მინდორზე გამოეგდო, მაგრამ რა შეატყუო, არა გამოსდიოდა რა, ხელი ჩაიჭინა და თვითონაც უკან მიჰყვა — აბა, ერთი, სადამდე ივლისო. ცხვარმა კი იარა, იარა და შუაგულ ტყეში შევიდა. იქ ერთ პატარა, მრგვალ, ბებერი ხეებით შემოზღუდულ მდელზე შეჩერდა და, თითქოს ეს მდელი იყო, რაზეც მისი ცხვარი მამა-პაპა და მთელი მისი ცხვარი წინაპრები გაჩენის დღიდან ოცნებობდნენო, ხარბად დაიწყო ძოვა. მაშინ ბიჭიც იქვე ჩამოჯდა ერთი ჯადოსნური პანტის ძირას და კვლავ სალამურის დაკვრა დაიწყო.

ტყის მეორე მხრიდან კი ამ დროს ხტუნვა-ხტუნვით, თამაშ-თამაშით, ჰყვილ-ჰყვილით მოქროდა ხელმწიფის პატარა ქალი და უკან აქლოშინებული გადია მოსდევდა. გადია დაიღალა, ერთი-ორჯერ თავიც შეაბრალა ხელმწიფის ქალს — გვეყუთა სირბილი, ჩემო ანგელოზო, მეტი აღარ შემიძლიან, განა არ იცი, რა ხნისა ვარო! მაგრამ ხელმწიფის ქალს, აბა, საიდან ეცოდინებოდა, რა ხნისა იყო გადია, ან ის საიდან ეცოდინებოდა, თუკი თვითონ შეეძლო

სირბილი, გადიას რატომ არ უნდა შესძლებოდა! და, საერთოდ, ვინ იცის, იქნებ მასაც ბედისწერა მიაჩვენებოდა! ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, შუაგულ ტყეს რომ მიატანეს, გადიას დაღლილობისაგან საბოლოოდ გასწყდა ქანცი და ხელმწიფის ქალს უთხრა:

— მე აქ ჩამოვვდები, შენ კი ახლომახლო ითამაშე. ოღონდ გახსოვდეს, როგორც კი დაგიძახებ, იმწამსვე ჩემკენ გამოეშურე, თორემ, სადილზე რომ დაგვაგვიანდეს, ხელმწიფე და დედოფალი გაწყურებიანო.

— კარგი, ჩემო საყვარელო გადიასო, — მიუგო ხელმწიფის ქალმა.

მართლაც, გადიამ ერთი დიდი ცაცხვის ჩრდილში მოიკალათა, ჩანთიდან ჭადოსნური ჩხირები ამოალაგა და ზედ ბედისწერის ქსელის გაბმას შეუდგა. ტყუილად აბამდა, გასართობად და დროის მოსაკლავად, თორემ ვანა რამეში გამოადგებოდა! ჩვევა ჰქონდა ასეთი: ჯერ გააბამდა ხოლმე ბედისწერის ქსელს და მერე, გაბმას რომ მორჩებოდა, ისევე დაარღვევდა.

ხელმწიფის ქალმა ხტუნვა და თამაში განაგრძო და, უნდა ითქვას, ძალიანაც გაიხარა. ისე მოეწონა ეს დიდებული ტყე — ვეება, ტოტებგადაშლილი ხეები, შიგადაშოგ პაწაწინა, მზით ვანათებული და ჰრელი ყვავილებით მოჩითული მდელოები, მობიბინე, ხასხასა ბალახი, მოკლერტულე ჩიტები და მზის სხივებში მოფარფატე პეპლები — გულში აქაურობა თავის ზღაპრულ კოშკსაც კი დაამჯობინა. მართლაც, მის კოშკში (რომელსაც დედამიწის ზურგზე ბადალი არ მოეძებნებოდა) ყველაფერი ან ფუნჯით ნახატი იყო, ან ყაიხნალით ნაქარგი, რის გამოც ხეები — თუმც ზვიადები და დიდებულები — ნიავის დაბერვაზე ტოტებს არ არხევენენ, ბალახი — თუმც მაღალი და ხასხასა — არ ბიბინებდა, ყვავილები თუმც ყელყელა და ნაირფერები — სურნელს არ აფრქვევენენ, ჩიტები — თუმც დაბუები და გულწითელები — არ ჭიკჭიკებდნენ, და პეპლები — თუმც პაერო-

ვანი და ფრთახატულები — მუდამ ერთადგილას იყვნენ დაკოსებულნი, ვაქცის მის გამოჩენაზე დიდრონი ხეები მისამების ნიშნად ტოტებს დაბლა ხრიდნენ, ბალახი ისე ლელავდა, არ შეიძლებოდა ზედ არ გაგორებულიყავით, ყვავილებს ისეთი სუნი ასდიოდა, „მადამ კოშა“ და „კრისტიან დიორი“ იმასთან ჰკობის წყალი გეგონებოდათ, ჩიტები ისე გალობდნენ, მათი გალობის მოსმენაზე ბოროტება გულში სასოებით ნატრობდა, ნეტა სიკეთე ჩამდინინაო, და პეპლებიც, თავიდან რომ გატრუნული ისხდნენ ყვავილებზე, ხელმწიფის ქალის მიახლოებაზე უცებ ისე დაიქნევდნენ თხელ, გამჭვირვალე ფრთებს და ისეთი თვალისმომპკრელი ფარფატით გაფრინდებოდნენ სხვა ყვავილისაკენ, ხელმწიფის ქალს გული უჩქროლავდა და სიხარულისგან ლამის ბუდიდან ამოვიარდნოდა.

ბევრი იხტუნა ხელმწიფის ქალმა თუ ცოტა იხტუნა, უცებ სალამურის ხმა შემოესმა. შეჩერდა და ყური მიუგდო. სალამურის ხმა ისეთი ნაზი იყო, ისეთი სევდიანი და ისეთი გულშიამწვედომი, წამით ყველაფერი გადაავიწყდა და ერთიანად სმენად იქცა. ისე გაიტრუნა, კევის ლეჰვაც კი შეწყვიტა, რასაც, ჩვეულებრივ, ძალზე იშვიათად შერებოდა. მალე დინახა, რომ სალამურის ხმაში სევდისა და სინახის გარდა კიდევ ერთი რაღაც, რაც უცნაური ძალით იზიდავდა: სწორედ ისე, როგორც ჩრდილოეთის დიდი ხელმწიფის მოძღვნილი ჭადოსნური რკინა იზიდავდა უბრალო რკინის ნაჭრებს. ხელმწიფის ქალი ერთხანს მონუსხული უსმენდა, მერე უეცრად ადგილს მოწყდა და იქით გაეგარდა, საიდანაც სალამურის ხმა მოდიოდა.

მწყემსი ბიჭი კი კვლავაც დიდი ტყის შუაგულში, ბებერი ხეებით შემოზღულულ პაწაწინა, მრგვალ მდელოზე იჯდა ჭადოსნური პანტის ძირას და გატაცებით აკენესებდა სალამურს. ცხვარს თავი ჩაელუნა და მადიანი ბრაშა-ბრუშით შეეჭკეოდა ნორჩ ბალახს. პატარა მდელო. რომელსაც ზემოდან ლაყვარ-

დი ცა და მცხენვარე მზე დაჰყურებდა, ისე იყო სავსე სინათლით, როგორც შავი ზღვაა სავსე წყლით.

უეცრად ბიკს ფეხის ხმა შემოესმა. ჭერ ეგონა, მომეჩვენაო, და ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, რა დარწმუნდა, ფეხის ხმა მართლა ისმოდა, თანაც ჩქარ-ჩქარა და ტყაბა-ტყუპით, სალამურის დაკვრა შეწყვიტა. ზეზე წამოდგა და გაკვირვებით მიაყურადა — ნეტა რა სულიერი უნდა იყოსო. ამის გაფიქრება ძლივს მოასწრო, რომ მდელიზე ხელმწიფის ქალი შემოვიდა და მწყემსი ბიკისა და მისი თეთრი ცხვრის დანახვაზე მოწყვეტით შედგა. შედგა და გაშეშდა. გაშეშდა თავისი გახეხილი ჭინსით, თავისი ოჭროსფერი თმით, თავისი პატარა და კოხტა, არაამქვეყნიური ცხვირითა და თავისი ლურჯი, შუქმდინარე, ცოტა გაკვირვებული თვალებით. იმის თქმა რომ ბიკიც გაშეშდა, ზედმეტია. მეტიც: ალბათ, იმის თქმაც კი ზედმეტია, რომ ბიკმა პირი დაალო და ასე პირდაღებული გაშეშდა. მაშინ ყველაფერი მათთან ერთად გაშეშდა. ცხვარს თავი აელირა და პირშიბალახგაჩრილი გაშეშებულიყო. დიდრონმა ხეებმა ტოტების რხევა შეწყვიტეს, მწვანე ბალახიც მოლოდინით გაიტრუნა. ერთი სიტყვით, რაც კი მოძრაობს, ყველაფერი გაჩერდა და, რაც კი ხშიანობს, ყველაფერი გაყურდა. მხოლოდ ორი ჭრელი პეპელა ჭერ კიდევ თამაშობდა ჰაერში, მაგრამ ეს არცაა გასაკვირი: პეპლები ძალზე ცოტა ხანს ცოცხლობენ და მაგდენი მოცალეობა არა აქვთ. ხელმწიფის ქალიც მწყემსი ბიკი გაოგნებულეები მისჩერებოდნენ ერთმანეთს; ხოლო პატარა მდელიზე თეთრი სინათლის დიდი ზღვა იდგა, რომელშიაც ლურჯი ცა და პირმცინარე მზე ჩაძირულიყო. მაგრამ სინათლის, ცისა და მზის გარდა ხელმწიფის ქალისა და მწყემსი ბიკის ირგვლივ კიდევ იყო რაღაც — სინათლენაც, ცაზეც და მზეზეც უფრო დიდი და ძლიერი, რაღაც ისეთი, რასაც იმ შორეულ, უხსოვარ დროში არათუ ხელ-

მწიფის პატარა (თანაც — რა დასამალოა და — გვარიანად ქარაფშეტა) ჭრელი უბირი მწყემსი, ბრძენთა შორის უბრძენესიც კი სახელს ვერ დააჩქვევდა. მხოლოდ გვიან, გვიან, როცა უთავბოლოდ დახვავებულ ცოდნაში სწავლულები ისე გაიხლართნენ, საკუთარი აზრები თვითონაც ათარ ესმოდათ, ერთმა მათგანმა დაბეჯითებით თქვა: ესაო, შენ ხარ ჩემი პატრონი, ექსისტენციის კვინტენსენციაო, თანაც არა უბრალო ექსისტენციის კვინტენსენცია, არამედ დუალისტური ექსისტენციის კვინტენსენციაო. არ ვიცი, ეგებ მართლა კვინტენსენცია იყო, ეგებ მთლად კვინტენსენციაც არ ყოფილა, ის კი ნამდვილია, რომ ხელმწიფის ქალი და მწყემსი ბიკი ისე შესცქეროდნენ ერთმანეთს, უკვინტენსენციოდ ამის ახსნა ძალზე გაჭირდებოდა. ბიკს ხელმწიფის ქალი სრულიად არამიწიერი ეჩვენა და თავის გუნებაში (სულ ბოლოს, პატარა კუნჭულში, სადაც ფიქრის ძაფები ჭერ კიდევ საბოლოოდ არ დაწყვეტოდა) დაასვენა, ნამდვილად ტყის ფერიის უმცროსი შვილიშვილიაო. და მისჩერებოდა ასე — რეტდასხმული, ენაჩაგრდნილი და თვალებდაქვეტილი. ხელმწიფის ქალიც ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა ბიკს, ოღონდ, რაკი მას დაბადებიდან მუდამ იმას ჩასჩინებდნენ, ხელმწიფის ქალი ხარო, რის გამოც თავადაც მუდამ ახსოვდა, რომ ხელმწიფის ქალი იყო, ვიდრე გაშეშდებოდა, ის პატარა და კოხტა, არაამქვეყნიური ცხვირი ყოველი შემთხვევისთვის მაღლა ასწია, რათა გაკვირვება და ცნობისმოყვარეობა ცოტაოდენი ამპარტანობით შეეზავებინა. იდგნენ ასე და შეჰყურებდნენ ერთმანეთს. ეს — ცხვირაწიეული, ის — პირდაღებული. ხოლო მათ ირგვლივ მთელი სამყარო ისე განაბულიყო, არც არა იძვროდა და არც არა ხშიანებდა, რაც ზღაპრებშიც კი უჩვეულო რამ არის და ძალზე იშვიათად ზდება.

დიდხანს იყვნენ ასე თუ ცოტა ხანს, ბოლოს სამყაროს შეეშინდა, ემანდ უძრავ სურათად არ ვიქცეო. და ისევე ამო-

ძრავდა. რაკი სამყარო ამოძრავდა, ხელმწიფის ქალიც ამოძრავდა. კერძოდ — კევი ფართოდ გამობერა და მძლავრად გაატყავუნა. ამ უცხო სანახაობამ, რომელსაც უცხო ხმაც დაერთო, მწყევლისი შეაქროთ. ოღონდ პირი არ მოუშეწავს. მაშინ ხელმწიფის ქალმა ის თავისი აბზეკილი ცხვირი ისევ დაუშვა. ხანი რომ გამოხდა, ხელახლა აბზეკაკიდეე რომ გამოხდა ხანი, კვლავ დაუშვა და მეტი აღარ აუბზეკია. სამაგიეროდ ლურჯ თვალეზში ცნობისმოყვარეობა მოემატა. ბოლოს კევი ერთხელაც გამობერა, გაატყავუნა და თქვა:

— აბა, კიდეე დაუქარიო!

ბიჭს მისი ნათქვამი ასე მოესმა: „აბაკი დეედაუ ქარიო“ და, რალა თქმა უნდა, ვერა გაიგო რა. ჭერ იფიქრა, გამოცანას თუ შეუბნებო, მერე იფიქრა, ალბათ, ეს ფერიების ენაო, ბოლოს პირი — თუმც ეს იოლი არ უნდა ყოფილიყო — უფრო მეტად დაალო და უეცრად, თავისდაუნებურად, გულის შორეულ სიღრმეში, იმ სიმორეს, რომ თვითონაც ძლივს გაიგო, ახლა ეს გაიფიქრა: „ნეტავი იმას, ვინც შენ გაკოცებსო“, რის გამოც მყისვე ჭარბალივით გაწითლდა.

ხელმწიფის ქალს გულთმისნობის ხელოვნება ნასწავლი არა ჰქონდა და მისი ფიქრი არ გაუგონია. ამიტომ, რაკი ბიჭი ხმას არ იღებდა, ჰკითხა:

— რა გქვიაო?

ბიჭს ჭერ მოესმა: „რა გქვიაო?“, მერე, თავში რომ ყურთასმენის წამლები გუგუნ-გრიალი ცოტა მიწყნარდა, მიხვდა, თუ რა ჰკითხა ტყის ფერიის უმცროსმა შეილიშვილმა. პასუხის მიცემა რომ დაამირა, სიჩქარისაგან ენა პირში ველარ იპოვა. ვიდრე ენას ეძებდა, კარგა ხანი გავიდა. ბოლოს, როგორც იქნა, იპოვა, მოატრიალა და თქვა: „ქ...“. ამის თქმა იყო და ენა ისევე გაეჭკა. ხელახლა რომ იპოვა, იფიქრა, წელან ნათქვამი „ქ“ უკვე აღარ გამოდგება, ისა სჯობს, თავიდან დაიფიქრო. მართლაც, დაიწყო, მაგრამ, თქვა თუ არა „ქ“, ენა კვლავ გაეჭკა. ის იყო, მესამედ იპოვა

და მესამედ თქვა „ქ“, თანე <sup>გაჭყტეჭტუქქ</sup> ლმა ისიც შეატყო, რომ <sup>გჭყტეჭტუქქ</sup> ველარსად გაეჭკეოდა, უეცრად ტყიდან გადიას ხრინწიანი ხმა მოესმა: „ჩემო ანგელოზოო!“.

ამ ხმამ მწყევმს ბიჭზე ორგვარად იმოქმედა: ერთი რომ — სიმწრით დამორჩილებული ენა მაინც გაეჭკა, და მეორეც — საბოლოოდ დარწმუნდა, მის წინ ზეციერი არსება იდგა და არა ხორცშესხმული ადამიანი.

ხელმწიფის ქალმა კი, გადიას ხმა რომ გაიგონა, შესძახა:

— უი, დამაგვიანდაო! (რაც მწყევმს ბიჭს ასე მოესმა: „უიდამ აგვია ნდაო!“), — ამ სიტყვებით გატრიალდა და წავიდა.

წავიდა ხელმწიფის ქალი, მაგრამ პირი, საკვირველებავ! სადღა იყო გრძლად ჩამოკონწილებული მკლავები! ან დაშლილი და ცალ-ცალკე ნაწილებად მიმოფანტული სხეული სადღა იყო! ან ლაყუნა, ბიჭური სიარული!

მკლავები უეცრად თითქოს შედგა, როგორც შალის კაბა შედგება პირველი გარეცხვის შემდეგ, და ისეთ ზომაზე გაჩერდა, უკეთესის ნაცვრაც კი შეუძლებელი იყო. სხეულის ნაწილებიც შეერთდნენ, შენივთდნენ, შეიკრნენ, ერთ ძაფზე აესხნენ და, თითქოს უხილავმა ჯადოქარმა თავისი ყოვლისშემძლე ხელ შეახოო, ისე ჩამოიქნენ და გამოიძერწნენ, შური და მტრობაც კი იოტის ოდენა ზადს ვერ უბოვიდა. სიარულითაც უკვე ისე მიდიოდა, როგორც ნამდილი, დასრულებული ქალები მიდიან, როცა გრძნობენ, რომ ვილაც უუურებს.

მიდიოდა ხელმწიფის პატარა ქალი, როგორც ხელმწიფის დიდი ქალი, მიდიოდა ქალწულებრივი კდემამოსილებითა და ხელმწიფური სიზვიადით. მიდიოდა და ცოტა დილეტანტურად, მაგრამ ძალზე მომზიბვლელად მიირწყოდა, სიფრიფანა მხრებს კობტად მიიქანებდა და ყულოც ოდნავ მოღერებული მიქქონდა.

მგონი, მართლა მზეთუნახავი იყო!

მწყემსი ბიჭი დარტყანიებული მისჩერებოდა და მხრებზე თავის მაგიერ თუჯის ქვაბი ედგა, რომელშიაც წყალი გამწვარებით დღლდა და თუხთუხებდა.

ის იყო, ხელმწიფის ქალმა მდელი გადაიარა და ტყის პირს მიადგა, რომ ბიჭმა უცებ გამართულად და მკაფიოდ თქვა: „ქიტესაო!“, მაგრამ ეხლა ამას ფასი აღარა ჰქონდა, ვინაიდან ხელმწიფის ქალი, სულ ერთია, ვერ გაიგონებდა, თვითონ კი ისედაც იცოდა, თუ რა ერქვა.

ბიჭი ერთხანს კიდევ იდგა თვალანთებული და გონებაჩაბეჭუტული, მერე უეტრად თავის თეთრ ცხვარს დასწვდა, აიტაცა, მკლავები კისერზე მაგრად შემოაჭდო და ისეთი ძალით ჩაიკრა გულში, საბრალო პირუტყვმა განწირული ხმით დაიბლაღლა:

— ბეეეო!

...ამის შემდეგ მწყემსს ბიჭს სევდა და ნალღელი შემოეჩვია. გული ერთთავად დარღით ჰქონდა სავესე და ისე მძიმე-მძიმედ დადიოდა — საკვირველია, ან კი დედამიწა როგორ უძლებდა! მწუხარებით გათანგული ზოგჯერ ისეთს ამოიხარებდა, სოფელში — მაინც, თუ ღამე იყო — შეხვიით ისმოდა. ამიტომ, მეზობლები რომ არ შეეწუხებინა, ზემოთ გარბოდა, უღრან ტყეში, და იქ იოხებდა ხოლმე გულს. დროდადრო დარდი ისეთი ძალით შემოაწევებოდა, ღამის გაეგუდა. როგორც საწვიმრად გამზადებული ქვეყნიერება გაეხვევა ჯანდ ღრუბლებში, ასე ბიჭის დაკოდილი გული გაეხვეოდა შავად შემოჭარულ დარდში. და როგორც ღრუბელი იქცევა წვიმად, ქვეყნიერებას რომ სუნთქვა არ შეეკრას, ასე ბიჭის დარდი, ბიჭს რომ სუნთქვა არ შეეკროდა, ცრემლის წვიმად იქცეოდა ხოლმე და დაბალტუბით გადმოედინებოდა თვალებიდან. საბრალო ბიჭმა არ იცოდა, რა გზას დადგომოდა და რა წყალში ჩაეარდნილიყო. ის უცხო რამ არსება, რომელიც — თითქოს მზე ცას მოწყდა და მიწაზე ჩამოვარდაო — ისე უღმობლად

კაშკაშებდა, თვალით აღარა იხედებოდა რა, ამქვენიური სულიერაც რომ ყარდნილიყო — ნამდვილი, ხორცმეხსნული ადამიანი — მისნაირ ობოლსა და ოხერს მაინც ვინ მიაშავებდა! არადა, ისიც ცხადზე უცხადესია, რომ ზეციერი იყო და არა მიწიერი, უსხეულო იყო და არა ხორციელი, მოჩვენება იყო და არა სინამდვილე. ამას მწყემსი ბიჭი დანახვისთანავე მიხვდა, მერე აკი ჩამოსძახეს კიდევ — ანგელოზოო. მართალია, ბიჭს ხმა ტყიდან შემოესმა, მაგრამ, თქმა არ უნდა, მოეჩვენა. ანგელოზს ტყიდან რად დაუძახებდნენ! ტყიდან კი არა, მაღლით დაუძახეს, ზეციდან.

ასე ეწამებოდა და იტანჯებოდა საბრალო ბიჭი. და მის ტანჯვა-წამებას ისიც ემატებოდა, რომ მწარე ფიქრებში გართულს საქმე ზოგჯერ გულიდან გადაეარდებოდა, რის გამოც ავი დედინაცვალი, რომელიც ისედაც სულ იმის ცდაში იყო, რამე მიზეზი ებოვა, წყევლა-კრულვით იკლებდა ხოლმე. მართალია, ათასში ერთხელ წამიერი ბედნიერებაც ეწვეოდა — ეს მაშინ ხდებოდა, როცა სიზმარში კვლავ იმ ნათელ მინდორზე აღმოჩნდებოდა და იმ უცხო არსებასაც კვლავ იხილავდა — მაგრამ, ჯერ ერთი, ეს დიდხანს არ გრძელდებოდა, და მეორეც, რომ გაიღვიძებდა და დაინახავდა, ყოველივე სიზმარი და მოლანდება ყოფილია, დარდი უფრო მწარედ შემოაფრინდებოდა და გულიც უარესად ამოუჯდებოდა.

ხელმწიფის ქალი რაღას იქმოდა ამ დროს?

გაგიკვირდებათ და — იმ დღის შემდეგ ხელმწიფის ქალსაც გულზე მწარე ნალღელი შემოაწვა და ლურჯ თვლებში სევდა ჩაუდგა. დამძიმდა, დამუნჯდა, დადარდიანდა. მისი ხალისიანი კისისი, რომელიც აქამდე ზოგს მეტისმეტად კი ეჩვენებოდა (თუმც, ცხადია, ხმამაღლა არ ამბობდა), ახლა ყველას სანატრელი გაუხდა. ხასიათიც გამოეცვალა, ანჩხლი და ჰირვეული შეიქნა. თუ რამე არ მოეწონებოდა, ისე აფეთქდებოდა და გაკაპასდებოდა. თითქოს



ცამეტი წლის მზეთუნახავი კი არა, ორ-მოც წელს მიტანებული შინაბერა ყოფილიყო, რომელსაც ირგვლივ სულ ორ-ორჯერ და სამ-სამჯერ ვათხოვილი ქალები ახვევია. გადაიას აღარაფერს უყერებდა, დედ-მამას ზედ არ უყურებდა, ტოლ-ამხანაგებთან თამაშის გაგონება არ უნდოდა. კოჭიდან თითქმის აღარ გამოდიოდა და არც სტუმრად ვინმეს იღებდა. სწავლაზე გული აიცირუა. უცხო ენები ზომ იმთავითვე ეყავრებოდა, ახლა მუსიკაც მოიძულა. მუსიკის ოსტატმა რომ — როგორც ჩვეოდა — შემოსვლისთანავე მარცხენა ფეხი მოხდენილად აიკეცა და მხნე, დარდიანდული კილოთი დაიწყო: „აბა, ხელმწიფის ქალო, დღეს ჩვენ დავეუკრავთ ღვთაებრივთა შორის უპირველესს...“ ხელმწიფის ქალმა სიტყვა პირზე შეატოვა და უთხრა:

— სალამურის დაკვრას თუ მასწავლი, ვისწავლი, თორემ სხვა მე არა მიხდება რაო.

ამაზე მუსიკის ოსტატმა ტუჩის ბოლოები ზიზლით ჩამოჰყარა, ფრაკი ნერვიულად გაიწორა და მიუგო:

— ასეთი სახელწოდების ინსტრუმენტი, ხელმწიფის ქალო, ჩემთვის ცნობილი არ არისო.

— არ არის და გასწი აქედანო! — მიახალა ხელმწიფის ქალმა, — როცა ცნობილი გახდება, მაშინ შეგიძლია მოხეიდეთ!

ოსტატმა ერთხელაც გაიწორა ფრაკი, „ჰმ-ო“, თქვა, საბეზეც ამის შესაფერისი გამომეტყველება მიიღო და ისეთი ნაბიჯით გავიდა, როგორითაც იმ შორეულ დროს განაწყენებული მუსიკის ოსტატები დადიოდნენ ხოლმე.

არავენ უწყოდა, რა ამბავი ტრიალებდა ხელმწიფის ქალის თავს. თვითონაც ვერა გაეგო რა. მხოლოდ იმას ხედავდა, რომ გულს რაღაც უცხო სევდა უღრღნიდა და ყველაფერი აღიზიანებდა. კევის ლეჰვაც კი მიატოვა. ერთადერთი, რაზედაც ჯერ კიდევ არ აეცრუებინა გული, ჯადოსნური სარკე იყო. მიჭდებოდა კუთხეში და ატრიალებდა და ატ-

რიალებდა ლილას. რას ეძებდა ხელითონაც არ იცოდა. ბოლოს რაღაც დასინჯა, ჯადოსნური სარკე მარტო იმას აჩვენებდა, რაც ხელმწიფისა და, აქედან გამომდინარე, ხელმწიფის ვეზირებს ეამებოდა, ძალზედ გაწიწმარდა — ნეტა გამაგებინა, რის მაქნისია ეს ამდენი სწავლული და მეცნიერი, ჯამაგირის აღების მეტი რომ არა იციან რაო! — და ის უკანასკნელი თავშესაქცევიც სარკმლიდან მოისროლა.

ამის შემდეგ სულ მთლად გულჩათხრობილი გახდა. ოხრავდა, კენესოდა და დღითიღლე ილეოდა. მგონი ცხვირიც კი — ის პატარა, კობტა, არამქვეყნიური ცხვირი — ცოტა დაუგრძელდა. ბოლოს ეს უპირველესი მზეთუნახავი მზეთუნახავის ლანდღღლა იქცა და ლოგინად ჩავარდა.

რაკი იმ ქვეყნის ექიმებმა ვერა გაუგეს რა, შეშფოთებულმა ხელმწიფემ ქვეყნიერების ოთხივე კუთხით შიკრიკები აფრინა და, რაც კი ღვდამიწის ზურგზე ცნობილი და სახელგანთქმული ექიმი ეგულებოდა, ყველა თავის სასახლეში მოიწვია. მართლაც, მალე ყოველი ქვეყნიდან თითო საუკეთესო ექიმი ჩამოვიდა. ექიმებმა ხელმწიფის ქალი გულდასმით გასინჯეს, მერე ერთად შეიყარნენ და დიდხანს ითათბირეს ხმამალლა, ფიცხად და ლათინურად (რაც, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ იმ დროს ლათინური ენისა ხსენებაც კი ჯერ არსად იყო, არა მარტო საკვირველია, არამედ, შესაძლოა, დაუჭრებლადაც მოგჩვენოთ, თუმცა, ცხადია, ამის გამო სიმართლეს ვერ დავმალება). ექიმები ერთმანეთს გვანდნენ და ერთნაირად იყვნენ ჩაცმულ-დახურული. არ ვიცი — ამის გამო, არ ვიცი — სხვა რამ მიზეზით, ბევრი ითათბირეს თუ ცოტა, საბოლოოდ ვერა დაადგინეს რა, გაკვირვებულებმა მხრები აიჩჩეს, გასამრჯელო აიღეს, აქლემებზე შესხდნენ და თავთავიანთი ქვეყნებისკენ გაუღდნენ გზას. თქვენ — როგორც გვენობთ, მე კი ეს ამბავი მაინცდამაინც არ გამკვირვებია: აბა, იმ უხსოვარ დროს,

როცა აღმიაწიანებს ცოდნა ჭერ კიდევ არ ჰქონდათ და მარტოოდენ სიბრძნის იმედად იყვნენ, რომელ ექიმს მოაფიქრდებოდა ისეთი სიტყვები, როგორცია „ექსისტენციის — ისიც არა უბრალო ექსისტენციის, არამედ დუალისტური ექსისტენციის — კვინტესენცია“?!

ბელმწიფის ქალი კი დღითიდღე დნებოდა. ბელმწიფე, რომელიც აქამდე საგონებელში იყო ჩავარდნილი, ახლა სასოწარკვეთაში ჩავარდა. სასახლეში სიცილი და მზიარულება აიკრძალა.

მამინ გულდათუთქულმა გადიამ თქვა, თუ რაშე არ ვიღონე, ეს გოგო ხელში ჩამაკედებოა და ერთ დღეს სხვენში ავიდა, სადაც ძველთაძველი სკივრები ჰქონდა შენახული. ვახსნა ერთი სკივრი, ამოაღა იქიდან სამისრო და საგრძნეულო ტანსაცმელი, რომელიც ასი წელი იქნებოდა არ ეხმარა, ჭერ კარგად გაანიავა, რათა ნაფტალინის სუნი გასცლოდა, მერე ჩაიცვა და ბელმწიფესა და დედოფალს ეახლა. ბელმწიფე და დედოფალი, რომელთაც უკანასკნელ ხანებში ამდენი დარდისა და მწუხარებისაგან შიშაც დასჩემდათ, საფრთხობელსავეთ გამოწყობილი გადიას დანახვაზე მიტკალივით გაფითრდნენ.

— ნუ ფეთქდებით და ყველაფერზე გული ნუ გისკდებათო! — დატუქსა ორთავენი გადიამ, — რაიკ სხვამ ვერაინ გამოიცირო თქვენი ქალის ავადმყოფობის მიზეზი, მეტი გზა არ არის, ისევ მე უნდა გამოვიცირო.

ბელმწიფემ და დედოფალმა იფიქრეს, დარდისგან ნამდვილად ჰქუაზე გადამცდარიო, მაგრამ მისმა უცნაურმა ჩაცმულობამ მცირე იმედი მაინც ჩაუსახა და აღეღვებით ჰკითხეს:

— როგორ გამოიცინობო?

— სულ უბრალოდ: თუი ის, რაც მინდორში ვერ გვიპოვია, ტყეში უნდა მოვძებნოთ, მაშასადამე, ის, რაც ცნობიერში ვერ გვიპოვია, არაცნობიერში უნდა მოვძებნოთ.

ბელმწიფე და დედოფალი ვერაფერს მიხვდნენ, მაგრამ გაგონილი ჰქონდათ, წყალწაღებული ხავსს ეკიდებო; ამიტომ

თავი მოიკატუნეს, ვითომ მიხვდნენ და მუდარით შეჰლაღადეს:

— ოღონდაც ქალი გადაგვირჩინე და, რაც გინდა, გვთხოვეო!

— მარტო იმასა გთხოვთ, რაც საქმეს სკირდებო, — მიუგო გადიამ, — უბრძანეთ, ტყეში ერთი სიბერით წაქცეული რცხილა მოძებნონ, ისეთი ტოტეზი დააცალონ, მკლავზე წყრილი არ იყოს და ბარძაყებზე მსხვილი, ახლადგამოკვერილი წალდით თითო წყრთის ზომაზე დაჭრან და საძინებელ დარბაზში ბუზრის პირას დააწყონ. ვარდა ამისა, ერთი უხმარი კეცი მოიტანონ, ერთი უხმარი ვერცხლის თასი და სამიოდ გირვანქა წმინდა სანთელიო!

ბელმწიფემ მყისვე გასცა ბრძანება და საღამოს უკვე ყველაფერი მზად იყო. გადიამ თავისი ხელით დაანთო ცეცხლი, რცხილის ტოტეზი შეუყეთა და კეცი შემოღდა. კეცი რომ კარგად გახურდა, გადმოიღო, მოგუზგუზე ცეცხლის წინ დადგა და ზედ ნაცარი მოაფრქვია, თვითონ ფეხმორთხმით დაჯდა, ცალ მხარეს წმინდა სანთელი დაიდო, მეორე მხარეს — ვერცხლის თასით შელოცვილი წყალი. აიღებდა ცოტაოდენ სანთელს, დაყრიდა კეცზე, მეორე ხელს თასში ჩაჰყოფდა და ახლა ზემოდან თითებით წყალს ასხურებდა. თან ხმადან ბუტბუტებდა. ისეთი კარგი სანახავი იყო, ბელმწიფის ქალიც კი, რომელიც ღრუბლის სქელ ფუმფულა ლოგინში იწვა და დარდს ეკმეფინებოდა, ცოტა მოცოცხლდა და ერთხანს ცნობისმოყვარე თვალით უყურა, თუმცაღა მილევე მოსწყინდა და ისევ თავის უკიდევანო დარდში ჩათბუნდა, თან, ხელი რომ არაფერს შეეშალა, საბანი თავზე წაიფარა.

დიდხანს ღვენთა გადიამ კეცზე სანთელი, დიდხანს ასხურა ზედ შელოცვილი წყალი, დიდხანს იბუტბუტა გაუგებრად, ბოლოს, როცა კეცი გაცივდა, ორივე ხელით აიღო, უყურა ზედ გამოყვანილ ცვილის ფიგურებს, უყურა და თქვა:

— გათვალულისა არ არისო.

— მაშინ, რისიო? — შიშნარევი ხმით იკითხეს ხელმწიფემ და დედოფალმა.

— ჭერ არ ვიციო, — მიუგო გადიამ, — რაკი რცხილამ პასუხი ვერ მოგვეცა, ახლა ნეკერჩხალი უნდა ვსინჯოთო.

მოიტანეს ნეკერჩხლის ტოტები, ახალი კეცი, ახალი თასი და ახალი ცვილი. იმკითხავა გადიამ თავიდან და, მკითხაობას რომ მორჩა, გამოაცხადა:

— არც ამონაყოლისააო.

მესამედ ურთხელი მოატანინა. ახლა ურთხელზე იმკითხავა და გამოაცხადა:

— არც დასუნთქულისააო.

ხელმწიფემ და დედოფალმა ერთმანეთს გადახედეს და ნაძალადევი მხნეობით თქვეს:

— მაშ, ახლა მუხა ვსინჯოთო.

— არაო, — მიუგო გადიამ, — ჩანს ეს ხერხი არ გამოდგება, სხვა რამ უნდა ვილონოთო.

მეორე დღეს ისევ ავიდა სხეენში, კიდევ უფრო ძველი სკივრი გახსნა, ახლა ისეთი ტანსაცმელი ამოალაგა, ორასი წელი იყო არ ეხმარა, ჩაიცვა ეს ტანსაცმელი (ცხადია, წინასწარ კარგად გაანიავა) და ხელმწიფესა და დედოფალს ეახლა.

— ამალამ კი ნამდვილად გავიგებ თქვენი ქალის ავადმყოფობის მიზეზსო, — უთხრა, — ისეთი რამ მანქანება მოვიგონე, ჩემს მებტი სხვა ვერავინ მოიგონებდაო.

მართლაც, იმ ღამეს თავდადებულმა გადიამ მისნობის ხელოვნებაში გადატრიალება მოახდინა. ისეთი ჩადოქრობა მოიბოქმედა, რაც დღესაც კი — ზომ ამდენი ხანი გავიდა — მეცნიერთათვის უცნობია და რასაც ასი წლის შემდეგ, როცა, ბოლოსდაბოლოს, ცნობილი შეიქმნება, მე რომ ჩვენი სწავლულების ამბავი ვიცი, სახელად, აღბათ, „სიზმრის ობიექტური პროექცია“ დაერქმევა.

ასეთი რა ქნაო, იკითხავთ. ისა ქნა, რომ მთელ თავის ჩადოსნურ ცოდნას, ხანგრძლივ გამოცდილებასა და სამისნო უნარს ნებისყოფის გრძნეული დაძაბვით ერთ წერტილში მოუყარა თავი

და ხელმწიფის ქალს მისივე სწავლულებით მიზეზი დაასიზმრა. ამისათვის საძინებელი დარბაზიდან წინასწარ ყველაფერი გაატანინა — ავეჯიც, დედოფალუბიც, ნახატებიც, ნაჭარებუბიც, თავისი სამისნო იარაღებიც... ერთი სიტყვით, არაფერი დატოვა ხელმწიფის ქალის ღრუბლის ლოგინისა და ერთი თეთრი აბრეშუმის ფარდის გარდა, რომელიც სარკმელზე საკუთარი ხელით გადაჭიმა. ნაშუალამევს, როდესაც ხელმწიფის ქალს ეძრა და ირგვლივ უკუნი სიბნელე იდგა. ჭადოსნური წამოსასხამის კალთები ფრთხილად გაშალა და დარბაზში რწყევასა და როკვას მოჰყვა. თან გულში რაღაც უცხო შელოცვას იმეორებდა. მთელ სხეულში გაფანტული გრძნეულება რომ თანდათან ერთ ადგილას დაგებდა და თვითონაც იმ ერთ ადგილას დაგუბებულ გრძნეულებაში ჩაიძირა, ნელ-ნელა იატაკსაც ასცდა და ახლა პაერში განაგრძო როკვა და რწყევა. დიდხანს, ძალიან დიდხანს როკავდა და ირწყევდა (მოგვსენებთან, რა ძნელ საქმეს იყო შეჭიდებულ!). ბოლოს მოთმინებამ თავისი ქნა და დარბაზი თანდათან მოლურჯო-მოიისფრო იღუმალი შეუქმთ აივსო. ხოლო როცა ხელმწიფის ქალის ფერდაკარგულ ბაგეებზე სუსტი ლიმილიც ათამაშდა, გადია მიხვდა, რომ სიზმარი დაიწყო. მაშინ ფრთხილად დაეშვა იატაკზე, მკლავები იდაყვებში მოკეცა, მაჩეები ოდნავ გადაჰყარა, ისე რომ ხელისგულები მალა იყურებოდა, და უცებ — თქმა ჩემი ნებაა და დაჭერება თქვენი ნება იყოს — ათივე თითი სულის ერთი შებერვით სანთლებად აანთო. ეწვოდა — არეწვოდა, სტკიოდა — არსტკიოდა, უჭირდა — არუჭირდა, ეს მე არ ვიცი. მე მართო ის ვიცი, რომ თითები სანთლებად ენთო და თეთრი ალი რომ მოლურჯო-მოიისფრო შეუქმი ლიცილიცებდა, იქაურობას კიდევ უფრო იღუმალი და ჭადოსნური ელფერი ედებოდა. გადია ფეხაკრეფით მივიდა ხელმწიფის ქალის საწოლთან, დაიჩოქა, ანთებულნი თითები გოგონას შუბლთან, ასე ერთ: მტკაველის მო-

შორებით, დაიჭირა და მოპირდაპირე მხარეს სარკმელზე გადაჭიმულ თეთრი აბრეშუმის ფარდას ჩაიციებით მიაჩერდა. ხანი რომ გამოხდა, ფარდის ზედა მხარეს ნელ-ნელა, თითქოს ფარდისავე სიღრმეიდან გამოდისო, ლურჯი, კამკამა ცა დაიხატა, მერე ცამ ერთ ადგილას ფერისცვლა დაიწყო და მალე იქ ოქროსფერი მზე ამოიწვია. ცოტაც და ცისა და მზის ქვეშ ჯერ მუჭი მწვანე ტყე გაჩნდა, მერე, იმ ტყის შუაში — ბაცი მწვანე მდელო. გადია მისჩერებოდა და მისჩერებოდა. ჩაიციებით, დაეჩინებით, თვალდაუხამხამებლად. უცებ მინდორზე ერთბაშად, თითქოს საიდანაც ჩამოვარდაო, თეთრი ცხვარი გაჩნდა. გადია რომ თავისსავე ჭადოსნურ გუბეში არ ყოფილიყო ჩაყურყუმალავებული, ცხვრის გამოჩენა, ალბათ, გააკვირვებდა, მაგრამ, რაკი თავისსავე ჭადოსნურ გუბეში იყო ჩაყურყუმალავებული, გაკვირვებისთვის ვერ მოიცილა. უყურებდა და უყურებდა. და აი, ცხვრის წინ მეცხვარეც გამოჩნდა. გამოჩნდა, მაგრამ რა გამოჩნდა! თვალები ვარსკვლავებზევით უელავდა, გიშრის თმა შებლზე კულულებად ეყარა და, თუმც თხუთმეტორღე წლისა ძლივს იქნებოდა, უკვე ისეთი კენარი იყო და ისეთი ბეჭკარტყელი, მოყვარეს გულს გაუნათებდა და მტერს თვალს დაუყენებდა. ბიჭს ხელში სალამური ეჭირა და სახეზე უცხო რამ სევდა ეწერა.

ამ სურათის დანახვაზე გადიას უეცრად თავისი ყმაწვილქალობა მოაგონდა (ვიცი, გაგიკვირდებათ, განა ასეთი რა მეხსიერება ჰქონდაო, მაგრამ შემძლია დავიფიცო, რომ ნამდვილად მოაგონდა) და ყველაფერს მიხვდა.

მიხვდა და დალონდა. უყურებდა ობიექტურ პროექციას და გული მწუხარებით ეგსებოდა, ვინაიდან — თუმც კი ყველაფერს მიხვდა — ის აღარ იცოდა, რასაც მიხვდა, ხელმწიფისთვის იმის თქმა როგორ გაებდნა.

მაშინ აბრეშუმის თეთრ ფარდას მზე-რა მოსწყვიტა, სანთლებად ანთებული თითები ზე ასწია და ახლა თავის ვაზ-

რდილს დახედა. გოგონას სახეზე ტემპილი ლიმილი გადასვენოდა და სწევს კი მინდვრის ულამაზეს ყვავილს. თუმც გაცრეცილსა და ფერდაყარულს. უყურა გადიამ გოგონას, უყურა, ბოლოს თავი გადაიქნია და ჩაილაპარაკა:

— თუმც კი ვაი შენაო, მაინც ნეტა შენაო!

ამ სიტყვებით სანთლებად ანთებული თითები სულის ერთი შებერვით ჩააქრო. წამსვე აბრეშუმის თეთრ ფარდაზე გამოხატული სურათი გაქრა და ხელმწიფის ქალის სიზმარიც დასრულდა.

რაკი სიზმარი დასრულდა, ხელმწიფის ქალს გამოეღვიძა კიდევ. თვალები ნელა გაახილა და იკითხა:

— ნეტა სადა ვარო?

— აქა ხარ, ჩემო ანგელოზო, შენ კი შემოგვევლოს შენი გადიამო, — მიუგო გადიამ.

— გადიამ, ჩემო საყვარელო გადიამ, რომ იცოდე, რა საამური სიზმარი ვნახეო! — უთხრა მაშინ გახარებულმა ხელმწიფის ქალმა.

— ეპაო! — წაიბუტბუტა ამაზე გადიამ, — შენთვის კი საამურია, მაგრამ ზოგი დედაშენსა და მამაშენსაც კითხეო!

დღის რომ გათენდა, ხელმწიფემ და დედოფალმა გადია იხმეს.

— აბა, რა ჰქმენ, გაიგე თუ არა ჩვენი ქალის ავადმყოფობის მიზეზიო?

— გაეგეო, — მიუგო გადიამ, თან შიშით გული ელეოდა, — მაგ სენს დუალისტური ექსისტენციის კონტრესენციის ცხელება ჰქვინაო.

ხელმწიფე და დედოფალი ვერაფერს მიხვდნენ, მაგრამ აღუღებულემა მაინც სიხარულით შესძახეს:

— ჩქარა გვითხარი, რა მოარჩენს! ხომ იცი, ჩვენი ერთადერთი ქალის გულისთვის ნახევარ სახელმწიფოს არ დავიშურებთო!

ამაზე გადიამ თავისთვის წაიბუტბუტა:

— ნახევარი სახელმწიფო არ უნდა, ერთი სოფლეელი მწყემსი ბიჭიც ეყოფაო.

— ემანდ რას ბუტბუტებო? — ჰკითხეს ხელმწიფემ და დედოფალმა, — ნუთუ სენის მიზეზი გაიგე და წამალი კი ვერაო?!

— წამალიც გავიგეო, — მიუგო გადიამ, — მაგრამ თქმა ვერ გამიბედნია, თქვენი რისხვისა მეშინიაო.

— განა ისეთი რა წამალი უნდა იყოსო?! — გაუკვირდა ხელმწიფესა და დედოფალს, — მთელ დედამიწას შეეძრავთ და გაუჩენელს გაეჩენთ. შენ მხოლოდ გვითხარი, შიში ნურაფრისა გაქვსო.

მაშინ გადიამ ღმერთი ახსენა, გამბედაობა მოიკრიბა და უთხრა:

— მხოლოდ ერთი საშველი არსებობს: უნდა შეარჩიოთ სანდო ხალხი და უბრძანოთ, მთელი ქვეყანა შემოიარონ, რაც კი თქვენს სახელმწიფოში მწყემსებია, გულდასმით გასინჯონ, მათ შორის ყველაზე ლამაზი აარჩიონ და სასახლეში მოგვყარონო.

— სულ ეს არისო?! — იკითხეს გაბარებულმა ხელმწიფემ და დედოფალმა.

— თქვენს ქალს იმ მწყემსის კოცნა მოაჩვენს, სხვა არაფერიაო.

ხელმწიფე და დედოფალი აბტნენ და დაბტნენ.

იმ უხსოვარ დროს, როგორც ყველა სხვა ქვეყანაში, ამ ქვეყანაშიც ასეთი წესი იყო: ქალის კოცნის ნება ქმრის გარდა არავის ჰქონდა. თუ რომელიმე ზემგრძნობიარე მანდილოსანი მაინც ვერ მოერეოდა თავს და უტბოს აკოცინებდა, ასეთ შემთხვევაში — ოჯახი რომ სირცხვილს გადაარჩენოდა — მკოცნელიც, ნაკოცნიცა და ნაკოცნის ქირისუფლებიც (განსაკუთრებით ქმარი) თავს იკატუნებდნენ, ვითომ არა გაეგოთ რა. ამიტომ ხელმწიფე და დედოფალი მართლა აბტნენ და დაბტნენ. როგორც ზამბარიანები, თანაც არა ერთხელ, არამედ რამდენჯერმე. თავდაც უკვირდათ, რომ ბტოდნენ და გაჩერება ვერ მოეხერხებინათ. მერე ზველება აუვარდათ. ვიდრე ზველება გაუქვლიდათ, ქაეილი აუტყდათ, სულ დაიგლიჯეს ყვე-

ლაფერი. ბოლოს, როგორც კი მწყემსი და დაიკვირეს: *გინჯა მწყემსი*

— რას როშავ, გადიამ, რას ჩმახავ და რას მიედ-მოედებო! ისეთი ქალი გაგვიზრდია, მის გვერდით მზე ვერ გადავს გამოჩენას! ვარდის წყალი არ დაგვიკლია და ცაევი ნიაევი არ მიგვიკარებია! ვილაც ფუნითა და კურკლით აყროლებული მწყემსი მოვიყვანოთ და იმას დაეკოცნინოთო?!

— მე წამალი გითხარით, წამლობა თქვენი ნებააო, — მიუგო გადიამ.

ზევლებამ და ქაევილმა რომ გაუარა, ხელმწიფე და დედოფალი ტანტიდან ჩამოხტნენ და დარბაზში ბოლოს ცემას მოჰყენენ. ისე დადიოდნენ, მათი ფეხის ზმაზე მთელი ღმერთს ზანზარებდა, თან გულში ღმერთს ევედრებოდნენ, ღმერთო, ისეთი რამ მოგვაგონებინე, ამ სირცხვილს გადაეკრეთო. რა ექნათ: ორთაევინი ძველებურ, დარბაისლურ ოჯახებში იყვნენ გაზრდილი და მამა-პაპის ადათ-წესების შენახვა წმიდათა წმიდა ვალად მიაჩნდათ. საზოგადოდ, იმ დროს მეფე-დედოფლები ძალზე ჩამორჩენილები იყვნენ.

ერთხანს რომ ასე აზანზარეს სასახლე, ბოლოს გადიას ფრთხილად შეაპარეს:

— საიდუმლოდ მაინცაო...

— საჯაროდაო! — თავი გაიქნია გადიამ.

მაშინ ხელმწიფემ და დედოფალმა ბოლოს ცემა განაგრძეს. დიდხანს დადიოდნენ აღელვებულები და მწარე ფიქრებში ჩაფლულები წინ და უკან, მაგრამ გადაწყვეტილ მაინც ვერა გადაწყვიტეს რა. ერთი გული ეუბნებოდა, რაკი სხვა გამოსავალი არ არის, ბარემ ცოლად გავატანოთ იმ მწყემსს ქალი და კოცნაც კანონიერი გამოვაო, მაგრამ მეორე გული არა შერებოდა—სოფლელი ტეტია რომ სიძედ დაეისვათ, თავი სადღა გამოეყოთ — ან მტერს რა პასუხი მიეცეთ, ან მოყვარესო! არა, შინაურებს კი ადვილად გვაჩუმებთ და პირში ბურთს ჩავხრით — ამოდენა საშინაო ქარი ტყუილად ხომ არა გვეყავს!

— მაგრამ გარეშენი რას იტყვიანო! გამწარებულები დროდადრო იმასაც კი გაიფიქრებდნენ, ისა სჯობს, მოკვდესო, და, საერთოდ, ვინ იცის, არც მოკვდესო, მაგრამ, კარგად რომ აწონ-დაწონიდნენ, ვერც იმას ბედადენენ საეგებიოდ გატეხადათ საქმე. ბოლოს ხელმწიფეს თავში ერთი აზრი მოუვიდა და მოწყვეტით შედგა გადიას წინ.

— ეგრეც არ უნდა იყოს საქმე, როგორც შენ ვიგარაოდნიაო, — უთბრა, — ჩემს ყმაწვილკაცობაში, ვინემ მამაჩემის სიკვდილს ველოდი, რომ ტახტზე ავსულიყავ. საქმე არა მქონდა რა, რის გამოც ფოლკლორის შესწავლას მივყავი ხელი, და ამ საქმისა ცოტა რამ გამეგება. აბა, შენც დაფიქრდი, თუ სწორეს არ ვამბობ: კოცნას ისა სჯობს, იმ მწყემს გულ-ღვიძლი ამოვარიდოთ და ჩემს ქალს ვაჰამოთ. განა კოცნაზე მეტად გულ-ღვიძლი არ არგებსო?

დედოფალს ხელმწიფის აზრი ძალიან მოეწონა, მაგრამ გადიამ ქვა ააგდო და თავი შეუშეირა.

— შენ მე ნუ მისწავლი, ჭამა უფრო არგებს ცამეტი წლის გოგოს, თუ კოცნა! ჯერ ერთი, ჩემი ხნისა ყვავი არ დაფრინავს ამ არემარეზე, მეორეც ისა, რომ გრძნეული და მისანი მე ვარ და არა შენ, ეს საგანიც შენზე უფრო ღრმად და საუფრთხილად მე მაქვს შესწავლილი და კარგად ვიცი, რომ გულ-ღვიძლი უმთავრესად ალერგიულ დაავადებათა სამეფურნალოდ გამოიყენება და მოქმედების არეც ძალზედ შეზღუდული აქვს, რამდენადაც მხოლოდ გარევეული კლასის დედინაცვალთა დიეტაში გვხვდება. საერთოდ კი — რომ იყოდე — შენი ქალის ავადმყოფობა უბრეკედენტო შემთხვევაა და სრულიად ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს.

აბა, ამაზე ან ხელმწიფე რაღას იტყოდა, ან დედოფალი!

რა დაინახეს, სხვა გზა არა ჰქონდათ, ბედს დამორჩილდნენ, მაგრამ, ვიდრე შესაბამის ბრძანებას გასცემდნენ, ჯერ მაინც ნაზირ-ვეზირები შეჰყარეს —

ყველაფერი ღეთის ნებაა, ვინ იცის, ენებ რომელიმე მათგანს აზრიანი რამ სიტყვა დასცდესო — და რჩევა ჰკითხეს.

ნაზირ-ვეზირებმააც თავი არ დაზოგეს და ხელმწიფის საამებლად დიდხანს იყლიტეს ტვინი, თუმც, როგორც მოსალოდნელი იყო, შრომამ უქმად ჩაუბრათ.

ერთმა თქვა:

— დიდებულო ხელმწიფე! ამ საქმეს თუ ფილოსოფიურ ჭრილში არ შევხედეთ, ადვილი შესაძლებელია, გამოუსწორებელი შეცდომა მოგვივიდეს და მომავალ თაობათა წინაშე ბრალეულები აღმოვჩნდეთ, ვინაიდან წინასწარ ძნელი განსაკვერტია, თუ სადამდე მიიყვანს კაცობრიობას ახალი მორალური ასპექტის წარმოჩენა და ზნეობის სფეროში გაუკვალავი გზის გაკვალვა, რასაც უეჭველად გამოიწვევს განსახილველ კოცნაში გარდუვალად ნაგულისხმევი ვნებათა ლეგალიზაცია.

მეორემ თქვა:

— დიდებულო ხელმწიფე! პირადად მე ამჟამად ფართო განზოგადების აუცილებლობას ვერ ვხედავ და ფილოსოფიური ჭრილის ჩხრეკაც დღესდღეობით გადაუდებელ ამოცანად არ მიმაჩნია. სამაგიეროდ, პრობლემა, ჩემის ღრმა რწმენით, უეჭველად უნდა განვიხილოთ პოლიტიკურ ჭრილში, რისთვისაც, ვიდრე რამეს გადაწყვეტოთ, უნდა დადგინდეს, თუ როგორ შეხედავენ ამ საქმეს უცხო ქვეყანათა გამგებლები, ვინაიდან ხელმწიფის ქალის კოცნა, პირველ ყოვლისა, პოლიტიკური აქტიაო.

ერთი სიტყვით, მეც რომ იმ ვეზირებივით არ გავეწელო და გავაჰიანურო, მას შემდეგ, რაც რომ, საცა კი ჭრილი მოიხელთეს, თითო ცხვირი ყველგან შერგეს, ხელმწიფეს, ბოლოსდაბოლოს, მოთმინება გამოეღია.

— ბრძნულად კი ლაპარაკობთ ყველანი, მაგრამ ზოგი ჩემი გულის ჭრილშიც ჩამოიხედეთო! — და, ვეზირებმა რომ მორცხვად ჩაქინდრეს თავები, დასძინა, — ძლივს სიბერეში შვილს

ველირსე და ერთი კოცნის გულისთვის სასიკვდილოდ როგორ გავიმეტო, თუნდ, რაც კი დედამიწის ზურგზე ხელმწიფეებია, ყველამ დამძრახოს და ზიზლით ზურგი მაქციოს! არა და არა! შეილი მე ყველაფერს მირჩევნია. დღესვე შევადგენ საგანგებო კომისიას და გზას ვავუყენებ, რათა ის მწყემსი, რომელიც განგებას ამ საპატრიო საქმისთვის შეუგულეობია, დროით მოქებნონ და აქ მომგვარონო.

მაშინ წამოდგა ომისა და მშვიდობის ვეზირი — ლამაზი, ტანადი, ცალწარბაზიდიული — ხელმწიფეს თავი ღირსებით დაუკრა და ბოხი ხმით მოახსენა:

— ჩემო ბატონო! რაკი შენი ქალის სიკოცხლე ერთ კოცნაზე ჰკიდა, აქ გახლავარ და მიმსახურე! მწყემსი და მოქამაგირი ვინ მიგდია! მე იმისთანა კოცნა ვიცი, დედამიწის ზურგზე ერთ კაცს არ ეცოდინება. თუ არა გჭერა, აგერ სასახლის ბანოვანები და ჰკითხეო!

ვიდრე ომისა და მშვიდობის ვეზირის სიტყვებს სასახლის ბანოვანები ექალუცი და მორცხვი კისკისით დაადასტურებენ, ჩვენ მცირე ხნით აჭაურობა მივატოვით და, ძაფები რომ არ აგვეხლართოს და ამ ჩვენი ზღაპრის ხალიჩაზე სახეები არ გავგიმრუდდეს, ცოტა რამ მაგ ვეზირისაც ეთქვათ.

...ომისა და მშვიდობის ვეზირი ჰეშმარიტი ომისა და მშვიდობის ვეზირი იყო: ბატის ფრთის გასათელად ხმალსა ხმარობდა და ყურების გამოსაჩიჩქნად — შუბს. დაბადებით, ცხადია, პირდაპირ ვეზირად არ დაბადებულა. ღლაპად დაიბადა და ღლაპივით ღნაოდა. და თუმც მთლად ჩვეულებრივი არც მაშინ ეთქმოდა, ვინაიდან მამამისს ისეთი სრა-სასახლეები და ციხე-კოშკები ედგა. ხელმწიფისა არ ერქვა, თორემ ისე ხელმწიფისას არაფრით ჩამოუვარდებოდა. თავიდან განსაკუთრებული შინც არა ეტყობოდა რა. სამაგიეროდ, ცოტა რომ წამოიზარდა, ერთი ახირებული ზნე დასჩემდა: დაწინაურება შეუყვარდა, ისე შეუყვარდა, სიყვარულისგან სულ აერულიებდა და დაწინაურების გარეშე ვე-

ლარ ძღებდა. მამამისმა ერთი-ორჯერ კი კარგად გაასილაქა — ეგებ ჰკუთხე მოვიდესო — მაგრამ, რა დაინახა, ყოველივე ამო იყო, ადგა და ხელმწიფეს მიგვარა. ასე და ასე საქმეა, — მოახსენა, — დაწინაურებაზეა გადარეული, ლამის სული გასძვრეს; ჩემს მამულში ისედაც ყველაფერი მაგისია, სადღა უნდა დაეწინაურო! ახლა შენი იმედი მაქვს, შენ თუ დამიწინაურებ ცოტ-ცოტას, თორემ დაქლეკდა და ეგ არისო. ხელმწიფემ ყმაწვილი დაიტოვა და დაწინაურება დაუწყო. იმდენი აწინაურა, ვიდრე ბოლოს ომისა და მშვიდობის ვეზირად არ გააშქესა. ომისა და მშვიდობის ვეზირი რომ შეიქნა, ომისა და მშვიდობის ვეზირს დაწინაურების ხუშტური ცოტა გამოეწედა, მაგრამ ახლა სხვა სენი შეეყვარა: სასახლის ბანოვანები შეუყვარდა. განა ერთი მათგანი, ან თუნდაც ორი მათგანი! — უკლებლივ ყველა. გატაცებით დაიწყო სატრფიალო ლეკსების შეთბზა და, საცა კი ბანოვანს წააწყდებოდა, მყისვე პაემანს უნიშნავდა. იმათაც მეტი რა უნდოდათ! სასახლეში, საზოგადოდ, კაცები ცოტანი იყვნენ. კიდევ უფრო ცოტანი იყვნენ ისეთი კაცები, კაცები რომ ეთქმოდათ, და კიდევ უფრო ცოტანი — მართლა კაცები რომ ეთქმოდათ. ამ მხრივ ომისა და მშვიდობის ვეზირი ყველასგან გამოირჩეოდა. ნამდვილი ბულა იყო, ჯანმრთელი, თვალტანადი, აზოვანი და შმაგი. ვეჯაკური მიმოხერა ჰქონდა, ვენებიანი ღიმილი ქორული გამოეხდებოდა. ერთ ვეზირად მართო მისი კოკობი უღვაში ღირდა. ტანთ მულამ უქანასკნელ მოღაზე გამოკვერილი აბჯარი ეცვა და იმპორტულ მუზარადქვეშ თავი ყოველთვის საამოდ უხურდა. ერთი სიტყვით, გასაკვირი არ არის, რომ სასახლის ბანოვანებიც აცმულდნენ, ამჩატდნენ და აცუნდრუდნენ. როგორც ომისა და მშვიდობის ვეზირს ყველა ბანოვანი შეუყვარდა, ისე ომისა და მშვიდობის ვეზირი ყველა ბანოვანს შეუყვარდა. ისე ეხვეოდნენ, როგორც ბუზი თაფლს, თვალეებს უყუ-

უნებდნენ, ათასგვარ სააღერსო სახე-  
ლებს ეძახდნენ და მის მონაყოლ ანეგ-  
დოტებზე გაცილებით მეტი მონდომე-  
ბით კისკისებდნენ, ვიდრე სხვა ვეზი-  
რების მონაყოლზე. ბევრი რომ არ გა-  
ვგარძელო — ბანოვანებმაღა გაიხარეს  
და ომისა და მშვიდობის ვეზირი გა-  
ლალდა. ხელმწიფეც, რაკი ხედავდა, მის  
პროტევეს დაწინაურების ენერგია სხვა,  
ნაკლებ სახიფათო ენერგიაში გადაუვი-  
და, კმაყოფილი იყო. მაგრამ ეს საამუ-  
რი ყოფა დიდხანს არ გავრძელებულა.  
ცოტა რომ დაცხრა, ომისა და მშვიდო-  
ბის ვეზირს კვლავ დაწინაურების ბუ-  
ჯანკალი შეუძვრა და, რაკი ომისა და  
მშვიდობის ვეზირს ზემოთ ხელმწიფის  
მეტი სხვა არა იყო რა, ბევრი არ უფი-  
ქრია, ხელმწიფობა მოიწადინა. ამ მიზ-  
ნით გადაწყვიტა ხელმწიფის ასული ცო-  
ლად შეერთო. ეს თავისი სანაქებო გა-  
დაწყვეტილება პირველ რიგში რამდე-  
ნიმე ბანოვანს უყავდა, რომლებიც სხვე-  
ბზე მეტად უყვარდა. ბანოვანებმა ერთი  
კი თქვეს კეკელუცი გაბუტვით, „მერე  
ჩვენაო?“, მაგრამ გადაწყვეტილება  
უყოყმანოდ მოუწონეს. ან კი როგორ  
არ მოუწონებდნენ: ხელმწიფეს შემდ-  
გომი დაწინაურების საშუალება აღარ  
ჰქონდა, ავტოდაწინაურების ერთადერ-  
თი გზა კი ის იყო, სიძედ გახდომოდა.  
რომ გაუხდებოდა, ამაში ეჭვი არ ება-  
რებოდა, ვინაიდან ხელმწიფე, ბევრიც  
ეძებნა, მასზე უკეთეს სასიძოს სად  
იპოვიდა?! არა, ეგებ დამიწუნოსო?! —  
იტყოდა ხოლმე ხუმრობით და სასახ-  
ლის ბანოვანებიც მის ხუმრობაზე გუ-  
ლიანად კუჭკუჭებდნენ.

მიანც, რაკი ერთი ბანობა — ვიდრე  
თავის სურვილს მეფე-დედოფალს გა-  
მოუტყბადებდა — ლოდინი იყო საჭირო,  
ვინაიდან ხელმწიფის ქალს ჭერ გათ-  
ხოვების ჟამი არ დადგომოდა, გადაწყ-  
ვიტა ეს დარჩენილი დრო იმისთვის გა-  
მოყენებინა, რომ საცოლეს ხშირ-  
ხშირად სჩვენებოდა. „ეგრე ჟობსო, —  
ამბობდა გულში, — რაკი შევუყვარდე-  
ბი, რომც დააძლონ, ჭმრად სხვას არა-  
ვის ინდომებსო“. ამ მიზნით საბრძოლო

ვარჯიშისთვის სასახლის ეზოს ქვიშა-  
რე აირჩია, რომელიც კოშკის სარკმ-  
ლებიდან ყველაზე უკეთ მოჩანდა. ხან  
გაუხუნდაც ცხენს დააგვლებდა იქ, ხან  
შუბის ტყორცნაში საუკეთესო შუბოს-  
ნებს ამარცხებდა, ხან ისე გაივლიდა,  
ფეხით, პეწიანად და განიერი ბეჭების  
მოხდენილი რხევით. ზოგჯერ ბანოვა-  
ნებსაც იქ წაასახამდა და მათში ისე გა-  
ერეოდა, როგორც მიმინო მწყურების  
გუნდში, რათა საცოლეს საშუალება  
ჰქონოდა მომავალი ჭმარი ამ მხრ კაც  
შემოწმებინა. მართალია, ხელმწიფის  
ქალი სარკმელში გადმომდგარი არასო-  
დეს დაუნახავს, მაგრამ დარწმუნებული  
იყო, ფარლის უკან დგას და ჩუმად მით-  
ვალთვალეგბსო. ჟამიდან ჟამზე, როდე-  
საც ხელმწიფე კოშკის ზედა დარბაზე-  
ბში წვეულებას გამართავდა, რათა  
ქალს ნაზირ-ვეზირები კარგად გაეცნო,  
ომისა და მშვიდობის ვეზირი ერთად-  
ერთი იყო, ვინც წარბის აწევით უარს  
იტყოდა ხოლმე საგანგებო კალათზე,  
რომლითაც, ჩვეულებრივ, დიდებულები  
აპყავდათ მაღლა, და, სამეჯლისო აბჯარ-  
ში კობხად გამოკვართული, ფეხით შე-  
უყვებოდა დაკიდებულ კიბეს. მხნედ  
მიდიოდა, მსუბუქად, მკვირცხლად, თან  
ისე ილიმებოდა, თითქოს ციკაბო აღ-  
მართში სირბილი ერთი ისეთი სიამოვ-  
ნება იყოს, რასაც ხორციელ ადამიანს  
სხვა ვერაფერი მიანიჭებს. მართალია,  
რაც უფრო ზემოთ მიიწევდა, სულ უფრო  
მეტად და მეტად იოფლებოდა, რის გა-  
მოც ჯაჭვის პერანგს ჟანგი ედებოდა და  
ნაადრევი ეროზია ეწყებოდა, მაგრამ ვე-  
ზირი ამას არას დაგიდევდათ: მდიდარი  
კაცი იყო და ტანისამოსიცა და თეთრე-  
ულიც თავზე საყრელად ჰქონდა. სამა-  
გიეროდ, დარბაზში შესული, როგორც  
კი ხელსაყრელ შემთხვევას მოიხელთე-  
ბდა, ხმამაღლა, ხელმწიფის ქალის გა-  
საგონად, იტყოდა ხოლმე (ხოლო თუ  
ხელსაყრელ შემთხვევას ვერ მოიხელ-  
თებდა, ისე იტყოდა, უდავილოდ და  
ხელსაყრელი შემთხვევის მოუხელთე-

ბლად): „პოდა, ის-ის იყო, კიბე ფეხ-დაფეხ ამოვიარე...“

ერთი სიტყვით, ყველაფერი თავისი რიგით მიდიოდა და ომისა და მშვიდობის ვეზირი უკვე იმას ფიქრობდა, თუ სხვა ვეზირების ბედი როგორ გადაწყვეტა, ხელმწიფე რომ გახდებოდა და ტანტზე ავიდოდა — უკლებლივ ყველანი გაეცილტა, თუ ზოგი მათგანისთვის მხოლოდ ქონება და ცოლი წაერთმია და ამას დასჯერებოდა. და აი, ამ დროს, სად იყო, სად არა, ვიღაც ტურტლიანი მდაბიო გამოჩნდა და ამდენი ჭაფა კინალამ წყალში ჩაუყარა. ომისა და მშვიდობის ვეზირს კარგა ხანია ეკვი აღარ ეპარებოდა, რომ ხელმწიფის ქალს თავი უკვე შეაყვარა. მის უცნაურ სენსაც ამით ხსნიდა და გულში დარწმუნებით ამბობდა, დიდხანს ვერ შეძლებს დამალვას და დღეს არა — ხვალ გაამხელს, რომ ჩემი სიყვარულით იღვევა და დნებაო. ამიტომ იყო, რომ, ხელმწიფის გადაწყვეტილება რა მოისმინა, ნაბიჯი მტკიცედ წაღდა წინ, თავი ღირსებით დაუკრა და ბოზი ხმით მოახსენა:

— ჩემო ბატონო! რაკი შენი ქალის სიცოცხლე ერთ კოცნაზედ ჰკიდია, აქ გახლავარ და მიმსახურე! მწყემსი და მოჭამაგიერი ვინ მიგდია! მე იმისთანა კოცნა ვიცი, დედამიწის ზურგზე ერთ კაცს არ ეცოდინება. თუ არა გჯერა, აგერ სასახლის ბანოვანები და ჰკითხეო!

როდესაც სასახლის ბანოვანებმა მისი ნათქვამი კეკლუცი და მორცხვი კისკისით დაადასტურეს, ხელმწიფემ ბრძანა:

— შენ რომ მწყემსი არა ხარო?

ომისა და მშვიდობის ვეზირი არ დაიბნა.

— ულამაზესი ხომ გახლავარ, ჩემო ბატონო, და მწყემსობაზე იოლი არა არის რა: ტყაბუქს ჩაეიცვამ, ბეწვის ქუდს დავიხურავ, კომბალს ავიღებ, ორიოდ ცხვარს წინ გავიგდებ და ისეთი მწყემსი ვიქნები, შენი მოწონებულყო!

დაფიქრდა ხელმწიფე, ჰკუპაში დაუჭდა ომისა და მშვიდობის ვეზირის რჩე-

ვა. „სულელი კია, მაგრამ, ჰმუქსაჲს და იყოს, დიდგვაროვანია.“  
კოცნა მორჩენს, ბარემ ცოლად მივცემ და შერცხვენას გადაფრჩებო, თქვა გულში და საჩქაროდ გადია იმყო. გადია რომ ეახლა, მიახარა, ასე და ასეა საქმე, ომისა და მშვიდობის ვეზირმა, ჩვენი გასაპირი რა შეიტყო, ერთი არ შეყოყმანებულა, მყისვე თავისი კოცნა შემოგვთავაზა. საქმე თუ მოითხოვს, იმაზეც კი თანახმაა, ტყაბუქი ჩაიცვას, ბეწვის ქუდი დაიხუროს, ხელში კომბალი აიღოს და ორიოდ ცხვარი წინ გაიგდოსო.

ამის გაგონებაზე გადია უეცრად ისე აბილიბიდა, ასეთი აბილილებული მანამდე არავის ენახა.

— ნეტა იმ დღეს მოვესწრებოდე, შენ ჰკუპა ისწავლო! — მიახალა ხელმწიფეს, — ასეთი რა პიტალო კლდე გამოდექი, რომ სიბრძნე ახლო ვერ მოგკარებია! ისე ისხლექ, თითქოს გეშინია, არ დაგგესლოს! შენ და შენს ვეზირებს ხალხის მოტყუება შეგიძლიათ და აკი თქვენი დღე და მოსწრება მეტს არც არაფერს აკეთებთ, მაგრამ ის რამ გაფიქრებინა, რომ თქვენი ტაკიმასხარობით ღმერთსაც მოატყუებთ! ნუთუ არ იცი, რომ ღმერთის მოტყუება შეუძლებელიაო?!

— კარგი ეხლა, ისეთიც რა ვთქვი, რომ ეგრე გაუტეიო! — ითაკილა ხელმწიფემ, — უკეთეს გზას ვეძებდი და ვიფიქრე, იქნებ ასე ჯობდეს-მეთქი. უკითხავად ხომ არა ჩამიდენია რა! ხომ გიხმე და გკითხე! რაკი მითხარი, ამის შემდეგ მეცოდინება, რომ ღმერთის მოტყუება შეუძლებელია, და აღარც ვეცდები. როგორც მირჩიე, ისე მოვიქცევი, რომ ილანძღები, რას ილანძღები, ბიჭოსო!

ამაზე გადია კი დაწყნარდა, მაგრამ ომისა და მშვიდობის ვეზირი უეცრად ისევ წამოღდა წინ და რიხიანად გამოაცხადა:

— რაკი ასეა, ჩემო ბატონო, საწყენად კი ნუ დაგრჩება და, იცოდე, სწვის

ნაკონ ქალს მე ცოლად ვერ შევიერთავო!

— ნეტა ვინ გაძალესო! — გაიკვირვა ხელმწიფემ.

ომისა და მშვიდობის ვეზირს ეგონა, ხეწენას დამიწყებნო, ამიტომ, ხელმწიფის უკმეხი პასუხი რომ მოისმინა, აბჯრის განაწყენებული ჩხარა-ჩხურით წამოვიდა და ქაერისა და შეურაცხყოფის გასაქარებლად ბანჯოვანებს მიაშურა.

— ხახახო და ხახახო! — იცხოდა ბოლმიანად და ნაძალადევად, — თურმე ნუ იტყვიტ და, ჩემს კოცნას ტეტია მწყემსის კოცნა ჯობნებიაო! ხეხებუხო და ხეხებუხო! ეს რა დროს მოვესწარით, ხელმწიფის სასახლეში ამბრის სურნელს ცხერის სუნი უჩრქევნიათო!

— ხიხიხო და ხიხიხო! — ევერს უკრავდნენ ბანჯოვანები.

— ხოხოხო და ხოხოხო! — თანდათან ეშხში შედიოდა ომისა და მშვიდობის ვეზირი, — უბირი მწყემსის მწლაკე კოცნა აფკობინეს ჩემს პროფესიონალურ კოცნას, პარტნიორის ბაგის თავს რომ უღვაშს ზომიერად შეეახებ და ნახად შეეუღლტუნებო!

— ოჰ, ნულა გაგვახსენებ და ოჰ, ნულა გაგვახსენებო! — ტრუანტიელი უწლიდა ბანჯოვანებს.

ხელმწიფემ და დედოფალმა კი იმავე დღეს შეარჩიეს სანდო ხალხი და უბრძანეს, საცა იქნებოდა და არ იქნებოდა, იმ ქვეყნის ულამაზესი მწყემსი მოეტყებნათ და სასახლეში მოეყვანათ.

სახელმწიფეოში რომ ხმა გავარდა, ხელმწიფის ქალს ისეთი სენი შეყრია, ულამაზესი მწყემსის კოცნა თუ მოარჩენს, სხვა ვერაფერო, იმ ქვეყნის მწყემსებმა (მათ შორის, შეუხედავებმაც, ულახათობებმაც, უშნობებმაცა და სულ მთლად გონჯებმაც) მყისვე მიატოვეს საქმე. მეცხვარემ ცხვარი მიატოვა, მენახირემ — ნახირი, მელორემ — ლორი, ყველამ ყველაფერი მიატოვა და სარკის წინ ტრიალი და კობჭიობა დაიწყეს (რასაც შედეგად ის მოჰყვა,

რომ პირუტყვი მგელმა შეჭამა).  
ლე ქვეყნად ისეთი შიმშილობა ჩამოვარდა, სასახლეში ხორცს მისხალ-მისხალ წონიდნენ და თვით ხელმწიფესაც კი თავისი საყვარელი ბულღამა კვირაში მხოლოდ ერთხელ — ხუთშაბათობით — ჰჭონდა).

მწყემსთა შორის ჩვენი მწყემსი ბიჭი იყო ერთადერთი, ვისაც ამ ახალი ამბისთვის ყური არ უთხოვებია. ან კი რა გასაკვირია! მის დაჭრილსა და დამძღულრულ გულს ცხრა კლიტე ელო და ცხრა გასაღები ტყის ფერისის უმცროსი შვილიშვილს ებარა, ხოლო რაკი იმას ვერ იფიქრებდა, ტყის ფერისის უმცროსი შვილიშვილი იგივე ხელმწიფის ქალიათ. კვლავაც ძველებურად აძოვებდა თავის თეთრ ცხვარს, ძველებურად გმინავდა და ძველებურად ცხარე ცრემლით რწყავდა ტყესა და ველს.

სამაგიეროდ, სოფელში რომ ხმა დაირბა, ხელმწიფე ულამაზეს მწყემსს ეძებსო, ერთი შეტოკება ბოროტ დედინაცვალს შეუტოკდა გული. იფიქრა, ჰკვიანმა კაცმა — ჩემზე ჰკვიანი კი სხვა ვინ იქნება! — ამ საქმეში შეიძლება გამორჩენა ნახოსო, მაგრამ საღამოს, სამწყემსურიდან დაბრუნებული გერი რომ დაკვირვებით შეათვალიერა, ღვარძლიანად გაიცინა და განზრახვაზე ხელი აიღო. „ყველაზე მახინჯი რომ სკირდებოდეთო, — თქვა გუნებაში, — იცოცხლე, გამოდგებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ლამაზი სკირდებათ და არა მახინჯიაო“.

(მწარედ ცდებოდა ბოროტი დედინაცვალს, გერი რომ მახინჯი ეგონა, მაგრამ რას იზამ: სიძულვილს ეგრე სცოდნია ადამიანის დაბრმავება).

ამასობაში ხელმწიფის კაცებმა მთელი ქვეყანა შემოიარეს და ბოლოს ამ სოფელს მოადგნენ. ყველანი იქამდე იყვნენ არაქათგამოკლილები და იმედგადაწყვეტილები, რომ გინებისა და ბილწისიტყვაობის გარდა უკვე აღარაფრის თავი არა ჰჭონდათ. არც გაემტყუნებოდათ: ამდენმა წაწწალმა სულ ამიოდ ჩაუარა. მართალია, ერთიორი მწყე-

მსი კი იპოვეს ისეთი, რომ შეეხედებოდა და, ძალიან თუ გაკვირდებოდა, შეიძლებოდა რომელიმე ვეზირის ქალის საკონცენადაც გამომდგარიყო, მაგრამ ხელმწიფის ქალის საფერი არაფერ შეხვედრით. ახლა იმასლა ფიქრობდნენ, გულში რომ ხინჯი არა ჩავერჩეს რა და დავალება პირნათლად შევასრულოთ (იმ დროს წესად იყო დავალების შესრულება), ბარემ აქაურ მწყემსებსაც გავსინჯავთ და მერე, სასახლეში რომ დავბრუნდებით, ცრუ მისნობისთვის გადას დასჯას მოვიტხოვოთ.

მაგრამ, სოფლის მწყემსები რომ ერთად შეჰყარეს და მათ შორის ჩვენი ნაცნობი ბიჭი დაინახეს, განცვიფრებისგან ყველას ყბა მოექცა და ასე ყბამოცქეულებმა შესძახეს:

— ეს არის, ვისაც ვეძებთო!

ამდენმა დიდებულმა რომ ხელი მისკენ გამოიშვირა, მწყემსი ბიჭი ჯერ დაიბნა, მერე, რა შეიტყო, სასახლეში უბირებდნენ წაყვანას, რათა ხელმწიფის ქალისთვის ეკონცა, თავზარდაცემულმა ერთი იპყინა და უკანმოუხედავად მოკურცხლა.

შინ რომ კისრისტეხით შეეარდა, დედინაცვალმა დაუცაცხანა:

— გიყვანა ზომ არ გაქამეს, შე არგასაზრდელო, ეგრე გადარეულივით რომ დარბიხარო!

ბიჭი შეევედრა:

— მიშველე რამე! სადმე დამშალე! შეიარაღებული კაცები მომდევნენ, სასახლეში უნდა წამოყვანონ, რომ ხელმწიფის ქალს ვაკოცო!

ბოროტმა დედინაცვალმა ერთი კი გაკვირვებით გაიფიქრა: „დიდება შენდა, ღმერთო, რომ ამდენი ხალხი ერთად დავიბრმავებია და გავსრულელებიაო!“. მაგრამ, გაკვირვებამ რომ გაუარა, ყოველივე სწრაფად აწონ-დაწონა და გულში მზაკერული განზრახვა ჩაიდო.

— ნუ გეშინია, შვილო, სანამ მე გვერდით გყევარ, ბუხს ვერაფერ აგიფრენსო! — უთხრა და სახლს უკან ერთ ცარიელ ქვევარში დამალა.

ხელმწიფის კაცები რომ მოვიდნენ,

ზღურბლზე გამოეგება და, ვითომ აქ არაფერაო, დამტკბარ-დათაფლული ხმით იკითხა:

— რა ექნა, ეს ამდენი პატივცემული გვამის სტუმრობა რას მივაწერო?

— შენი გერი სასახლეში უნდა წაიყვანოთო.

— გერი ქვიან, თორემ საკუთარ შეილებაში არ გამომერჩევიაო! — ყასიდად იწყინა დედინაცვალმა. მერე დასძინა,

— რად გინდათ, რისთვის უნდა წაიყვანოთო?

— ასე და ასეა საქმეო, — მიუგეს, — ხელმწიფის ქალს უკურნებელი სენი შეეყარა და მაგ ბიჭმა უნდა აკოცოს, სხვა ვერაფერი მოარჩენსო.

მაშინ დედინაცვალმა ღონინჯი შემოიყარა და ხმის კილოც შეიცვალა.

— როგორ თუ უნდა აკოცოსო! — იკვილა, — დღე ისე არ გავა, ათჯერ მაინც არ წამოგვაძახოთ, კანონიერი და სამართლიანი ქვეყანა გვაქვსო, და ეს არის თქვენი კანონი და სამართალი — საკუთარი კონცა კი ჩვენს ნებაზე ველარ მოგვიზმარიო! ღმერთმა თქვენც შეგაჩვენოთ და თქვენი უსირცხვილო ხელმწიფეცაო! ვითომ ის არ გვეყოფა, რომ თითო ყმაზე ათი ბატონი მოდის, ქვეყანა ბიუროკრატებით გაივსო და, ვისაც რა ხუმტური მოუვლის, ყველას ხუმტურზე ჩვენ უნდა ვიართო! სულს იქით აღარა შეგვარჩინეთ რა, ახლა სულიც გინდათ წაგვართვათო! დღეს კონცა მოინდომა იმ თქვენმა გათახსირებულმა ხელმწიფის გომბიომ, ხვალ იქნებ მეტიც მოინდომოსო! — აქ დედინაცვალმა საბოლოოდ მოხსნა გულას პირი, — თქვე ასეთებო და ისეთებო! — დაუტია, — თქვენ ყაჩაღებო და ავაზაკებო! ამკლებებო და ამწიოკებლებო! მრბეველებო და ამოზრებლებო! მძარცველებო და მეკობრეებო! მტაცებლებო და მოძალადეებო! ქურდებო და მამაძალღებო! ზნედაცემულებო და გადაგვარებულულებო! ქლესებო და გაიძვერებო! მლოქენელებო და ფარისევლებო! ფლიდებო და მელაძუებო! პირფერებო და

გაქნილებოო! ლაქიებო და თვალთმაქცებოო! არამზადებო და თაღლიტებოო! მზაკერებო და ვერაგებოო! ყალთბანდებო და ჯიბიდან გავარდნილებოო! წუნკლებო და წუთპაკებოო! სინდის გარეცხილებო და ნამუსგარეცხილებოო! იშვილბაზებო და თითლიბაზებოო! ქვემძრომებო და კაცის კირებოო! ყურღმსალებო და სალახანებოო! ღორებო და ღორის ტილებოო! ვირებო და ვირიშვილებოო! ბატებო და ბატისტკინებოო! ძალებო და ძაღლის გაგდებულებოო! ბრყვებო და კუქუანაკლებოო! უღღეურებო და დაგვალულებოო! თულებო და გაღღეტილებოო! ქოსმენებო და არაკაცებოო! ზიმიანკალებო და ლუბუსტაკებოო! ცინგლიანებო და წვინტლიანებოო! ბენდლიანებო და ავზნიანებოო! ვირეშმაკებო და გველქაუებოო! ცულღუტებო და ლაყინტარებოო! ავარებო და ტარაბუტებოო! უტიფრებო და შუბლისძარღვეგაყვეტილებოო! გარყვნილებო და გაფუჭებულებოო! თავაშვებულებო და აღვირაბსნილებოო! ბილწებო და პირშავებოო! წამხდრებო და ბიწიერებოო! ლირფებო და უწმინდურებოო! არჯლებო და ხელიდან წასულებოო! სულმდაბლებო და კაცობადაკარგულებოო! ლენჩებო და ყეყჩებოო! აბღლებო და აფრაკებოო! ტუტუტებო და რეგვენებოო! უმსგაესებო და უგვანებოო! დუხპირებო და დახამრულებოო! სახიჩრებო და მაიმუნებოო! ბაჯაქლანებო და მახალაქუნებოო! ჯოჯოებო და საფრთხობელებოო! მათხოვებო და მაიმახებოო! ჯოჯოხეთის მაშხალებო და სახადის ანგელოზებოო! ბინძურებო და უწმინდურებოო! მურტლებო და თრიფინებოო! უკან შემძრომებო და ღამის ქოთნებოო!..

სხვაც ბევრი თქვა ბოროტმა დედინაცვალმა, მაგრამ აქ ყველას ვერ ჩამოვთვლით. ბოლოს, ლანძღვით რომ გული იჭერა, ზმას ცოტა დაუწია და დასძინა:

— იმ თქვენს არდასაცალებელ ხელმწიფეს ეგრე მოახსენეთ: რაც მე ამ ბიჭის გაზრდაზე წვალევა ვადამზდომია,

მაგის ერთი კოცნა ერთი ურემი ოქრო მიღირს-თქო.

ხელმწიფის კაცებმა, დედინაცვლის ეგზომ დიდი კანდიერება რა ნახეს, იწყინეს და ხმლები ქარქაშიდან ამოსწიეს, მაგრამ შერე, პირობაც რომ მოისმინეს, ერთმანეთში მცირე თათბირი გამართეს. უმეტესობა მაინც იმას ამჯობინებდა, დედინაცვლისთვის თავი იქვე გაეგდებინებინათ და ბიჭი წაეყვანათ, მაგრამ საბოლოოდ ამ განზრახვაზე ხელი აიღეს, ვინაიდან მალევე მიხედნენ, რომ უდედინაცვლოდ ბიჭს ვერ იპოვნიდნენ. მაშინ წიგნი დაწერეს, მტრედს შეაბეს და ხელმწიფეს შეუთვალეს, ასე და ასეა საქმე, რასაც ვეძებდით, ვიპოვეთ, მაგრამ ბოროტმა დედინაცვალმა გადაგვიმალა და ერთ ურემ ოქროს ითხოვს. რა ვქნათ და როგორ მოვიქცეთო? მალე ხელმწიფისგან პასუხი მოვიდა: რასაც ითხოვს, მიაოხრეთ და, რაც იპოვეთ, აქ მომგვარეთო.

ოქროთი დატვირთული ურემი რომ ჩაიბარა, დედინაცვალმა თავი უკმაყოფილოდ გადაიქნია და გულში თქვა: «ლალედ დაუდევთ მაგ ქვაწვიებსა და წუწურაქებს, მაგრამ ჩანდაბას მაგათი თავი და ტანი! რაც არის, არის, ნათქვამია, ყვავს კაკალი გააგდებინეთ!», მერე ხელმწიფის კაცებს მიუბრუნდა და უთხრა:

— ავე, ქვევრშია. ამოიყანეთ და ღმერთმა მოგახმაროთო!

ბევრი იფართხალა ბიჭმა, ბევრი იყვირა: «მშველეთ, არ მინდა ხელმწიფის ქალის კოცნაო!», მაგრამ აბა ამდენ ხალხთან რას გაბნებოდა! შეიპყრეს, გალიაში ჩასვეს, გალია ეტლზე შემოდგეს და ზარ-ზეიმით გაუდგნენ გზას.

ტიროდა ბიჭი, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა და გულმდუღარ თავისთვის ბუტბუტებდა: «მშვიდობით, ტყის ფერიის უმცროსო შვილიშვილოო!».

გაიგეს თუ არა, ბიჭი შეუპყრიათ და ქალაქს მოჰყავთო, იმ ქვეყნის მცხოვრებლები დიდიან-პატარიანად გზაზე გამოეფინენ.

ახალგაზრდა მწყეშები, ძარღვებში რომ სისხლის მაგიერ ცეცხლი ედგათ და ქალის მარტო ბსენებაზეც კი ელეთმელეთი მოსდიოდათ, მხრებს იჩეჩავდნენ და ნაწყენები ერთმანეთს მოგუდუღი ხმით ეუბნებოდნენ:

— დახეთ ხელმწიფის მზაკრობასა და უსამართლობას: ვინც ყაბულს ვიყავით, არ გვინდომა და, ვინც უარზეა, ძალით მიყავსო!

მრავლისმანახელი მოხუცები თავს ნიშნისმოგებით იქნევდნენ და ღრმავაროვნად ამბობდნენ:

— ხალხი ბრძენია. ვანა თუ ტყუილად უთქვამს, გაჭირდება კაცს დედოფალთან დააწყენსო! აგე, სად ასრულდაო!

ვინც უფრო ფიცხი იყო, გულოვანი და დაუდუღარი, აღშფოთებით გაიძახოდა:

— დღეს ეგ საბოლოო ბიჭი წაიყვანეს, ზვალ, ვინ იცის, ეგებ ჩვენი ჭერი დადგეს. თუ არ შევითქვით, არ შევეკავშირდით და შეერთებული ძალით არ შევებრძოლეთ ძალადობასა და უკანონობას, ისე არა გამოვა რაო. ზომ გავიგონით, ცალ-ცალკე წყებულების გადატება იოლია, წყებულების კონისა კი — ძალზე ძნელიო! მაშ, ჩვენც შევეერთდეთ და შევიკონოთ, ვიდრე ასე საითითოდ ყველანი შევეუპყრვიართ და გავუტაცინივართო!

ამსობაში მწყემსი ბიჭი სასახლეში მიიყვანეს და ხელმწიფეს მიჰგვარეს. ხელმწიფემ ბიჭის ვასასინჯად გადაიჩინა (მით უფრო, რომ თვითონ ქალის სილამაზისა კიდევ ჰო, მაგრამ კაცის სილამაზისა სრულებით არა გაეგებოდა რა). გადაიამ დინჯად, აუჩქარებლად, გულისყურით დაათვალიერა მწყემსი. ხან აქედან შეხედა, ხან იქიდან, ხან ახლოდან აკვირდებოდა, ხან უკან დაიწევდა და შორიდან მიაჩერდებოდა, ხან ირგვლივ უვლიდა გალიას, ხან ზედ მიეხიზნებოდა, ისე რომ ცხვირი ცხატურებს შუა ჰქონდა შეყოფილი. კარგად, გულდასმით ათვალეირებდა, თან თავისი

შორეული ყმაწვილქალობა გრძობდა და თავს სინანულით იჩნევდა.

ხელმწიფე და დედოფალი შიშითა და სასოებით ელოდნენ. ბოლოს ველარ მოითმინეს და ჰკითხეს:

— რას იქნევ მაგ თავს მოსაძრობი კბილივითა! ნუ დაგვბოცე, გვაღირსე პასუხი, ეს არის თუ არაო?

— ეს არისო, — გამოაცხადა მაშინ გადიამ, — ცოტა დაბანა კი აკლია, მაგრამ სხვაფრივ ისეთი შვის ნატებია — აბა, ამდენს როგორ გასწვდება, თორემ — რაც კი ქვეყანაზე სნეული და დავრდომილი მზეთუნახავია, მაგის თითო კოცნა ყველას მოარჩენს და ზეზე წამოაგდებსო.

გაიხარეს ხელმწიფემ და დედოფალმა, შევებით ამოისუნთქეს.

— სხვისა სხვამ იცოდესო, — ბრძანეს, — ჩვენ კი ჩვენსას მივხედოთ. აბა, მაშ შევუღვებთ სამზადისსაო!

მართლაც, ყველაფერი ჩინებულად მომზადდა. სასახლის საუკეთესო ოსტატებმა ხელმწიფის ქალის საძინებელი დარბაზი ისე ლამაზად მორთეს და მოკაზმეს, თავი სიზმარში გვეგონებოდათ. ღია ვარდისფერში ოდნავი ლაყვარდი შეურჩიეს და იქაურობა ისეთი ნაზი და იღუმალი შექმით გაანათეს, კოცნისთვის კაცი უკეთეს ვერ ინატრებდი. იატაკზე სამეფო ფიანდაზები დააგეს. კედლები ძვირფასი ხალიჩებით მოჰფინეს და ზედ საუცხოო სურათები დაჰკიდეს. კუთხეებში მაღალი ლარნაკები დადგეს და შიგ ნაირფერი ყვავილები ჩააწყეს. კედლის ძირას სავარძლები ჩამწყრივეს მეფე-დედოფლის, ნაზორ-ვეზირებისა და სხვა დიდებულთათვის, რომლებიც ცერემონიაზე იყვნენ მოწვეულნი. მთელ დარბაზში სავანგებოდ ამ დღისთვის ჩამოტანილი სათავითაო ნელსაცხებლები ასხურეს. ხელმწიფის ქალს სასთუმალი ღრუბლის ორი ბალიშით აუმაღლეს, რათა მისადგომად უფრო მოხერხებული ყოფილიყო. მწყემსი ბიჭი კარგად დაბანეს, ახალთახალი ტყაბუჭი და ქალამნები ჩააცვეს, თავზე ახალთახალი ბეწვის ქუდი დაჰხურეს და, რო-

ცა ყველაფერი მზად იყო. ხელმწიფის ოთხმა მუტრუქმა გააკვებული შემოიყვანა დარბაზში.

ხელმწიფის პატარა ქალი, გამხდარი, გაღებული და მაინც კი მშვენიერი, ავადმყოფობას ისე გაეთეთრებინა, როგორც მაგნოლიის ყვავილი, მაგრამ მწყემსი ბიჭის დანახვაზე, თითქოს მაგნოლიის ყვავილს ვარდის წყალი დაუსხესო, მყისვე მოკოცხლდა და ცოტა ფერიც მიეცა, რაც ხელმწიფესა და დედოფალს კარგად ენიშნა; იფიქრეს, დანახვამ რომ ასეთი კეთილმყოფელი გავლენა იქონია, მაშ, კოცნა რაღას უზამსო!

სავალალო ის იყო, რომ ბიჭი, რომელსაც შიშისა და სიბრაზისაგან ხელმწიფის ქალი სულ არ შეუნიშნავს, გამწარებული ბლლარბუნობდა და გაქცევას ლაპობდა. აქაოდა, ტყის ფერიის უმცროსი შვილიშვილისთვის გულში ერთგულების ფიცი მაქვს მიცემულიო. თუმცა მისი ყველა მცდელობა, რაღა თქმა უნდა, ამაო იყო: აბა, ხელმწიფის მუტრუქებს — თანაც ოთხს ერთად — ვინ გაეპტყოდა!

ხელმწიფემ რომ ნიშანი მისცა, მუტრუქებმა ბიჭი ღრუბლის ლოგინისკენ წააჩქარა. იმავე წამს დარბაზში მუსიკის ნაზი და საზეიმო ჰანგები გაისმა. საწოლთან რომ მიიყვანეს და მწყემსმა ბიჭმა, ბოლოსდაბოლოს, ხელმწიფის ქალს დახედა, უეცრად ისეთი რამ სასწაული მოხდა, ვინც არ შესწრებია და საკუთარი თვალით არ უნახავს, არავინ დაიჭრა: ბიჭმა მოულოდნელად ისეთი ძალით გაიბრძოლა, ოთხივე მუტრუქი ტომრებივით დააბერტყა ძირს და თავი გაითავისუფლა.

— არქა, არ გაიქცესო! — დაიძაბა ხელმწიფემ.

„ნეტა კი გაიქცესო!“, — ინატრა ომისა და მშვიდობის ვეზირმა.

(ომისა და მშვიდობის ვეზირმა ეს იმიტომ ინატრა, რომ საწყალს უკანასკნელ ხანს აბალი ზნე დასჩემდა: ხელმწიფის ქალი, ვიდრე იმას ცდილობდა, თავი შეეყვარებინა, თვითონვე შეუყვა-

რდა. და ახლა, სამკურნალო პროცესის რის მოლოდინში. გული მწარედ უჭახუნოდა და მუცელი ხმაბლდა უბუბუყებდა).

— ფიქრი ნუ გაქვთ, ეგ აქედან გამქცევი აღარააო! — დამშვიდა ყველანი გადიამ, რომელიც, მწყემსი ბიჭის აქამომდელი სიჯიუტითა და კირვეულობით ძალზე გაკვირვებული, ახლა კი მიხვდა, რომ თურმე ყველაფერი შეცდომისა და გაუგებრობის ბრალი ყოფილიყო.

ბიჭს არც ხელმწიფის შეშინებული დამახილი გაუგია, არც გადიას ვახარებული ხმა და, მით უფრო, არც ომისა და მშვიდობის ვეზირის უმიელო ნატვრა. თავის მაგიერ მხრებზე უეცრად კვლავ თუჯის ქვაბი გამოება, რომელსაც ქაფქაფი წყალი კედლებზე დაუნდობლად ასკდებოდა. ისიც იგრძნო, რომ პირიქ მაშინდელივით დაალო. მხოლოდ ის არ გაუგია, თუ როგორ ან რატომ დაეცა მუხლებზე. საზოგადოდ, მუხლებზე დაეცემა საძრახის საქციელად მიაჩნდა, ხოლო რაკი რელატურობისა არა ვაგებობდა რა, მუხლებზე დაეცემა აბსოლუტურად საძრახის საქციელად მიაჩნდა. ამიტომ მერეც, დიღვში, ეს ამბავი რომ მოაგონდებოდა, სირცხვილით იწვოდა.

მაშინ, რაღა თქმა უნდა, ამაზე არ ფიქრობდა. მაშინ, საერთოდ, არაფერზე არ ფიქრობდა. ან კი თუჯის ქვაბით ეცემა როგორ უნდა იფიქრო! იდგა მუხლებზე და უაზროდ. ლენჩივით შესცქეროდა ტყის ფერიის უმცროს შვილიშვილს, რომელიც რაღაც ჯადოქრობით ახლა ხელმწიფის ქალად ქცეულიყო და, თუმცა კი ავადმყოფობას ძალზე დაესუსტებინა, მიღუღულ თვალებში მაინც ისეთი აღერსიანი და დამარტყიანებული ღიმილი ედგა, სულ მალე მოაგონდა, თუ რისთვის მოიყვანეს აქ, ხოლო რაკი მოაგონდა, ერთი ჭურღულად მიმოიხედა და უკერძოებელი სენისაგან ვაცრეცილი ბაგეებისკენ წაიწია, მაგრამ შეშინებულმა წამსვე უკან დაიხია (არადა — ზემოთაც მოვახსენეთ — ხელმწიფის ქალს ღრუბლის ორი ბალიშის მეოხე-

ბით სასთუმალი ძალზე მოხერხებულად ჰქონდა ამალღებული) და უეცრად, თავისდაუნებურად, ენის ბორძიკით წაიბუტბუტა:

— ჭიტესაო!

აქ გაღია, რომელსაც, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო მძაფრად და მძაფრად აგონდებოდა თავისი შორეული ყმაწვილქალობა, ხელმწიფისკენ სწრაფად გადაიხარა და ჩუმად უთბრა:

— უბრძანე, შუქი ჩააჭრონო!

მაინც რა დიდი რამ არის ცოდნა და გამოცდილება! ჩაჭრა თუ არა შუქი, ბიჭმა, თითქოს სინათლე სიბნელე იყოს, ხოლო სიბნელე — სინათლე, მართლა ხელად მიაგნო ხელმწიფის ქალის ბაგეებს და ნაზად დაეკონა. ხელმწიფის ქალმა წამსვე გამომჯობინება დაიწყო. აქამდე თუ ისე იყო დასუსტებული, განძრევეაც კი უჭირდა, ახლა სულ იოლად წამოსწია მკლავები და ბიჭს მხრებზე შემოაწყო. თანდათან ფერიც დაუბრუნდა. დარბაზში სიჩუმე იდგა. ცერემონიალზე მოწვეული დიდებულები თავიდან ცოტა უკმაყოფილო იყვნენ — თუკი არაფერს დაგვანახებდნენ, ნეტა რაღას გვეძახდნენო! — მაგრამ მალე სიბნელეს თვალი შეაჩვიეს და დაწყნარდნენ.

ხანი რომ გამოხდა, ომისა და მშვიდობის ვეზირმა, რომელსაც მუცელი უკვე იმ ზომამდე უბუყბუყებდა, დამსწრე საზოგადოება გაკვირვებული აქეთ-იქით იცქირებოდა — ნეტა ეს გოდების ხმა საიდან მოდისო — ველარ შოითმინა და, თუმც კი ძალიან ეცადა მშვიდად ეთქვა, მაინც დამბული კილოთი თქვა:

— ეყოფა, ჩემო ბატონო, არ აწყინოს! დოზა თუ არ დაიკავე, წამალი საწამლაღია. ეს ისეთი მარტივი ჰეშმარიტებაა, ყველა უბნის ექიმმა იცისო.

— გატყობ. რა მუცლის გვრემაც გჭირსო! — მიუგო ამაზე ხელმწიფემ, რომელსაც, როცა გუნებაზე იყო, ჰქვეშევრდომებთან როყიო ლაპარაკი უყვარდა, და ხამამალა გაიცინა.

ომისა და მშვიდობის ვეზირმა ტუჩი მოიკეცინა და, მართალია, არა უთ-

ქვამს რა, მაგრამ ძალიან <sup>ეკვიწყრებოდა</sup> და, ვინაიდან მუცლის გვრემამ, მოგახსენებათ, მართლა სჭირდა.

ბოლოს, როგორც იქნა, კოცნა დასრულდა.

ხელმწიფის ქალი უკვე საეცებით განკურნებულყო. გასაშლელად გამზადებულ ვარდის კოკორს ჰკავდა, ერთიანად ბრწყინავდა და სახეზე ძველებური ნათელი გადასდიოდა.

ის იყო ხელმწიფეს ცერემონიალი დასრულებულად უნდა გამოეცხადებინა, რომ გოგონა მწყემსს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— სალამური რა უყავიო?

— აქა მაქვსო, — აჯანკალებული ხმით მიუგო ბიჭმა და ხელი მკერდზე მიიღო.

— აბა, დაუკარიო!

ბიჭმა ტყაპუკის ჯიბიდან სალამური ამოიღო და ჩააბერა.

(მაშინ მუსიკის ოსტატი წამოდგა და დემონსტრაციულად დატოვა დარბაზი).

როდესაც ხელმწიფე დარწმუნდა, ჩემი საყვარელი ქალი საბოლოოდ გამოჯანმრთელდაო, ღმერთს მაღლი შესწირა და თქვა, ახლა კი წავალ და ცოტა ჰქვეყანასაც მივხედავო. მკურნალი მწყემსი სულ დააიწყდა.

სამაგიეროდ, ომისა და მშვიდობის ვეზირს არ დაეიწყინა. როგორც კი დარბაზიდან გავიდნენ, მცველები იხმო და ბიჭი ერთ ისეთ ბნელსა და ღრმა დილეგში ჩააგდებინა, სადაც მზეს არასოდეს ჩაებდა, თვითონ კი, რაკი მუცელი ჯერ კიდევ უბუყბუყებდა, დარდის გადასაყრელად სასახლის ბანოვანებს მიაშურა. იცოდა, მათთან მალევე დამშვიდდებოდა და სულიერადაც დაისვენებდა (საზოგადოდ, არშიყობა ძალიან რგებდა). მართლაც, მოკრა თუ არა თვალი ნაცნობ კაბებს, გუნება მყისვე გამოუკეთდა და მალე ძველი რიხი დაუბრუნდა.

— განა თავმოყვარეობა არა მაქვსო! — თქვა, — მაგ ქალს როგორ შევიერთავ, ვინდ სულ კალთები ჩამომანიონი! იმიტომ კი არა, რომ სხვისი ნაკონია! კოცნა რა — ის კი არ არის! დაიბანს

და მორჩა! ჩემი უარის მთავარი მიზეზი გემოვნებაა. წარმოვიდგენიათ?! — კლასიკას სალამური ურჩევნია! მიკვირს და გამკვირვებია, ხელმწიფის ოქახში ასეთი მდაბიო ან კი რამ დაბადა! არა, არა. ამაო, ტყუილად არავინ დამიწყოს ხვეწნა, სულ რომ უცოლოდ დავრჩე, მაგას მაინც არ შევიერთავო!

იმდენი იძახა, არ შევიერთავ და არ შევიერთავო, ვიდრე თავად თავქარიანობითა და ტუტრუქანობით განთქმული ბანოვანებიც კი არ მიხვდნენ, რომ სწორედ შერთვა ეწადა და ამიტომ მათი ვალი იყო, ეს ცრუ უარი გადაეტყველებინათ. რაკი ამას მიხვდნენ, არც დააკონვენს და ყველა ერთად აღაპარაკდა:

— ისეთიც რამოხდაო! — უსაყვედურეს, — ახლა რომ სალამური ურჩევნია, განა მერეც სალამური ურჩევნება! ბალოა ჭერ, მაგდენი არ იცის. აბა, ჩვენს გემოვნებას ხომ წუნს ვერ დასდებ და ჩვენც კი, ვიდრე პატარები ვიყავით, სალამური გვიყვარდა. დარდი უნ გაქვს. შენს ხელში რომ ჩავარდება, გემოვნებაც გაუთმეჭობესდებო.

დიდხანს უარობდა ომისა და მშვიდობის ვეზირი და დიდხანს აძალებდნენ ბანოვანები, ბოლოს, როდესაც შედარებით დამყოლი კილოთი თქვა, არ ვიცი, არ ვიცი. სიმართლე გითხრათ, თქვენი პოზიციაც მაკვირვებსო, ბანოვანებმა ვალი მოხდილად ჩათვალეს.

მწყემსი ბიჭი კი იმ ზომამდე იყო კოცნით გაბრუებული და თავგზაარტული, არც გაუგია, როგორ შეიპყრეს და დილეგში როგორ ჩააგდეს. გონს რომ მოეგო და ნახა, ირგვლოვ ისეთი სიბნელე ერტყა, თითქოს ღმერთს ნათებოდა ჭერ არ გაეჩინა, მაშინაც განა ის იფიქრა, ჭურღმულში ვარო! ის იფიქრა, სიყვარულშიგან ვარ დაბრმავებული და ამიტომაც, რომ ვერაფერს ვხედავო. მაშინ მიჭდა კუთხეში, სალამური ამოიღო და ისე ტკბილად დაუტრა, იმ დილეგში მობინადრე ჭოჭობს, მორიელებს, გველებსა და ვირთაგვეებს სიყვარულის ბანგმა დარია ხელი და გულმა ერთმანეთს საკოცნელად გაუწიათ.

სალამოს, მას შემდეგ, რაც გადგმული საქვეყნო საქმეები მოაგვარა და სიხარულის მღვლეარებაც ცოტა ჩაუტხრა, ხელმწიფეს, ბოლოსდაბოლოს, კვლავ მოაგონდა მწყემსი ბიჭი და მოიკითხა. ომისა და მშვიდობის ვეზირმა მოახსენა, დილეგში დავამწყვდოე და განზრახული მაქვს, ხვალ, ალიონზე, მზე რომ ამოიწვერება და ქვეყნიერებას პირველ სბივებს გადმოაფრქვევს, თავი გავაგდებინო.

— განა რა დააშავო? — გაუკვირდა ხელმწიფეს.

— მეტი რა უნდა დააშავოს, თავისი ბილწი ლაშები შენი მზეთუნახავი ქალის ბაგეებს შეახო!

— ეგ რა მისი ბრალია, ჩვენ დაეაძალებო!

— თავიდან კი ჩვენ დაეაძალებო, მაგრამ მე ყურადღებით ვაკვირდებოდი და შევამჩნიე, სურვილით ჰკოცნიდაო.

— შენ, როგორც გატყობ, ჩემი ქალი გულში ჩავვარდნიაო. — ბეჭზე ხელი წამოუტყაპუნა ხელმწიფემ, — მაგრამ შურისძიებით რაღას გააწყობ! ხომ აკოცა და ახლა გინდ მოკალი და გინდ ცოცხლად შევქამო!

— მაინც მოკვლა მიჭობსო, — თავისას არ იშლიდა ომისა და მშვიდობის ვეზირი, — საზოგადოდ, მოუკვლელობას მე ყოველთვის მოკვლა მირჩევნიაო.

მწყემსის მოკვლა დილაღ კომ ერჩინა ომისა და მშვიდობის ვეზირს. ასე ეგონა, რაკი მოველაფე, ის კოცნა სათვალავში ჩასაგდები აღარ იქნებო.

მაგრამ ხელმწიფემ არა ქნა.

— კაცი მარტო სათავისოდ არ უნდა ზრუნავდესო. — უთხრა, — სულ რომ მოკვლა და თავის გაგდებინება გაკერია პირზე, რატომ იმას არ ფიქრობ, ავადმყოფობა რომ შეუბრუნდეს საბრალო გოგოს, ასეთ წამალს სადღა ეიშოვიო?!

ამაზე ომისა და მშვიდობის ვეზირმა ველარაფერი თქვა და დამორჩილება ამჯობინა, მით უფრო, რომ კარგად იცოდა, მწყემს ბიჭს, რაკი ხელმწიფეს მისი დილეგიდან ამოყვანა არ უბრძანებია, მალე მაინც წამებით ამოხლებოდა სუ-

ლი. „მე თუ ომისა და მშვიდობის ვეზირი მქვიან და დილეგებისა რამე გამეგება, ორი დღეც არ გაივლის, რომ იქაური ჟოჯოები, მორიელები, გველები, ვირთაგვები და ქვესკნელის სხვა დიდი თუ პატარა შვილები — შხამიანები, მშვიერები და კაცის ზორცს დანატრებულელები — მაგ თავგასული ლაწირაკისას ძვლებს არ დატოვებენო“, — ფიქრობდა და ხელებს კმაყოფილებით იფშენებდა. მართალია, შიგადაშიგ ხელმწიფის ნათქვამი მოაგონდებოდა და იმის წარმოდგენაზე, რომ მის ცოლს ძველმა ავადმყოფობამ გაუხსენა, წამალი კი ვირთაგვებმა შეუქამეს, გული სიბრალულით მოეწურებოდა, მაგრამ თავს ძალას ატანდა და ახლა იმას წარმოიდგენდა, რომ მისი ცოლის ჯანმრთელობა ვიღაც უცბოს — ისიც მღაბიოს — პერიოდულ კოცნაზედ ჰკიდია. მაშინ სიბრალულით მოწურული გული რისხვით გაეშლებოდა და ისეთი ბოლმით გაიფიქრებდა, „თუ ჩემი არ იქნება, სულაც ნუ ყოფილაო! ბოღმისაგან გუნებაც კი გამოუკეთდებოდა და ახლა უკვე ნიშნისმოგებით იწყებდა ხელების ფშენებას.

ვინ იცის, იქნებ ყველაფერი მართლა ისე მომხდარიყო, როგორც ომისა და მშვიდობის ვეზირს სურდა, იქნებ ბედისწერასაც სწორედ ეგრე ჰქონდა ჩათქმული, მაგრამ, ვადიასი არ იყოს (მერე ზომ მეცნიერულადაც დადასტურდა), ეს ქვეყანა უცნაურობის ქვიტიორით ყოფილა ნაგები და სამყაროს თურმე ისეთი კანონი განაგებს, რომლის ძალითაც, სიყვარული თუ ერთი ამობოჭრდა, მისი დაკავება შეუძლებელია და ბედისწერაც იძულებული ხდება წინასწარ დაწყობილი გეგმები გზადგზა ოპერატიულად ცვალოს...

...ვერ დაივიწყა ხელმწიფის პატარა ქალმა ის ტკბილი და უებარი კოცნა. ვერც მწყემსმა ბიჭმა დაივიწყა. წაეკიდათ ერთმანეთის სიყვარული, ისე წაეკიდათ, მეტი აღარ შეიძლებოდა. ენატრებოდათ ერთმანეთი, იწვოდნენ და იდაგებოდნენ ერთიმეორის სურვი-

ლით, დნებოდნენ და იღვანებოდნენ, როგორც ორი წმინდა სანთელი, რომელთაც ერთ წმინდა სანთლად ქცევა სწავლიათ. ეწამებოდნენ და იტანჯებოდნენ. ერთი — ცად აზიდულ კოშკში, მეორე — ქვესკნელს ჩაკიდებულ დილეგში.

ხელმწიფის ქალი არ ინაზვოდა, დარდისა და მწუხარებისაგან ლამის მთლად ჩამოხმა. ერთიანად სიყვარულის ცეცხლში იყო გახვეული და არ იცოდა, ამ ცეცხლის ჩასაქობად რა წყალში ჩავარდნილიყო. ბოლოს, რა შეატყო, უიმწყყემსბიჭოდ მეტს ველარ გავძლებო, ადგა და გადიას გამოუტყბადა:

— ვადიავ, სიყვარულო ვადიავ, თავი უნდა მოვიკლაო.

— ნუ სუღელობ, ჩემო ანგელოზო, — მიუგო ვადიამ, — ნუთუ არ იცი, რომ სიციცხლე უფლის ქეშმარიტებაა, უფლის ქეშმარიტების ბელყოფა კი დიდზე დიდი მკრებელობაა! ან კი ქვეყანას რა მაგალითი გინდა მისცე! ასეთმა ნორჩმა და სასწაულივით მშვენიერმა რომ თავი მოიკლა, სხვა რალს იზამსო!

მაგრამ ხელმწიფის ქალს სიყვარულის ქეშმარიტების გარდა სხვა ქეშმარიტებისა გაგონებაც კი არ უნდოდა.

— ჰკუის სწავლება ადვილიაო, — უდიერად მიახალა ვადიას მისგანვე ნასწავლი, — თუ შეგიძლია, რამე მიშველეო!

ამაზე ვადიამ მოიწყინა და მცირე სიჩუმის შემდეგ ნალვლიანად ჩაილაპარაკა:

— ვაი რომ, ვიდრე ვარ, მე მხოლოდ მიზეზთა მიგნება ვიცი, ძალთა ამოქმედება კი არაო...

— ჰოდა, მაშ, თავი დამანებეო! — გაწყრა ხელმწიფის ქალი და ტუჩი აიბზუა.

— დამინებებიაო, — მორჩილად თქვა ვადიამ, ტახტზე წამოწვა, კედლისკენ გადაბრუნდა და თავი მოიძიმინარა.

ხელმწიფის ქალს — თუმც კი ზოგჯერ უკმეხი ლაპარაკი იცოდა — ვადია ძალიან უყვარდა. ამიტომ მისი ზათრით ერთხანს ყოჩაღად ითმენდა სიყვარუ-

ლის ტანჯვას, მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, როდესაც სიყოჩაღი გამოეღია და მოთმინებაც, გადაწყვიტა, გაფრთხილებისთვის ყური არ ეთხოვებინა და — რაც არის არის — უფლის ჰეშმარიტება ხელეყო. ამ მიზნით, ერთ მშვენიერ დღეს, გაღია რომ დარბაზიდან გაიგულა, ზეწარი აიღო, სიგრძე რამდენიმე წყებად დახია, ნაბეგები ერთმანეთს გადააბა, დაგრიბა, ერთი ბოლო ყულფად გამოწასკვა, მეორე ბოლო სარკმელს ზემოდ ოქროს მსახელ ლურსმანზე ჩამოაბა, სკამზე პერანგისაზარა შედგა და ჩამოსახრბობად მოეშადა. მოშალებით კი კარგად მოეშადა, მაგრამ იმ დროს, როცა ყულფი ბროლივით კისერზე უნდა ჩამოეცვა, უეცრად თავი შეებრაღა, გული ამოუჯდა და მწარედ ატირდა.

ტიროდა და ტიროდა. ვიდრე ის ამ ყოფაში იყო, გაღიაც დაბრუნდა. შეაღო კარი, შევიდა და რას ხედავს; დგას სკამზე ხელმწიფის პატარა ქალი, კელაპტარივით ჩამოქნილი და ღვთაებასავით მშვენიერი, და ცხვირწინ ყულფი აქვს ჩამოკონწიალებული. აქედან ისე ჩანს, თითქოს ის ყულფი ოვალური ჩარჩო იყოს, გოგონას კონტა თავი კი — შიგ ჩასმული ძვირფასი სურათი. დგას ასე. მხრები შესაბარალისად აუწურავს და გულამოსკენით ტირის. მარგალიტით ცრემლები ღაბა-ღუპით ჩამოსდის. ლოყები დასველება, ჰრელი პერანგიც დასველება; ორიოდ მბრწყინავი წვეთი ზედ არამქვეყნიურ ცხვირზეც დასცემია.

ამ სურათის დანახვაზე გაღია ერთი კი შეერთა. — „ამ მოღალურს არ უყურებთ, რა გული ჰქონიაო!“, — მაგრამ თავი მაღვეე მოთოკა და მშვიდად ჰკითხა:

— რა გატირებს, ჩემო ანგელოზო?

— როგორ თუ რა გატირებს! — სლუჟუნით მიუგო ხელმწიფის ქალმა, — თავი მინდა დაეიბრჩო და ვერ კი მომიხერხებიაო!

— ყველაფერი ისე ჩინებულად მოგივარებია, ჭალათუხუცესიც კი წუნს ვერ დასდებს, მეტი რა მოხერხებია!

გინდაო?! — ვითომ გაუყვარდა გაღიას — ყულფში თავის გაყოფა გაკლია და ნუთუ ეს ასე საძნელოაო?

ამაზე ხელმწიფის ქალმა ცხვირიც ასწია, ტუჩიც აიბზუა, ფეხიც დააბაყუნა და ტირილსაც უშატა.

— როგორ ვერ გაიგეო! — გაანჩხლებით უთხრა, — ვიდრე თავი არ მომიკლავს, ძალიან კი ვიტანჯები, მაგრამ იმედია მაქვს! თავი რომ მოვიკლა, სატანჯველს კი მოვიშორებ, მაგრამ იმედსაც ხომ დავკარგავო!

— მაშ, ნუ მოიკლავ, ვინ გადალებსო! — მიუგო გაღიამ. მერე უცებ წარბები წყრომით შეჰყარა და დაუტატანა, — აბა, ეხლა კი მორჩი წიკვინს და ძირს ჩამოდიო!

გაღია რომ გაჯავრდებოდა, სასახლეში ყველას შიშის ზაფრა ეცემოდა. ხელმწიფის ქალიც წამსვე გაისუსა და საჩქაროდ ჩამოხტა სკამიდან.

გაღია ხვნეშით აფოფხდა სარკმლის რაფაზე და ზეწარი რის ვაივავალბით ჩამოხსნა. თან გაბრაზებული ბურტყუნებდა:

— ზედმეტად ვანებივრებთ, გენაცვა, არ შეიძლება. ხელმწიფის შვილებიც ისე უნდა იზრდებოდნენ, როგორც უბრალო ხალხის შვილები იზრდებიან. აბა, ბავშვობიდანვე რომ ეგეთ ფუფუნებას არ მისჩვეოდა, თავის მოსაყლავადაც ხომ უფრო იაფს რასმე საშუალებას გამოძებნოდა, ასეთ ძვირფას ზეწარს კი არ გააოხრებდა და გაათილებდო!

იმ დღეს გაღიას ამის მეტი არა უთქვამს რა. დახეტული ზეწარი რომ გაიტანა და იქაურობაც ცოტა მიილაგა, საქსოვი აიღო, კუთხეში მიჯდა და, თუმც კი ხელმწიფის ქალი ერთთავად ირგვლივ უტრიალებდა და თვალებში ეჩხირებოდა, ეგებ როგორმე სალაპარაკოდ გამოვიწვიოო, დაღამებამდე კრინტი არ დაუძრავს. კარგად რომ დაღამდა, მაშინლა აიღო თავი, საქსოვი გვერდზე გადასდო და დაფიქრებით თქვა:

— ყველა თავის ჰეშმარიტებას აღიარებს, ყველა თავის ჰეშმარიტებას ემონება, ყველა თავის ჰეშმარიტებას ეწი-

ერკენულში

რება. ნეტა, აქედან გამომდინარე, ზორბალი და ბზე ერთმანეთში არეული უნდა დავტოვოთ თუ გავარჩიოთ და თავთავისი ადგილი მივუჩინოთო?...

ხელმწიფის ქალმა ვერაფერი გაიგო. საზოგადოდ, ბოლო ხანებში გადია ძალიან გამოიცვალა. ჯერ ერთი — რაც თავისი შორეული ყმაწვილქალობა ისე ცხადად და სრულად გაიხსენა, რომ გასახსენებელი აღარა დარჩა რა, მოულოდნელად გაახალგაზრდავება დაეწყო და, ვინც ღროში წინ-წინ მიიწევდა, ის უკან-უკან იხევდა, მერაუცე — არეულ-დარეული ლაპარაკი შეუყვარდა. თქვენ რომ ერთ კოთხვას მისიკემდით, ის პასუხს სხვა კოთხვაზე იძლეოდა.

მინც, რაკი ხმა ამოიღო, ხელმწიფის ქალს იმედი მიეცა და შეებეწვა:

— გადია, ჩემო საყვარელო გადია, ჩემი ბედისა მითხარი რამეო!

ამაზე გადიამ ხელები მალა აღაპყრო და საყვედურის კილოთი თქვა:

— რა ყოფილა ეს გრძობადი სამყარო! ვაგონილა?! ძალა თუ არ დაატანე, ყოველივე სხული იმას ცდილობს, უძრაობა ან თანაბარი და წრფივი მოძრაობა შეინარჩუნოსო...

მაშინ ხელმწიფის ქალმა ფეხი დააბაკუნა და პირველად თქვა:

— ეგრე ხომ?! მაშ, კარგი! აი, ნახავ, მინც მოვიკლავ თავს და სიცოცხლეს გაგიმწარებო! — და ზურგი გაბუტვით შეაქცია.

ხელმწიფის ქალი ხომ ამ დღეში იყო! ახლა იმას არ იკითხავთ, დილეგში რა ბედებოდა?!

სიყვარულით გაბრუებული ბიჭი, მართალია, ერთხანს გატაცებით უკრავდა სალამურს და თავისი ჭკუით ვითომ სინათლის გამოჩენას ელოდა, მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, მიხვდა, რომ ჭურღმულში იჭდა, ამ ჭურღმულს თავს ვერასოდეს დააღწევდა და ვეღარც ხელმწიფის ქალს იხილავდა. ეს ჭურღმული იყო მისი სამუდამო სამყოფელი, მისი სახლიცა და მისი საფლავიც, მაშინ შეძრწუნებულმა და სასოწარკვეთილმა გულისმომკვლელი ღალადით შესძახა:

— სადა ხართ, ქვესკნულში მხიჩხიჩხუქს ბინადარხო?! მოდიოთ და დამგესლეთ, რომ ამ სატანჯველს თავი დავაღწიოო! მაგრამ ქვესკნელის ბინადარნი — ჯოჯოებიც, მორაულებიც, გველებიც, ვირთაგვებიც — მას შემდეგ, რაც რომ სალამურის ტკბილი და გულშიჩამწვდომი ჰანგები მოისმინეს, ისეთი გულჩვილები და მგრძნობიარენი გახდნენ, თვალზე ერთთავად სენტიმენტალური ცრემლი ადგათ და გამუდმებით ერთმანეთის ფერებში იყვნენ. ვინმეს დაკბენა ფიქრადაც აღარ მოსდებოდათ. ის კი არა — მგონი, გესლი სულაც გაუწყვალდათ. ამიტომ, ბიჭის მუდარა რომ მოისმინეს, თავიანთ სისინა ენაზე ერთმანეთს ვაკვირვებით უთხრეს:

— არა, თუ ხედავთ, რა უკუღმართ ვარსკვლავზე ვყოფილვართ გაჩენილი! ვინც აქამდე დილეგში ჩამოუტვლიათ, სიკვდილი არავის უნდოდა და მინც ყველა მოკვალათ, ახლა, როგორც იქნა, ისეთი სულიერი ჩამოგვივადეს, სიკვდილს რომ ნატრობს, ჩვენ კი მოკვლა აღარ შეგვიძლია, აბა, ეს არის სამართალიო?!

ესა თქვეს თავიანთ სისინა ენაზე და დალოდნენ.

რაკი სიკვდილს ვერ ეღირსა, მწყემსმა ბიჭმა საკუთარი თავი დაივიწყა და ხელმწიფის ქალზე დაიწყო ფიქრი, ხელმწიფის ქალზე ფიქრი კი — ვისაც გამოგიცდიათ, გეცოდინებათ — სხვა არა არის რა, თუ არა ხელმწიფის ქალის ნატვრა. იქდა ბიჭი დილეგში, ცხარე ცრემლით ტირიდა, შიშველი ფეხები ცრემლის გუბეში ეწყო და ხელმწიფის ქალს ნატრობდა. ხელმწიფის ქალის ამო ნატვრით რომ დაიღლებოდა, სიკვდილის ნატვრაზე გადადიოდა, სიკვდილის ამო ნატვრით რომ დაიღლებოდა, ისე ხელმწიფის ქალის ნატვრას იწყებდა. იყო ასე, არცა კვდებოდა და არცა რჩებოდა.

რალა ბევრი გაავარძელო — აქეთ მწყემსი ბიჭი იღეოდა, იქით — ხელმწიფის ქალი. მათი საცოდაობით ქვეყანა იწვოდა. ცას შებლი ღრუბლის შავი ლეჩაქით გაეკრა და ისე წვიმდა. ვერ



დაიჭერებდით. იმ წვიმაში ჩამბალი ქვეყანა თუ ოდესმე კიდევ გაშრებოდა. მზემაც — ამ სურათის ყურება აღარ შემოიძლოა — სხივები უბეში ჩაიხვია და სახეზე სქელი პირბადე ჩამოიფარა. მხოლოდ მთვარე დასუნსულვებდა ბნელ ღამეში და ყველაფერს ცნობისმოყვარეობით უთვალთვალვებდა — აუცილებლად უნდა შევეჩუო, რა იდუმალი ამბები ზღვება ქვეყანაზეო — მაგრამ იმ თავისი ჩაბეჭუტული თვალით ბევრს ვერაფერს ამჩნევდა.

ხალხი შინიდან გამოსვლას ვეღარ ბედავდა. დაზაფრულები კანკალებდნენ და წამი-წამ ქვეყნიერების აღსასრულს მოვლოდნენ.

საგონებელში ჩაეარდნილმა ხელმწიფემ აღარ იცოდა რა ელონა, მაგრამ, რაკი ხელმწიფე იყო, რალაც ხომ უნდა ელონა! ისიც ადგა და სწავლულები იხმო — ამიხსენით, თუ ღმერთი გწამთ, ყოველივე ეს რას უნდა ნიშნავდეს და რას უნდა მოასწავებდესო! სწავლულებმა — დრო რომ მოეგოთ და გზადაგზა რამე მოეფიქრებინათ — ძალზე შორიდან დაიწყეს, მაგრამ მალე ისეთ ლაბირინთში გაიხლართნენ, საიდანაც გამოსვლა შეუძლებელი იყო. ერთხანს იტრი-ალეს ცრუ გზებზე და ბოლოს სამარცხეინოდ დადუმდნენ. მაშინ ხელმწიფემ — თქვენს იმედად მტერი დადგესო და — გადია იხმო.

— ისევ შენ უნდა მიშველო რამეო! — უთხრა.

— ცეცხლი და საწვავი ფურცლის ორი გვერდია და მათი გათიშვა შეუძლებელიაო, — მიუგო გადიამ, — უსაწვავო ცეცხლი ცალგვერდა ფურცელია — ლიტონი სიტყვა და ოდენ აბსტრაქცია. თავის მხრივ, უცეცხლო საწვავიც ცალგვერდა ფურცელია — ასევე ლიტონი სიტყვა და ოდენ აბსტრაქცია. ახლა, თუ იცი, რატომ? არ გეცოდინება. იმიტომ რომ ნივთიერი საწყარო დაპირისპირებულ აბსტრაქციასთან შეერთებით იქმნებაო.

— ასეთ აბდა-უბდას ხომ ჩემი სწავლულებიც მეთყოფნენო! — გული მო-

უვიდა ხელმწიფეს. მაგრამ გადიასთან დაგოგიურ მზერას დიდხანს ვერ ღმობდა და დარცხვენილმა განზე დაიწყო ყურება.

მაშინ გადიამ უთხრა: — თუ გინდა, რომ მორიგი გამყინვარება არ დაიწყოს, შენი ქალი მწყემს ქიტესას ცოლად უნდა მისცო.

ხელმწიფეს დაშლა დაეცა და კარგა ხანს დაშლადაცემული იყო. მერე ერთი გაიფიქრა ბოლმითა და სასოწარკვეთით, — „ნეტა სულ არ გამჩენოდა, თუ ამდენ ხათხალას გადამკიდებდაო!“, — მაგრამ მარტო სინანულით, აბა, ქვეყანა გამყინვარებისგან ვის უხსნია?! იმიტომ, ბოლოსდაბოლოს, იძულებული შეიქნა გადიას რჩევას დაჰყოლოდა. „გადამიყოლა თან ამ ოხერმა ქვეყანამ, მაგრამ რას ვიზამ, იმთავითვე ასე ყოფილა — ხელმწიფე სატანჯველადაა გაჩენილიო!“, — ცოტა არ იყოს, ამაყად თქვა გულში, მერე დიდ სამეფო ავიანზე გადადგა და ნაძალადევი რიხით გამოაცხადა:

— მე, თქვენმა დიდებულმა და მძლეთამძლე ხელმწიფემ, გადავწყვიტე, ჩემი მზეთუნახავი ქალი მწყემს ქიტესას — მწყემსთა შორის უპირველესს — ცოლად მივცე, და ყველას, დიდსა და პატარას, ქორწილში გეპატივებითო!

ეს რომ იმ ქვეყნის მტკბოვრებლებმა გაიგეს, გაოცდნენ: ამ წკვარამში და უკუნეთში ნეტა რა ექორწილებათ!

ხელმწიფემ ომისა და მშვიდობის ვეზირი დაიბარა.

— საჩქაროდ მწყემსი მომგვარე ჩემი ქალი უნდა შევერთო!

მაშინ ომისა და მშვიდობის ვეზირი წელში შიშისმომგვრელად გაიხიჩა, ევება მკერდი ავისმომასწავებლად გამობურცა, წარბები იმ ზომამდე აზიდა, შუბლს ცოტათი ააცდინა კიდევ, თვლები რისხევით დააბრიალა და სულ გრუხუნ-გრუხუნით თქვა:

— შენი ქალის შერთვას მე თვითონ ვაპირებო!

ხელმწიფეს გაუვივრდა. — სიტყვის შემობრუნებას როგორ მიბედავ. შე ყურმუსალოო?

მაგრამ ომისა და მშვიდობის ვეზირმა — ხმა — კრინტიო! — ისეთი დაიბლა. ხელმწიფეს შიშისაგან ენა მუცელში ჩაუვარდა, მერე ხმას ისევ დაუწია და შედარებით მშვიდობიანი გრუნებით განაგრძო. — მე შენ ომისა და მშვიდობის ვეზირი კი ნუ გგონივარ! დღეის ამას იქით მე მეამბოხე და აყანყებული ვარ! ხმა-კრინტი-მეთქი! ხომ იცი, მთელი ლაშქარი, საგარეოცა და საშინაოც, მუტრუტოა ორიოდე ქვეგანაყოფის გამოკლებით, ჩემი ერთგულია და ჩემს ბრძანებას ემორჩილება!

მაშინ ხელმწიფემ ვითარება საღად აწონ-დაწონა და კეხი შეატრიალა.

— სიმათლე რომ გითხრაო, — შეცვლილი ხმით დაიწყო, თუმცა მაინც კი ცდილობდა, იბტიბარი არ გაეტეხა, — იმისთანა მდაბიოს ბარემ შენისთანა რეგვენი მირჩევნია, მაგრამ ეს მზე რომ არ ამოდის, ამას რა ვუყო?!

— არ ამოდის და მაგის დედაც ვატრიო! — მიუგო ომისა და მშვიდობის ვეზირმა, — მზე და მთვარე მე ფეხებზე მკილია! დანარჩენი ცთომილები! მე შენი ქალი მინდა და წაიყვან კიდევ! თუ ნებით არ მომცემ, ამ შენს დიდებულ სასახლეს თავზე დაგაფშვნი, შენ შენს დედოფალთან ერთად ბნელ დილეგში ამოგაალებ, ქალს კი ძალით წაიყვანო!

რა ექნა ხელმწიფეს? ეს ბნელიანი თავისას მაინც იზამსო, იფიჭრა და დამორჩილება ამჯობინა. ხელახლა გადადგა დიდ სამეფო აივანზე და გამოაცხადა, ჩემს ქალს ომისა და მშვიდობის სახელოვან ვეზირს ვაძლევ ცოლად და ყველას, დიდსა და პატარას, ქორწილში გაბატონებთო!

ამან იქაური მცხოვრებლები კიდევ უფრო გააოცა: დალოცვილს ეგ ერთი ქალი ჰყავს და ნეტა ყველა ძალსა და მამაძალს როგორ უნდა მისცესო?..

ხელმწიფის პატარა ქალმა კი, მამის გადაწყვეტილება რა შეიტყო, ისეთი ღრიალი მორთო, კოშკის კედლებს სულ ქრაპქრატუკი შეუდგა, შექმფინარე თვალთაგანაც ცრემლის იმოდენა ნიაღვ-

რები გადმოუშვა, ცოტას ვერც კი უწყველთაო წარღვნა არ დაწყდა. გადნა ერთხანს აღერსითა და დაყვავებით ცდილობდა გოგონას დაშოშინებას, მაგრამ, რა დაინახა, არა გამოსდიოდა რა, უკანასკნელი ღონე იხმარა: გაუშალა და ერთი მისთანა ალიყური აქამა, საბრალო გოგოს ის თავისი გულს მომამხებელი ღრიალი პირზე შეახმა, თვალები დაბნეულად აახამხამა და გადიას გოცებით მიაჩერდა. მაშინ გადიამ აყოცა და ტკბილად უთხრა:

— ეგრე არა სჯობს, ჩემო ანგელოზო?! მოთქმისა და ვიშვიშს ყოველთვის მოასწრებ. ეხლა კი უნდა ვიჩქაროთ, ვინაიდან ღრო ძალზე ცოტა გვაქვს. ეს რამდენიმე დღეა წამში უკვე ორი წელიწადის სისწრაფით მივჭრი უკან. მალე ამოსავალ წერტილს მივალწვე და, თუ მანამ არ გავაკეთე, რისი გაკეთებაც შემიძლია, მერე გვიან იქნება. მაშ, ყური კარგად მიგდე და შენებურად ყბედობას ნუ მოჰყვები. რაკი ასე გყვარებია ის შენი ტლუ და, ცოტა არ იყოს, კომპლექსებიანი მწყემსი, დაჯექი და წიგნი მისწერე. და თუ აღმოჩნდა, რომ ისიც ეგრე გადარეულია შენი სიყვარულით, იქნებ გეშველოთ კიდევო.

ხელმწიფის ქალმა რომ ეს გაიგონა, ერთბაშად გამოიდარა.

— ახლავე მიეწერო! — შესძახა გახარებულმა, საჩქაროდ მაგიდას მიუჯდა, წინ ეტრატე დაიდო, ბატის ფრთა მელანში ამოაწო და ის იყო წერა უნდა დაეწყო, რომ უკებ შეჩერდა და გადიას ჰკითხა, — რა მიეწერო?

ამაზე გადიამ თვალები დახუჭა და ათამდე დაითვალა. მერე მშვიდად მიუგო:

— ეს ხომ გაკვეთილი არ არის, ჩემო ანგელოზო! გულს მიუგდე ყური და, რაც გიკარნახოს, ის მისწერეო!

ხელმწიფის ქალი ასეც მოიქცა. თავიდან მაინც არა გამოსდიოდა რა, ვინაიდან — თუმც კარნახის წერაში გვარიანი გამოცდილება ჰქონდა — აქამდე ყოველთვის მასწავლებლები, კარნახობდნენ, რომლებიც ყოველ სიტყვას და-

მარცვლით გამოთქვამდნენ. გულს კი ისეთი გაურკვეველი ბაგა-ბუგი გაუღიოდა. ძალზე ძნელი გასაგები იყო, თუ, სახელდობრ, რისი თქმა სწაღდა; ამიტომ ერთი ხანობა ტუჩებს გამწარებულ იკვებდა და უნუგეზოდ ზენეზოდა. მაგრამ ბოლოს, როცა უძლურებისაგან თვალზე კვლავ ცრემლი მოადგა და ის იყო ღრიალი უნდა განეახლებინა, უეცრად იმ გაუგებარმა ბაგა-ბუგმა მკაფიო სიტყვებად იწყო დენა, და აქი საწაქებო უსტარიც შეთხზა:

„გამარჯობა. კიტესაჲ!

იმედია, კარგად და ჯანმრთელად იქნები. ჩემს ამბავს თუ იკითხავ, მამაჩემს განზრახული აქვს, ომისა და მშვიდობის საზიზღარ ვეზირზე გამათხოვოს, მაგრამ ნუ გეშინია, რაკი მე შენს მეტი ქმრად არავეინ მინდა, კარგ საწამლავეს ვიშოვი და ქორწილის დღეს აუცილებლად თავს მოვიკლავ.

მშვიდობით.

ან შენი, ან არავისი —  
ხელმწიფის ქალი“.

ხელმწიფის ქალს საუცხოო ხელი ჰქონდა და უსტარი ისე ლამაზად ჩააწიქვია, იტყოდით, ამას დილეგში რა უნდა. სადმე საერთაშორისო გამოფენაზე უნდა გაიგზავნოსო, მაგრამ, მოგესხენებათ, მაშინ სხვა დრო იყრ და საერთაშორისო გამოფენები არ იმართებოდა.

გადიამ უსტარი გამოართვა, გადაიკითხა და მოუწონა.

— გაქრი შენაო! — უთხრა ღიმილით და შუა თითი თავში სიყვარულით ჩაქრა. მერე ძალზე სერიოზული სახე მიიღო. — აბა, ეხლა კი წავედი, თორემ ვატყობ, ჩემი უკუსიჩქარე უფრო და უფრო იზრდება. მე და შენ, ჩემო ანგლოზო, ამ სუბტიკრებიან წუთისოფელში ერთმანეთს მეტად ველარ შევხვდებით. ამის შემდეგ მხოლოდ ზეცაში განახავ და ღმერთს შევთხოვ, რაც შეიძლება, გვიან განახო. აბა, მშვიდობით და იმედი არ დაკარგო. გახსოვდეს, ბედი იმედით იბეჭდება, იმედის წყარო კი სიყვარულიაო!

ამ სიტყვებით მხურვალედ გადაეფრქვა და, გამოთხოვების სიმძიმელი რომ დამალა, დარბაზიდან ჩქარი ნაბიჯით გავიდა. თან იმ სანაქებო უსტართან ერთად ვერცხლის მოზრდილი თასით გოგონას ცრემლი წაიღო.

იმ დღეს გადია კიდევ ერთხელ ავიდა სხვენში. ამჯერად ყველაზე ძველი და ყველაზე საიდუმლო სკივრი გახსნა და ისეთი ტანსაცმელი ამოალაგა, რომელიც აქამდე არასოდეს ჩაეცვა. კაცმა რომ თქვას, ამ ტანსაცმლის ჩაცმა არც იყო ნებადართული, მაგრამ გადიას ჯადოქრის ნაყლა ალღო კარნახობდა, ახლა კანონის დაცვაზე მეტად კანონის დარღვევა სპვიროო. მანაც უწყომანოდ დაარღვია კანონი და უხმაირი ტანსაცმლით შეიბუმბლა. კარგად რომ გამოეწყო, ყველა სარკმელი და ყველა კუჭურუტანა უცნო საგოზავით ამოქოლა და სხვენი ჩაკეტოლ სისტემად აქცია. ამასაც რომ მორჩა, ხელმწიფის ქალის უსტარი მიისივ ცრემლით სავსე ჯამში საგულდაგულოდ დააღბო, მერე დაქმუქნა, ხელეზშუა მოიშწყვდია, ისე რომ პაერი არსაიდან შეჰპარყოდა, ორთავ მუხლებზე დაიხოქა. თვალეზი დახუქა და მალე ყოველ გასარიდებელს განერიდა. საკუთარ ძარღვეზში რომ შევიდა და საკუთარ სისხლს შეერიო, ხელეზი თანდათან გაუზურდა, გაუწითლდა, გაუფარვარდა და მალე ეტრათი უკვამლოდ დიწწვა. სულ რომ დაიფერფლა, ხელეზი გაზხნა, ფერფლი მარცხენა მუქაში მოავროვია, ცოტაოდენი ცრემლი კიდევ ასხურა და მარჯვენა ხელის ცერით ღესევა დაუწყო. მანამ ღესა, ვიდრე ფერფლი ქვედ არ იქცა და ცისფრად ნათება არ დაიწყო; ეს ქვა ოქროს პატარა კოლოფში ჩადო, სხვენიდან ფეხაკრეფით გამოვიდა, კარი მჭიდროდ გამოიხურა, კოშკის სახურავზე ავიდა და გაფრინდა.

ხელმწიფემ რომ მთვარის შუქზე პაერში მოფრთხილედ გადიას მოკყრა თვალი, გაკვირვებით ასძახა:

— გადიავ! ეკეი, გადიავ! საით გაგიწვეიაო?

— ნეტა რა შენი ჰკუის საქმეა, შე

საქართველოს  
საზოგადოებრივი  
მედიის ცენტრი

უპრინციპო! ჩაილაპარაკა გადიამ და ფრთები უფრო სწრაფად აატყლაშუნა...

...ჩრდილოეთ პოლუსზე თუ სამხრეთ პოლუსზე, უკიდურეს დასავლეთში თუ უკიდურეს აღმოსავლეთში, ზღვის დონიდან ყველაზე ზედა წერტილში თუ ზღვის დონიდან ყველაზე ქვედა წერტილში, მარადიული ყინულით დაფარულ მწვერვალზე თუ პაპანაქება მზით გადაბრუნებულ უდაბნოში — ერთი სიტყვით, — ყველგან, არსად და სადმე — არის ერთი საიდუმლო ზერელი, რომელიც დედამიწის გულში შედის და მერე შიგნეულობაში იტოტება. ზერელის მახლობლად ერთი ჯადოსნური ნაკადული მიედინება. შესახებდავად სხვა ნაკადულებისგან არაფრით გამოირჩევა და, ვინც არ იცის, რომ ჯადოსნურია, მის ჯადოსნურობას არც კი დაიჭერებს. სწორედ იქით მიფრინავდა ერთგული და დაუღალავი გადია. კლანჭებით ოქროს პატარა კოლოფი ეპირა. ბევრი იფრინა თუ ცოტა იფრინა, საიდუმლო ზერელს რომ გაუსწორდა, ფრთები დაეკეცა, მოიკუნდა და ქვესავით წამოვიდა ძირს. ისე მოდიოდა, იფიქრებდით, შუაზე გასკდებოდა, შვებამ, მიწას რომ მიუახლოვდა, ფრთები ისევ გაშალა და მშვიდობით დაეშვა ზედ ნაკადულის პირას.

— გამარჯობა, ჩემო ანკარა და მოჩუბჩუბებუ ღობილო! — გადასძახა ნაკადულს.

— ღმერთმა გაგიმარჯოსო! — მიუგო ნაკადულმა, — აქეთ რა ქარმა გადმოგაგდო?

— შენი შეელა მჭირდება და, ვინძლო, არ გამაწბილო!

— შენისთანა ყოველისშემძლეს ისეთი რა შეგვმთხვა, რომ ჩემი შეელა დაგჭირდა? — გაუკვირდა ნაკადულს.

— ასე და ასე საქმეო, — უთბრა გადიამ, — დედამიწის გულში, ამა და ამ გრძელსა და ამა და ამ განედზე, ასეთსა და ასეთ სიღრმეზე, ერთ ბნელსა და ნესტიან დილეგში ომისა და მშვიდობის ბორცვ ვეზირს მხეკაბუკი ჰყავს დამწყვდეული, რომელმაც არ იცის, ხელ-

მწიფის მზეთუნახავ ასულს, რომელიც ამიტომ პასიური თვითმკვლელობის მცდარ გზას ადგას. შენს მეტი იმ დილეგში ვერავინ შეაღწევს. მაშ, ნუ დაშხარდები. შენს გახარებას, წადი და ხელმწიფის ქალის გულისთქმა, რომელიც აგერ, ცისფერ კენჭშია ჩაწნებილი, იმ მხეკაბუკს მიუტანეო!

— ადვილი სამსახურიო! — ხალისით მიუგო ნაკადულმა, — წავალ და ისე ვივლი, წასული არ გეგონები, დაბრუნებულს ვიქნებიო!

გადიამ მადლი მოახსენა, ოქროს კოლოფი გახსნა და მანათობელი ქვა ნაკადულში ფრთხილად ჩაუშვა. ქვა თვალის დახამხამებაში გაიხსნა და წყალს ნაზი ცისფერი დაედო. მაშინ ნაკადული რაკრაკით გადაეშვა საიდუმლო ზერელში.

— მშვიდობით იარეო! — მიამბა გადიამ. მერე, ნაკადული რომ თვალს მიეფარა, დიპლომა და სასოებით წარმოთქვა, — ღმერთო, შენ მოუძმართე ხელი ყველა მიჯნურს, რამეთუ მიჯნურზე კარგი და ძვირფასი ამ ქვეყნად არა არის რა!

ესა თქვა და ამოსავალ წერტილსაც მიადწია. იქ, სადაც გადია იყო, თეთრი კვამლის ბოლქვი ავარდა, სწრაფად წავიდა მალა და ცას შეერია...

მწყემსი ბიჭი ამ დილეგში იჯდა და ბეჭითად განაგრძობდა ტირილს. უკვე იმდენი ეტირა, იმ პატარა გუბის ადგილას. ცოტა ხნის წინ რომ შიგ ფეხები ეწყო, მოზრდილი ტბა გაჩენილიყო. ქვესკნელის ბინადარიც თანდათან მლაშე წყლის ბინადრებად ქცეულიყვნენ და, თუმც კი ღროღადრო ნაპირზეც ამოდიოდნენ, რათა ენახათ, კლდე ტიროდა თუ არა ბიჭი, უფრო მეტ დროს მაინც წყალში ატარებდნენ.

ერთბელაც, ბიჭი რომ, ჩვეულებისამებრ, ტბის პირას იჯდა და იცრემლებოდა, უეცრად რაღაც უცხო ხმა შემოესმა. ქარი რომ ყოფილიყო, ტალღების დგაფენი ეგონებოდა, მაგრამ, რაკი ქარი არ იყო, ყური გაკვირვებით მიუგდო. ხმა თანდათან აბლოვდებოდა. ცო-



ტა ხნის შემდეგ წყლის ზედაპირი შეირხა. აბუყბუყდა, მიიწ-მოიწია და იმ მლაშე ტბის შუაგულში ანაზღად მტკნარი წყლის ცისფრად მოლივლივე შადრევანი ამოისვეტა. ამოისვეტა შადრევანი, წამოვიდა, გაიზარდა, როგორც ჯადოსნური სოკო, გაიზარდა, გაიზარდა, გაიზარდა, ბოლოს ყვავილივით გადაიშალა და შხეფები ცისარტყელას ფერებად ააბრწყვიალა. ვიდრე გოცებულ ბიჭი თვალმდაჭყეტლო მისჩერებოდა, იმ ფერადი შხეფებიდან უცებ წყრილა ხმა მოისმა:

— ხელმწიფის ქალს მწყემსი ქიტესა შეპყვარებიაო!

აქ შადრევნის ღერო თვალის დახამხამებაში კვლავ ტბაში ჩაეშვა და გაქრა. ტბის თავზე კი, პაერში, დარჩა უთვალავი ფერადი წვეთი. ბრწყვიალებდნენ წვეთები, კიაფობდნენ, თამაშობდნენ, მერე დაბლა ეშვებოდნენ და ბიჭს სახეზე და მხრებზე დასდიოდნენ. დიდხანს იდინეს თუ ცოტა ხანს, ბოლოს ბიჭის გულში შეაღწიეს და ახლა იქიდან მოისმა:

— ხელმწიფის ქალს მწყემსი ქიტესა შეპყვარებიაო!

სახტად დარჩენილსა და გაოგნებულ ბიჭს, რაღა თქმა უნდა, თავის მაგიერ მყისვე ის ჩვენთვის კარგად ნაცნობი თუჯის ქვაბი გამოება, რომელსაც ამჯერად შემაშფოთებელი ტკაცუ-ტკუი გაუღიოდა.

„ჩანს, შევიშალე, და თუ ჯერ არ შევშლილვარ, საცაა შევიშლებიო, — ივარაუდა ბიჭმა. — თორემ, აბა რა დასაჯერებელია, ხელმწიფის მუთუნაზე ქალს ჩემისთანა ტლუ და უბირი მწყემსი შეპყვარებოდაო?!“

ფერადი წვეთები კი ამასობაში ჯერ მიწის ძალად იქცა და მუხლებში ჩაუღდა. მერე ზღვის ძალად იქცა და მკერდში ჩაუღდა, ბოლოს სინათლის ძალად იქცა და იმ თუჯის ქვაბშიც შეაღწია.

ბიჭი ყოველივე ამას შიშითა და ეჭვით აკვირდებოდა. ხან ეგონა, უკვე შევიშალეო, ხან ეგონა, ჯერ არ შევშლილვარო. ბოლოს, სინათლის ძალამ რომ

დაბუყბუყდა აზრები მძლავრად შექმნილსა და წამოშალა, თუმცა ხელმწიფის დეე ვერა გაეგო რა, მაინც უკვე ყველაფერს მიხვდა.

მაშინ ელვის სისწრაფით ზეზე წამოიჭრა, ორთავ ხელები მალდა შეპყვარა და დიდზე ღრდი ხმით დიძიძა:

— ექეექეექე! ხელმწიფის ქალს ვეპყვარებევარო!

ისეთი დიძიძა, იმ დიძიძის ეჭო დღემდე არ ჩამქრალა, ახლაც ტალღატალღა დაღის დედამიწის წიაღში და, თუ სადმე ზედაპირს მოაღწევს, ვულკანად ამოხეთქავს ხოლმე.

როდესაც ქვესკნელის ბინადართ, რომლებიც იმ დიდი და მკვეჭარე ხმის გაგონებაზე წიდან გულგახეთქილები ჩაუვივდნენ ტბაში და შეშინებულები ფსკერს გაეკრნენ, ისე ამოყვეს თავი, ბიჭი უკვე ისარაფით მიქროდა მალდა. სახამ თვალს არ მიეფარა, ქვესკნელის ბინადარი გაკვირვებით მისჩერებოდნენ, მერე ტბის პირას დასხდნენ და თავიანთ სისინა ენაზე ცხარე კამათი გააჩაღეს იმის თაობაზე, თუ სად უფრო საამურია ცხოვრება — მიწის ქვეშ თუ მიწის ზემოთ...

...მწყემსი ბიჭი დილეგიდან სწორედ იმ დროს ამოვიდა, როდესაც ომისა და მშვიდობის ვეზირი, საჭირწილოდ მორთულ-მოკავშული, ოქროს აბჯარში გამოწყობილი და ოქროს ჩაქჩით თავდამშვენებული, მაყრიონთან ერთად — მაყრებად კი მხოლოდ მარშლები და გენერლები ჰყავდა — ხელმწიფის სასახლის წინ იდგა და საპატარძლოს ელოდა. რომელიც ბანოვანებს — ნებით იქნებოდა თუ ძალით — საცა იყო უნდა გამოეყვანათ.

ვიდრე ის მოუთმენლობისგან ცმუკავდა და წამდაუწუმ უღვაშს ისწორებდა, მცველებმა, რომლებიც — თუმცა კი ამის საჭიროება არ ყოფილა — დილეგს დღე და ღამ დარაჯობდნენ, მოულოდნელად შეძრწუნებით შენიშნეს, რომ ვეება ლოდი, თავის დროზე რომ ათასმა ჯანმავარმა მონამ რის ვიავაგლობით დაათარა დილეგის პირს, უეცრად

შეტორტმანდა, აიზიდა, მიწას ასცდა და მალა-მალა წამოვიდა. მცველებს ეგონათ, ლოდი თავისთავად მოდისო, და ენაჩავარდნილები უხმოდ მისჩერებოდნენ, ცოტა ხნის შემდეგ კი, ლოდ-ქვეშ რომ ჭერ ხელები გამოჩნდა, მერე თავი, ბოლოს კი ტანიც, იფიქრეს, ქვესკნელის ღმერთი მზისქვეშეთის დასაპყრობად წამოსულაო. გონებადაკარგულბმა ერთი საზარლად დაიღმუველეს, მიწას განკრთნენ და ხელები თავზე წაიფარეს.

მცველების ღმუილზე ომისა და მშვიდობის ვეზირმა ამრეზით მიიხედა. მიიხედა და რას ხედავს: დგას უცხო ჭაბუკი დილეგის პირას, ფეხები განზე გაუდგამს. ზე აღმართული ხელებით მთის ოდენა ლოდი უკირავს და ისეთია, როგორც ელვარე ქანდაკება მთვარის შუქზე.

ომისა და მშვიდობის ვეზირი ერთხანს გაკვირვებით მისჩერებოდა, მარჯვენა ხელის სალოკ თათს საფეთქელზე დაფიქრებით ირაკუნებდა და „ღმერთო, გამახსენე, საიდან მეცნობაო!“, გუნებაში იმეორებდა.

უჯურა, უჯურა და უცებ იცნო!

იცნო და, თუმც კი გულმა ძლიერ რეჩხი უყო, მის სასახელოდ უნდა ითქვას, არ შემდრკალა და არ შეშინებულა. შუბი ელვის სისწრაფით შემართა და ზაფი სმით დასძახა:

— ჰეა მავასაო!

მთავარსარდლის შეძახილზე, მცველები და გენერლებიც დაფაცქრდნენ და იმავე წამს ცრუ სასიძოსა და ცრუ მაყროონის ურიცხვი შუბი ზეზუნია და წულით წამოვიდა. მაშინ მწყემსმა ლოდი ისევე დილეგის პირს დააფარა. ის შუბები სათითაოდ დაიპირა და ჩხირებივით დაამსხვრია.

აქ კი ომისა და მშვიდობის ვეზირი მიხედა, რომ ბრძოლა წაგებული ჰქონდა.

— ვინც ჩემი ერთგულია, მომყვესო! — ვასძახა — ლაშქარს და უკანმოუხედავად გაქუსლა.

მწყემსი ბიჭი გამოენთო, საზღვარზე დაეწია და ყველანი ზღვაში გადაყარა. ისინიც დაიბრჩენენ. ვინც გადარჩა, ქარიშხალმა გაღმა ნაპირზე გარიყა და ახლაც იქ არიან. ძალიან კი უნდათ გამოლმა გამოსვლა, მაგრამ, აბა, როგორ გაბედავენ და, თუნდაც გაბედონ, ამოდენა ზღვას როგორ ვადმოლახავენ!..

გამოლმა კი ცამ ლეჩაქი მოიძრა და ლაქვარდი შუბლი გამოაჩინა, მზემ პირბადე აიხადა და ქვეყანა მცხუნვარე სხივების ნათელში გაახვია, ხელმწიფის ქალსა და მწყემს ბიჭსაც დრო უქმად არ დაუქარგავთ, მალევე დაჭორწინდნენ და მას შემდეგ — აბა, ამ არეულობაში იმ ქვეყანას რა მიავნებს, თორემ საკუთარი თვალით ნახავდით — დღემდე ტკბილად და ბედნიერად ცხოვრობენ.

## კვლავ ამბროსი ხელაიას საქმის გამო

XX ს. ოციანი წლები ჩვენი ქვეყნის განვითარების ერთობ დრამატული და წინააღმდეგობრივი პერიოდია. ეკლესიასთან დაუნდობელი ბრძოლა ამ წლების ერთ-ერთ ძირითად მოვლენად აქცა, რაც სამწუხაროდ ხშირად შიშველი კლასობრივი ტენდენციურობით წარმართებოდა. ანტირელიგიურ პარაზანდას, როგორც რუსეთში ასევე საქართველოშიც, შედეგად მოჰყვა — უამრავი ეკლესია-მონასტრების წაგრევა, საეკლესიო ატარებულების განადგურება და სასულიერო პირთა მიმართ წრეგადანული რეპრესიები.

გარდაქმნისა და საქარობის ატმოსფეროში საფუძვლიანად შეცვალა წარსულისაღმე ჩვენი მიდგომა. გრადიქმნის უდიდესი მონაპოვარია, ისევე რომ ბევრი სამ ზამალა და აშკარად შეიძლება გამოითქვას, ასეთ ვითარებაში უამრავმა მტკივნეულმა საკითხმა შეგვახსენა თავი. ამ ფონზე ამბროსი ხელაიას და საქათლიკოსო საბჭოს დანარჩენი II წევრის სასამართლო პროცესის სახით ჩვენ წინაშე უაზღვრებლად წარსულის კიდევ ერთი თითქმის ლაქა. იქმნება აუცილებლობა უკველგვარი შეღამაზების გარეშე გამოშვებულებს ერთ დროს ერთობ განსაზღვრებული ამ საქმის ობიექტური სურათი.

თავგაანებულ მავან და მავან პასუხისმგებელ პირთა მიერ ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად ვატარებულნი ეროვნული ნიშნისტური ტენდენციების წყალობით, საბჭოთა ხელიისუფლების დაშვარების პირველსავე წლებში დიდ მიღწევებთან ერთად უამრავი ცოდვა აქნა ჩადენილი (რეკლამური-აღმდეგი ინტელექციონისა და თავადაზნაურების წარმონაღვერელთა გაუმართლებელი რეპრესიები, საქართველოს ინტორიული ტერიტორიების დარდიმანდულად განსუქება და სხვ.).

ეს მოვლენა მხოლოდ აქვს შემჩნეული მაშინდელ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას და როგორც ერის მწეეს-მთავარს, ვალდებულად უყნია თავი აღმადლებთან ხმა ამ უარყოფითი მოვლენების წინააღმდეგ. ამ პერიოდში, როდესაც საზოგადოებას უმეტესი ნაწილი ჩრდილში უოყნას ამქობინება, საპროტესტო ხმის ამოდება ვილიოტანაზე, ნებაუოფლობით ასვლას უდრია. რაც

გამოიხატა 1922 წ. 7 თებერვლის თავისი სახელით ვენის საშვიდობო კონფერენციისადმი შემორანდუმის ვაგვანით.

საქართველოს ეკლესიის მეთაურთათვის ეროვნული ინტერესების დამცველის როლში გამოხატულა, არც მანამდე უოფლა უყხო. საამისოდ მართკ ვაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძე) და კათალიკოს პატრიარქ კრიონის (საძვალე-შვილი) მოღვაწეობის ვახსენებაც იკმარება.

როგორც ქვემოდ მოტანილი სასამართლო მხელელობის ამხანველი დოკუმენტების ვაცნობით იკვეყვა, აღნიშნული ქვეყნის წევრებისადმი ძირითადად წაყენებული იქნა ოთხი ბრალდება: კონფერენციისადმი შემორანდუმის ვაგვანა, საქართველოს ეკლესია-მონასტრებში დაცული საგანძურის ვადამალვა, რათა ხელიისუფლებას იგი არ ვამოყენებინა დამშუულთა დამმარტებისათვის, საეკლესიო ქონების სააღრაცვეო წიგნების არსწორი წარმოება და სამხედრო ტაძრის (მდებარებობა რესპუბლიკის მთავრობის დღევანდელი სასახლის ტერიტორიაზე) კომპოვირისათვის ვადაცემისა და სატრაპევის დაშლის პროცედურაში საპატრიარქოს წარმომადგენლის ვამოუცხადებლობა.

პირველყოყნისა მიწანშეწონილად მოგვანხია ვავისენოთ რა მიწნებს ისანვედა ე. წ. ვენის საერთაშორისო კონფერენცია? იგი ვაიმართა ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ ვენუაში, 1922 წ. 10 აპრილიდან 19 მაისამდე, კონფერენცია მიძღვნილი იყო ეკონომიკურ და საფინანსო საკითხებისადმი. მასში მონაწილეობდა 29 სახელმწიფო: ავსტრია, დიდი ბრიტანეთი, ვერმანია, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, რუსურ და სხვ. ამერკიას მასში მონაწილეობა არ შეუღია. საბჭოთა რუსეთის დღევანდელის შემადგენლობაში შევიოდენენ გ. ჩიქტიანი, ლ. კრასინი, მ. ლივინოვი, ა. ოოდე, ქ. რაკოვსკი, ბ. მიღვანი და სხვ. ოფიციალურად კონფერენცია მიძღვნილი უნდა უოფილოპო „ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკის აღდგენისადმი“, ხოლო სინამდვილეში მის მიწანს შეადგენდა რუსეთის როგორც ნედლეულისა და მასალების უმდიდრესი ბაზის მქონე სახელმწიფოს საერთაშორისო ბაზარზე დაბარება, დათანხმებისათ ჩვენი ქვე



ყანა მტვის დროინდელი ვალები გვიანდებინა, მოგზაინა ნაციონალიზაციის შედეგად უცხოელ მეწარმეთათვის მიუყენებელი ზარალის კონსენსაცია. აღნიშნული გამო ამბროსი ზღაიას მიერ ვაგზავნილი მემორანდუმმა კონფერენციის დღის წესრიგში ვერ დაყენა საქართველოში შექმნილი მდგომარეობა და მას არც არავითარ დადებით შედეგად არ გამოუღია.

მაშასადამე, შექმნილმა ვითარებამ არ გაამართლა ამბროსო ა. ზღაიას იმედები, არამედ საბჭოთა საქართველოს მთავრობის შიში, მემორანდუმს შედეგად არ მოჰყოლოდა უცხოეთის სახელმწიფოთა ჩარევა ქვეყნის საზიანო საქმეებში.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ა. ზღაიას თავისი პრეტენზიები 1921 წ. თებერვლის შემდეგ მომხდარი ცალკეული უარყოფითი მოვლენების ირგვლივ არც მემორანდუმის ვაგზავნამდე და არც მას შემდეგ არ დაუფარავს ზედღიუსუფლებსათვის, სასამართლოს საქმეებში მოითხოვნილია მის მიერ საქართველოს ზღაისუფლების სხვადასხვა ინსტანციებში ვაგზავნილი 10-ზე მეტი დოკუმენტი, რომლებშიც იგი უპაოყოფილებას გამოთქვამს ეკლესიის მიმართ განადგებულ დღევანდის, ქართული წინს უფლებების შეზღუდვების, ისტორიული მიწების სხვათა ვანარკულებში ვადაცემის თაობაზე და სხვ.

წამოტილ საკითხთა უკეთ ვაზრებისათვის, აუცილებლად მოგვიჩინა, აღნიშნით ისიც, რომ საპატრიარქო საბჭოს წევრთა პასუხისმგებლობაში იმდენა იმ დროისათვის უპირველდრო არ ყოფილა. კერძოდ, კლავდიასპირთა ვამოცებელი შიშვილობის სასარგებლოდ ეკლესიის ქონების გადაძალის ბრალდებით რსფსრ სამხედრო ტრიბუნალი 1922 წ. 10 მაისს განაჩინდა დავტირბის რუსეთის 11 უსაბუღის სასულიერო პირი, მთ შორის, პეტერბურგის მიტროპოლიტი ბენამინი, ზოლო 26 ბრალდებულს (მთი შორის, სრულიად რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქს, ტინონს) მსჯავრი დაედოი სხვადასხვა ვადით (იხ. ვაზ. „ქრავა“, 1922 წ. № 101).

საქართველოს სსრ ცენტრალურ სასტორიო არქივში დაცული ამბროსი ზღაიას სასამართლო საქმის მრავალი დოკუმენტიდან მიზანშეწონილად ვთვლით, ვამოვყენოთ მხოლოდ ექვსი, ზენი აზრით, ეკლესიე მნიშვნელოვანი საბუთი — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მიერ ვენის კონფერენციისამდე ვაგზავნილი მემორანდუმი, საქათლოოს საბჭოს 11 წევრის სასამართლოს 4 სხდომის (1924 წ. 10-14 მარტი) სტენოგრაფიული ჩანაწერი, პროფ. კ. კეპელიძის ზევენება და სასამართლოს ვანაჩენა.

მოკლედ დანაჩენ სხდომების შესახებ. აქ მოთხიზნეს საქათლოოს საბჭოს ორი წევრის, სამოქალაქო პირთა (ნ. არქვანიძე, ნ. თაედ-

გარაძე) საქმე, აგრეთვე ნ მოწვეუქრანენებლქმ ადვოკატთა დაციითი სიტყვებებნი სსრკონსენსაცია

ბრალდებულთა და მოწვეუთა ზევენებება ცხა. დეო მითადმი წაევენებულ ბრალდებათა უსაფუძვლობა, კერძოდ, საეკლესიო ქონება თბილისადან ქუთაისში ვადაძატანეს საქართველოში საბჭოთა ზღაისუფლების დამუარებამდე, მაშინდელი კათოლიკოს დრონიძის ვანარკულებით. ნათელი ვაზნა ისიც, რაც საკითადაკოსო საბჭო მომხრე იყო საეკლესიო ქონების იმ ნაწილის ვადაძალისა, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა ვაჩანდა და წარმოადგენდა ერის ეკლესიულობის, ზოლო რაც შეეებოდა იმ ქონებას, რომელიც მოწმუნეთა მიერ იყო შეწირული და ერის საგანძურს არ ვანეკუთვნებოდა, საპატრიარქო უცვლელოვს ზრად იყო ავი ვადაცეა ბღაისუფლებას — სათანადო ორგანიზებისათვის დამშუღლეთა სახარგებლოდ:

სასამართლოს სხდომების მსვლელობისას წა. მოტილ მრავალ საკითხთაგან ვცსურს, ურადდებე ორ ვარტომებზე ვაგამაჯილოთ:

1). პროკურატურის უარი ადვოკატ კ. ნინიძის მოთხოვნაზე, რომ პროცესზე პროფ. კ. კავახიშვილი და კ. ინგოროვა მოეწვიოთ, რათა მათ თივინი მოსაზრება ვამოთქვავთ ა ზღაიას პრეტენზიის გამო საქართველოს ისტორიული მიწების ნაწილის მოსაზღვრე რტბუბლიკებისათვის ვადაცემის“ კანონიერებაზე.

„პროკურატურა აცხადებს, — ვკითხულობთ სასამართლო საქმეში — რომ შუამდგომლობა ექსპერტების კ. კავახიშვილის და კ. ინგოროვას დაციიზვის შესახებ ზედმეტია, რადვინაც ამბროსის ბრალდება მემორანდუმის შედეგია, და მტიციბა იმისა, თუ რომელი ტერიტორია ზამოტირა საქართველოს საზოგადოებისა, ბრალდებისათვის არსებითად მნიშვნელობას არ წარმოადგენს“.

2. ახალი მისწრაფებებით შთავრენული მისის ერთი ნაწილის წამომავდგენილება ვრავლარიცხოვან საწარმოთა კოლექტივების სახელით სასამართლოზე მოითხოვდნენ, რომ „ქურდ-ბაცაცა“ მსვლელების მიმართ უმკაცრესა ზომები ვამოეწენებინათ. „თადგირბის დაციიზვის დროს, — ვკითხულობთ 15 მარტის სხდომის ანგარიშში, — სასამართლოს წარუდგენენ მუშათა ორგანიზაციების დელივრატები და ვანაცხადის, რომ ისინი მოითხოვენ ბრალდებულთა სხტაკედ დსქას და მითთან ერთად დამცეელებისას, რიგოვრ კონტრტრეკლეუციის დამცეელებად ვამოუტლებინა“.

მოითხელებისათვის საინტერესო ექნება ადვ. ლობრივი პრების პოზიციაც. კერძოდ, ვაზ. „კომუნისტა“, „მუშა“ ზირად თივრებდნენ იხეი ტრატებება და ინფორმაციებს, რომელთა ავტორებთა მოითხოვდნენ უმკაცრესი ზომების მიღებას არა მარტო ბრალდებულთა მიმართ,



არამედ მათი ადვოკატების (ი. ბარათაშვილი, კ. ნინიძე, ს. დადიანი, ვლადიმერ შვილი და სხვ.) მიმართა. „ხალხის მტრებს იცავენ მხოლოდ ხალხის მტრები და მოღალატენი“ (იხ. „კომუნისტა“ 1924 წ. 14 მარტის მოწინავე). პარალელურად ქვეყნდებოდა სასამართლოს მიმდინარეობის ამსახველი კარიკატურები, იბეჭდებოდა დამკვეთი (ავტორები შ. ნავთლუღლი, ვ. ხერუაშვილი) რომლებიც ბრალდებულთა მიმართ უდიდესი ზიზღი და კრულვა იყო გამოხატული (დაწერილებით ამის შესახებ იხ. გაზ. „ხალხი განათლება“, 1928 წ. 15 მარტი, აქაი მანდაშვილი, „ორი ნიშანითვე არ არსებობს“, გვ. 8-9).

და ბოლოს, სხვადასხვა ვადით მსჯავრდებული ბუთი სასულიერო პირის (ა. ზღალო, კ. ცინცაძე, ნ. თავდგირიძე, მ. ტყემალაძე, ა. მარიაშვილი) შემდგომი ბედის შესახებ:

1924 წ. აგვისტოს ცნობილ გამოსვლებში მონაწილეობისათვის დაპატიმრებულთა ვიშარო იმავე წლის ბოლოს გამოცემულა ამნისტიის ძალით. საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს ზუთივე პირს მოუხსნეს საბჭელი და თავიანთ უფლებებში აღადგინეს.

მ. ხატიშვილი,  
ს. ლეკოვილი.

**კულტურულ კაცობრიობას, განუთხ კონფორმისაცაჟე წარმოდგენილს**

მონა ლეთისა ამბროსი, სულიერი მწყემსი და პატრიარქი სრულად საქართველოსა, ქრისტეს მიერ სიყვარულით მოკოთხას.

ჯერ კიდევ პრაქრიტიანულს ხანაში, კეკელიის ძირში, შავისა და კასპის ზღეებს შორის, ქართულ მოდგმის ტომებმა შექმნეს პატარა სიერციით, მაგრამ ძლიერი ნების ყოფით და მდიდარი ავტუალური ნიჭით სახელმწიფო, რომელიც ცნობილია ისტორიაში საქართველოს სახელით და რომელიც საუკუნეების განმავლობაში ერთად ერთი მატარებელი იყო წინააზიაში ქრისტიანული კულტურისა და ევროპული ჰუმანიზმისა.

მეთვრამეტე საუკუნის გასულს, გარეშე მტრებთან ბრძოლაში ძალაძიბდილი ქართველი ერი ნებაყოფლობით მიეკელა ერთ მორწმუნე რუსეთს, იმ იმედით, რომ მისი მფარველობის ქვეშ საქართველო უზრუნველ ჰყოფდა თავის პოლიტიკურსა და ეროვნულ არსებობას, რაიცა აშკარად არის აღნიშნული 1783 წლის საქართველოს მეფის ერეკლე მეორისა და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორის შორის დადებულს პოლიტიკურ ტრაქტატში, მაგრამ, სამწუხაროდ, გაცრუებულ იმედების აშარა დარჩენილი ჩემი სამშობლო 117 წლის განმავლობაში რუსეთის ბიუროკრატიისაგან განიცდიდა მხოლოდ მწვავე დესპოტიასა და აუტანელ შევიწროებას. ამიტომ 1917 წელს დაირღვა თუ არა რუსეთის იმპერიის ხელოვნური მთლიანობა, ქართველმა ერმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა და დაუყოვნებლივ ხელი მოჰკიდა თავისი პოლიტიკური და ეროვნულ-კულტურულ ცხოვრების რესტავრაციას. მიუხედავად იმისა, რომ ამ მუშაობაში მას აფერხებდნენ შინაური და გარეშე მტრები, მან გამოიჩინა ისეთი ნიჭი და ეროვნული შემოქმედებითი ენერჯია, რომ სამი წლის შემდეგ განათლებულმა ევროპამ სენო მისი სახელმწიფოებრივი უნარი და ადგილი უბოძა საქართველოს დამოუკიდებელ, სუვერენული პოლიტიკურ ერთეულთა შორის, რასაკვირველია, ამის ვერ შეურიგდებოდა მისი ყოფილი ბატონი, მცირე ერთა მჩაგვრელი რუსეთი: მან დასძრა საქართველოს საზღვრებისაკენ საოკუპაციო არმია და 1921 წლის 25 თებერვალს, პატარა უსწორო ბრძოლაში სისხლიდან დაკლილ საქართველოს ხელმეორედ დაადგა კისერზე ისეთი მძიმე და სამარცხვინო მონობის უღელი, რომლის მსგავსი მას არ განუცლია თავის მრავალსაუკუნოვან ისტორი-

ამი. ოკუპანტები, მართალია, ლამობენ შინ და გარეთ ყველანი დასრულდნენ რომ მათ გაანთავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენათ ბედნიერად ჰგონობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყო მე, მისა სულიერმა მამამ და დღეს დღეობით ერთად-ერთმა ნამდვილმა მოძღვარმა, რომლის ზღაპრით ამ ერის გულიდან გამოშავალი იდუმალი ძაღვები და რომელსაც უშუალოდ ესმის მისი კენესა და ვაება. თამამად და გაუზვიადებლათ ვამბობ, რომ ის ყოველად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომელსაც ახდებენ ქართული ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას ფიზიკურად გადაშენების და სულიერად გაველურების და გაბრწყინის კარამდე! ერს აბრძენენ მამა-პაპათა სისხლით და ძვლებით გამოხიერებულ მიწაზე, რომელსაც უცხოეთიდან შემოიხიზნულთ ურიგებენ: მათი წყალობით ისედაც გალატაკებულ ერს პირიდან ჰგლეჯენ მისი სისხლითა და ოფლით მოწვეულ სარჩოს და გაუტეხარს სიჭკარით იმავე უცხოეთში მიეზიდებიან, ერს უგმობენ და არბრძენენ მშობლიურ ენას, მას უბილწავდნენ მამა-პაპურ ეროვნულ კულტურას; დასასრულ, მას უბღალავენ წმინდათა-წმინდას, — სარწმუნოებრივ გრძობას და სინდისის თავისუფლების დროშის ქვეშ, ნებას არ აძლევენ თავისუფლად დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნილება; მისი სამღვდლოება უკიდურესად დევნილია; მისი ეკლესია, ეს ძველის ძველთავე ფაქტორი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ამაღლებისა და ძლიერებისა, დღეს უფლება აყრილია იმდენათ, რომ ნებაც კი არა აქვს თავისი შრომით, გარჯილობით და უნარით მოიპოვოს მუდმივი სახსარი არსებობისა. ერთი სიტყვით, ერი კვნესის, ერი გმინავს, მაგრამ საშუალება არა აქვს ხმის აძლევს. ამგვარ პირობებში ჩემს მწყემსმთავრულ მოვალეობადა ვრაცხ კულტურული კაცობრიობის ვასაგონათ ვსთქვა: მე, როგორც ეკლესიის წარმომადგენელი, არ შევდივარ პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა ფორმების დაფასებასა და რეგლამენტაციაში, მაგრამ არ შემოძლია არ ვისურვო ჩემი ერისთვის ისეთი წყობილება, რომელიც შედარებით უფრო მეტად შეუწყობს ზღას მის ფიზიკურ აღორძინებას და კულტურულად განვითარებას. ამიტომ ვითხოვ: 1). დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილი იქმნეს მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრობა-მიტაცებისაგან. 2). საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოთ მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც ეს მას უნდა, შეიმუშაოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორც მის ფსიქიკას, სულის კვებებას, ზნეჩვეულებას და ეროვნულ კულტურას შეესაბამება.

სრული იმედი მაქვს, რომ მაღალ პატივცემული კონფერენცია, რომელსაც მიზნით დაუსახავს გაარკვიოს უდიდესი პრობლემები კაცობრიობის ცხოვრებისა და დაამყაროს ქვეყანაზე სამართლიანობა და თავისუფლება, არ უგულებელჰყოფს პატარა საქართველოს ელემენტარულ მოთხოვნილებას, დღეს ჩემის პირით წარმოთქმულს, და დაიხსნის მას ძალმომრეობისა და სამარცხვინო მონობის კლანჭებიდან.

კურთხევა უფლისა იყოს თქვენზედა და თქვენს კეთილშობილურ მისწრაფებასა და მუშაობაზე.

მდაბალი ამატონი, პატრიარქი სრულიად საქართველოსა.

7/11-22 წ.

ტფილისი

ოქმი

1924 წ. მარტის 10, დღესა შუადღის 2 საათის ს.ს.რ. უზუნაესი სასამართლოს სა-  
ჯარო სხდომაზედ პლენაროვის სახელობაზე მუშათა კლუბში, შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე — გ. ჩხვიძე  
წევრნი: ვ. ნიკვიცაძე  
გ. რთველაძე

პროკურორები: ნ. ოკუჯავა, ნ. მაჭავარიანი  
საზოგადო ბრალდებელი ერქოშაიშვილი  
მდივანი გ. აბაკელია

შეუდგა გარწევას საქმისა ბრალდებისა გამო კათალიკოს ამბროსისა.  
მიტროპოლიტ ნაზარისა და სხე.

გამოცხადდნენ ბრალდებულები:

1. კათოლიკოს ამბროსი (ხელაია),
2. ქუთაისის მიტროპოლიტი ნაზარი (ლევა),
3. არქიმანდრიტი პავლე ჯაფარიძე (სვეტიცხოველის წინამძღვარი),
4. ლაზარიშვილი დიმიტრი (ქვაშეთის დეკანოზი),
5. ტყეშელაძე მარკოზ (სიონის ტაძრის წინამძღვარი),
6. მირიანაშვილი იოსებ (დიდუბის ელესიის წინამძღვარი),
7. ცინცაძე კალისტრატე (ქვაშეთის წინამძღვარი, დეკანოზი),
8. თოთბაძე ანტონ (ეროს წმ. ნიკოლოზის წინამძღვარი),
9. თავდგირიძე ნიკოლოზ (საკათალიკოსო საბჭოს წევრი, საერო პირი),
10. არჯევანიძე ნიკოლოზ (საკათალიკოსო საბჭოს წევრი, საერო პირი).

არ გამოცხადდა ბრალდებული კაპანაძე იასონ, რომელიც ცნობების მიხედვით, გაქცე-  
ულია ამერკაში.

მონშემბიდან გამოცხადდნენ წველანი:

1. თალაკვაძე ნიკიტა, 2. რატიშვილი ივანე, 3. ჭიფორიანიძე  
გრიგოლ, 4. კუკელიძე ვასილ, 5. გვეტაძე იოსებ, 6. დავითაშვი-  
ლი დავით, 7. კაკაბაძე, 8. შუბლაძე ილია, 9. ქავჭავაძე ივანე,  
10. კაჭახიძე დავით, 11. ციციშვილი ქრისტეფორე, 12. ნათიძე  
ლაზარ და 13. კონტრიძე გარდა პლატონ ცქრტიშვილისა, რომელიც  
ცოფრობს ე. ქუთაისში და ვის შესახებაც ჩაიბარა თუ არა უწყება — ცნობა არ არის.
- მონშემბის განმარტათ ცრუ ჩვენებისათვის პასუხისმგებლობა და ჩამოერთვა ხელ-  
წერილი.

თავმჯდომარე ამონშებს გამოცხადებულ ბრალდებულთ და სათითაოდ ეითხება მათ:  
ვინ რამდენი წლისაა, რა მოღვაწეობას ეწევა და იყო თუ არა რომელიმე მათგანი პა-  
სუხის გეზაში და რისთვის და ვაეთ თუ არა დამცველები. წველა ბრალდებულები განმა-  
რტავენ, რომ პასუხისმგებაში არ ყოფილან, გარდა კათალიკოს ამბროსისა, რომელიც,  
თავმჯდომარის შეითხებაზე რა ბრალს სდებდნენ მას — უპასუხებს „იმას, რასაც ეხლაო“.

დამცველთაგან არიან:

1. ნინიძე კირილე (დამცველი კათალიკოს ამბროსისა)
2. ბარათაშვილი იოსებ (კათალიკოს ამბროსის)
3. გუნცაძე (დამცველი ნაზარისა)
4. ქავთარაძე პეტრე (დამცველი ჯაფარიძისა)
5. დადიანი სამსონ (დამცველი ლაზარიშვილის და ტყეშელაძის)
6. მღვდელიშვილი (დამცველი მირიანაშვილის)
7. ყანაშელი (დამცველი ცინცაძისა) და
8. გელაზარაშვილი (დამცველი თავდგირიძის და არჯევანიძის).

ბრალდებულთა შეითხებისა და მონშეთა შემონშების შემდეგ თავმჯდომარე წინდა-  
დებს აძლევს მხარეებს, გამოსთქვან თავიანთი აზრი საქმის გარჩევის შესაძლებლობის  
შესახებ.

1. იბეჭეება დედნისეული სტილისა და მართლწერის ზუსტი დაცვით. შილოდ ილაგ-  
ალაგ ტექსტის უკეთ ვასაგებად, ჩამატებულია სასყენი ნიშნები (რედ.).  
6. „მნათობი“, № 9.

პროკურატურა, პროკურორ მაქეაგარიანის სახით, აცხადებს, რომ ის, თუმცა არ გამოცხადებულა მონმე ცეტიშვილი, მოსახერხებლად ნახულობს, საქმე გაიჩქარეს დღესვე, რადგანაც ნურილობითი ჩვენება ცეტიშვილისა, რომელიც საქმეში ინახება, სრულიად საკმარისია და არ ითხოვს საჭიროებას მისი პირადით დაკითხვისას.

დამცველი ნინოძე მოიციებს რა სასამართლოს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ კათალიკოს ამბროსის ბრალდება „უცხო სახელმწიფოსთან ურთიერთობის დაჭრა მის დასაყრდენად რუსეთის საქმეებში შეიარაღებული ძალით ჩარევისა ან ომის გამოცხადებისა“, ე. ი. ბოროტმოქმედებაში, რომელიც გათვალისწინებულია სისხ. სამ. კოდე. 60 მუხ. — შემორანდუმის გადაცემა გენერის კონფერენციის თავმჯდომარისათვის. თანახმად ამავე კოდექსის 13-14 მუხ. ხელყოფა ანუ მტფლობა ბოროტმოქმედების ჩადენისა დაისჯება ნაკლებ სასტიკად, ვინმე შესრულებული დანაშაული მაგრამ გამოძიებას ყურადღება არც კი მიუძღვეს იმ გარემოებისათვის, მართლა გადაეცა თუ არა შემორანდუმში გენერის კონფერენციის თავმჯდომარეს, ან თუ გადაეცა, ვისი ხელით. ნაცვლად ასეთი გამოძიებისა, საქმეში არის უბრალო ქაღალდი, მანქანაზე დაბეჭდილი, რომელიც იხსენიებს საქართველოს საელჩოს. მაგრამ ამ ქაღალდს არა თუ არ აზის რაიმე ბეჭედი, ის უთარილო და ხელმოუწერელიცაა და, რაც თავი და თავია, ისიც კი არ არის აღნიშნული, თუ თითონ ეს ქაღალდი საიდან გაჩნდა საქმეში. ასეთი ნაღვი საგამომძიებლად მოქმედებისა ექმნის სრულ გაურკვევლობას და საშუალებას ართმევს ბრალდებულს თავის მართლებინათვის, ხოლო სასამართლოს მართლშაჯულებას დაიცვისათვის.

ამის გამო ვწუამდგომლობთ უზენაეს სასამართლოს წინაშე, რათა დამატებით იქნეს გამოძიებული ეს ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება. გარდა ამისა მას, კათალიკოს ამბროსის, ბრალდება ცრუ ხმების გავრცელება კონტრრევოლუციონური მიზნით. ვინაიდან ბრალდებულს არ ჰქონია რაიმე კონტრრევოლუციონური მიზანი, არამედ ის მოქმედებდა სრულიად კეთილსინდისიერად, ამიტომ საქმისათვის ფრიად მნიშვნელოვანია, შესაძლებლობის ფარგლებში, შემონახული იყოს განცხადება ბრალდებულისა, რომ:

1). რკინის გზის საქმეებში მოიპოვება ბიულეტენები უცხოეთში გაზიფული საქონლის შესახებ, განსაკუთრებით თბილის-ბათუმში. და

2). ეკლესიის შევიწროების შესახებ № 21 დეკრეტის წინააღმდეგ. კათალიკოს ამბრო-

სის არა ერთხელ მიუბარიათ მთავრობას, რომ

რაცა შეეხება საქართველოს მინიჭების განაწილებას. ამის შესახებ საჭიროა სასამართლომ განიხილოს რუკა საქართველოსი და მცენიერ-ექსპერტთა შემონახვით გამოკვეულ იქმნეს, თუ რამდენათ მართალი იყო ბრალდებულის განცხადება ტერიტორიის განაწილების შესახებ.

ყოველივე ზემოდ ნათქვამის გამო მოვითხოვთ აღნიშნული საქმის დამატებით განმარტებლად წარგზავნას.

გ უ ნ ც ა ძ ე — დამცველი ნაზარია: აღნიშნავს რა იმ გარემოებას, რომ ბრალდებულ ნაზარის ბრალდება მონაწილეობის მიღება ქუთაისში ნაღებულ საეკლესიო განძეულობის გატაცებაში, დასძენს, რომ ბრალდება ნაზარისა ამ სახით ვერ არის გამოძიებლის მიერ სწორად გაშუქებული; განძეულობა იყო გატანილი მამიძე მთავრობის ნებართვით, რის შესახებაც არის საქმის გამამართლებელი საბუთები და გამოძიებაც ვალდებული იყო, შეემოწმა ყველა ეგ საბუთი ამიტომ ითხოვს საქმის გარჩევა გადაიდოს და საქმე დაუბრუნდეს გამომძიებელს აღნიშნულ დეფეტის შესახებ.

დამცველი ჯაფარიძისა — ქაჯეთარიძე განუბარტავს სასამართლოს მნიშვნელობას მონმის პირადით დაკითხვისას, ითხოვს ვინაიდან ჯაფარიძის დანაშაულის გამოკვევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გამოუცხადებელ მონმის ცეტიშვილის დასწრებას, საქმის გარჩევა გადადებულ იქმნას.

სამსოინ დადიანი — დამცველი ლაზარიშვილის და ტყემალაძის: განუბარტავს სასამართლოს, რომ ბრალდებულ ლაზარიშვილს ბრალდება არკინანდრეტი პავლესათვის განძეულობის გატაცებაში ხელის შეწყობა, რომ ეს ბრალდება არ შეეფერება სინამდვილეს, რადგანაც ლაზარიშვილი ამ შემთხვევაში მოქმედებდა კათალიკოს ლეონიდის დაფლებით, რის შესახებაც მას აქვს მისი დერილი, რომ ლაზარიშვილი ამ წერილის არსებობაზე რამდენჯერმე მიუთითა როგორც საგანგებო კომისიის გამომძიებელს, ისე სასამართლოს გამომძიებელს, მაგრამ არც ერთმა გამომძიებელმა განაწილა ლაზარიშვილის ასეთი განცხადებას ყურადღება არ მიაქცია; ამიტომ ამ წერილს ის ადგენს ებლა, მაგრამ, რადგანაც ის ხელმოწერილია ან განსვენებულ ლეონიდის მიერ და ხელის მონწილეობის შესახებ არ არის საკმარისი საბუთები, რომ გარდა ამისა, საკათალიკოსო საბჭოში არის საქმე სიონის და მცხეთის ტაძრების განძეულობათა შესახებ და რომ იმ საქმეებში მოიპოვება სია, ჯაფარიძის მიერ ხელმოწერილი, იმ ნივთებისა, რომელიც 1921

ნელს თებერვლის შუა რიცხვებში ქუთაისში გაიგზავნა, რომელი სიაც მოწმობს იმას, რომ ლაზაროვიელმა ევ ნივთები ჩააბარა ჯაფარიძეს უფროსების დავალებით, მაგრამ ევ სია კი გამოთხოვილი და შემონმებული გამოძიების მიერ არ არის, ისე როგორც დადგენილება ამავე საბჭოს განცხადების ქუთაისში ევაკუაციის შესახებ — ითხოვს, საქმე გადადებულ იქნეს და მოხდეს დამატებითი გამოძიება.

**მღვდელი შვილი** — დამცველი მირიანაშვილის განმარტავს რა იმას, რომ მირონაშვილს ბრალდება შემონმრულ ნივთულობათა გადამაღვა, აღნიშნავს, რომ ამ მხრივ გამოძიებას არაფერი არ გაუკეთებია; ვინაიდან არ არის განხილული ის სამი წიგნი, რომლებიც საქმეში წარმოდგენილია, რომ არის კიდევ ეკლესიაში ერთი წიგნი, სადაც შეტანილია ეკლესიის ვვლა ქონება, დაწყებული 1912 წლიდან, რომ ეს წიგნი მარტენებელია ეკლესიის მთელი ქონებისა, მაგრამ არც ეს წიგნია დახედული და შემოწმებული, ამიტომ საჭიროა მათი დახედვა და შემოწმება, აგრეთვე დაკითხვა ზოგიერთი მოწმისა, რომლებიც აღნიშნავენ დანიშნულებას იქ ჩაწერილი ნივთებისა და შემონმრულობათა, რის გამო საქმის გარჩევა გადადებულ იქმნას და გადაეცემა დამატებითი გამოძიების მოსახდენად.

**ყანაქელი** — დამცველი ცინციძისა, ითხოვს საქმის გარჩევა გადადებულ იქმნას და გადაეცემა დამატებითი გამოსაძიებლად, რადგანაც ანგარიშის წიგნები ქვაშვილის ეკლესიაში შედგენილია შვად და დაუმთავრებული თეთრად.

**გელაზარაშვილი** — დამცველი თავდგირიძის და არჯევანიძისა, ითხოვს საქმის გარჩევა გადადებულ იქმნას დამატებითი გამოძიების მოსახდენად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ საუხუცეთა შორის კომისიის ოქმების დასათვალისწინებლად, გამოსარკვევად იმ გარემოებისა: როდის, ე. ი. რომელ რიცხვს იყო დაინიშნული სათავადრო ტაძრის ჩაბარების დღე — 10 იანვარს, როგორც მოწმობს საქმეში დართული ოქმი კი კომისიისა, თუ 12 იანვარს; ეცნობა თუ არა საკათალიკოზო საბჭოს წევრებს ამის შესახებ, ვინაიდან მათ ბრალდებათ, რომ არ დაემორჩილნენ და წინააღმდეგობა გაუწიეს საბჭედრო ტაძრის ჩაბარებას მით, რომ არ გატყავეს წარმომადგენელი 10 იანვარს 1923 წელს; რა შინაგანის განკარგულება იყო გაეცემული თავრობის თავმჯდომარის მიერ, რომელზედაც უთხოვს მინაგან საქმეთა სახალხო კომისარის თანაშემწე „ჩეკის“ თავმჯდომარის სახელზედ მინერლობაში 11 იანვრის თარიღით, იყო

თუ არა ამ განკარგულებაში ნათქვამი იქნება მე საღვთისმამაებრო საგნის ჩაბარებაზე; ასე მხოლოდ ტაძრის ჩაბარებაზე და ეცნობა თუ არა ეს უკანასკნელი განკარგულება საკათალიკოზო საბჭოს; ამ გარემოებებს არსებითი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან რაკი მთავრობის თავმჯდომარე საჭიროდ დაინახა კომისიის დანიშვნა 12 იანვარს, ესადა, ეს უნდა შეეტყობინებია საკათალიკოზო საბჭოსათვის, რომელსაც შეეძლო სულ სხვა დადგენილება გამოეტანა, მით უფრო საჭირო იყო ეს, რომ 10 იანვარს არავითარი კომისია არ შეგროვილა და, მამასადავად, არც წინააღმდეგობის განწევა შეიძლებოდა.

პროკურატურა ხელახლად აღნიშნავს საქმის გადაუდებლობის შეუძლებლობას, ვინაიდან შემორანდუმის გაგზავნას და მიღებას მისას გენუაში არ უარყოფს თვით ბრალდებული კათოლიკოზი ამბროსი და რომ მემორანდუმში აღნიშნული გარემოებების ცალკე გამოძიებას ბრალდების ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელობა არა აქვს; რომ განძეულობის გადამაღლას აქვს ხანგრძლივი და გავრძელებითი ხასიათი და რომ ზოგიერთ საბუთის განხილვას და შემონმებას ექსპერტების საშუალებით გარეშობა არ ითხოვს, ვინაიდან საქმეში ვვლა გარემოებათა გამოსარკვევად საქმარისად დაგროვილა მასალა.

**დამცველი ბარათაშვილი** — მიუთითებს სასამართლოს იმ გარემოებაზედ, რომ დარღვეულია საერთო სისხ. სამ. საბრ. კოდექსის 175, 208, 139, 398 მუხვ. და ამიტომ, ასეთ პირობებში, შეუძლებელია საქმე გარჩეულ იქნეს დღესვე, რის გამო უნდა გადაიდოს და მოხდეს დამატებითი ძიება.

**დამცველი დადიანი**, სხვათა შორის, ითხოვს შეტანილ იქმნეს ოქმში ის გარემოება, რომ პროკურატურამ საპასუხო სიტყვიში წარმოთქვა ის, რომ ტყეზალაძეს ბრალად ედება „დაფარვა გატაცებულ განძეულობისაო“.

პროკურატურის და დამცველების განმარტებებს მოსმენის შემდეგ საქმის გადადებისა თუ გარჩევისა შესახებ — სასამართლო გავიდა სათათბირო ოთახში დადგენილების გამოსატანად.

**გამოსვლისას** — სასამართლომ გამოაქვეყნა შემდეგი დადგენილება:

მოსმინა რა სასამართლომ ბრალდებულთა განცხადება, გამოუთხადებელ კანანძის და მინაშვილი ციტიშვილის დაუხმრებლად, საქმის დღევანდელ სხდომაზედ მოსმენის შესახებ და აგრეთვე დამცველთა შუამდგომლობა ვინაიდან: 1. საქმის გამოძიება არ არის სრული მით, რომ საქმეში მოივსებულ მასალებიდან არ ირკვევა ბრალდებულ ხელაიასადმი ნაყენებულ ბრალდებაში აღნიშნული ქმედობა — იყო დასრულებული მო-

ქმედება, ხელყოფა, თუ იგი იყო მარტო ცდა, რომ საქმეში არ არის საკმარისი მასალა იმის შესახებ, ბრალდებულმა ხელაიამ თავის მემორანდუმში გენუის კონფერენციას მიანოდა ტყუილი ცნობები თუ იქ მოყვანილ ცნობებს მართლა ქონდა ადგილი, რომ აუცილებლად საჭიროა გამოწვეულ იქნას ექსპერტები, კალიგრაფები წარმოადგენილ ან გარდაცვალებულ კათოლიკოზ ლეონიდის წერილის ექსპერტიზის მოსახდენად, რადგან აღნიშნულ წერილს, სადაც ნათქვამია, რომ მაშინ არსებული მთავრობის მიერ განძეულობის თბილისიდან გახიფვდა ნება დართული იყო — აქვს საქმისათვის აგრებითი მნიშვნელობა, რომ ამიტომ და ავრთვე იმიტომ, რომ დარღვეულია სისხ. სამ. საბრ. კოდექსის 208 მუხ. თანახმად 272 და 302 მუხ. საქმე უნდა იქნას მოსმენით გადადებული და გამოძიებით შექცებული, და სასამართლომ იმსჯელა რა აღძრული შუამდგომლობების შესახებ, მიიღო რა მხედველობაში, რომ საქმე საკმარისად არის გამოძიებული, რომ დამატებით გამოძიება ვერ შესაძლებელია საქმის არსებით მხარეს, რომ რაც შეეხება წარმოდგენილ ან განსვენებულ ლეონიდის წერილის ექსპერტიზის მოხდენას, სასამართლოს უნდემტად მოაჩინა, რადგან ეჭვი არ ეპარება წერილის სინამდვილეში, რომ რადგან გამოუვსადებელი მოწმის, ციტიშვილის რამოდენიმე ჩვენება საქმეში არსებობს და თუ მხარეები აღჰრადნ შუამდგომლობას, თავის დროზედ იქნება გამოძვეებული, რომ აგრეთვე, რადგან, სასამართლოს აზრით, საქმეში საკმარისაა დაგროვილი მამხილებელი საბუთები არა საბატო კონუხებით გამოუცხადებულ ბრალდებულ კაპანაძის წინააღმდეგ და იმიტომ საჭიროდ მიჩნია მის, ბრალდებულ კაპანაძის, დაუსრებლად მის შესახებ საქმის დღევანდელ სხდომაზედ განხილვა, — და ა ა გ რ ა: 1. საქმე იქნეს მოსმენილი დღევანდელ სხდომაზე და 2. გამოუცხადებულ კაპანაძის შესახებ საქმე იქნეს განხილული მის დაუსრებლად.

ამის შემდეგ წაკითხულ იქნა საბრალმდებო ოქმი.

საბრალმდებო ოქმის წაკითხვის შემდეგ სხდომა დაიხურა საღამოს 7 საათზედ და გადმოიწო მცირე დღის საღამოს 5 საათისათვის

მორი დღე

11 მარტი 1924 წ.

სხდომა გაიხსნა საღამოს 6 საათზედ. სასამართლოს მოხსენდა წინა დღეს გამოუცხადებული მოწმის, პლტონ ციტიშვილის გამოცხადება.

თავმჯდომარე აფრთხილებს მას, რომ საქმის შესახებ უფლაფერა სწავილეთ და არა რა დაფაროს, რის შემდეგ იგი გაყავთ მონშებების ოთახში.

თავმჯდომარე მოუწოდებს სათითაოდ ბრალდებულთ და უკითხავს ბრალდებას:

1. კათალიკოზ ამბროსი იმაში, რომ მან სხვებთან ერთად, ინტერვენციის მიზნით, შეადგინა მონოდა გენუის კონფერენციისადმი, სადაც მოათავსა ცრუ ცნობები საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ; რომ მან იცოდა, სად ინახებოდა მენშევიური მთავრობის დროს გატაცებული საეკლესიო განძეულობა და არ ამცნო ეს მთავრობას, რომ ის საკათალიკოზო საბჭოს წევრებთან ერთად არ დაემორჩილა მთავრობის დადგენილებას და არ წარგზავნა თავისი წარმომადგენლები საუნეტებათაშორისა კომისიაში სამხედრო ტაძრის ჩასაბარებლად.

2. ქუთაისის მიტროპოლიტ ანდრია ლეჭავას (ნახარი) — იმაში, რომ მან იცოდა, სად ინახებოდა მცხეთისა და სიონის ტაძრებიდან გატაცებული საეკლესიო განძეულობა და არ აუნყა ეს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას, მაშინ, როდესაც ეს განძეულობა გამოცხადებული იყო ხალხის საკუთრობად და უნდა მოხმარებოდა დამშეულთა გამოცეხებას.

3. ბრალდებულ ცინცაძეს — იმაში, რომ ის ღებულობდა მონაწილეობას ამბროს ხელაიასთან ერთად გენუის კონფერენციისადმი მონოდად შეადგენასა და შიდა ცრუ ხმების მოთავსებაში; რომ მან ხელი შეუწყო ჯაფარიძეს განძეულობის გატაცებაში და წინააღმდეგობა გაუწია მთავრობას სამხედრო ტაძრის გადაცემაში;

4. ბრალდებულ ტყემალაძეს — იმითვე, როგორც ცინცაძეს, და უთავბოლოდ საეკლესიო ანგარიშების ნიგნებში გატარება და ქონების გაფლანგვა;

5. არქიმანდრიტ ჯაფარიძეს — იმაში რომ მან გაიტანა მცხეთისა და სიონის ტაძრის განძეულობა და დაკრძალა ის ქუთაისში არქიერის სასახლის აფენის ქვეშ.

6. იოსებ მიჩინაშვილს — იმაში, რომ ის ამბროსისთან ერთად მონაწილეობას იღებდა გენუის კონფერენციისადმი მემორანდუმის შედგენაში; რომ დადების ეკლესიაში, მოთვისების სურვილით, ინახავდა 30 გრვანქა ვერცხლს, ნიგნებში გაუტარებლივ, და რომ გაფლანგა ხალხის ქონება.

7. დიმიტრი ლახარიშვილს — იმაში, რომ მან ხელი შეუწყო ჯაფარიძეს საეკლესიო განძეულობის გატაცებაში;

8. ანტონ თოთიბაძეს — იმაში, რომ ის არ დაემორჩილა მთავრობის განკარგულებას სამხედრო ტაძრის გადაცემის შესა-

საქართველო  
საბჭოთა კავშირი

ხებ და საეკლესიო წიგნების წარმოების გლახათ გატარებით გაფლანგა ხალხის ქონება;

9. ნიკოლოზ თავდგირიძეს — იმაში, რომ ის მონაწილეობას ღებულობდა, აპბროსთან ერთად, გენუის კონფერენციისადმი მემორანდუმის შედგენაში და რომ არ დაემორჩილა მთავრობის განკარგულებას სამხედრო ტაძრის გადაცემის შესახებ;

10. ნიკოლოზ არჯევანიძეს — იმაში, რომ არ დაემორჩილა მთავრობის განკარგულებას სამხედრო ტაძრის გადაცემის შესახებ; და უკითხვა: სცნობენ თუ არა ისინი თავიანთ თავს დამნაშავედ წამოყენებულ ბრალდებაში.

არც ერთი ბრალდებული თავს დამნაშავედ არ სცნობს.

ბრალდებულის ბრალდებულებისადმი წაყენებისა და შეკითხვის შემდეგ სხდომა წყდება ხუთი წუთით.

სხდომის განახლებისას სასამართლო გადადის საჯარო გამოძიებაზე.

სასამართლო ჩვენებას ართმევს აპბროსი ხელაიას და მის შემდეგ, როდესაც ის აცხადებს, რომ ჯერ-ჯერობით სათქმელი არა აქვს რა და მზათ არის უპასუხოს სასამართლოს კითხვებზე, თავმჯდომარე აძლევს რამდენიმე შეკითხვას:

შეკითხვაზე: მისი დანერვილა მემორანდუმში თუ არა — უპასუხებს, რომ მისი; კითხვაზე: რისთვის მიმართა მოწოდებით გენუის კონფერენციას და რას მიიღოდა ამ მოწოდების გაგზავნით, უპასუხებს: რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის მოთხოვნით ის იცავდა, ერთის მხრივ, ანშეყო მთავრობის დამოუკიდებულ არსებობას და, მეორეს მხრივ, ასეთი თავისუფლების განმტკიცების — ეკლესიის თავისუფლებას. შემდეგ კითხვებზე: რისთვის მოითხოვდა გაყვანას საქართველოდან ნითელი ლაშქრის, რომელიც არის მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველი — ბრალდებული უპასუხებს, რომ მან დღესაც არ იცის, ვის ინტერესებს იცავს ნითელი ლაშქარი, რომ, როდესაც ის ნითელ ლაშქრის გაყვანას ითხოვდა, მას ჰქონდა მხედველობაში ინტერვენცია, რადგანაც ინტერვენცია ხდება ჯარის საშუალებით.

შეკითხვაზე, როდის იყო საქართველო უფრო თავისუფალი — ახლა თუ ნითელი ლაშქრის შემოსვლამდე — უპასუხებს: ნითელ ლაშქრის შემოსვლამდე; მის შემდეგ კი, რაც ნითელი ლაშქარი შემოვიდა, დამოუკიდებლობა საქართველოსი დაიკარგა და რომ, მისი აზრით, ხალხიც ეგრე ფიქრობდა. შეკითხვაზე — იცის თუ არა მან, რომ საბჭოთა ხელისუფლება იცავს მშრომელთა ინტერესებს — უპასუხებს: ვიცი, უპასუხებდ შეკითხვაზე: რაში ხედავს ის მორწმუნეთა ინტერესების შელახვას და როდის უფრო იყო შელახული სარწმუნოებრივი ინტერესები ეკლესიისა — უპასუხებს: სარწმუნოებას ნიკოლოზიც იცავდა, მაგრამ მე მაშინაც ვიბრძოდი და ეხლაც ვიბრძოვ. ჩემის დაკვირვებით, საბჭოთა ხელისუფლება თელავდა სარწმუნოებრივ ინტერესებს მშრომელთა ხალხისა, ამაში მე დარწმუნებული ვიყავი და ეს გამართლდა კიდევ.

თავმჯდომარე: — მემორანდუმში თქვენ ნათქვამი გაქვთ, რომ ქართულ ხალხს ართმევენ მინა-წყალს და ურიგებენ სხვა ერებს. დამისახებლეთ: რა ნაართვენ ხალხს და ვის რა გადასცეს!

აპბროსი: — არამც თუ მინა-წყალი, ხალხიც გადაცემულია სხვა ერებზე ეს დამტკიცდება მაშინ, როდესაც მოიტანთ საქართველოს რუქას და თუ ასეთი გზით დამტკიცება სასამართლოს შეზღუდვებით საქირი არ არის — მაშინ გაჭურვებ.

თავმჯდომარე: — თქვენ ამბობთ, რომ ნინაალმდეგი ხართ უცხო სახელმწიფოს ჩარევისა და თითონ კი ისეთ ხალხს მიმართავთ, რომლებიც მშრომელი ხალხის ინტერესებს არ იცავენ?

აპბროსი: — გენუაში იყო მონველი სამშვიდობო კონფერენცია, სადაც სხვათა შორის, იჩნეოდა პატარა ერების თავისუფლების საქმე; იქ იყო წასული საქართველოს წარმომადგენელი და მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ის დაიცავდა საქართველოს დამოუკიდებლობას; ამიტომ ვფიქრობდი მემორანდუმის გაგზავნით მის დახმარებას.

თავმჯდომარე: — დამისახებლეთ, რა ნითებთ და სად რა გაიტანეს საქართველოდან?

აპბროსი: — ნითების გატანის შესახებ იყო ლაპარაკი ხალხში; თუ რა ნაიღეს — ამის შესახებ არის საბუთები და თუ საშუალებას მომიცემთ, დაგიტკიცებთ.

თავმჯდომარე: — როგორ უყურებთ მამულების ჩამორთმევას?

აპბროსი: — ეს მთავრობის საქმეა; ისე კი მინა მას უნდა ეუთვნოდეს, ვინც მას ამუშავებს.

თავმჯდომარე: — რა დამოკიდებულება გქონდათ კათალიკოზ ლეონიდიანს?

აპბროსი: — ემორჩილებოდი. რა ხდებოდა საქათალიკოზო საბჭოში მისი კათალიკოსის დროს — არ ვიცი; მცოდინებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მინველი ვიქნებოდი საბჭოს რომელიმე სხდომაზე.

თავმჯდომარე: — გიხსრათ თუ არა რაიმე ლეონიდიან განმუხლობის გატანის და დამალვის შესახებ?

ტერუებს — უპასუხებს: ვიცი, უპასუხებდ შეკითხვაზე: რაში ხედავს ის მორწმუნეთა ინტერესების შელახვას და როდის უფრო იყო შელახული სარწმუნოებრივი ინტერესები ეკლესიისა — უპასუხებს: სარწმუნოებას ნიკოლოზიც იცავდა, მაგრამ მე მაშინაც ვიბრძოდი და ეხლაც ვიბრძოვ. ჩემის დაკვირვებით, საბჭოთა ხელისუფლება თელავდა სარწმუნოებრივ ინტერესებს მშრომელთა ხალხისა, ამაში მე დარწმუნებული ვიყავი და ეს გამართლდა კიდევ.

თავმჯდომარე: — მემორანდუმში თქვენ ნათქვამი გაქვთ, რომ ქართულ ხალხს ართმევენ მინა-წყალს და ურიგებენ სხვა ერებს. დამისახებლეთ: რა ნაართვენ ხალხს და ვის რა გადასცეს!

აპბროსი: — არამც თუ მინა-წყალი, ხალხიც გადაცემულია სხვა ერებზე ეს დამტკიცდება მაშინ, როდესაც მოიტანთ საქართველოს რუქას და თუ ასეთი გზით დამტკიცება სასამართლოს შეზღუდვებით საქირი არ არის — მაშინ გაჭურვებ.

თავმჯდომარე: — თქვენ ამბობთ, რომ ნინაალმდეგი ხართ უცხო სახელმწიფოს ჩარევისა და თითონ კი ისეთ ხალხს მიმართავთ, რომლებიც მშრომელი ხალხის ინტერესებს არ იცავენ?

აპბროსი: — გენუაში იყო მონველი სამშვიდობო კონფერენცია, სადაც სხვათა შორის, იჩნეოდა პატარა ერების თავისუფლების საქმე; იქ იყო წასული საქართველოს წარმომადგენელი და მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ის დაიცავდა საქართველოს დამოუკიდებლობას; ამიტომ ვფიქრობდი მემორანდუმის გაგზავნით მის დახმარებას.

თავმჯდომარე: — დამისახებლეთ, რა ნითებთ და სად რა გაიტანეს საქართველოდან?

აპბროსი: — ნითების გატანის შესახებ იყო ლაპარაკი ხალხში; თუ რა ნაიღეს — ამის შესახებ არის საბუთები და თუ საშუალებას მომიცემთ, დაგიტკიცებთ.

თავმჯდომარე: — როგორ უყურებთ მამულების ჩამორთმევას?

აპბროსი: — ეს მთავრობის საქმეა; ისე კი მინა მას უნდა ეუთვნოდეს, ვინც მას ამუშავებს.

თავმჯდომარე: — რა დამოკიდებულება გქონდათ კათალიკოზ ლეონიდიანს?

აპბროსი: — ემორჩილებოდი. რა ხდებოდა საქათალიკოზო საბჭოში მისი კათალიკოსის დროს — არ ვიცი; მცოდინებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მინველი ვიქნებოდი საბჭოს რომელიმე სხდომაზე.

თავმჯდომარე: — გიხსრათ თუ არა რაიმე ლეონიდიან განმუხლობის გატანის და დამალვის შესახებ?

გეგმა  
სიძმის

ამბროსი: — არაფერი უთქვამს და არც შეეძლო ეთქვა, რადგანაც მე ვყავი სოხუმის ეპარქიაში, სადაც მისვლა-მოსვლა არ იყო. ლეონიძის ცოცხალს ვერ მოეუხსნარო.

თავმჯდომარე: — იცნობთ თუ არა ჯაფარიძეს და გიოხრათ თუ არა მან რაიმე გადამაღული განძეულობის შესახებ?

ამბროსი — ჯაფარიძეს კარგად ვიცნობ. მე, როგორც მღვდელი მთავარს, უნდა მცოდნოდა გადამაღული განძეულობის შესახებ, მაგრამ, ვინაიდან მეც და საბჭოც დარწმუნებული ვყავით იმაში, რომ განძეულობა გატანილია საზღვარგარეთ, არავისათვის არაფერი მიკითხავს, ჯაფარიძემ უთუოდ იცოდა, მაგრამ არ უთქვამს ჩემთვის, ალბათ იმიტომ, რომ ფიცქვეშ დაებალა ქონდა არავისთვის არაფერი ემხილა.

თავმჯდომარე: — ვისთვის ინახებოდა განძეულობა?

ამბროსი: — ეკლესიისათვის. კითხვებს აძლევს სასამართლოს წევრი ნიკეივადე.

ნიკეივადე: — იყავით თუ არა კათალიკოზის საბჭოს თავმჯდომარედ.

ამბროსი: — ვყავი.

ნიკეივადე: — აქვს თუ არა საკათალიკოზო საბჭოს რაიმე დებულება, რომელიც საზღვარს საბჭოსა და მისი თავმჯდომარის უფლებებს?

ამბროსი: — არა.

ნიკეივადე: — იყო თუ არა რომელიმე საბჭოს სხდომაზედ დასმული გადასაწყვეტად იგი საკითხი?

ამბროსი: — იყო.

ნიკეივადე: — როგორ წყდებოდა ასეთი საკითხები? დებულებების ძალით?

ამბროსი: — ყოველი საკითხის გადაჭრა მე შემძლია ჩემი პასუხისმგებლობით.

ნიკეივადე: — უნდა მოგესტენებიათ ეს მერმე საბჭოსათვის?

ამბროსი: — კიდევ შემეძლო, კიდევ არა.

ნიკეივადე: — გერუაში გაგზავნილი მემორანდუმი დიდი საკითხია, თუ მარტო თქვენ შეეძლოთ მისი გაგზავნის გადამწყვეტა?

ამბროსი: — ვფიქრობ, რომ მე შემეძლო, როგორც მორწმუნე ხალხის არჩეულს. მე საჭიროდ არ ვსთვლიდი, ეს საკითხი საბჭოში დამესვა. დავაპირე მომხსენებია მერმე, როდესაც უკვე ხმა გავრცელდა, მაგრამ უქმეებისა გამო სხდომები არ ყოფილა და მოხსენებაც არ გამიკეთებია.

ნიკეივადე: — იცოდნენ თუ არა მემორანდუმის შესახებ საბჭოს წევრებმა მისი პრესაში გამოქვეყნებამდე?

ამბროსი: — მე ეს არ ვიცი.

ნიკეივადე: — ვისი დაგეგმვაშია ტანა ჯაფარიძემ განძეულობა?

ამბროსი: — ჩემი ნინაპრის, კათალიკოზ ლეონიძესი. ეს მე გავიგე მერმე, როდესაც ნიუიბი აღმოჩნდა. გავიგე არქიმანდრიტ ჯაფარიძესაგან.

ნიკეივადე: — იცოდით თუ არა, როდესაც კათალიკოზობას შეუდგით, რომ მცხეთისა და სიონის ტაძრებში ინახებოდა მდიდარი განძეულობა და მოკითხეთ თუ არა ისინი?

ამბროსი: — მე შეეკითხე ტაძრების წინამძღოლთ, რომლებმაც მიპასუხეს, რომ საზღვარგარეთ არის გატანილი და მეც მეტი არ დავინტერესებულვარ, რადგანაც თვით ვყავი ამაში დარწმუნებული. ეს იყო მიზეზი, რომ მათ აღმოჩენამდე არავითარი ზომები არ მიმიღია და საზღვარგარეთ კი ვერ მიწევდებოდა.

რთველადე (სასამართლოს წევრი): — სცნობთ თუ არა, რომ საბჭოთა ხელისუფლება არის ხალხის თავისუფლების დამცველი?

ამბროსი: — ვცნობ და მის წინააღმდეგ მე მემორანდუმიში კინტიც არ დამიძრავს. მე საბჭოთა ხელისუფლების მომხრე ვარ, მაგრამ ამავე დროს მინდა, რომ საქართველოში ის იყოს თავისუფალი, ერის თავისუფლებაც იმაშია, რომ მთავრობა მისი იყოს დემოკრატიული, საქართველოში კი მთავრობა დამოკიდებულია სხვა ერის მთავრობისაგან. საქართველოში თავისუფლება ავტონომიურია. შეუთხვებს იძლევა პროკურატურა.

პროკ. მათავარიანი — რელიგიოზურია თუ როგორი თქვენ მიერ გენუის კონფერენციასზედ გაგზავნილი მემორანდუმი?

ამბროსი: — რელიგიოზური, და თუ პოლიტიკური მიმართულებაც მიიღო, ეს განმარტულია არსებული მდგომარეობით.

პროკ. მათავარიანი: — ტერიტორიის საკითხის შესახებ პოლიტიკურია თუ რელიგიოზური?

ამბროსი: — პოლიტიკურაც და რელიგიოზურაც, რადგანაც ტერიტორიის დაკარგვა დაკარგვა ეკლესიისათვის.

პროკ. მათავარიანი: — ვის გაატანეთ მემორანდუმი?

ამბროსი: — კაპანაძეს.

პროკ. მათავარიანი: — კაპანაძე საკათალიკოზო საბჭოს წევრია?

ამბროსი: — კაპანაძე საბჭოს წევრი არ იყო.

პროკ. მათავარიანი: — ვისთვის უნდა გადაეცა კაპანაძეს მემორანდუმი — გენუის კონფერენციის თავმჯდომარესათვის, თუ ვინმე პირისათვის?

ამბროსი: — მემორანდუმი უნდა გადა-

ეცა გენერის კონფერენციის თავმჯდომარისათვის, რადგანაც სხვა ვისმეს სახელზედ ის გაგზავნილი არ იყო.

პროკ. მატაეაჩიანი: — როდის გაცნობათ ჯაფარიძემ განქულების დამალვის შესახებ, და რისთვის გინახულათ იმ დროს, როდესაც მინარე პატიმრობაში იყავით?

ამბროსი: — მაცნობა ნახვის შემდეგ და მინახულა კი იმიტომ, რომ კათალიკოზი და მისი უფროსი ვიყავი.

პროკ. ოკუჯაევა: — ვისი ბრძანებით და განკარგულებით ჩამოეჭრა საქართველოს მინა?

ამბროსი: — ვისი ბრძანებით და განკარგულებით — ეს ჩემი საქმე არ არის.

პროკ. ოკუჯაევა: — იქნებ ომით ჩამოგორთვა?

ამბროსი: — არ ვიცი, მე უხედავ მხოლოდ, რომ ჩვენი მინა-წყალი სხვის ხელშია.

პროკ. ოკუჯაევა: — განმით თუ არა საბჭოთა მთავრობა?

ამბროსი: — ყოველთვის მწამდა და ელბაც მწამს, რადგანაც ამას ითხოვს ჩემი სარწმუნოება.

პროკ. ოკუჯაევა: — იცოდით თუ არა, რომ სხვა სახელმწიფოები მტრულად ექცევიან საბჭოთა ხელისუფლებას?

ამბროსი: — ვიციდი.

პროკ. ოკუჯაევა: — რას ფიქრობდით მემორანდუმში რაიმე შეეხება მოუტანდა საქართველოს?

ამბროსი: — ვფიქრობდი.

პროკ. ოკუჯაევა: — დამისახელეთ, რომელი საბუთის ძალით წაერთვა საქართველოს დამოუკიდებლობა?

ამბროსი: — ინტერვენციით.

პროკ. ოკუჯაევა: — თქვენ ამბობთ მემორანდუმში, რომ რუსეთი არის მწაგვრელი პატარა ერებისა? რომელი რუსეთი, ძველი თუ ახალი?

ამბროსი: — მე ძველი რუსეთი მქონდა მხედველობაში და ესეც ამ აზრისა ვარ.

პროკ. ოკუჯაევა: — რათ უწოდებთ რუსეთის ლაშქარს საოკუპაციო ლაშქარს?

ამბროსი: — იმიტომ, რომ მან მოახდინა საქართველოს ოკუპაცია.

პროკ. ოკუჯაევა: — იცოდით თუ არა, რომ საქართველოში წითელი ჯარის შემოსვლა იყო მოთხოვნილება ქართველ კომუნისტების და მშრომელი ხალხის.

ამბროსი: — მე ეს არ ვიციდი.

პროკ. ოკუჯაევა: — რაში გამოიხატა საქართველოს დამონება რუსეთის მხრივ?

ამბროსი: — ას ოცი წლის თავისუფლების, დამოუკიდებლობის მაძებარი ხალხის თავისუფლების ინტერვენციით წართმევაში.

პროკ. ოკუჯაევა: — დამოუკიდებელია

თუ არა დღეს საქართველო საბჭოთა სუფლების დროს?

ამბროსი: — საბჭოთა ხელისუფლების ხელში საქართველო მე მიმართა დამოუკიდებელი იდეურად, მაგრამ ფაქტიურად ეს ეგრე კი არ არის.

პროკ. ოკუჯაევა: — დამისახელეთ, რაში გამოიხატა ფიზიკური გადაშენება ხალხისა.

ამბროსი: — ენის დევნაში, ტერიტორიის სხვის ხელში გადაცემაში და იმაში, როდესაც ხელისუფლება ქართველთა ხელში არ არის.

პროკ. ოკუჯაევა: — იცოდით თუ არა თქვენ, როდესაც წითელი ჯარის საქართველოდან გაყვანას მოითხოვდით, სურდა თუ არა ეს საქართველოს მთავრობას?

ამბროსი: — არ სურდა. გაზეთებიდან ვიცი.

პროკ. ოკუჯაევა: — იცოდით თუ არა, როდესაც ინგლისს მიმართავდით, რომ ის მოითხოვდა საქართველოს არსებული მთავრობის გადაყენებას და მისი მსგავსის დაყენებას?

ამბროსი: — ჩემს წერილში მე არ მოთქვამს არსებული მთავრობის გადაყენების შესახებ. მე ვითხოვდი მხოლოდ ჩვენი მთავრობის დამოუკიდებლობას. როგორ მოთხოვდა მოითხოვდა ინგლისი, მე ეს არ ვიცი; მე ვითხოვდი ისეთ მთავრობას, როგორ მოთხოვდასაც ქართველი ერი ისურვებდა. სხვაფრივ კი წესწყობილების საკითხის განხილვაში არ შეესულვარ და არც შევდივარ.

ბრალმდებელი ერქომაიშვილი: — არის თუ არა ჯარის გაყვანის მოთხოვნა პოლიტიკური ხასიათის?

ამბროსი: — პოლიტიკურად იმდენად, რამდენადაც ის ხელს უშლის ეკლესიის თავისუფლებას.


ერქომაიშვილი: — მაგალითად რაში გამოიხატა რუსეთის ჯარის ჩარევა ეკლესიის თავისუფლებაში?

ამბროსი: — მაგალითად ვერ მოვიყვან, მხოლოდ თავისუფალ ერს უნდა ეადგეს თავისუფალი ჯარი; რამდენად თავისუფალია ერი იმდენად, თავისუფალია ეკლესიაც.

ერქომაიშვილი: — როგორ უკუვრებთ მინშევიკურ დროს საქართველოში გერმანიის და ინგლისის ჯარების ყოფნას. იყო მაშინ შეღახული დამოუკიდებლობა საქართველოსი?

ამბროსი: — გერმანიის და ინგლისის ჯარების ყოფნას საქართველოში — საქართველოს დამოუკიდებლობა არ მოუხსნია.

ერქომაიშვილი: — იყო თუ არა სანინააღმდეგო დადგენილება საკათალიკოზო საბჭოში შესახებ იმისა, რომ სამხედრო ტა-



ძრის გადაცემაში საბჭოს წარმომადგენლებს მონაწილეობა არ მიეღოთ?

ამბროსი: — დადგენილება საკათალიკოზო საბჭოსი, შესახებ სამხედრო ტაძრის მთავრობის მიერ ჩაბარების დროს მონაწილეობის მიუღებლობისა, არ არის მთავრობის სანიწაღმდეგო, რადგანაც ტაძრის დარღვევაში მონაწილეობის მიღება იყო ჩვენი რწმუნის საკითხი და ამიტომ ჩვენთვის მიუღებელი.

ერკომაიშვილი: — რატომ ფიქრობთ იქვე, რომ რუსეთის ჯარს არჩენს საქართველო?

ამბროსი: — იმიტომ, რომ მისი ჯარი აქ არის.

ერკომაიშვილი: — მოახსენეთ თუ არა თქვენ საკათალიკოზო საბჭოს მემორანდუმის გენუაში გაგზავნის შესახებ მანამდე, სანამ ეს პრესაში გამოქვეყნდებოდა?

ამბროსი: — არ მომიხსენებია.

ერკომაიშვილი (შიშაროას სასამართლოს): ვინაიდან ამბროსის ასეთ განცხადებას და გაუმომხებელთან მიცემულ ჩვენებას შორის არის წინააღმდეგობა, ვთხოვ ნაკითხულ იქნას ოქმი მისი ჩვენებისა (გვერდი საქმისა 349).

სასამართლო აქვეყნებს აღნიშნულ ჩვენებას ამბროსისას, საიდანაც ხჩანს, რომ ის აფასტურებს იმას, რომ მემორანდუმის შესახებ მან მოახსენა საბჭოს მანამდე, სანამ ეს გაზეთებში გამოცხადდებოდა.

პასუხად ამისა ამბროსი ითხოვს, ნაკითხულ იქმნას მისი განცხადება, რომელიც მოთვისებულია საქმესთან და მოთავსებული საქმის 371 გვერდზე.

სასამართლო აკმაყოფილებს მის შეამდგომლობას. განცხადებაში ის უარყოფს მის ჩვენებას და განმარტებისთვის დასძენს:

საბჭოს სხდომა არ ყოფილა, ამიტომ ვერც მოხსენებას გაეკეთებდი, მხოლოდ ერთს თუ ორ წევრს არა ოფიციალურად საიდუმლოება გაუანდე. სხდომა რომ შემდგარიყო, უძეველად მოვახსენებდი მემორანდუმის გაგზავნას.

პროკურატურა ითხოვს, ამბროსის უკანასკნელი განცხადება შეტანილი იქნას ოქმში.

ერკომაიშვილი: — რაში გამოიხატა შემოხიზნულთათვის მინაწადის დარიცხვა? საზღვრების ჩამოჭრასა თუ მიწების დარიცხვაში?

ამბროსი: — ადგილი აქვს ორივე შემთხვევას. მხედველობაში მქონდა ყარაიაზში რუსების შემოხიზვნა და დასახლება.

ერკომაიშვილი: — იცით თუ არა, რომ ისინი ადრე აქ ესახლენ, მერმე გაიქცნენ და ესხლა ისევ დაბრუნდნენ?

ამბროსი: — შე ვიცი ის, რომ მათი

გახიზვნის შემდეგ იქ იყვნენ დასახლებულნი ქართველები.

ერკომაიშვილი: — სად არის დევნილი მშობლიური ენა?

ამბროსი: — მიგითითებთ განათლების კომისიარატის განკარგულებაზე, რომელიც მოხდენილია მემორანდუმის გაგზავნის შემდეგ. ეს განკარგულება შეეხება წარმოების ქართულ ენაზე შემოღებას. სჩანს, წარმოება ადრე რუსულად ყოფილა.

ერკომაიშვილი: — იცოდით თუ არა იქვე, რომ რუსეთის სამხედველობა ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლებას?

ამბროსი: — ეიცოდი, მაგრამ ეს საქართველოს არ ეხება.

თავმჯდომარე: — თქვენ ამბობთ, რომ ქართული ენა დევნილია, ეს რომ ეგრე იყოს, შეიძლება განა ასეთი სასამართლო, როგორიც დღესაა?

ამბროსი: — ეს არის ფლეს, ნაციონალიზაციის გატარების შემდეგ.

ერკომაიშვილი: — ვისზედ და რაში გამოიხატა ქართველების უფლებების აყრა.

ამბროსი: — შორწმუნებზედ.

ბარათაშვილი (დამცველი): — ვის გაუგზავნეთ მემორანდუმი, კონფერენციას თუ რომელიმე სახელმწიფოს?

ამბროსი: — კონფერენციას.

ბარათაშვილი: — ფიქრობდით თუ არა, რომ კონფერენციის შემადგენლობა ომს გამოუცხადებდა რუსეთს, თუ რომ საქართველოს საკითხში მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებდა.

ამბროსი: — არა; კონფერენცია იყო სამშვიდობო.

ბარათაშვილი: — ნაკითხეს თუ არა კონფერენციაზე მემორანდუმი?

ამბროსი: — ამის ცნობა მე არ მაქვს.

ბარათაშვილი: — ექონდათ თქვენ რაიმე კავშირი რომელიმე სახელმწიფოსთან?

ამბროსი: — არა, არ მქონდა.

ბარათაშვილი: — რა ხასიათი ჰქონდა თქვენს მემორანდუმს?

ამბროსი: — გენუის კონფერენციაზე იყო საქართველოს წარმომადგენელი და იქ უნდა დაცულიყო ჩვენი ერის სუვერენობა; უფრობდი, რომ ჩვენს წარმომადგენელს ეს მემორანდუმი დახმარებას გაუწევდა და მეც ამიტომ გაგზავნე.

ბარათაშვილი: — იყო თუ არა ისეთი შემთხვევა, რომ მღვდლები პროპაგანდას ეწეოდნენ არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ?

ამბროსი: — არა, არ იყო, და რომ ყოფილიყო — მე წინააღმდეგი წავიდოდი.

პროკ. მატეაკარიანი: — იცით ვისი ინიციატივით იყო მოწვეული კონფერენცია?



ამბროსი: — არა, არ ვიცი.

პროკ. ოკუჯავა: — თუ რომ საბჭოთა წყობილების არა ხართ, როგორ წყობილებას ითხოვდით?

ამბროსი: — ყოფილიყო ასეთივე, მაგრამ დაწყობილიყო ხალხის სურვილებზე.

პროკ. ოკუჯავა: — ხომ იცით, რომ საბჭოთა მთავრობას ხალხი ირჩევს?

ამბროსი: — ეხლა ვიცი, პირველი ყრილობის შემდეგ. მემორანდუმის დაწერამდე ყრილობა არ ყოფილა.

პროკ. ოკუჯავა: — თუ რომ არსებული მთავრობის დახმარება გსურდათ — რისთვის ამის შესახებ მთავრობას ან არ შეეკითხეთ ან არ გააგებინეთ?

ამბროსი: — ვფიქრობდი, რომ საჭირო არ იყო...

ნიკნივაძე: — რომელ ენაზედ იყო დაწერილი მემორანდუმი?

ამბროსი: — ქართულ ენაზედ.

ამბროსის დაკითხვის შემდეგ სხდომა სწყდება 10 წუთით. სხდომის განახლებისას ჩვენებას ართმევენ ბრალდებულ ლევაკას (ნახარის).

თავმჯდომარე — იყოფით თუ არა მემორანდუმის გაგზავნის შესახებ.

ნახარი: — არა.

თავმჯდომარე — როდის გაიცემთ?

ნახარი: — პრესაში დაბეჭდვის შემდეგ.

თავმჯდომარე: — როგორი იყო თქვენი შეხედულება მემორანდუმზედ გაგების შემდეგ?

ნახარი: — მე ეს არ მბრალდება და ამიტომ არ გიპასუხებთ.

თავმჯდომარე — დამალული განძეულობის შესახებ როდის გაიცემთ?

ნახარი: — გაუგებ საიდუმლოდ ლეონიფსაგან.

თავმჯდომარე: — ვის გაანდევით?

ნახარი: — არავის.

თავმჯდომარე — ვის ქონდა შენახული?

ნახარი: — ლეონიდის გადმოცემით: შენახვა მიუხდვია პავლე ჯაფარიძესათვის.

თავმჯდომარე: — გააგებინეთ თუ არა ამბროსის განძეულობის შენახვის შესახებ?

ნახარი: — ამბროსისათვის არაფერი მითქვამს.

თავმჯდომარე: — რატომ არ უთხარით?

ნახარი: — მე ვიცავდი ლეონიდეს საიდუმლოებას. ამასთანავე მე ვიცავი ქუთაისში და დორეჭტივებსაც იქიდან ვლბებულობდი — იყოფა თუ არა განძეულობის გადამალვის შესახებ რაიმე ცულისთის თავა — ეს მე არ ვიცი.

თავმჯდომარე: — ცულისთისათვის თანახმაა განძეულობა?

ნახარი: — ცულისთისათვის არა.

თავმჯდომარე: — მაშ, ამბროსის არ უნდა სცოდნოდა, სად ინახება ცულისთის განძეულობა?

ნახარი: — მე არ მიცნობებია და ისე კი ცოდნა მისთვის საჭირო იყო.

თავმჯდომარე: — რატომ მთავრობას არ განუცხადეთ, რომ სოონის და მცხეთის განძეულობა გადამალული ქონდათ?

ნახარი: — რატომ უნდა განმეცხადებია?

თავმჯდომარე: — იმიტომ, რომ ის მთავრობაა!

ნახარი: — ის იყო ცულისთის განძეულობა, ეპატრონებოდა ცულისთა და განძეულები მთავრობას მაშინ, როდესაც მოითხოვდა: ისე კი არავითარი დეკრეტი არ იყო ან ჩაბარებისა, ან კიდევ ცნობისა, სად რომელი განძი გვექონდა შენახული.

თავმჯდომარე: — რატომ მიწინააღმდეგობა აწივებთ და ცულისთის არ ნაილეთ?

ნახარი: — იმიტომ, რომ უფრო საიმედო ადგილას იყო შენახული, შესაძლებელია მოეპარათ. ასეთი შემთხვევა კიდევ იყო და ამიტომ მათი ცულისთის შენახვა წარმოადგენდა საშიშროებას.

თავმჯდომარე: — რატომ მაინც ცულისთის თავს არ შეატყობინეთ?

ნახარი: — იმიტომ, რომ განძეულობა შენახული იყო ლეონიდის მიერ კონსპირატორულად და მეც ამ მხრივ ტრადიცია დავიცავი, ისე კი ვფიქრობდი, რომ ამბროსიმ ეს იცოდა.

თავმჯდომარე: — გამოსულხარტ როდესმე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ?

ნახარი: — არა, და არც შემძლო გამოვსულიყავი, რადგანაც ცულისთა და სახელმწიფო ერთმანეთს დაშორებულია. არამორწმუნე — კომუნისტები არის და არა კომუნისტები, მე მივდიოდი საზოგადოებრივ წინააღმდეგობაში და ცულისთის არა მორწმუნეთა წინააღმდეგ.

ნიკნივაძე: — რათ დავუმაღეთ მთავრობას, რომ განძეულობა დამალული გქონდათ?

ნახარი: — მთავრობისაგან არ დავგიმალავს.

ნიკნივაძე: — როგორ იყო შენახული?

ნახარი: — მე არ დავსწრებივარ და ამიტომ არ შემიძლია აგინეროთ.

ნიკნივაძე: — სად იყო შენახული?

ნახარი: — როგორც ლეონიდმა გად-



საქართველოს  
საბჭოთა რესპუბლიკის

ნ ა ზ ა რ ი : — არ ვიყავი.  
მხარეებს მეტი საკითხი არ აქვთ.  
სასამართლო გადადის ბრალდებულ ჯაფარის  
დაკითხვაზე.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე : — ვინ დაგაგადათ  
სიონის და მცხეთის განძეულობის გატანა და  
შენახვა?

ჯ ა ფ ა რ ი ძ ე : — კათალიკოს ლეონიძემა, მე  
ქუთაისში ვცხოვრობ, ისე კი იმ ხანებში თბი-  
ლისში სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექცი-  
ებს ვისმენდი. ერთს დღეს, ლექციების შენ-  
ჯვებისა გამო, ნაველ კათალიკოს ლეონი-  
ძის ლოცვა-კურთხევის გამოსათხოვად, სწო-  
რედ იმ დღეს დამავალა ლეონიძემა ნაღებ  
განძეულობის ქუთაისში და შენახვა ბაშვი.  
მე ვიყავი მისი მორჩილი და ამიტომ დაე-  
ვალე მისი მითითებით უარი ვერ ვუთხარი.  
განძეულობა ჩაიხარჯ ტყეშალაძისა და ლა-  
ზარიაშვილისაგან, სადგურამდე გამომყვა  
ტყეშალაძე და კაპანაძე სადგურთან კაპანა-  
ძე ჩამომშორდა. სადგურზე დიდ ძალ ხალხს  
მოყვარა თავი, იყო ჩოქოლი და ლაპარაკი,  
რომ თბილისს სულიანო, ამიტომ მიჩქარო-  
დნენ, ჩქარა გამეტანა განძეულობა, რომ არ  
დაგვრჩენოდა და არ დაკარგულიყო. იყო  
ღამის 2 საათი, როგორც იქნა, მოვთავსდი  
ერთ რონოდაში, ამავე მატარებლით მოდიო-  
და ბენია ჩხიკვიშვილი და არქეოლოგი თა-  
ყაშივილი. როდესაც ამათ გაიგეს რა მიმქო-  
ნდა, მიხლვენი მათთვის გამეტანებია, მაგრამ  
მე უარი ვუთხარი, რადგანაც დაეალე მქო-  
ნდა კათალიკოსიდან ნაშელო ის ქუთაისში.  
ქუთაისში რომ ჩავულ, ქალაქი იცლებოდა.  
ვინაიდან ბაქსა ცდიდნენ. განძეულობა  
პრედაქორ საკათედრო ტაძარში მივიტანე და  
შედეგად ლეონიძის ჩამოსვლას. ლეონიძეც  
ჩამოვიდა და როდესაც გაიგო, როგორი მდგო-  
მარეობა იყო შექმნილი ქუთაისში — მიბრ-  
ძანა განძეულობა სადმე სიამღებო ადგილს  
შენახვა. განძეულობა ნაველი არქიერის  
გორანზე და დავერძალეთ არქიერის სასახ-  
ლის აივნის ქვეშ. განძეულობასთან ერთად  
ჩავფლეთ მიწაში პოლიც, რაშიც იყო ჩადე-  
ბული სია განძეულობისა და ბრძანება შე-  
სახე იმისა, რომ განძეულობა ნაშელებულია  
საკათალიკოსო საბჭოს განკარგულებით. აქ-  
ვე ლეონიძემა დამაფიცა ჯვარზედ, რომ გან-  
ძეულობის შენახვა საიდუმლოდ შექმნა და  
არავისთვის არაფერი მეთქვა მანამ, სანამ მის  
შესახებ რაიმე ახალ განკარგულებას არ გამო-  
სცემდა. ისე კი ხმა უნდა გამეგრელებინა,  
რომ განძეულობა მთავრობამ საზღვარგარეთ  
ნაიღო. ვინაიდან მე ვიყავი ფიცით შუბოჭი-  
ლი, განძეულობის დაკრძალვის შესახებ არა-  
ვისთვის არაფერი მითქვამს. რაც შეეხება  
კათალიკოს ამბროსის — შეიძლება მისთვის  
მეთქვა, მაგრამ მის შემდეგ, თუ კი რომ

ის ამის შესახებ ოდესმე შემეცინებოდა, იმ  
მე არაფერს მეცინებოდა და ამიტომ შეე-  
ვდებოდი.

პ რ ო კ . მ აჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი : — არაფერი უთ-  
ქვამს თქვენთვის კათალიკოს ლეონიძეს შე-  
სახებ იმისა, თუ რისთვის გაქონდა განძე-  
ულობა ქუთაისში?

ჯ ა ფ ა რ ი ძ ე : — როგორ არა, სიტყვა,  
რომ ძლიერ არეული დროა, შესაძლებელია  
განძეულობა გაიტანონ და ამიტომ უნდა გა-  
დავარჩინოთ; როდესაც ქვეყანა დანყნარ-  
დება, მაშინ ამოვიღებთ.

პ რ ო კ . მ აჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი : — როდესაც  
ქვეყანა დამშვიდება და უკვე საშიშროება არ  
იყო — რატომ მერმე მანაც არ განუცხადეთ  
მთავრობას, სად იყო დამალული განძეულო-  
ბა?

ჯ ა ფ ა რ ი ძ ე : — ვიყავი ფიცით შუბოჭი-  
ლი, არავისთვის არაფერი მეთქვა; თანაც  
ამის შესახებ მთავრობის არც ერთი ბრძანება  
არ იყო.

პ რ ო კ . მ აჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი : — იცოდით თუ  
არა, რომ საცდელის განძეულობა სახალხო  
ქონებად იყო გამოცხადებული?

ჯ ა ფ ა რ ი ძ ე : — უმეტესი ნაწილი მონა-  
სტერში ვცხოვრობ და მთავრობის განკარ-  
გულებებს ძლიერ ნაკლებ ვაფენიდი თვალ-  
ყურს, ამიტომ არ ვიციდი.

პ რ ო კ . ო კ უ ჯ ა ვ ა : — თქვენ სიტყვით,  
რომ კათალიკოს ლეონიძის დავალებით, თუ  
რომ ვინმე გითხვამდათ გატანილ განძეულო-  
ბის შესახებ, უნდა გეთქვათ, რომ განძეუ-  
ლობა საზღვარგარეთ არის გატანილი. ეს  
ხომ ტყუილის თქმვაა, რომელიც სასულიერო  
პირს არ შეუწევს?

ჯ ა ფ ა რ ი ძ ე : — ტყუილის თქმაც არის  
და ტყუილის თქმაც. ლმერთის განწირისება  
იმდენად არაფერია, რადგანაც ის მრავალ  
მონყალა და შევიწინებდა.

პ რ ო კ . ო კ უ ჯ ა ვ ა : — როგორ ფიქ-  
რობთ, ტყუილის თქმაც ლეონის ნინაღმდეგია?

ჯ ა ფ ა რ ი ძ ე : — ნინაღმდეგაც არის და  
არც არის ნინაღმდეგე, და იმის და მიხედ-  
ვით, თუ რას შეეხება ტყუილი. ზოგ შემთ-  
ხვევაში ტყუილის თქმაც შესაწინარებელია,  
მით უმეტეს, რომ, ჩვენ საშუალება გვაქვს  
ტყუილის თქმაც საიდუმლო აღსარებით მოვი-  
წინოთ.

პ რ ო კ . ო კ უ ჯ ა ვ ა : — როდესაც განძე-  
ულობა ნახეს და თბილისში ჩამოხვედი —  
რათ მოახსენეთ ამბროსის, რომ განძეულობა  
ნახეს?

ჯ ა ფ ა რ ი ძ ე : — თბილისში ვიყავი ჩამო-  
სული ორი დღით და ვალდებული ვარ ვთქვა  
თათს, მტანხულა ამბროსი და ვველაფერი მო-  
მქმნებინა.

დამცველი ქაეთარაძე: — აღსარებამი თქმული საიდუმლობაა?

ჯაფარიძე: — საიდუმლობა და მისი გამხდარება არ შეიძლება.

ნიკნივაძე: — რა მიზანი ქონდა განძეულობის მიწაში ჩაფლას?

ჯაფარიძე: — სამშორების თავიდან აცილება და მათი გადაარჩენა.

ნიკნივაძე: როდის უნდა ყოფილიყო შესაძლებელი განძეულობის მიწიდან ამოღება?

ჯაფარიძე: — მაშინ, როდესაც მთავრობა, მოახდენდა რა შემონახვას სიონის და მცხეთის ტაძრების განძეულობისას, მოითხოვდა მათ მოტანას, ან გამოისცემდა რაიმე სათანადო დოკუმენტს.

დამცველი დადიანი იძლევა განმარტებას შესახებ დეკრეტი № 21სა და აცხადებს, რომ ამ დეკრეტის ძალით სამღვდელეობას სრულებით ვალდებული არ იყო მოეხსენებია, ან ჩაებარებია მთავრობისათვის სად, რომელიც და როგორი განძეულობა ჰქონდით შენახული.

ჯაფარიძის დაკითხვის შემდეგ სასამართლოს სხდომა შეწყდა ღამის 11 და 30 წუთზე და გადაიდო მეორე დღის დღის 12 საათისათვის.

## მისამი დღე

12 მარტი 1924 წელი

სხდომა გაიხსნა შუადღის 1 საათზე და 20 წუთზე.

დამცველი ნინიძეს დამცველებთან სახელით შემოაქვს შემდეგი განცხადება:

„მოგახსენებთ სასამართლოს, რომ ჩვენ სრულის დამშვიდებით შევხდით სასამართლოს დარბაზში დამყარებულ წესრიგს, განსაკუთრებით პროცესის პირველ დღეს. ჩვენ სრული დარწმუნებული ვიყავით, რომ პროცესი ბოლომდე ნორმალურ პირობებში იმართებოდა, მაგრამ სურათი თანდათან იცვლება: როგორც დარბაზში, ისე პრესაში თავი იჩინა მტრულმა განწყობილებამ, რომელიც ექსცესივების სახეს იღებს: ისინი ვერტიკლი „ძირს მუქთახორები“ და სხვ, როგორც ბრალდებულთა, ისე დამცველთა წინააღმდეგ.

აგტივაციამ ბრალდებულთა და დამცველთა წინააღმდეგ გადალახა ყოველივე შესაძლებლობა და არსებული კანონების შინაარსის და საფუძვლის უკუღმართი განმარტება წამოაყენა: მაშინ, როდესაც კანონი იცავს სამართლიანობას და მხარეთა თანასწორობას, პრესა, ამის საწინააღმდეგო, წინასწარ შედის ჩვენი მოქმედების დაფასებაში და ბრალდებულთა წინააღმდეგ უკვე გამოაქვს საბრალ-

მდებლო განაჩენი, ხოლო დამცველს „სამსჯელის და პატიოსნების“ მოვალეობა უკვე უკვე ხადებენ.

მოგახსენებთ რა ამის სასამართლოს — გთხოვთ, განუმარტოთ პრესას, რომ სანამ განჩინება არ არის გამოტანილი, მინამდვილად სეზონის მხოლოდ ბრალდებული და არა გამიტყუნებული. ხოლო დამცველი არის წარმომადგენელი მხრის და პასუხს აცხადებს კანონის და თავისი სინდისის წინაშე. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ პროკურატურა მოაქცევს ამას ეურადღებას და ალყის კანონიერების შესახებ და ამით საშუალებას მოგვცემს ჩვენ, განვაგრძოთ ჩვენი მოვალეობის ასრულება“.

ერკოშვიდი: — პასუხად დამცველთა განცხადებისა გამოამარტავს სასამართლოს, რომ სასამართლო არ შეუძლია და არც არის ვალდებული პასუხი აგოს იმედი, რაც ხდება ქუჩაში, რომ დამცველები, რაკი პირველმა ცდამ საქმის სხვა დროისთვის გადადებისა უნაყოფოდ ჩაუვართ, ცდილობენ პროცესი საგაგატიო მასალათ გამოეწვიონ. აქ არის ძველი და ახალი ძალების შეტაკება. მშრომელი მასა ღელავს, რადგან ვერ წარმოუდგენია, რომ საბჭოთა წესრიგის დროს სამღვდელეობას იცავდეს ის, ვინც გუშინ მარქსიზმის სახელით მის წინააღმდეგ იბრძოდა, რომ ეს გარემოება დამცველებს ნერვებს უშლის, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს უფლებას არ აძლევს მათ გამოდიოდნენ სასამართლოში ასეთის განცხადებით.

ოქუჯავა: — ჩვენი აზრით, მეორე მხარე აგრძელებს ობსტრუქციას. მის სურს პროცესს შეწყვეტა. ამას ისინი თავიდანვე ცდილობდნენ, მაგრამ რადგანაც ვერ შესძლეს — ესღა სხვა ონება მიმართავენ. ამიტომ წესიერებას არღვევთ თითო და ხალხს ამას პასუხს აძლევთ, ამიტომ ვითხოვ — მათი განცხადება საქმესთან მითვისებული არ იქნება.

სასამართლო გადის სათათბირო ოთახში დადგინების გამოსატანად.

გამოსვლისას სასამართლო აცხადებს დადგინებას:

„სასამართლომ მოისმინა რა დამცველთა კოლექტიური შეამდგომლობა მათი წერილობითი განცხადების საქმეში ჩართვის შესახებ და ბრალდებულთა პასუხი, დაადგინა — აღნიშნული წერილობითი განცხადება დამცველებისა მითვისებულ იქმნას საქმესთან“.

სასამართლო აგრძელებს სხდომას და ეკითხება ბრალდებულს ლაზაროშვილს:

თავმჯდომარის შეკითხვაზე — აქვს თუ არა რაიმე სათქმელი — ლაზაროშვილი განმარტავს, რომ მის შემდეგ რაც მან თავის გასამართლებლად წარმოადგინა კათალიკოს

ამბროსის ნერვილი — სათქმელი არა აქვს რა და მივიწყებულ კითხვებზე ამბობს:

რომ მან მემორანდუმის შესახებ პრესაში მისი გამოქვეყნებამდე არაფერი იცოდა და ვინაიდან იმოდენა სწავლა და ცოდნა მას არ შესწევს არც მისი პოლიტიკური შეფასება შეუძლია. ქუთაისში გატანილი განძეულობის შესახებ განმარტავს, რომ ეს განძეულობა მან, ლეონიდეს დაეღობით, ჩააბარა ქუთაისში წასაღებად პაველ ჯაფარიძეს, რომ ჯაფარიძემ ის გაიტანა ქუთაისში, მაგრამ იქ რა ბედი ეწვია მას, მან არ იცის. საკათალიკოზო საბჭოს წევრი ის არ ყოფილა.

მაჭავარიანი — მიაციღეთ თუ არა ჯაფარიძე სადგურამდე?

ლაზარიშვილი: — არ ნავოლივარ, რადგანაც ავაღ ვიყავი, მე შევასრულე მხოლოდ დავალება ლეონიდესი, რომელიც შეენებოდა განძეულობის ჯაფარიძესადმი გადაცემას და ამიტომ რა ბედი ეწვია მაგ ნიუტებს ქუთაისში, არ ვიცი. ნათქვამი ქონდათ ჩემთვის, რომ ეს განძეულობაც მთავრობამ წაიღო სახლვარ გარეთაო.

ოკუჯავა: — იცოდით ხმებით სად იყო განძეულობა?

ლაზარიშვილი: — ხმებით ვიცი, რომ გატანილია სახლვარგარეთ. ამიტომ, თუმცა ხშირად შევხვედრილვარ ამის შემდეგ ჯაფარიძეს — მე მისთვის გატანილი განძეულობის შესახებ არაფერი მიკითხავს.

ერქოშვილი: — რომ გყოფნოდით, სად იყო განძეულობა ეტყვიდით მთავრობას? ფიქრით ხომ არ იყავით შეზოქილი?

ლაზარიშვილი: — არავის დაუფიცივარ. მაგრამ რომ ვეტყვიდით თუ არა მთავრობას — არ ვიცი, რადგანაც ასეთი მდგომარეობა არ მიცდია.

ნიკნივაძე (სასამართლოს წევრი): — საიდან იცით, რომ განძეულობა, გატანილი ქუთაისში, ბანკში უნდა შეენახათ?

ლაზარიშვილი: — განძეულობის გატანის შესახებ იყო დადგენილება საკათალიკოზო საბჭოსი, ამ დადგენილებით გატანა მისი ევალებოდა ეპისკოპოსს დაეითს და პაველ ჯაფარიძეს.

ნიკნივაძე: — ვისგან გქონდათ გაგებული, რომ განძეულობა სახლვარგარეთ იყო გატანილი?

ლაზარიშვილი: — კათალიკოზ ლეონიდესაგან.

ნიკნივაძე: — მენშევიკურ მთავრობის დროს იყო შემთხვევა მთავრობის მიერ საეკლესიო ქონების ჩამორთმევისა?

ლაზარიშვილი: — არა, არ იყო.

ნიკნივაძე: — ხომ არ უმაღლესა სამ-

ღველეობა მენშევიკურ მთავრობას უღლებას?

ლაზარიშვილი: — არა. ნიკნივაძე: — იყო თუ არა სამღველეობა თანამგრძობი იმისა, რომ გადაძალადი განძეულობა მენშევიკურ მთავრობას თან წაეღო?

ლაზარიშვილი: — არ ვიცი, ვიცი მხოლოდ ის, რომ სამღველეობა უმეყოფილო იყო, როდესაც მთავრობა გელათის მონასტრიდან განძეულობას ეზიდებოდა.

ოკუჯავა: — თქვენ რომ გყოფნოდა, რომ სიონის და მცხეთის ტაძრის განძეულობა მინაშა ჩაფლული — მოითხოვდით მის ამოღებას?

ლაზარიშვილი: — მოითხოვდი, რადგან განძეულობათა შორის იყო ერთი სამოსელი, რომელიც სონტესაგან წახდებოდა. სასამართლო უკითხება ბრალდებულ მარკოზ ტყეშელაძეს.

თამეჯდომარის შეკითხვებზე მემორანდუმის და განძეულობის გატანის და შენახვის შესახებ — ბრალდებული განუმარტავს სასამართლოს, რომ ის კრება, რომელზედაც კათალიკოზ ამბროსის მოხსენება უნდა გაეკეთებინა გაგზავნილი მემორანდუმის შესახებ, საემპროსიო რიცხვი წევრების გამოუცხადებლობისა გამო, არ შესდგა. წევრებს შორის იყო მხოლოდ კერძო ლაპარაკი: „ვიყავით მე, პატრიარქი ამბროსი და ერთი სხვაც. აქ ამბროსიმ სხვათა შორის გეთხრა, რომ მან გენუაში გაგზავნა მემორანდუმი და რომ, როგორც ხმები დადის, მემორანდუმი მისულა გენუაში. იმ დღეს უნდა ყოფილიყო საკათალიკოზო საბჭოს მორიგი სხდომა, ქეორუმი არ შესდგა, ნერვილი შემუშავებული არ იყო ამიტომ არ შემოძლია ვსოქვა გააკეთებდა თუ არა პატრიარქი იმ დღეს მოხსენებას მემორანდუმის შესახებ. ქუთაისში შესანახად გაგზავნილი განძეულობის ყუთებში ჩანუობას მე თვით დავეხნარი, ძლიერ მიმიძიდა ლეონიდეს დავალები შესრულეთ, უარცა ვსოქვა, მაგრამ ლეონიდმა ჩამაჩუმა, მითხრა: ეს საკათალიკოზო საბჭოსი და მთავრობის დადგენილებაა და უნდა შენარულდესო. ქუთაისში გადატანამდე ებ განძეულობა ინახებოდა სალაროებში. რაც შეეხება ბრალდებას, თითქმის მე წინააღმდეგობა გამეწიოს მთავრობის განკარგულებისათვის სამხედრო ტაძრის გადაცემის შესახებ — სინამდვილეს ეს არ შეეფერება. თუმცა საბჭოს დადგენილებაზე მეც ხელი მიწერია, მაგრამ საბჭოს სხენებზე დადგენილებაში მთავრობის განკარგულებისადმი სინაღმდეგო არაფერია, ჩვენგან მოითხოვდნენ მონაწილეობის მიღებას ტრაქეზისა და ტაძრის სხვა ნაწილების დარღვევაში და ეს

საქართველოს  
საბჭოთაო მთავრობის  
განცხადება

კი ჩვენს სარწმუნოებრივ რწმენას ეწინააღმდეგებოდა და ამიტომ მოსახერხებლად ვერ ვნახულობდი მონაწილეობის მიღებას. ისე კი ნინაძემდეგი არ ვყავით ტაძარი მთავრობას წაღო და შესაფერისი ბრძანებაც მიეცა ტაძრის წინამძღვრისათვის, ტაძრის გასაღებები მთავრობის წარმომადგენლისათვის გადაეცა.

წიგნივაძე: — სერიოზულია თუ არა ამბროსის მიერ გადადგმული ნაბიჯი?

ტყემალაძე: — სერიოზულია.

წიგნივაძე: — ვაღებულა თუ არა კათალიკოზი, თავის გადადგმულ ნაბიჯების ან განკარგულებების შესახებ აცნობებდეს საბჭოს?

ტყემალაძე: — შეუძლია არ აცნობოს, ვინაიდან ამის უფლება მას, როგორც მღვდელმთავარს, ტრადიციითა აქვს მინიჭებული. მას შეუძლია პასუხი მოსთხოვოს მხოლოდ საეკლესიო კრებას.

წიგნივაძე: — რამდენი წელია საბჭოს წევრი ხართ?

ტყემალაძე: — სამი. მღვდლობას ვეწევი 35 წელი.

წიგნივაძე: — რაში გამოიხატა თქვენი დამოკიდებულება მემორანდუმისადმი.

ტყემალაძე: — არ მივიჭრა, ჩემს აზროვნებაში მის შესახებ არავითარი შეხედულება არ დამუშავებულა. მისი შედგენა ცკუთენის ავტორს და პასუხიც საკუთრად მას მოუთხოვება.

წიგნივაძე: — მართალია თუ არა ის ცნობები, რომლებიც მემორანდუმშია აღნიშნული?

ტყემალაძე: — მე არ ვიცი. გიპასუხებთ თვით დამწერო, მე კი მისთვის არავითარი ცნობა არ მიმიცია.

ოკუჯავა: — ქონდა თუ არა უფლება ამბროსის, დაწერა ეს მემორანდუმი?

ტყემალაძე: — არ ვიცი.

ოკუჯავა: — პოლიტიკური ხასიათისაა თუ არა მემორანდუმი?

ტყემალაძე: — ერთი შეხედვლებით პოლიტიკურია, მაგის დაფასება მე არ შემიძლია, რადგანაც სასულიერო განათლება მაქვს და პოლიტიკურად მომზადებული არ ვარ.

ოკუჯავა: — თქვენ წინასწარ გამოძიების დროს განაცხადეთ, რომ მემორანდუმს ქონდა პოლიტიკური მნიშვნელობა.

ტყემალაძე: — მე ეს არ გამოცხადებია. ვინაიდან პროკურატურა ბრალდებულ ტყემალაძის ასეთ ჩვენებაში ხედავს ნინაძემდეგობას პირვანდელ მის ჩვენებასთან — ითხოვს ნაკითხულ იქმნას მისი ჩვენება, მიცემული წინასწარ გამოძიებისათვის.

თავმჯდომარე კითხულობს ნინაძის მემორანდუმის მოტივებს ოქმს, სადაც ტყემალაძე შემოიხანძრის შესახებ ამბობს: — მე მემორანდუმს ვაძლევ პოლიტიკურ მნიშვნელობას, ამნაირი მემორანდუმის დაწერის უფლება ქართველი ერის სახელით ამბროსის არ ქონდა.

თავმჯდომარე: — თქვენ მიერ ნათქვამში, რომელი მიგაჩნია სწორად.

ტყემალაძე: — ახლა რომ ვამბობ.

ოკუჯავა: — იყოფით, სად იხებებოდა ქუთაისში გატანილი განძეულობა?

ტყემალაძე: — არ ვიცი, ლეონი-დისკანდ ვიცოდი, რომ ნივთები წაღებული იყო საზღვარ გარეთ.

ერქომაიშვილი: — იყო თუ არა დადგინდება საბჭოსი სამხედრო ტაძრის გადაცემის შესახებ მონაწილეობის არ მიღება?

ტყემალაძე: — ჩვენ მთავრობის განკარგულებას ნინაძემდეგობას არ ეუწევიდით. ჩვენ მხოლოდ სარწმუნოების მიხედვით არ შეგვეძლო მონაწილეობა შიგველო ტაძრის დარღვევაში. ჩემის აზრით, რედაქცია დაფინანსებას ვერ არის სწორად დაწერილი, რადგანაც იქ ვერ არის საბჭოს აზრი გამოხატული ისე, როგორც ეს საჭირო იყო.

ერქომაიშვილი: — ნაკითხვათ თუ არა ამბროსიმ მემორანდუმის შინაარსი?

ტყემალაძე: — მემორანდუმი ამბროსის არ ნათქვამს, მან მხოლოდ შინაარსი გამოგვცა.

ერქომაიშვილი: — მოუტანა მემორანდუმმა სამღვდელეობას რაიმე სარგებლობა?

ტყემალაძე: — ვერ განვსჯი. შეიძლება ენებაც მოუტანა.

ბარათაშვილი: — ბლენუმის სხდომაზე რომ მიხედოფდით — იყო რაიმე წესრიგი შემუშავებული?

ტყემალაძე: — ნუსრიგი არ მინახავს, რადგან, არავის მოუტანია, თუმცა იმ დღეს უნდა გარჩეულიყო მორიგი საკითხები. სხდომა ხანდახან კერაში ორჯერ ხდებოდა.

დადიანი: — მოაქცევს ყურადღებას სასამართლოსი იმავად, რომ მომწესს ან ბრალდებულს აძლევდნენ ისეთ კითხვებს, რომლებიც ფაქტებს შეეხება და არა ბრალდებულის პიროვნების დახასიათებას.

პ.რ.კ. ერქომაიშვილი: — ვერ იხიარებს დადიანის ასეთ განმარტებას, რომელიც ემყარება ძველი დახასიათებული კანონების შეხედულებას.

დადიანი: — მიუთითებს სასამ. საქრ. კოდექსის 166 მუხ. და კრლენკოს განმარტებაზე შესახებ იმისა, რომ მომწესს ან ბრალდებულს უნდა ეკითხებოდნენ მხოლოდ ფაქტების შესახებ.

მაჭავარიანი — პროკურატურის სახელით აცხადებს, რომ პროკურატურას არაფერი არ დაურღვევია, რადგანაც მუხლი 166 ს. ს. საპრ. კოდე. მკაფიოდ აღნიშნავს ამიტომ პროკურატურას სრული უფლება აქვს ასეთი კითხვების მიცემისა. რაც შეეხება განცხადებას ბრალდებულის ერეოზაიშვილისა, რომ ის საერთოდ არ ეყრდნობა კანონებს, სამართლიანია, რადგანაც ჩვენი კანონმდებლობა ახალია, შეიძლება ის სრულიც არ იყოს, მაგრამ ის უნდა შევსებული იქნას რეგულაციური და სოციალისტური შეგნებით და შეხედვლებით. სიტყვა „დახასებული“ კი შეეხება ძველს, ყოფილი რუსეთის კანონებს და არა დამცველებს.

ეკითხებიან ბრალდებულ მირიანაშვილს.

შეკითხვებზედ უპასუხებს, რომ მემორანდუმის გაგზავნის შესახებ პირველად გაგოგბოხითებიდან და რომ მანამდის მისი არსებობის შესახებ მან არაფერი იცოდა. რაც შეეხება იმ განქულობას, რომელიც მისი რწმუნებული ტაძრის კედელი „განჯინაში“ აღმოაჩინა — განმარტავს, რომ ის მორწმუნეთაგან შემწირულია ახალი ტაძრის ასაშენებლად და როგორც ასეთს, მას ქონდა განსაკუთრებული დანიშნულება და როდესაც თავმჯდომარე ეკითხება მას: რომელი უფრო საჭირო იყო ხალხისათვის: ტაძრის აშენება თუ პური — უპასუხებს, რომ ხალხს ორივე ერთნაირად ეჭირვება, შემწირულებას ქონდა სპეციალური დანიშნვა და შემომწირველთა სურვილის ნინაღმდეგ მას არ შეეძლო. მემორანდუმის შესახებ უპასუხებს პროკურატურას, რომ მისი არსებობა მან შეიტყო გაზეთებიდან, მანამდე კი არაფერი იცოდა, მის შესახებ მას გარკვეული აზრი არა აქვს, რადგანაც ვერაც არ გარკვეულა იმაში — რა ხასიათისა იგი: პოლიტიკური, რელიგიოზური და თუ ორივე ერთად. არ შეუძლია არაფრის თქმა შესახებ იმისა: მოუტანა თუ არა მემორანდუმის გაგზავნამ ვნება სამღვდელოებას.

მირიანაშვილის ჩვენების შემდეგ სხდომა წყდება ნახევარ საათში.

განახლებისას ეკითხებიან ბრალდებულ კალისტრატე ცინცაძეს.

— მე ვარ ნეერი საკათალიკოსო საბჭოსი 1917 წლიდან. იმ სხდომას, რომელზედაც კათალიკოს ამბროსიმ რამდენიმე პირს გააცნო მემორანდუმის შინაარსი, მისი გაგზავნა და გენუის კონფერენციისადმი მიღწევა, მე არ დაქანრბივარ. რა ხასიათი ქონდა მემორანდუმს — ამის შესახებ ნებაზრვის ვითხოვ, არ გიპასუხოთ. ჩემის აზრით, სამღვდელო პირს, როგორც მოწმდაქვს, ნება აქვს წაერთოს სამოქალაქო საქმეებში, როგორც

მღვდელს — არა. რაც შეეხება სამღვდელოების აზრს მემორანდუმზედ, ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვი, რადგანაც ასეთი საკითხი არ დისმულა. პირადათ კი ვფიქრობ, რომ მემორანდუმის ისახავს რელიგიოზურ მიზანს. მოუტანა თუ არა სარგებლობა მემორანდუმის გაგზავნამ სამღვდელოებას — ამის თქმა ჩემთვის ძნელია. ეკლესიის შესახებ საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტის ცხოვრებაში გატარება სამღვდელოებას სავსებით აკმაყოფილებს, მაგრამ იყო თუ არა ამის შემდეგ საჭირო გაგზავნა მემორანდუმისა — პასუხს ვერ გავცემთ. პროკურატო მაჭავარიანის შეკითხვებზე — რაში გამოიხატება განსხვავება — ვერ სცნობს მოსახერხებლად, თუ არ სცნობს მოსახერხებლად — ბრალდებული განმარტავს, რომ „ვერ“ ნიშნავს შეუძლებლობას, „არა“ — უარს. სამხედრო ტაძრის კომსოპოლისტებისათვის გადაცემებზედ საბჭო ნინაღმდეგი არ იყო, რადგანაც ფაქტიურად ის მინც მისი არ იყო.

პროკ. ოუჯავას შეკითხვებზე — ვაღდეგულია თუ არა სამღვდელო პირი, დემორჩილოს მიაგრების დადგენილებასა და განკარგულებას — ბრალდებული ცინცაძე უპასუხებს: ვაღდეგულია, თუ რომ ის დადგენილება ან განკარგულება არ იქნება სანინაღმდეგო მისი სინფისა და რწმუნის, კანონს კი უნდა დაემორჩილოს. ამიტომ იყო კიდეც, საბჭომ უბრძანა სამხედრო ტაძრის ნინამძღვარს, გადაეცა ტაძრის გასაღებები მთავრობის ნარმომადგენელსათვის და როდესაც პროკურატურა აძღვეს მას კითხვას: ნინაღმდეგია თუ არა მემორანდუმის გაგზავნა ნესწყობილების — ცინცაძე ნებს ითხოვს ამაზედ არ უპასუხოს. მისი აზრით, ამბროსის, როგორც კათალიკოსს, უფლება ქონდა გაეგზავნა მემორანდუმში, საკათალიკოსო საბჭოს სახელით კი .რა. ანგარიშების ნარმოების შესახებ ამბობს, რომ ანგარიშებს ის ატარებს შავსა და თეთრ საანგარიშო ნიგნებში. ყველა ხარჯთაღრიცხვა მას აქვს გატარებული შავსა და თეთრ ნიგნში, მხოლოდ ბოლო ორი თვის ანგარიში გატარებული აქვს შავ ნიგნში, თეთრშიც უნდა გაეტარებია, მაგრამ ვერ მოასწრო. შავ საანგარიშო ნიგნს ის ატარებს 1917 წლიდან. მისი განმარტებით, შავი და თეთრი საანგარიშო ნიგნების ნარმოება იმისათვისაა საჭირო, რომ თეთრი სარვეიზოთ იგზავნება, შავი კი საქმეებში რჩება. ნივთები კი, რომლებიც შემწირულობის სახით შემოდიოდა — იწერებოდა ინვეტარის ნიგნში. შეკითხვებზე: როდის უნდა ყოფილიყო ანგარიშები შეტანილი თეთრ ნიგნში — უპასუხებს: ყოველთვის ბოლოშიო. პროკურატურის შეკითხვებზე — ცინცობს თუ არა ის საბჭოს მდივანს



შუბლაძეს და შეედლო თუ არა მას, საბჭოს დადგენილების დაწერის დროს სავსებით ვერ გამოეცხადა ის, რასაც საბჭო სწევდა — უპასუხებს, რომ ის შუბლაძეს ძალიან კარგად იცნობს, მას არ შეუძლია სიტყვას, რომ ის ცუდი მდივანია და საბჭოს დადგენილება შესახებ სამხედრო ტაძრის გადაცემაში მონაწილეობის მიუღებლობისა, მან არა ცუდი რედაქციით დასწერა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის მას ხელს არ მოაწერდა. დადგენილების რედაქცია კი, მისი აზრით, არ შეიძლება არავითარი წინააღმდეგობის გამოხატვისა მთავრობისადმი, რადგანაც ტაძრის დაშლაში მონაწილეობის მიღება ეწინააღმდეგებოდა მხოლოდ საბჭოს წევრების სინდისს და რომ ეს აგრეთვე, სწინს იქიდან, რომ საბჭომ განკარგულება მისცა თითბაძეს, გადაეცა ტაძრის გასაღებები მთავრობის წარმომადგენლისათვის, და თუ თითბაძემ მიიღო მიიღო რაიმე მონაწილეობა ცვლილების ქონების გადაბარებაში, ეს მისი პირადი სინდისის საქმეა.

ერკომაიშვილი: — რა აზრისა ხართ მეზორანდუმის შესახებ? მართალია გვილაფერი ის, რაც იქ სწერია?

ციცვაძე: — არ ვიცი, არ აღმინიშნავს.

ნივნივაძე: — სდგას თუ არა ამბროსი სამღვდლოების სათავეში? საერთოდ ხელმძღვანელია თუ არა ეკლესიისა და სამღვდლოების?

ციცვაძე: — არის.

ნივნივაძე: — გამოთქვამს თუ არა მეზორანდუმის იმას, რომ ურცია და სამღვდლოებაც იმ აზრისაა?

ციცვაძე: — ვერ გეტყვით, რადგანაც არ ვიცი.

ნივნივაძე: — ვის წინაშე აგებს პასუხს კათალიკოსი თავის მოქმედებაში?

ციცვაძე: — საეკლესიო კრების წინაშე.

ნივნივაძე: — შედიხართ როდისმე იმის განსჯაში, რას აკეთებს კათალიკოსი?

ციცვაძე: — მის მოქმედების განხილვაში ვერ შევალ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი მოქმედება იქნება უზნეო, ან მიმართული ქრისტიანულ სარწმუნოების წინააღმდეგ.

სასამართლო გადადგმის ბრალდებულ თითბაძის დაკითხვაზე.

თავმჯდომარის შეკითხვაზე უპასუხებს, რომ მეზორანდუმის გენუაში გაგზავნის შესახებ მან გაიგო გაზეთებიდან, მანამდე არაფერი იცოდა, მისი აზრით მეზორანდუმის შესახებ გაურკვეველია, რადგანაც იქ აღნიშნული ცნობები მას არ შეუმომწებია, თითხმობთ თქვა, რაც ციხეში ის და არაფერი იცის, რა ხდება ქვეყნიერებაზე. სიონის და მცხეთის განძეულობის ქუთაისში შენაბის

